

როზა თავდიდიშვილი

ეთნოგრაფიული ნარკვევი

ქუთაისელ ებრაელთა
ძველი ყოფა ცხოვრებიდან

როზა თავდიშვილი

ეთნოგრაფიული ნარკვევი

ქუთაისელ ებრაელთა
ძველი ყოფა-ცხოვრებიდან

ტექსტამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“

პ/მგ. რედაქტორი – ს. მაკალათია.
გადაეცა წარმოებას – 15/VII – 40 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად – 28/X – 40 წ.
უე1947
ტირაჟი – 2500
შეკვეთა № 1426
ზომა – 6X10
ფორმ. რაოდ. – 12^{1/3}

რედაქტორისაგან

როზა თავდიდიშვილის ეს ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი, ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრებიდან, წარმოადგენს პირველ ცდასა და ნაბიჯს ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. წინათ ასეთ შესწავლას ჩვენში არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება და არც ძველი რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმი იძლეოდა ამის საშუალებას. მეფური რუსეთის პოლიტიკის მთელი სისტემა დამყარებული იყო ნაციონალურ ჩაგვრაზე, სარწმუნოებრივ ანტაგონიზმზე და რუსიფიკაციაზე. ამის გამო ყველაფერი ის, რაც ხელს შეუწყობდა ამა თუ იმ ერის ნაციონალურ გათვითცნობიერებას და მის კულტურულ აღორძინებას წარმოადგენდა პოლიტიკურად საშიშ მოვლენას და სასტიკად იდევენებოდა.

საბჭოთა კავშირის ხალხი დღეს ამგვარი ჩაგვრისაგან განთავისუფლებულია და ჩვენში გაცხოველებული მუშაობა წარმოებს ხალხთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული წარსულის შესასწავლად. საუკუნეებით დაჩაგრულ და ჩამორჩენილ ერების ნაციონალურ-კულტურულ აღორძინებისათვის ასეთი შესწავლა აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ვინც არ იცის თავისი წარსული, იგი ვერ გაერკვევა აწმყოში და ვერც შექმნის ბედნიერ მომავალს. ამიტომ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ჩვენში წარსულის შესწავლას, რათა თითოეული საბჭოთა მოქალაქე იყოს სოციალიზმის შეგნებული და გათვითცნობიერებული მშენებელი. საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით კავშირის ყველა რესპუბლიკაში წარმოებს ფართო ეთნოგრაფიული და ფოლკლორისტული მუშაობა. ამ მხრივ საქართველოს რესპუბლიკა დგას მოწინავე რიგებში და ჩვენში გამოქვეყნებულია მრავალი შრომა და მასალა, რომლებიც მიზნად ისახავენ ქართველი ხალხის წარსულისა და მისი ყოფა-ცხოვრების შესწავლას. მხოლოდ შედარებით ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა ქართველი ებრაელობა, რომელიც ჯერ არ ყოფილა ასეთი შესწავლისა და კვლევა-ძიების ობიექტი, ყოველშემთხვევაში დღემდის არ გამოქვეყნებულა

ქართველ ებრაელების შესახებ ეთნოგრაფიული ხასიათის მასალები. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა როზა თავდიდიშვილმა, რომელმაც სრულიად უანგაროდ, თავისი ცოდნისა და გამოცდილების ფარგლებში შესძლო შეეკრიბა ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი მასალები. როზა თავდიდიშვილი არ არის კვალიფიციური ეთნოგრაფი, იგი მხარეთმცოდნეა და საქმის დიდი ენთუზიასტი. მისი მიზანია ამ შრომის გამოქვეყნებით ხელი შეუწყოს ებრაელთა მასის გათვითცნობიერების საქმეს, გააცნოს მას, თუ რას წარმოადგენდა მისი ყოფა-ცხოვრება წარსულში და როგორ უნდა შეიცვალოს ძველი ცხოვრება ახალი სოციალისტური ყოფით. ამასთანავე ამ შრომაში მოთავსებული ეთნოგრაფიული მასალა ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჩვენ გვაქვს ქართველ ებრაელთა წარსულის შესწავლის საქმეში. ებრაელები ჩვენში უძველეს დროიდან ბინადრობენ. ქართლის მატიანის პირველი გვერდი იწყება ებრაელების გადმოსახლებით საქართველოში, სადაც იგინი დამკვიდრდნენ მცხეთაში. საქართველოს ამ ძველ სატახტო ქალაქთან დაკავშირებულია მრავალი საყურადღებო ებრაული თქმულება: ელიოზ მცხეთელზე, ლონგინოზ კარსანელზე, ქრისტეს კვართზე, სიდონიაზე და სხვა. გადმოსახლებული ებრაელები ჩვენში ავრცელებდნენ ისრაელთა რწმენას და არა ერთი წარმართი ქართველი გადასულა მათ სარწმუნოებაზე. ქართველი ისრაელები მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიურ დაწინაურების საქმეში, მეტადრე ვაჭრობაში, რომელსაც მათი საშუალებით საქართველოს სამეფო ეწეოდა მეზობელ ქვეყნებთან. საუკუნეთა მანძილზე ჩვენში მოსახლე ებრაელებმა შეითვისეს ქართული კულტურა, ენა, ზნეჩვეულებანი და საქართველო მათთვის გადაიქცა ნამდვილ სამშობლოდ. ამის შესახებ სრულიად სამართლიანად შენიშნავს ზ. ჭიჭინაძე: „ქართველ ებრაელთ უძველეს დროიდან ქართული ენა შეინახეს თვით აღმოსავლეთის უმორეს ქვეყნებში, ისევე მოხდა ლაზისტანისაკენ, ტრაპიზონშიაც კი შეინახეს ქართველ ებრაელთა ქართული ენა, ტრაპიზონს დღესაც ამ ენით ლაპარაკობენ. თვით ქართველთა შთამომავალთ ქართველ მაჰმადიანებმა კი ვერ შეინახეს ქართული ენა და დაკარგეს საქართველოდამ ებრაელნი საცა კი სახლდებოდნენ ყველგან თან მიჰქონდათ ქართული ენა, ქართული ტანთსაცმელი და თვით წერილების წერაც კი ქართულ ენაზე წარმოებდა“-ო¹:

მართლაც საყურადღებოა, რომ ქართველი ებრაელი, სადაც არ უნდა იყოს იგი, ქართულ ენას არ ივიწყებს და მას სთვლის თავის

¹ ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა ებრაელნი საქართველოში, ტფილისი 1904 წ. გვ., 7, 10.

შობლიურ ენად. საერთო ენასთან ერთად ქართველ ებრაელებს ქართველ ხალხთან აერთიანებს ყოფა-ცხოვრების მოვლენები, რასაც დღემდის ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა. რ. თავდიდიშვილის ნარკვევებში მოთავსებული ეთნოგრაფიული მასალის გაცნობა აშკარად გვიჩვენებს, თუ როგორი საყოფაცხოვრებო ურთიერთობა უნდა არსებულიყო წარსულში ებრაელთა და ქართველთა შორის. ებრაულ ქორწილისა, მშობიარობის, ტირილის და სხვა წესებში არსებითი მსგავსებაა ქართულთან (მახარობელი, თეფშის გატეხა, ფეხის დაჭერა, კალთით წყლის შესმა და სხვა). ყველაფერი ეს აშკარად მოწმობს იმ მჭიდრო და ხანგრძლივ კულტურულ-სოციალურ კავშირს, რომელიც არსებობდა ქართველ ისრაელთა და ქართველ ქრისტიანებს შორის. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ საქართველოში მოსახლე ამ ორ სხვადასხვა რწმენის მიმდევართა შორის ადგილი არ ჰქონია რელიგიურ და ნაციონალურ შუღლსა და მტრობას, რაც საქართველოს მიღმა ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული.

წინათ სარწმუნოებრივი სხვაობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ხალხის ეროვნულ-ნაციონალურ გაერთიანების საქმეში და ხშირად ერთი ეროვნების, მაგრამ სხვადასხვა რწმენის ხალხი ერთმანეთში მტრულად იყვნენ განწყობილნი. ამის მაგალითს წარმოადგენდა ქართველი მაჰმადიანები ¹ (მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა), რომლებმაც დაივიწყეს შობლიური ენა და თავიანთ თავს თურქებად და არა ქართველებად სთვლიდნენ.

დღევანდელ სოციალისტური მშენებლობის ხანაში საზოგადოებრივი შეგნებიდან სარწმუნოება გამორიცხულია და საქართველოში მოსახლე ებრაელებს ქართველებთან აერთიანებს ენა, ისტორიული წარსული და სოციალისტური კულტურა. ამიტომ საჭიროა ჩვენი თანამომხე ქართველ ებრაელების ძველი ყოფა-ცხოვრების გაცნობა-შესწავლის გზით ხელი შევუწყოთ ებრაელთა მშრომელ მოსახლეობას ძველი მამა-პაპური ჩვევების ახალ სოციალისტურ ყოფაზე გარდაქმნაში.

ასეთ ამოცანას ისახავდა საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება, რომელმაც ამ მიზნით დახმარება გაუწია რ. თავდიდიშვილის დაემთავრებია მის მიერ დაწყებული ქუთაისელ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების შესწავლის საქმე. ეს სამუშაო რ. თავდიდიშვილმა, როგორც პირველმა ებრაელმა ქალმა, სამი წლის ენერგიული მუშაობის შემდეგ შესძლო დაემთავრებია და წარმოედგინა დასაბეჭდად.

¹ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მესხეთ-ჯავახეთი, ტფილისი 1938 წ. გვ. 54 – 68.

მაგრამ რ. თავდიდიშვილის მიერ დაწყებული მუშაობა ამ ნარკვევის გამოქვეყნებით არ ამოიწურება. საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოებას განზრახული აქვს ასეთივე ეთნოგრაფიული ხასიათის შესწავლა ჩაატაროს საქართველოს დანარჩენ კუთხეებში მოსახლე ქართველ ებრაელებს შორის, რაც ჩვენ საშუალებას მოგვცემს უფრო ფართოდ გავცნოთ ჩვენში მოსახლე ებრაელთა ძველ ყოფაცხოვრებას.

ს. მაკალათია

27/IV 1940 წ.

წინასიტყვაობა

ქუთაისის ქართველი ებრაელების უმრავლესობა ოქტომბრის დიდ სოციალისტურ რევოლუციამდე ეწეოდა მეწვრილმანეობა – ფეხზე ვაჭრობას; ხელოსნობას იშვიათად მისდევდა. ამასთანავე ხა-ხამ-რაბინთა დიდ გავლენაში მყოფი ეს მოსახლეობა გაჟღენთილი იყო სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნეობით. ეს იწვევდა მათ კარჩა-კეტილობას და კულტურულ-ეკონომიურად ჩამორჩენილი მშრომელი მოსახლეობა იხრჩობოდა სულიერ და ქონებრივ სიღატაკეში. ოქტომ-ბრის რევოლუციამდე არავინ ზრუნავდა ქართველი ებრაელობა გა-მოეყვანა ასეთ დუხჭირ მდგომარეობიდან, შეესწავლა მისი წარსული და აწყო და ამით ხელი შეეწყო მისი გათვითცნობიერებისათვის.

ამ მხრივ საყურადღებოა ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს მიერ შედ-გენილი წიგნი „ქართველთა ებრაელნი საქართველოში“ და შემდეგ კი მიხ. ხ ა ნ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მიერ გაზ. „სახალხო საქმის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული საინტერესო წერილები ქართველ ებრაელთა შესახებ.

მე, როგორც ქართველი ებრაელის ოჯახიდან გამოსულ მშრომელ ქალს, პატარაობიდანვე დიდი სურვილი მქონდა შემესწავლა ქუთა-ისელ ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრება, მაგრამ როგორც არა-სპეციალისტი – ეთნოგრაფი, ვერ ვხედავდი ასეთი მუშაობისათვის ხელი მომეცა; მხოლოდ ცვდილობდი მუდამ მათში მეტრიალა და გავცნობოდი ქუთაისელ ქართველ ისრაელთა ყოფა-ცხოვრების ყო-ველგვარ წვრილმანს და გამეზიარა მათი ჭირვარაში.

დღეს, სოციალისტური მშენებლობის პირობებში საშუალება მომეცა ჩემი ოცნებისათვის ხორცი შემესხა და შევდგომოდი ქუთა-ისის ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მასალე-ბის შეკრებას. ჩემი ეს დიდი სურვილი გულთბილად მიიღო საქარ-თველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოებამ, რომელიც ყოველმხრივ ხელს მიწყობდა და მამხნევებდა მუშაობის პროცესში. ამ საზოგა-დოების დახმარებით შესაძლებლობა მომეცა შეკრებილი მასალა და-მემუშავებინა და ცალკე შრომად გამომეცა.

ქართველი ებრაელები, ანუ ისრაელები საქართველოში უძვე-ლეს დროიდან ცხოვრობენ და მათ ყოველთვის მეგობრული განწყო-

ბილება და ურთიერთობა ჰქონდა მოძმე ქართველ ქრისტიანებთან. ამის უტყუარი მასალა მოცემულია წინამდებარე ნარკვევში, რომელშიაც მკითხველი დაინახავს, თუ რამდენი საყოფაცხოვრებო ჩვევა და წესია მათ შორის საერთო და დამახასიათებელი. მაგალითად, ქუთაისელი ქართველი ებრაელები ხმარობენ იმერულ კილოს; იგი იმერელივით უმღერს ქართულ „იავ-ნანას“ აკვნის ბავშვს, ობლობით გამწარებული იმერელივით სტირის აკაკის „დედინაცვალს“. ქორწილში იმერულად მღერის:

„მოვდივარ მახარობელი,
გულისა გამხარებელი;
დაგვიცალეთ დარბაზი,
ქალი მოგვყავს ლამაზი“.

ფერხულში – „ჟუჟუნასა“ – ლხინში – „ღვინოვ კახურო“, – „მრავალ-ჟამიერ“, „ესე სუფრა გაშლილი“, და სხვ.; გარდაცვლილ ძმას, რომელიც სიცოცხლეში ამაყობდა თავისი დის „ხუთთითიანი“ ნაწნავებით, იგივე დაი დასტირის: „გულ მოგიკლამ, აღარ მოვუვლი შენ საამაყო ნაწნავებს, აღარ შევირჩენ თავზე თმას, – ჩემი ქოჩრის ნაგლეჯები ამ შენ გულზე დეგეყაროს“ – და გაშლილ თმებს იგლეჯს, მიცვალებულს ბლუჯად გულზე აყრის; ცოლი ქმარს დასტირის, – „ღმერთმა კითხოს იმ სოფლად, ვინც მე და შენ გაგვყარა“; ქალი-შვილს მშობლები მოთქვამენ, – „ვაჟი მამულს მოუხდება, ჭირისუფლად ქალისთანა“; დედის ცხედარს ქალიშვილი დასტირის სახის გლეჯითა და კივილით – „წყალს კიდობანი მიქონდა, ნეტავ დედა რააო“, და სხვ.

მიუხედავად ისრაელური სარწმუნოების მრავალგზის აკრძალვისა, რომ „ბატონების“ მობოდიშება და კერპთაყვანისმცემლობა დიდი ცოდვააო, მაინც ებრაელები „ბატონებს“ დიდი მოწიწებით ეპყრობიან და სხვ.

ქუთაისის ერთერთ უბანში „მწვანე ყვავილაში“ მცხოვრები მრავალი ქრისტიანიც ისეა შეჩვეული ებრაულ კუთხურ გამოთქმას, რომ თვითონაც მათ მსგავსად ლაპარაკობს: „სალომეს გოგოები“, „მატრონა მეჩიხტიკოპე“, „მარიამ მეცეცხური“, „ვარდოია-ტასიაი“, „შავი ბარბალი“, „მაიას პელაგიაი“ და სხვ.

მრავალი ზნეჩვეულება ადასტურებს, რომ ორ მოძმე ხალხს შორის მეგობრობა განუწყვეტელივ არსებობდა (თუ არ მივიღებთ მხედველობაში თითო-ოროლა ანტისემიტურ გამოსვლას საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ).

ვიმეორებ, რელიგიურ რწმენას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ქუთაისის ქართველ ებრაულ მოსახლეობაში, ისინი ეწეოდნენ

კუთხურ კარჩაკეტილობას, რის გამო მათ ზევრი რამ შერჩენიათ სპეციფიკური, მეტადრე სასაუბრო ჟარგონის მხრივ: მაგ., „რას ლამი რაას, მიამსევე და დაფანიერდი“, „ითომარე“, „ისოხარე“, „მეხირა“, სახუმარო კუპლეტები:

„ინაინი და ლეხემი,
ბასარი ტოვეთ თოხლეო;
ნაშა ქამე იეშობს
ბაითში დამალეხო“.

ანუ

„ბემით ბარი-ბალი,
შელახლუხა სხალი.
ვაი კორახ-კორახი
წითელ-ყვითელ ტყემალი“ და სხვ.

აღსანიშნავია საუბარში ბოლოხმოვანი ზგერის გაჭიანურება – „მართლა“, „უთქვიავე“, „ისე იცოცხლე“, „შენმა“ და სხვ. ან სიტყვაში წინა მარცვლის განმეორება, – „უთხარი, უუ“, „მოიტანე, მოო“, „წაილე, წაა“; გაკვირვება: „ვუი ამსაა“!.. „ვაი ჩემთვიინ“!.. „ჩავიარე“!.. ანუ მოსწრებული სიტყვების გალექსვა:

„შენ მოიგებ ფუულ!
შენ ჭაამ პუურ!
შენ მეერევი რუუს!“ და სხვ.

ლოცვების გალექსვა ქართული ჟარგონით:

„ანი ადონაი ამართი,
ყველი და პური მამართვი;
თუ არ გჭამო,
ისევე წამართვი“. და სხვ.

გარდა ჩვეულებრივი ქართულ-ხალხური ანდაზებისა, საუბარში ხშირია ხმარება თავისებური ანდაზებისაც: მაგ., „ხახმის ნათქვამი ქენი, მისი ნაქნარი არქნა“; – „ცამეტი წლის ქალიშვილი, ან ქმარ-ქვეშ, ან ქვასქვეშ“; „არენმა შენი არა ქნას, შენ არენისა ქენიო“ და სხვ. აგრეთვე ხშირია როგორც თვითონვე ამბობენ „თხოვა-გათხუე-ბის“ დროს გალექსილი ანდაზები:

„არც ისე ქალისთვინაო,
იმ კარქი მოყვრისთვინაო;
არც ისე მოყვრისთვინაო,
იმ კარქი მოდგმისთვინაო“ და სხვ.

აღსანიშნავია ქუთაისელ ქართველ ებრაელთა შორის გავრცელებული წყევლა და დალოცვა, მაგალითად, წყევლა ლექსად:

„შენ და მე არა
ჭირმა გიარა.
თემო მოქტეხა
ბარკალ გიარა“. და სხვ.

დალოცვები: „დამადლიანდი ხას ერუშლაიმ“, „გიკეთა ორ-
ფეხმა და ოთხფეხმა შინ და გარეთ“, „არ დაგაკლდა კატა მჟღა-
ვანიც და სხვ.

სხვადასხვა ქართულ თამაშობას გარდა აღსანიშნავია დღესას-
წაულებთან დაკავშირებული თამაშობანი, მაგ., ფურიმში – მამაკა-
ცების მიერ ცხენების ჯირითი, „ბურთოობიაი“, ქალების – „სეირის
ჩაბმა“; შაბუყოთში – „უნჩხროობიაი“, „კენჭოობიაი“; სიონის ტი-
რილში – „ორმოობიაი“, „კოჭკაკლოობიაი“; სუქოთში – „ფერხული“,
დაირაზე დაკვრა, ცეკვა-თამაში, სიმღერა; ხანუქაში – „დამალოობიაი“,
„ტალიობიაი“, „ქორიანაი“, „ათალი-ბათალი“, „ატატელა-ბატატე-
ლაი“ და სხვა.

საჭმელებში: საყველე-სახორცე, საფესახო-სახამეხო, საკაიდლეო-
საწარეუკნო და სხვ. ნამცხვრებში: „მურასა“, „ლობუანი“, „ხოვლი“,
„ფალუნდაგი“ და სხვ.

ყველა ზემოხსენებულის გარდა საყურადღებოა ქალის როლი
ოჯახში. თუ იგი ახალგაზრდობაში ყველას მონა-მორჩილია, ყოველ-
გვარ უფლებებს მოკლებული, უფროსებთან ვერ დაილაპარაკებს, ყოველ
მათ შინ შემოსვლაზე ფეხზე უნდა წამოდგეს და სხვ. სამაგიეროდ
იგი, ხანშესული დედა, უკვე მთავარი ფიგურაა „შვილმამავლისთვინ“,
გამოყოფილი შვილი დედას ისევე ემორჩილება (ვაჟი), მის დაუკით-
ხავად, მისი რჩევის გარეშე, „კვერი არ გატყდება“, არც ერთი წვრილ-
მანი საკითხი დედის დაუკითხავად არ გადაიჭრება; სალოცავიდან
გამოსული ვაჟი პირველად დედასთან გაივლის, მიესალმება ხელზე
კოცნით. ყველა შვილისათვის დედამ უნდა ჩამოასხას სანთელი; ავად-
მყოფობის დროს დედა იმედი, ლსინში „თავი და ბაირახტანი“, დე-
დაა მრჩეველი, „მცხარე ჭირისუფალი“, მასვე ეხება „ჭაბუკობა“,
„განატეხი“, „ფეხის მოჭრა“, „გადალოცვა“, „დაბანგვა“, „ფუძის
გადატანა“ და სხვ.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ოქტომბრის დიდ რევოლუ-
ციამდე თითქმის ასევე სრულდებოდა ყველა კუთხური ადათ-ჩვევა;
არც ერთ მანამდე არსებულ ხელისუფლების დროს არავის შეუწუ-
ხებია თავი ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ შეეგროვე-
ბია ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალები.

ოქტომბრის რევოლუციამ, დიდი ს ტ ა ლ ი ნ ი ს ბრძნულმა ნაცი-
ონალურმა პოლიტიკამ ბოლო მოუღო ქართველ ებრაელთა კუთხურ

კარჩაკეტილობას, მისცა მათ ფართო სარბიელზე გამოსვლის საშუალება და ისინიც ჩაებნენ სოციალისტური შრომის ფერხულში; თუ ოქტომბრის დიდ რევოლუციამდე ისინი იჩაგრებოდნენ, დღეს ქართველ ებრაელთა შორის მრავალია პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი; ახალგაზრდა და ხანშესული ენთუზიასტები, რომელნიც საბჭოთა მონაპოვარს ფიზიკად გუშაგობენ ყველა ფრონტზე.

დღეს – არცერთი ბავშვი არაა დარჩენილი სკოლის გარეშე, არცერთი მოზრდილი არაა წერაკითხვის უცოდინარი, არცერთი მშრომელი – სოციალისტური შრომის გარეშე.

მრავალი მეცნიერ-მუშაკი, მრავალი საამაყო სტახანოველი ქალი და ვაჟია მათ შორის საბჭოთა ხელისუფლების ნაამაგარ-ნაჭირნახულები.

ეს მცირე ნაშრომი ნაწილია იმ მრავალი ძვირფასი და საყურადღებო მასალისა, რომელიც მოიპოვება ქართველ ებრაელთა წარსული ყოფაცხოვრების შესახებ და რომელსაც ესაჭიროება მეტი სიღრმით შესწავლა, რომ მკითხველს საშუალება ჰქონდეს გაეცნოს მათ წარსულს, რომ დღევანელი საბჭოთა სინამდვილის წყალობით თვალითნახული ნაყოფი წარსულს შეადაროს, რადგანაც, ვიმეორებ, ბოლო მოეღო ებრაელთა კუთხურ კარჩაკეტილობას და ისინი სხვებთან ერთად ხელიხელ ჩაკიდებული შრომობენ სოციალისტურ ქვეყანაში, სტალინური მზით განათებულნი და გამთბარნი.

ფრიად მნიშვნელოვანი და საჭიროა შესწავლა იმ ქალებისა, რომლებითაც ქუთაისის ქართველი ებრაელობა ამაყოფდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (ჩვენი ნარკვევი ეხება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს); იმ დროს, როდესაც ქუთაისის ქართველი ებრაელის ქალი „კერას“ ვერ შორდებოდა და ისე ბერდებოდა, რომ თავისი უბნის მეტს არაფერს იცნობდა, იქ იყვნენ ებრაელი ქალებიც ცნობილნი თავისი გამბედაობით, გაჭირვების დროს „ლუბენატორს“ წინ რომ დაუდგებოდნენ, გადაეღობებოდნენ, საზოგადო და სახალხო საქმისთვის თავისი ჯამათის მიერ მიგზავნილნი თავისუფლად სთხოვდნენ დავალებულს; მათ შორის დარჩენილია სახელები: სარია-არაბი, თეთენიაი, ხანანაური, მოშიაური, ბინინაური, შიმშილაური და სხვ., რომელნიც თავისი ხალხის რჩეულნი იყვნენ.

საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოება მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის წარსულის შესწავლას და იმედია ახლო მომავალში შეუდგება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოსახლე ქართველ ებრაელთა – საქართველოს ამ უძველეს მკვიდრ მცხოვრებთა – ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შესწავლასაც.

დასასრულ, მადლობას მოვახსენებ საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოებას და მის სწავლულ მდივანს ამხ. სერგი მაკალათიას, რომლის უშუალო ხელმძღვანელობითა და დახმარებით გამოიცა ეს შრომა.

მადლობას მოვახსენებ აგრეთვე დოცენტ მიხეილ ხანანაშვილს, რომელმაც დახმარება გამიწია მასალების შერჩევასა და დამუშავებაში, ექსპედიციაში მონაწილეობის მიღებით.

ამასთანავე დიდ მადლობას ვუცხადებ ყველა იმ პირს, ვინც მასალების მოწოდებით არ დაიშურა თავისი წვლილი და ხელი შემიწყო ამ შრომის დამუშავება-გამოცემაში.

რ. თავდიდიშვილი

1. ადათ-ჩვეულებანი

ნიშნობა, ქორწილი, მშობიარობა და ბავშვის აღზრდა

ისრაელს ქალიშვილის დაბადება არ უხარია, მძიმე ტვირთია მისთვის ქალიშვილი. თუ ვაჟს დიდის ამბით გადაუხდიან „მილას“ (ნათლობას), ქალიშვილის სულაც არ ნათლავენ. მოვა ხახამი, აკურ-რთხევს უბრალოდ და სახელს დაარქმევს.

თუ ქალს შვილის ყოლა დაუგვიანდა საერთოდ, ის შეკვეთავს „ნედერს“, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს, ღმერთს შეპირებას მისცემს, ოღონდ შვილი გამიჩნდეს და, ქალიშვილიც რომ იყოს, მაინც მისი სახელის დარქმევაზე დიდ წვეულებას გავმართავო. ამ შემთხვევაში გადაიხდიან პატარა „სეყუდას“ (პურ-ღვინო); ქალიშვილის დედას ხახამი ასე დალოცავს: „ამის ფეხზე ღმერთმა დაგამადლიანოს „ბენზახარზე“ (ვაჟიშვილზე) და ნაკრული გული გაგიმხიარულოს“. ქალიშვილის დედა მორცხვობს, უხერხულად გრძნობს თავს; თუ ვაჟზე ნალოგინევი ის ხუთ კვირაზე დაიბანს და დაიცვლის, ქალიშვილზე ხშირად სამ თვემდე ვერ დაიბანს, უფროსები ნებას არ აძლევენ; „ქალიშვილი ვაჟი ხომ არ არის, ის სულის ცოდოა, ის არის ზედმეტი – პრატი“-ო.

ქალიშვილის დაბადებას ნაკლებად თუ გაიგებს ვინმე; თუ ვაჟის დაბადებას ყოველ შაბათ დღეს აცხადებენ სალოცავში და ჯამათი ვაჟის მამას ულოცავს და უკურთხევს (მამაც ამაყობს, რომ ვაჟიშვილი დაებადა), ქალიშვილის დაბადებაზე მსგავსიც არაფერია; პირიქით, ძალიან გვიან იგებენ, რომ ესა და ეს ქალი დალოგინდა და გოგო ეყოლაო; ქალიშვილს „ხმანაკლებს“ ეძახიან. თუ ვაჟის დედა თამამად გამოდის ოთახიდან ორ-სამ კვირაზედაც კი და ქმარ-მაზლსა, მამამთილსა და სხვებს არ ერიდება, ქალიშვილის დედა ხშირად ორ-სამ თვემდე გარეთაც არ გაიხედავს, როგორც დამნაშავე. ოჯახს ხშირად მგლოვიარეს სახე მიეცემა, ნამეტურ, თუ იმავე ქალს რამდენიმე ქალიშვილი ჰყავს და კიდევ ქალიშვილი შეეძინა.

თუ ვაჟიშვილის პირველად სალოცავში საკურთხევლად მიყვანა დიდის ზეიმით ხდება და მით „სეფერ თორას“ (ათი მცნება) ვერცხლის კალამი, ბაღდადი, სეფრის კაბა, ლიმნები ან სხვა უნდა შე-

ეწიროს, – ქალიშვილის მიყვანა, სრულიად არ არის სავალდებულო; მით უფრო არ არის სავალდებულო საჩუქარი და შესაწირავი. ვინმე ნატრულმა რომ სალოცავში ქალიშვილი მიიყვანოს და აკურთხევის – ნოს ხახამსა და ჯამათს, მას ხშირად სასაცილოდაც აიღებენ – „ოქროს ყვერიანი“ მოჰყავსო. ქალიშვილს ვიდრე ორმოცი დღე შეუსრულდებოდეს საყურის გაყრის მიზნით ყური უნდა გაუხვრიტონ; ყურს უხვრეტენ გახურებული ნემსით, შიგ შალის ძაფს გაუყრიან და სანამ მოუშუშდებოდეს ზეითუნის ზეთით ულბობენ, რომ ყური არ გაუმიზეზდეს.

ქალიშვილის დაბადებისთანვე მისთვის მზითვეი მზადდება; უწინარეს ყოვლისა ამზადებენ ბუმბულს ლოგინისათვის. სირცხვილად არის მიჩნეული, რომ ქალიშვილს შინაური ნაწიწი ბატის ბუმბულის ლოგინი არ გააყოლონ. უყვარს თუ არა ბატის ხორცი, მაინც იყიდის ქალიშვილის პატრონი ბატს ბუმბულისათვის და ამზადებს ლოგინს. ზაფხულობით ეზოებში იკრიბებიან ერთად მეზობლის ქალები და ერთიმეორეს ეხმარებიან ბუმბულის წეწვაში, ზამთრობით კი სახლებში ცეცხლისპირას, ან ბუხართან შემოუსხდებიან და ისე სწრაფად წეწვენ ბატის ბუმბულს, რომ თვალს ვერ მოასწრებ; ცალკე გერმას (გულს) არჩევენ და ჰყრიან ბალიშის საპირეში, რომელიც წინასწარ არის შეკერილი და დამზადებული, ნეფე-დედოფლის ფეხის დასადგმელად ქეთუბის დროს (ქორწილზე).

ქალიშვილის პატრონი ლოგინის გაწყობის შემდეგ სასიძოსათვის ინახავს (თუ აქვს) ან შეიძენს ერთს ოქროს (ფულს) მაინც, ბაჯადლო ოქროს რგოლის ბეჭედს და საათს თავისი ძეწკვით (ისრაელური წესით სავალდებულოა ვერცხლით ნიშნობა. ვერცხლი ორივე მხარემ უნდა გასცვალოს ნიშნობისას). ქალიშვილის დედა ადრინად შეუდგება სასიძოსათვის თორა-სისიტის შესანახავის ქარგვას ძვირფას ხავერდზე, ან საუკეთესო ფარჩაზე (აგრეთვე სუფრის საფარიც სავალდებულოა ქალიშვილისათვის გასატანებლად). თუ თვითონ არ იცის კარგი ქარგვა (ხშირად კი იციან) საუკეთესო მსითავს შეუკვეთს. რაც კი რამე კარგი საკაბე ან კარგი აბრეშუმის ბაღდადი ჩაუვარდება დედას ხელში, მას ქალიშვილის სამზითვოთ შეინახავს. საშუალო ოჯახს 12 – 13 წლის ქალიშვილისთვის თითქმის მზად აქვს მზითვის მეტი ნაწილი.

კარგი მეგობარი ოჯახები წინათ ბავშვებს აკვანშივე დანიშნავდნენ, დღეს ეს წესი გადავარდნილია. დანიშნულები ერთმანეთს არ უნდა დაენახვონ „ქეთუბამდე“ (ქორწინებამდე). ქალი რომ საქრმოს დაინახავს, გაიქცევა, დაიმალება. როდესაც სრულწლოვანს (ისრაელის წესის მიხედვით ქალის საქორწინო ასაკად ითვლება ცამეტი

წელი და ვაჟისა კი თვრამეტი) ნიშნავენ, რაბინი პირობას ჩამოართმევს, რომ ერიდონ ერთმანეთის შეხვედრას, რათა არ დავალიანდნენ; ისინი რომ ერთმანეთს დაელაპარაკონ და მარტო დარჩნენ, მათი ცოდვით ამ ქვეყნად მაღლიანები და წმინდანები დავალიანდებიან და უდროვოდ დაიხოცებიანო. მორწმუნენიც ასრულებენ რაბინის სიტყვას. უთვალთვალბენ, რომ დანიშნულები არსად არ შეხვდნენ ერთმანეთს: ცოდვა არ გადიდდესო.

ნიშნობა ა. ამ დროს სასიძო ჩამოუტანს დანიშნულს „ნიმანს“ ოქრო-ფულს, ნივთს, წყვილ (ან მეტს) აბრეშუმის ბაღდადს, თავშაქარს, ჩამოიყვანს სასიმამროსას ყველა თავის „მეტერ-მოყვარეს“ და რაბინს რამდენიმე ხახამით, რომელიც შესარულებს ნიშნობის წესს; რაბინი გასამრჯელოს მიიღებს ორივე მხრიდან; რადგან ნიშნობა მეტწილად ღამით ხდება, ვახშმადაც დარჩება იქვე, ხოლო საწამ ვახშმობას შეუდგებოდნენ, რაბინის ცოლს მოიწვევენ; თუ უკანასკნელი მოვიდა ნიშნობაზე – ეს დიდი პატივისცემაა, თუ არა და გააწყობენ ყოველნაირ საჭმელს: ნამცხვრებს, ღვინოს, ხილს და სხვა, და რაბინის ოჯახში გაგზავნიან საუკეთესოდ გაწყობილ სინს ძღვენით.

როცა სასიძო თავისი ნათესავებით სიმამრისას მივა, პირველად სასიძოს დედ-მამა შევა შინ მოყვრისას; ისინი მარჯვენა ფეხს შესდგამენ და შაქრით ხელში იძახიან: „სიმანტობ, მაზალ-ტობ,“ (სიმნიარულით – დოვლათით). პირველად სამამამთილო და სადედამთილო გადააფარებენ თავზე ბაღდადს სარძლოს, თითებზე ძვირფას ბეჭდებს, ხოლო მაჯებზე სამაჯურებს წამოაცმევენ და ხელშიაც თავშაქარს მისცემენ; ამით ეუბნებიან; შაქარივით ტკბილი იქნეს შენი ცხოვრებაო. მათ სხვებიც მიჰყვებიან, სარძლოს და სასიძოს ხელში ნატებს შაქარს უდებენ: სარძლოს – მოსული სტუმრები, სასიძოს კი – დამხდურები; სარძლო-სასიძომ შაქარი არავის არ უნდა დაუბრუნოს; მოყვრები, ყველა სტუმარი და შინაური ერთი მეორეს უცვლიან ხელში შაქარს, ულოცავენ ერთმანეთს, ეხვევიან, კოცნიან, მაგრამ ფრთხილად არიან, რომ სარძლო-სასიძოს მიერ მიღებული შაქარი არ გაიბნეს, არ დაიკარგოს, ან არავინ მოიპაროს, ან არ უკუდიანოს და უეშმაკოს ვინმემ. მოთავდება თუ არა მილოცვა და შაქრის გაცვლა, მას ცალ-ცალკე ინახავენ იმ მიზნით, რომ თითოეულმა მარტომ დალიოს ჩაი მიღებული შაქრით, სასიძომ – თავის სახლში და სარძლომაც – თავისაში.

თუ ნიშნობა ღვინის კურთხევით და ბეჭდის გაცვლით შესრულდა, დანიშნულების გათვსება აუცილებლად რაბინისა და ხახმების თანდასწრებით უნდა მოხდეს, ხოლო თუ ნიშნობა უბრალო ბეს გაცვლა-გამოცვლით მოხდა (ე. ი. უკიდუშოთ), ამ შემთხვევაში მათი დაშო

რება-გათვისება ე. ი. დანიშნულების გაყრა, მონდება ადვილად და უბრალოთაც: ერთიმეორეს დაუბრუნებენ მოტანილ ბეს და საქმე ამით გათავდება.

ბეს გასაცვლელად მოსული მოყვრები, ისევე როგორც ნიშნობის დროს, მოიტანენ ყველაფერს და სარძლოს მშობლებიც სასიძოს აჩუქებენ ოქროს ან ვერცხლის ფულსა და ბეჭედს.

სარძლოს ოჯახში გაიმართება ნადიმი, რომელიც ხშირად რამდენიმე დღე-ღამე გასტანს ხოლმე.

ნიშნობის მეორე დღეს სარძლო სადედამთილოსაგან მიიღებს „ს ა უ ჭ მ ე ლ ო“-ს; ასეთივე სარძლოს ოჯახიდან იგზავნება სასიძოს ოჯახში; „ს ა უ ჭ მ ე ლ ო შ ი“ შედის: ერთი დიდი „ლეკები“ (ბისკვიტი), ერთი „ფუანი“, ე. ი. შინდამზადებული ტკბილი ნამცხვარი და კარგა ბლომად შაქარი, რომელსაც მიმღები წვრილ ნაჭრებად დასჭრის და თითო ნაჭერ ლეკებს, თითო ნატებს შაქარსა და თითო ნაჭერ ფუან ნამცხვარს ყველა კეთილსა და მეზობელს დაურიგებს; ყველა დალოცავს ახლად დანიშნულებს და უსურვებს გაბედნიერებას; საუჭმელოს სარძლო არ სჭამს იმ რწმენით, რომ თუ მან საუჭმელოზე გაგზავნილი რაიმე შესჭამა, თავის ქმრის ოჯახში ჯამსა და ჭურჭელს დაამტვრევს; ამრიგად, სარძლო არ გასინჯავს სადედამთილოს გამოგზავნილ საუჭმელოს და არც სასიძოს აჭმევს სასიდედროს გამოგზავნილ ისეთივე საუჭმელოს იმ რწმენით, რომ ხელმარცხიანი არ იქნეს.

საუჭმელოს შემდეგ გაიმართება საუზმეს გაგზავნა-გამოგზავნა. ვინც მოასწრებს და პირველი გაგზავნის საუზმეს, თავს ისახელებს. საუზმეზე გაგზავნიან ან სულ თეთრეულს (რძიდან გაკეთებულს), ან მარტო ხორცეულს და თევზეულს. თ ე თ რ ე უ ლ ი ს სახით დილით იგზავნება: – ჭყინტი სულგუნი და ყველი, ნაღები, დაფურცლული ყველის ხაჭაპური და რძიანი ბრინჯის ფლავი, „ფ უ ა ნ ი“ მასა და „რ ძ ი ა ნ ი“ (ნაზუქი), ერბოიანი „ა ფ ი ო ნ ი“ (გამოზელილი) და სხვადასხვა სახის ტკბილი ნამცხვარი; ყველაფერი იგზავნება იმდენი რაოდენობით, რომ მთელი ოჯახის შემადგენლობას, რაგინდ დიდი ჯალაბი უნდა იყოს საუზმედ ეყოს (თავისივე შინაური ღვინით და სასმელით, შინაური ჭაჭის ან ღვინის – თხლის არაყით გაკეთებული). თუ საუზმე ხორცეულია, მას საღამოთი გაგზავნიან იმ ვარაუდით, რომ ყველა დაესწროს ვახშამს; ხორცეულში უნდა იქნეს აუცილებლად უსაყვარლესი საჭმელი: თევზი სატენით ნიგვზის ზეთში, შემწვარი ქათამი სატენით ზედ კართოფილმოყრილი რგვალად; ასეთივე შემწვარი ინდაური; მოხარშული ერთი ან რამდენიმე ცალი ძროხის ენა სანელებელ გადაყრილი; მრგვალად მოხარშული დაფცქვნილი კართოფილი ზედ ნიგვზის ზეთითა და სანელებლით; ბრინჯი მოხარშუ-



სურ. 1. ქუთაისელი ებრაელი (ტიბი)

ლი ასევე ნიგვზის ზეთით „ანელებული“, მთელი ბატის, ან ორი კვატის (იხვის) „ყალია“ (ხახვში და ბროწეულში ჩამწვარი), შინაური მჭავეული; შინაური სამი ცალი ფუანი პური, სამი ცალი გამო-ზელილი მურასა (დოქის მსგავსი პური); სხვადასხვა საუკეთესო ხილელი, ღვინო და სასმელები. საუზმის მიმტან ზავშევებს ასაჩუქრებენ ფულით, ჭურჭელს დაუცლიან და იქვე გაურეცხავენ, ხოლო ღვინისა და სასმელის ჭურჭლებში ჩატოვებენ ცოტას, ცარიელს არ დაუბრუნებენ, რომ მათი ოჯახის დოვლათი არ გამოილიოს.

საუზმეს სულ მოკლე ხანში მოჰყვება „ნ ი შ ნ ი ს ძ ღ ე ე ნ ი“. ნიშნის ძღვენად იგზავნება რაც კი საუკეთესო სასმელ-საჭმელია (გარდა თეთრეულისა) უამრავი ყოველნაირი ტკბილეულით და ნამცხვარით; უნდა გაეგზავნოს აგრეთვე სარძლოს და სასიძოს ერთი ხელი ძვირფასი და საუკეთესო ტანისამოსი, ნივთები (შეძლებისდაგვარად) – ყველაფერი ახალი, რომ დანიშნულები თავიდან ფეხამდე შეიმოსონ; აგრეთვე ქალ-ვაჟის შშობლებს, მათ ძმებს, სიძეებს, იმ ოჯახის ყველა ნაშიერ ბავშვს შინ და გარეთ, ყველას თითო თავი რაიმე საჩუქარი; ქალს უნდა გაეგზავნოს სარკე, სავარცხელი, აბრეშუმის ბაღდადი, სხვადასხვა სურნელება (სუნამო, საპონი), მაკრატელი და საფულე ფულით სავსე. ვაჟს უნდა გაეგზავნოს დამატებით სათუთუნე, ოქრო-ვერცხლი, თასი, საფულე – მასაც ფულით სავსე და სხვა.

ნიშნის ძღვენის მიმტანი უკვე ყველა ვაჟკაცია, ოჯახისა და განაყოფისაგან მიწვეულნი; ძღვენს წაიღებენ დაღამების შემდეგ, თავზე დაიდგამენ გახვეულ სინებს და სიმღერითა და მხიარულად მიაქვთ; ნიშნის ძღვენს თან ახლავს სუფთად გახვეული წმინდა ნაცარი და ნახშირი.

ერთი მიმტანთაგანი ოჯახში მისვლისას დანარჩენებს კარებს გაუღებს. მოყვრის შეგებებისთანავე სინს დადგამს, გახსნის, ამოიღებს ნაცარსა და ნახშირს; ორივე მოყვარე ნაცარსა და ნახშირს ხელით შეეხება და ერთმანეთს ეტყვიან: „სანამდე ცეცხლში და კერიაში ნაცარი და ნახშირი არ გამოილევა, მანამდე არც ჩვენ მოყვრობაში გამოილიოს ავკარგიო“.

პირველი მიმტანი დახსნის ყველა შეხვეულს; მოწვეული კეთილები და მეზობლები ნიშნის ძღვენს ათვალთქვებიან. მიმტანი ასახელებს თუ ვისთვის რა არის გამოგზავნილი და ჩააბარებს საიმედოდ ოჯახის უფროსს, რომ არაფერი დაიკარგოს; ძღვენში ყველანაირი ნამცხვარია (ცხრა ცალი) იმ ანგარიშით, რომ ყველას გაუნაწილონ და ვინც ვერ დაესწრო რაიმე საპატიო მიზეზით, შინ გაუგზავნონ.

მოსულებს გაუწყობენ ძვირფას სუფრას, ხშირად დილამდეც კი მოილხენენ ხოლმე, მეზობლებსაც მოიწვევენ და დროს გაატარებენ.

ხშირად დანიშნულები წლობით არიან ხოლმე, მაგრამ ერთმანეთს არასოდეს არც დაელაპარაკებიან და არც დაენახვებიან; დანიშნულობაში ხშირია ძღვენები, საუზმეები, მოსაკითხები ხორცეულით და თეთრეულითაც (ცალ-ცალკე). ვაჟის მშობლებს ხშირად „ნედერი“ (შეკვეთა) აქვთ შეკვეთილი, ასე რომ დაუქორწილებელ სარძლოს თავის სახლში ან სულ არ მიიწვევენ, ან თუ მიიწვევენ, ღამეს არ გაათევიებენ. დანიშნული ქალი არც დედამთილ-მამამთილს, არც მასზე უფროს მაზლებსა და მულებს არ დაელაპარაკება; ხშირად დედამთილი და მამამთილიც ისე გარდაიცვლება, რომ ისინი რძლის ხმას ვერ გაიგონებენ.

ვაჟის სახლშიაც რამდენიმეჯერ ხდება მოყვრების მიწვევა. პირველი მიწვევა სულ სხვა სახეს ატარებს; თუ ქალს თავისი მამის ოჯახში მიუტანეს საჩუქრები, ბაღდადები, ოქრო-ვერცხლი და სხვა, ვაჟის ბინაზე მიიტანენ მხოლოდ შაქარს, რომელსაც ისევე გაცივლი-გამოცვლიან, როგორც ქალის ბინაზე, და თუ ვაჟის ოჯახს ნედერი არა აქვს სარძლოს ქორწილამდე შინ დატოვებაზე, გადაწვევის შემდეგ ქალს დაიტოვებენ რამდენიმე ხნით. ქალს მეორე დღესვე დილით ზღურბლში დაუდებენ რამეს გამოსაცდელად, ან საკეცურს, ან ცოცხს ან სხვ. თუ ქალმა წინ დაიხედა, არ გადააბიჯა ან არ წაკრა ფეხი და გამოსაცდელად დაგდებული საგანი თავის ადგილზე მიიტანა, ეს იმას ნიშნავს, რომ კარგი ქალი და რძალი იქნება. დარწმუნებულნი, რომ ოჯახში კარგი რძალი შემოდის, მოჰყვებიან სიცილსა და მხიარულებენ. იმ შემთხვევაში კი, თუ ქალს არ მოაგონდა, ან შერცხვა, ან მოერიდა, და არ აიღო ზღურბლზე დაგდებული საგანი, შეიქნება ერთი ჩურჩული და ბუტბუტი: „ვაი, ვაი, რა ქალი და რძალი იქნება, წინ არც კი იყურებაო“; სტუმრად გადაწვეულმა სარძლომ უნდა იცოდეს სახლის ძირ-კუთხიანად დაგვა, ცოცხის ხელში სწორად ალება; სახლი ისე უნდა გამოხვეტოს, რომ არსად მტვერის ნატამალი არ დარჩეს; თუ სარძლო სახლს ძირ-კუთხიანად გამოხვეტს, სარეცხს კარგად გარეცხავს, ცოტა საპონს და წყალს დახარჯავს, ძველს კარგად დააკერებს, ჯამ-ჭურჭელს კარგად მოუვლის, მუშაობის დროს არ ამოისვრება, კაბის ქოზებსა და კალთებს არ ამოისვრის, ან რეცხვის დროს არ დაისევლებს ტანსაცმელს ნარეცხი წყლით, ის კარგ რძლად ჩაითვლება. მაგრამ ხდება ისედაც, რომ სარძლო სათუთად არის აღზრდილი და ჩამოთვლილ სამუშაოებს ვერ ასრულებს. მაშინ სადედამთილო, ან უფროსი მაზლის ცოლი (შილი) შეეცდებიან მიყვანამდე (დაქორწინებამდე) შეასწავლონ ყველაფერი, გარეთ კი ჭორი არ გამოუტანონ, რათა არავინ დას

ცინოს. როცა სარძლო საქმროს სახლშია, მას დედისაგან ხშირ-ხშირად მოუდის ძღვენი, სხვადასხვა საუკეთესო საქმელი, ნამცხვარი და ტკბილეული, ხშირად ესტუმრებიან კიდეც გადაწვეულ ქალიშვილს საჩუქრებით. რამდენიმე ხნის შემდეგ უკან გაიწვევენ, დროა თავის მშობლების სახლში დაბრუნდესო. სარძლოს გაისტუმრებენ საჩუქრებით. მეორე დღით კი გაუგზავნიან „გადაწოვის“ ძღვენს ძვირფასი საჩუქრებითა და საუკეთესო ნამცხვრებით, ტკბილეულითა და საქმელით.

ქალის ოჯახში უკვე ემზადებიან ქორწილისათვის. არაფერს ნახმარს არ გაატანებენ მზითვში ქალიშვილს; იშვიათ შემთხვევაში კარგი და ძვირფასი ნახმარი ტანისამოსი თუ გაატანეს მას მზითვში – არ უანგარიშებენ; რაც მთავარია, ლოგინი შინაური ღინღლისაგან უნდა იქნეს გაკეთებული; ქალის დედამ ან უერთგულესმა ახლობელმა ახალ ნარმაში უნდა ჩაყაროს ისეთი ხარისხის ბუმბული, რომ გარეთ არ გამოვიდეს. ლოგინის გაწყობის დროს მოიწვევენ შინაურ და ახლობელ ერთგულ ქალებს და გამართავენ სუფრას ღვინით, ფუანი პურით, ხაჭაპურით და სხვა. დაიწყებენ ლოცვა-კურთხევას, ქალს შუაში მოაქცევენ, რომ ყველამ შეხედოს. ჯერ დედა აიღებს ღვინოს და მიმართავს ქალიშვილს: „შვილო, როგორც ღვინოა ძლიერი ისე იძლიერე, როგორც პურ-ღვინის სახელი არ მოიშლება, არც შენი სახელი მოიშალოს“. შემდეგ ფუან პურს მისცემს ქალიშვილს ხელში, ერთად გადატეხავენ და განაგრძობს: „როგორც ეს პურია ფუანი, ისე გაფუვდი, გამრავლდი; მოგვიკიდია ხელი შენი ლოგინის გასაწყობათ; იბედნიერე შვილო ამ ლოგინში, იყავი სახელუანი ქალი თემისა და ქვეყნისთვინ, გიყვარდეს ღმერთი ისრაელისა ერთი, უკვდავი და უცვალებელი, არ გაიყარა შენი და შენი ქმარის ლოგინი, არც ამ სოფელ და არც იმ სოფელ ვიდრე მაშიახის მობძანებამდი (მეორეთ მოსვლამდე), შეაბერდით ერთმანეთ თეთრი ნიფხავ-პერანგით, თეთრათ დამიბერდით, არ ისუნტლა თქვენზე არაფერმა ავმა სულმა; იყავი ბედნიერი, როგორც დედები ჩვენი სარა, რიპკა, რახელი და ლია“.

ფუანი პურის ნატეხს პირველად ქალიშვილი შეჭამს, ღვინოსაც პირველად იგი მოსვამს, მერე ყველა დამსწრე შემოუსხდება სუფრას და ისაუბრებენ, „ერთგული“ კი ჰყრის ბუმბულს ახლად შეკერილ პირებში; ისე უნდა ჩაიყაროს ბუმბული, რომ ვაგლახ არავინ გაიგოს, მტერმა არაფერი იკუდიანოს იმ დროს, ან არაფერი ჩაატანოს ბუმბულში შელოცვილი რამ თორემ, თუ ლოგინების გაწყობა მტერმა გაიგო და ჩამარხა მიწაში რამე საგანი წყევლის ჩა

თქმით, ქალიშვილს ეს წყევლა აუსრულდება. ამის გამო ლოგინის გაწყობა ისე უნდა მოხდეს, რომ ზოგჯერ იმ შინაურთაგანაც (რძლე-ბიც) ვერავინ გაიგოს, რომელიც საეჭვოდ მიაჩნიათ. ლოგინის პირებიც შეკერილია, მაგრამ ქორწილის დღემდე არ გადააკრავენ, რადგანაც მზუზე შირად უნდა გამოიტანონ. ლოგინია: ღინდლის ერთნაირი ორი ბუმბული საწოლის ზომის, ორი ლეიბი მატყლის, ორი საბანი შალის, ორი საბანი სატინის ან ჩითისა, ორი საზამთრო საბანი შალის, ორიც საზაფხულო; თოთხმეტი ან თექვსმეტი ბალიში დიდი და პატარა, ერთიც ცალკე სადედამთილო; ორი მუთაქა თავისი ბალიშებით, თითო ბალიშისათვის ორ-ორი თეთრი პირი, ერთი ხელი ცალკე ლოგინი; ქათმის ბუმბულისაგან გაკეთებული საგნები: ბუმბული, ცალკე საბანი თავისი საპირითა და სარჩულით, რომელიც ქალს მზითევში მიჰყვება, და რომელიც დანიშნულია „ნ ი დ ა ო ბ ი ს“ (თვიურის) დროსთვის. ქალს მზითევში გაატანებენ: სარეცხისთვის – სპილენძის დიდ ტაშტსა და ისეთივე დიდ თუნგს, სამურაბე თითბრის ტაშტს და პატარა წყლის მოსატან თუნგულას სპილენძისას, უბრალო ტაშტსა და თუნგს ხელპირის დასაბანად, ტანისამოსის კარადას და საცვლებისათვის კომოდს, წყვილ რკინის საწოლს, საცვლებს, ტანისამოსს და ფეხსაცმელებს, ყველაფერს ახალსა და უხმარს; ქალიშვილს მზითევში უნდა გაჰყვეს აუცილებლად კარგი ხარისხის ფარჩის სუფრის სახურავი და სხვადასხვა წვრილმანი.

დედა ამაყობს მით, თუ ქალიშვილს „ტ ა ნ ი ს მ ო რ ე ც ხ ა მ დ ე“ (თვიურის მოსვლამდე) პატრონს ჩააბარებს, ე. ი. გაათხოვებს; ტანთმორეცხე ქალიშვილი მძიმე შესანახია, ძნელია მისი სადმე გაშვება, ან ვინმესთვის ნდობა, რომ არავინ გააფუჭოს. სპეციალურ ანდაზას მიმართავს დედა, თუ რამდენად ძნელია და მძიმე შინ ტანთმორეცხე ქალიშვილის ყოლა: „ცამეტი წლის ქალიშვილი ან ქმარ ქვეშ, ან ქვას ქვეშ“. ქალიშვილსაც უკვე გულში აქვს, რომ ის გასათხოვარია, ის „სულის ცოდოა“, იმას ცდილობს, რომ სახელი არ გაუტყდეს, თორემ ველარ გათხოვდება და ბედ-მაზალი აღარ ეღირსება. ქალიშვილი ისე იზრდება ოჯახში თავდაჭერილად, რომ მამასთან და ძმებთანაც კი მორიდებულია, ცდილობს არ დაანახვოს თავის სხეულის არც ერთი ნაწილი, ფეხშიშველი გავლა დიდი უზრდელობა და უწესობაა; დედა პატაროებიდანვე არიგებს ქალიშვილს არავის დაენახვოს არც ფეხშიშველი და არც თმებდაუვარცხნელი, დედა არიგებს ქალიშვილს, რომ მისი ნიდაობა (თვიური) საკუთარი ძმის ცოლმა (რძალმა) არ გაიგოს, არავისთან წამოცდეს თავისახლს, რომ მით არ დაგვიანდეს მისი გათხოვება. დედამთილი ამაყობს:

„ისეთი სუფთა და აზაპი რძალი მოვიყვანე, რომ ჩემ ხელში მოირეცხა ტანი, ისე ის არ დამიქვრივდა“-ო.

ოჯახში თუ რამდენიმე დაა, მშობლები მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან; საუკეთესოს პირველად უფროს დას აცმევენ და ახურავენ, სხვებს არც კი გამოაჩენენ, უფროსი არ დაჩრდილოსო. იმდენად აქვს ქალიშვილს ჩამოყდარი გონებაში თავისი არსებობის სიმძიმე, რომ ერთმა 5 – 6 წლის გოგომ, როდესაც დედამისს ქალიშვილი დაებადა, მოთქმით იტირა; როცა შეეკითხენ, რადა სტირიო, მან გულამოსკვნით უპასუხა: „ვაი ჩემთვის, მზითევი შუაზე გემეყო“-ო.

ო ს ტ ა ტ ი. მეცხრამეტე საუკუნის დასასრულშიაც-კი ქალიშვილებს ხელსაქმისა და „ხელმოწერის“ სასწავლებლად ახლო-მახლო ოსტატებს აბარებდნენ. ოსტატი ყველაფერს ასწავლიდა ქალიშვილს: წერაკითხვას ასწავლიდა, წესიერებისაკენ მოუწოდებდა; ოსტატი ქალიშვილის ზნეობისთვისაც კი აგებდა პასუხს; სამაგიეროდ, ოსტატი ყოველთვეში ექვს შაურს ან ორ აბაზს იღებდა ვერც ლის ფულით თვითთული ქალიშვილისგან, მისი დაქორწინებისას-კი საქმროდან მიიღებდა ეგრედწოდებულ „ს ა ო ს ტ ა ტ ო ს“ ოქროს თუმნიანს და ერთ ცალ ტანსაცმელს ახალსა და ძვირფასს. ოსტატი მზითევის დამზადებაში ეხმარება ქალის მშობლებს, ამაყობს, რომ მისი ნაოსტატარი პატიოსანია, კარგია და წესიერი; ქალის გადაწვევ-გადმოწვევაში პირველი ადგილთაგანი მას უკავია. აღსანიშნავია, რომ ოსტატი ქალი უმეტეს შემთხვევაში არის ხოლმე არა ისრაელი, არამედ ქრისტიანი, მაგრამ გაზრდილის მშობლების ოჯახსა და გათხოვების შემდეგ ქმრის ოჯახშიც დიდის ნდობითა და პატივისცემით აღჭურვილია.

ოსტატს ისე აქვს შესწავლილი ისრაელის ოჯახი, რომ კარგად იცის მისი წესები: ღვინოს მოერიდება და არ მოჰკიდებს ხელს; შაბათ დღეს თვითონვე დაუნთებს ცეცხლს; იცის ისრაელთა ტრადიციები და საყველე-სახორცეს გარჩევა, ის კარგად ერკვევა, თუ რომელი ჭურჭელია საყველე და რომელი სახორცე, ერთის სიტყვით შინაურია და ენდობიან. სამაგიეროდ თვითონაც სარგებლობს პატივისცემით: ოსტატისათვის გადადებულია საზამთრო-საზაფხულო ფეხსაცმელი, თავსაფარი და თავშალი, ცალკე ძროხის მოსაწველი, (შაბათ-უქმე დღეს ოსტატი ძროხასაც მოუწველის უთქმელად), კაბა, ჩულქი და სხვა.

იშვიათია, რომ ბავშვი ძიძამ გაზარდოს; თუ დედას რმე არა აქვს, შინ მიუდის დაქირავებული მაწოვებელი ქალი. შვილი აუცილებლად თვითონ უნდა გაზარდოს ქალმა. ქალი-ძიძა, რომელიც ძუძუს აწოვებს ბავშვს, ისეთივე ნდობით და უპირატესობით სარგებლობს.

როგორც ოსტატი; იშვიათი გამონაკლისია, რომ ძიძა ისრაელი არ იყოს.

თუ ქალიშვილს ჯერ კიდევ „ტანი არ მოურეცხია“ ე. ი. თვიური არ მოსვლია, ის სარგებლობს შემდეგი უპირატესობით: თუ რომ ჩვეულებრივი ისრაელური წესით, ვთქვათ, ხორცი „დასაქაშრავად“ მარილში სრული ერთი საათი უნდა იქნეს, ასეთი ქალიშვილის მიერ დამარილებული ე. ი. დაქაშრული ხორცი საკმარისია გააჩერონ ნახევარი საათი, რის შემდეგაც შეიძლება მისი მოხარშვა-გაკეთება. როდესაც ქალიშვილს პირველად მოუვა თვიური, მის თვიურისაგან გასვრილ ნაჭერს ინახავენ ავზნიანისა და ბნედიანისათვის. ვინმეს რომ ავი ზნე მოუვლის, ამ ნაჭერს პატარას მოსჭრიან, გაჰქნიან წყალში და ავადმყოფს ასმევენ, როგორც უებარ წამალს ავი ზნისას.

ქალიშვილისათვის სავალდებულოა გრძელი ნაწნავები, სუფთად მოვლილი, მუდამ დავარცხნილი. მშობლები, მეტადრე დედა, ამაყობს მით, რომ მის ქალიშვილს არც წარბი აქვს გამოქნილი, არც ფერუმარილი წაცხებული და არც თმები პატარა.

დედა სტუმრად მოსულ ქალებს სათითაოდ აჩვენებს და დაათვალიერებინებს რაც კი აქვს მომზადებული ქალიშვილისთვის სამზოთოდ – ლოგინი და სხვა. დედა ამაყობს, თუ მისი ქალიშვილი ხელსაქმის მცოდნეა: ჩემ ქალიშვილს ოქროს ხელი აზია, ოჯახს დაამდგენსო.

საუკეთესო ქალიშვილად უბანში ითვლება ის, ვინც საკუთარი მზითვეი თავისივე ხელით შეიკერა (გვირიშტით), ისე რომ მანქანით ნაკერში არაფრით გამოირჩევა; ხელსაქმე ძალიან გავრცელებულია ქუთაისის ისრაელთა შორის ოსტატის წყალობით, მისივე მეცადინეობით.

როდესაც ქორწინების თვე დადგება, ქალიშვილს ყველა ნათესავი პატიჟობს, ლოცავს, აკურთხევს მას, ტოლ-ამხანაგსაც დაუპატიჟებს და ასაჩუქრებს იმით, რაც უფრო სჭირია და არა აქვს: ხშირად ხელმოკლე ოჯახს მეზობლები და ახლო ნათესავები დაუტრიალდებიან, ქორწინებამდე ორი კვირით ადრე ქალის მშობლები გადაიხდიან „ტანისამოსის დაჭრა“-ს.

კაზისჭრა

დედოფლისათვის წინასწარ მომზადებულია და არჩეული ორი საკაბე, ერთი თეთრი აბრეშუმის საქეთუბე (საქორწილო), მეორეც – „შვიდში ჩასაცმევი“. კაზის ჭრაზე ქალიშვილის სახლში სადედამთილოს მიწვეული ჰყავს თავისი მტერ-მოყვარე, ყველა ქალი; ყველას მიაქვს თან საჩუქრად ოქრო და ვერცხლი შეძლებისგვარად, სადე-

დამთილოს კი ყველაზე ძვირფასი და გამოსაჩენი (ხშირად ოქროს საათი თავისივე ძეწკვით); მას რიგზე მიჰყვებიან მაზლის ცოლები (შილები), მულები და განაყოფები. ქალიშვილის სახლში იმ დროს მოვლენ, რომ მზის ჩასვლამდე კაბას მაკრატელი დაედვას, საკაბე სადედამთილოს მიაქვს მესვეული ფუანი პურით და შაქრით. ქალი-შვილის დედასაც თავის მხრივ მოწვეული ჰყავს თავისი მტერ-მოყვარე, კეთილ-საყოლი და ახლობლები; ყველა ეხვევა მოსულ სტუმრებს. კაბის ჭრისათვის აუცილებელია სამშაბათი დღე (მთელი და ბედნიერი დღე).

კაბისჭრას ესწრება ოსტატი და თუ ჰყავს ძიძაც, რომელნიც თვალს ადევნებენ მტერმა არაფერი იერმაკოს, არ იკუდიანოს კაბის ჭრის დროს, ან არავინ იჯდეს იმ დროს, როდესაც სადედოფლოს კაბას აზომებენ. სადედამთილო აიღებს ფუან პურსა და შაქარს ხელში, მისცემს სადედოფლოს და ეტყვის: „ასე მიფუვე და ასე დამიტკბი, ღმერთო შენ სახელზე, ღმერთო აბედნიერე ყველა დედის ნაშობ-ნაზარდი და ჩემიც მათში, ღმერთო ინებე ფეხბედნიერი ჩემი ოჯახისთვისაც და თავისი დედ-მამისთვისაც. გამჩენო ღმერთო, შენ შემიხვთერე, კაი საათი, დღე ბედნიერი და მთვარე მშვენიერი, ღმერთო მოიწყინე გალუთი (ტანჯვა) ისრეელიშვილის და მოაბძანე მაშიახ ბენ-დავითი; გამჩენო ღმერთო, შენ გამიადვილე „ხუფა მურადიც“ (ქორწინება), ისე ნუ მამკლამ დედის ღმერთო, მე ამან მიბედნიერა, ვისაც მოსწრებული ქყავსე გაგიბედნიერდავე, ვისაც გენატრებავე მოგასწროსე ღმერთმა ამენ, იეირასონ (ასრულდეს)“.

სადედამთილო საკაბეს სიგრძეზე ააზომებს სარძლოს, მიუმატებს აზომილზე და ეტყვის: „გემატა და არ გაკლდა“. ოდნავ მაკრატელით ნაწიბურს გაუჭრის, ისევ შეახვევს და გადასცემს შესანახად სარძლოს.

სუფრა გაწყობილია საუკეთესო ტკბილი ნამცხვრებითა და რძიანი ნაშადით (ხორცეულის ნატამალი არაა), საუკეთესო დაფურცლული ნაჭაპურით, ღვინითა და სასმელებით. კაბის ჭრას მამაკაცები არ ესწრებიან.

სადედამთილოს წინასწარ აქვს სარძლოსთვის გამოგზავნილი რამოდენიმე სინით ძღვენი ძვირფასი და საუკეთესო ნამცხვრებით, რომელსაც სანამ სადედამთილო არ მოითხოვს, სარძლოს ოჯახი არც კი განსნის და არც ხელს ახლებს: ისევე აწყვია, როგორც მიიღეს. სუფრის შუაში სადედამთილო იკავებს ალაგს, მას შემოუსხდებიან მისი მოყვანილი ქალები რიგზე, მის შემდეგ კი სხვა სტუმრები დაიკავებენ ალაგს; მასპინძლები სუფრაზე არ სხდებიან. სუფრაზე დალაგებულია ყველაფერი გარდა ხაჭაპურისა და ყველკვერცხისა; ხაჭა-

პურს ცხელ-ცხელს აწოდებენ, მას ჩაი მოჰყეება, შეუდგებიან ჭამა-სმას და ლოცვა-კურთხევას, შუა ჭამაში რომ შევლენ, სადედამთილო სარძლოს მოითხოვს და გვერდში მოისვამს, ჭიქით ღვინოს მიაგებებს და ასმევს. მერე სადედამთილო ერთ ცარიელ სინს მოითხოვს, სინს სარძლოს დაუდგამს წინ და პირველი თვითონ აჩუქებს ძვირფას საჩუქარს. მას სხვები მიჰყეებიან, ყველა სათითაოდ იღებს საჩუქარს, დალოცავენ სარძლოს და მორიდებულად ეუბნებიან: „ეს ჩვენი ცოტა ბებრათ მიიღე“-ო. სარძლო კი ყველას მადლობას უხდის; ყველა დამსწრე დაინტერესებულია, თუ ვინ რა საჩუქარი მოიტანა, სინი კი ხელიდან ხელში გადადის სავეს საჩუქრებით, ათვალიერებენ, დაუბრუნებენ ისევ სარძლოს და დაუდგამენ წინ. თავისი სახლიდან გამოგზავნილ სინებს სადედამთილოს მიაწოდებენ, ერთი ან ორი სინითაც თავისას მიუმატებენ, ერთ სინზე დიდი ზომის ყველკვერცხია გამომცხვარი ისეთი გამოანგარიშებით, რომ სულ პატარა ნაჭერიც კი ყველა დამსწრეს შეხვდეს. სადედამთილო უფროს რძალს მიანდობს ნამცხვარის დაჭრას და ჩამორიგებას. უფროსი რძალი ან უფროსი ქალიშვილი პირველად ყველკვერცხს დასჭრის, დედას მიაწოდებს; სადედამთილო პირველად სარძლოს შეაჭმევს ერთ ნაჭერს და ეტყვის: როგორც ეს ყველკვერცხია მსუყე, ისე მსუყე და ბარაქიანი იქნეს შენი ხელი ჩემს ოჯახში“. მოყვრებს მიაწოდებენ წვრილ-წვრილ საინებს, შეიქნება სუფრის „მოსაკითხი“; სუფრიდან პირველი „მოსაკითხი“ სარძლოს დედას მიერთმევა, სავეს ჭიქით ღვინო ყველანაირი ნამცხვარი და ტკბილეული მოყვრის გამოგზავნილიდან; მოყვრები ერთი მეორეს ლოცავენ, შემდეგ სუფრის არცერთი წევრი არ დარჩება რომ არ მიიღოს მოსაკითხი, შეიქნება სადღეგრძელოები და ლხინი, სტუმრები მოილხენენ, იცეკვებენ, ითამაშებენ, დროს გაატარებენ და დიდის მადლობით დაიშლებიან.

არ წავა მხოლოდ სადედამთილო და მისი უფროსი ქალი და რძალი, რომელნიც მამაკაცების მოსვლას მოუცდიან.

სუფრა რომ ალაგდება, ხელახლა უნდა გაიწყოს მამაკაცებისა და შინაურებისათვის უკეთესი, მეტი მოწონებით ვიდრე ქალებისათვის. მამაკაცებს იწვევს სასიძო თავისი მხრიდან ახლობლებს, ნათესავებს და შინაურებს. დღით დაწყებული ქალების წვეულება მამაკაცებით შეიცვლება (ხორცეული არაფერია); ილხენენ, დაათვალიერებენ ვინ რა საჩუქარი მოუტანა სარძლოს, დროს მხიარულად გაატარებენ და შინ დაბრუნდებიან.

იმავე სამშაბათ დღეს, ვაჟსაც წაიყვანს სასიძამრო ტანისამოსის ამოსარჩევად და შეუკვეთავენ იმას, რომელსაც სასიძო მოიწონებს და აირჩევს თავისი გემოვნებით. როგორც დედოფალი, ისე ნე-

ფეც ქორწინებაზე თავით-ფეხამდე ახალში უნდა იქნეს, არაფერი ნაცვამი და ნახმარი მათ არ უნდა ჩაიცვან, ქეთუბა ახალში უნდა იკურთხონ.

ქორწილის წინასაღამოს ორშაბათ დღეს, ნეფე-დედოფალს უგზავნიან უკვე შეკერილ საქორწილო ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს – დედოფალს – ნეფის ოჯახი, ნეფეს კი – დედოფლის, ღვინით სავსე ჭურჭლით, ფუანი პურიტ და ვერცხლის ფულით. ორივე მხარე ტანისამოსს გაატანს ზედმიწევნით სანდო ადამიანს, რომ არაფერი დაეკარგოს, ან არ „იკუდიანოს“ (უეშმაკოს) ბოროტმა. ტანისამოსის მომტანს აუცილებლად ფულით ასაჩუქრებენ. დედოფლის ტანისამოსს თან მიჰყვება „საძუძური და საოსტატო“, აგრეთვე სახლის ძღვენზე აუცილებლად ოქროს ფული.

„სახლის ძღვენი“. ქორწილამდე სამი-ოთხი დღის წინ დედოფლის ოჯახში ღამით გაიგზავნება „სახლის ძღვენი“, რომელსაც რამდენიმე სინით წაიღებენ ვაჟკაცები, შინაურები და თავისიანები; სასიძოს მხრით „სახლის ძღვენზე“ დაწყობილია: დედოფლის საქორწილო ტან-ფეხსაცმელი; ვინცკია ოჯახში, მოხუციდან აკვნის ბავშვამდე, ყველას უგზავნიან „პატივსადებს“ – ვის პერანგს, ვის ჩულქს, ვის ბაღდადს, ფეხსაცმელს, ლეჩაქ-თავსაკრავს და სხვა. აქვეა ძიძისა და ოსტატისთვის „საძუძური და საოსტატო“, აქვეა აგრეთვე შვიდი ცალი ყველანაირი ნამცხვარი სულ შინაური, პური ფუანი, მურასა, ქადა, მასა, თაფლიანი და სხვა. აქვეა შვიდი ცალი ფრინველი დამზადებული-დამარილებული: ინდაური, ბატი და ქათამი. აქვეა რაც კი მოიპოვება ყველა სახის ხილეული – ხმელი და ნედლი; საუკეთესო შინაური ღვინოც კოვებით. სახლის ძღვენის მიმტანნი იქვე დარჩებიან და ხშირად დილამდე ქეიფობენ. მეორე დილით თვით სასიძოს ხელმძღვანელობით, სიმღერით, გარმონით, ცეკვა-თამაშით, შეზარხოშებული, ხშირად სასიძოს ოჯახს მიადგებიან პირდაპირ და იქვე განაგრძობენ მოლხენას; სასიძოს დედა მათ ახალ სუფრას გაუწყობს და გაუმასპინძლდება.

ქორწილის წინა დღეებში დედოფლის ბინაზე ხშირად დადიან თავისიანები, ათვალიერებენ: რა აკლია, რა უფრო ესაჭიროება და რა უფრო დაუშვენებს მზითევს, – შეძლებისგვარად უყიდიან და ასაჩუქრებენ.

დედოფლის კაბის დაჭრაზე ვინც კი მიწვეული იყო ქალის ოჯახის მხრიდან და რომლებსაც არ ევალეზოდათ მაშინ „პირისანახავის“ მირთმევა, აუცილებლად ყველა ძღვენს გაუგზავნის, ძღვენზე იქნება: დაკლული ფრინველი დამარილებული, ინდაური, ბატი და რამდენიმე ქათამი, ხუთი ან სამი (აუცილებლად კენტი) შინაური ფუა-



სურ., 2. მკვე—ტეზილა. სპ, გზაყელა მუხეძის კოლგეკიიდან.

ნი პური, იმდენივე მურასა და იმდენივე თხელი მასა, ზედ საჩუქარიც; დოქით ნ კოკით ღვინო, ვის რამდენი შეუძლია. ამრიგად ქორწილის წინადღეს და თვით ქორწილის დღესაც დედოფლის ოჯახში ძღვენი ძღვენზე მიდის გადამბული, განუწყვეტლივ. ძღვენი აუცილებლად სინზეა დაწყობილი, სუფთა სუფრაში გახვეული, რომ არ ჩანდეს თუ შიგ რა არის.

ორშაბათ ღამით (ე. ი. ქორწილის წინაღამით), დედოფალს დასაბანად წაიყვანს დადე აბანოში, ან შინ დაბანენ; თავზე დადე დაადგება, ან ერთგული და, თუ ჰყავს ბებია, მხოლოდ ერთი; აბანებენ, უსხამენ წყალს და ლოცავენ, რომ ბედნიერი ცხოვრება ექნეს, იქნეს პატიოსანი და ოჯახის ერთგული, რომ მისი მაგალითის მიხედვით, მისი კარგი სახელით, მის ოჯახში მყოფი ყველა ქალიშვილი გათხოვდეს დაუბრკოლებლად. დაბანის შემდეგ ყველაფერი სუფთაგარეცხილი უნდა ჩაიცვას, ხელფეხზე ფრჩხილები ღრმად უნდა დაიჭრას.

ვინც ტანის დაბანაზე თავზე ადგა, იგივე წაიყვანს მანდილში გამოხვეულ დედოფალს პირველად „მიკვეში“; მიკვეში წაყვანა ისე გვიან ხდება რომ ხალხის ფეხის ხმა მიყრუებული იყოს, სადედოფლო შიგ მიკვეში სამჯერ გაეგლება, მიკვეს ზედამხედველი ქალი და თავისი წამყოლივ ერთხმად მიაძახებენ: „ქაშერ, ქაშერ, ქაშერ“ (აღალია); ქალი შიგ წყალშივე თავზე ხელებს დაიფარებს და აკურთხევს. ამოვა წყლიდან, არ გაიმშრალეს, ისე ჩაიცვამს, მიაძახებენ: „ვაჟის დედა, ვაჟის დედა, ვაჟის დედა“. იგი გაეხვევა ისევ მანდილში და მორიდებულად წავა შინ, რომ არავინ შეამჩნიოს თუ სად იყო. შინ რომ დაბრუნდებიან, ვახშამია გაწყობილი ოჯახის ახლობლებისა და შინაურებისათვის (სასიძო არ მივა) ივახშმებენ, ყველა შინაური დალოცავს დედოფალს, წაღმა სამჯერ შემოაბრუნებს და ატირდებიან, რომ საყვარელ ქალიშვილს უცხო ოჯახში ისტუმრებენ, უსურვებენ მას კაი ქალობას, სახელუანობას და ბედნიერებას.

ქორწილის დღევ აუცილებლად სამშაბათი დღეა. დილით რომ წამოდგებიან, არც ნეფე და არც დედოფალი არაფერს სჭამენ ქეთუბამდე. უნდა იმარხულონ იმ რწმენით, რომ რაც ცოდვები აქვთ ქორწილამდე ყველა უნდა შეუნდოს ღმერთმა; მარხულობენ მათი მშობლებიც.

ამ დღეს ნეფეს უფროსი „შაფერი“ (რომელსაც შოშბინი ჰქვია) აბანოში წაყვება, აბანოდან რომ დაბრუნდებიან პირდაპირ ნეფის სახლში წავლენ, იქ ნეფეს აცმევენ შოშბინი და მამა ან ვინმე უერთგულესი ახლობელი. საქორწილო ტანისამოსი ახალი უნდა იქნეს და

თვითეთულის ჩაცმევაზე უნდა კურთხევა. ნეფეს ასწავლიან როგორ უნდა აკურთხოს და დამსწრენი ბერახეებს აბრუნებენ; ნეფე ჩაცმულია, მისი მოწვეული ხალხი მოგროვილია, ემზადებიან სადედოფლოსთან წასასვლელად. შოშბინს ხელში უჭირავს კელაპტარი, რომელიც ნეფის დედის ხელით ჩამოქნილია ნეფის სიგრძისა და იმ სიმსხოსი, რომ რაც კი ვაჟები დაებადოთ, ყველას მილაზე (ნათლობაში) აინთოს. შოშბინს ხელში უჭირავს ქეთუბა ფერადებითა და სხვადასხვა ყვავილით მონატული. ქორწინების წესებში არის პირობები, თუ რასა და რას დაპირდება დედოფალს ნეფე, შემდეგ თუ რამდენის საფასური მზითევი მიჰყვა დედოფალს, ქორწინების თარიღი, მოწმეების ხელმოწერა და სხვა.

დედოფლის ოჯახში დილიდანვე ფუსფუსია. ემზადებიან, აწყობენ სუფრას, სცლიან ძღვენს, თვალყურს ადევნებენ, რომ ყველაფერი რიგზე იქნეს და სხვა.

დედოფალს ჩასაცმელად „დადე“ (ქორწილის დედა) ცალკე ოთახში შეიყვანს, საკუთარი დედაც დაესწრება, აცმევენ ყველაფერს უცმელსა და ახალს – ლოცვა-კურთხევით. ჩააცმევენ დედოფალს და მორთულს ჩიხტაკოპითა და ლეჩაქ-თავსაკრავით დასვავენ, გვერდში დადე არ შორდება: უსწორებს, გარს უტრიალებს, არიგებს თუ როგორ მოიქცეს; მოდის ხალხი, შინაური და გარეული, დაპატიჟებული და დაუპატიჟებელი, ყველა დედოფალთან მიდის, ათვალიერებს, ულოცავს და კეთილ ცხოვრებას უსურვებს. დედოფალი ჩუმად ზის, სირცხვილია მისი სითამამე, წყნარად უნდა იყოს, არავინ დასცინოს, არავინ დამძახოს; ელოდებიან ნეფისა და მოყვრების მოსვლას.

გაისმის ჟრიაშული და ხმაურობა – „მოდთან“, მოდიან“-ო. მოყვრებს დედოფლის მამა შეხვდება, ნეფე მარჯვენა ფეხს შედგამს პირველად ზღურბლზე, მეზუზას (კარზე ნიშანს) მიესალმება, რიგ-რიგობით მოდიან დამხვდურნი და ულოცავენ ჯერ ნეფეს და შემდეგ ერთმანეთს.

ქორწილი

ნეფეს თან მოყვება რაბინი რამდენიმე ხახამიც და შოშბინი. თუ ვაჟს ბაბუა ცოცხალი ჰყავს, სავალდებულოა ბაბუა დაუდგეს შოშბინად, თუ არა და უფროსი დის ქმარი – სიძეა მეტნაწილად შოშბინი, რომელიც ნეფეს გვერდით არ შორდება, სულ ერთად არიან, ეშინია ნეფეს არავინ უღალატოს რაიმე, აგრეთვე დედოფალს დადე (თუ ქალს ბებია ცოცხალი ჰყავს, თუ არა უფროსი ძმის ცოლმა უნდა შეასრულოს დადეს მოვალეობა) გვერდით არ შორდება, რომ დედოფალს არავინ უეშმაკოს, მალ-მალე ლეჩაქს უსწორებს, არავინ გამოუჭრას. ქორწილის ლეჩაქი თუ ვინმემ გამოჭრა მტრობით და მიწაში ჩაუმარხა დედოფალს, შვილის ყოლის უნარი დაეკარგება, დაავადმყოფდება, თვითური აერევა და სხვა. ამიტომ დადე თვალს ადევნებს, ან სანთელი არავინ დააქროს საქორწილოდ ანთებულთ. თუ ქორწილზე ვინმემ სანთელი დააქრო, ნეფე-დედოფალს სამოდრო ანუ ვაჟი არ შერჩება, კიდევ რომ ეყოლოს არ გაეზრდებათ. შოშბინი და დადე ოთხსავე კუთხით იყურებიან და თვალს ადევნებენ, ფრთხილად არიან.

რაბინი ხელმძღვანელობს „ქეთუბას“ და თვითონვე აკურთხევს თავიდან ბოლომდე, დაიწყებს და დაასრულებს.

ოთახის შუაში იატაკზე მომზადებულია ერთი დიდი ბალიში, რომელზედაც „ხათან-ქალა“ (ნეფე-დედოფალი) უნდა შედგეს და ისე უნდა წაუკითხონ მათ ქეთუბა. პირველად ხათანი დადგება ბალიშზე, მას მარჯვენა გვერდით შოშბინი უდგას; მოჰყავს დადეს ქალიც. ქალი თავჩაღებულია, მორცხვია. შესდგამს ქალი ფეხს ბალიშზე და იქვე ერთმანეთს ფეხი უნდა დაარტყან ხათან-ქალამ; რომელიც მოასწრებს დარტყმას იტყვის: – „ჩემი მორჩილი იყავიო“; შეიქნება ძახილი, თუ ვინ აჯობა, ვინ დაასწრო ფეხის დარტყმა. უფროსები აფრთხილებენ კედელზე არავინ იქნეს მიყუდებული იმ რწმენით რომ, თუ ქეთუბის დროს ვინმე კედელს მიეყუდა, არ ვარგა ხათან-ქალა ვერ გაიხარებო. დაიწყება ქეთუბის წაკითხვა. აქვია ორი მოწმე, რომელთაც ევალეობათ დაესწრონ ქეთუბის წაკითხვას. რაბინი გაშლის დაწერილსა და დახატულ ქეთუბას, ერთ კუთხეს ხათანი დაიკავებს, მეორეს ქალა, მე-

სამესა და მეოთხეს მოწმეები. რაბინი დაიწყებს ქეთუბის კითხვას, შოშბინი თავზე „სისიტს“ (სპეციალური მოსახურავი ლოცვის დროს) გადაფარებს ისე, რომ ყველას ეფარებოდეს: ხათან-ქალას და შოშბინსა და დადეს, ზოგჯერ კი ხუფა (ოთხი ჯოხია, რომელსაც ზევიდან ფარჩა აქვს გადაკრული კარავის მსგავსად) იხმარება ქორწილზე.

ხუფას მოატანინებენ სალოცავიდან და ოთხ ვაჟკაცს იგი ოთხი კუთხით ხელში უჭირავს ერთგულად. მის ქვეშ კი გამართულია ქეთუბა, რომელსაც რაბინი უხელმძღვანელებს, როგორც ზევით მოვიხსენიეთ: ამ დროს ხდება ბეჭდების გაცვლა. ამრიგად რაბინი დაიწყებს ქეთუბის კითხვას. წაუკითხავს თავიდან ბოლომდე, ჯერ თორულად, ე. ი. ებრაულ ენაზე, შემდეგ კი ქართულად სთარგმნის ყველას გასაგონად, თუ რას პირდება ხათანი ქალას. რაბინი, სანამ ქეთუბის წაკითხვას მოათავებდეს, ორივეს შეეკითხება, ხათანსა და ქალასაც, ხომ არიან თანახმა შეუღლებაზე; მანამდე ღვინოს (კიდუშს) არ აკურთხევენ. ქეთუბის შემდეგ ღვინოს აკურთხევენ, ჯერ თვითონ მოსვამს, მერმე ხათანს მიაწოდებს, ხათანი ქალას, შოშბინს, დადეს, მშობლებს, მოწმეებს და ვინც ისურვებს ყველა მოსვამს, თითო წვეთიც რომ შეხვდეს, ნაკურთხ ღვინოს, ანუ კიდუშს ქალებიც მოსვამენ. კიდუშის დასრულების შემდეგ ხათანს მიაწოდებენ წინასწარ დამზადებულ ჭიქას, რომელიც ჯერ უნდა აკურთხოს ხათანმა და შემდეგ ისე მაგრად უნდა დაარტყას იატაკზე, რომ ერთი დარტყმით დაიფშვნეს; თუ ჭიქა ერთი დარტყმით ვერ გატეხა ხათანმა, ცუდი ნიშანია, ცხოვრება მწელი ექნება და მძიმე.

ქეთუბის დასრულების შემდეგ გაიმართება ჭამა-სმა; ჯერ დედოფლისას ცალკე სუფრაზე მამაკაცები დასხდებიან, ცალკე ქალები და მათთან დედოფალი. როგორც აღნიშნული იყო, ხათან-ქალა ქორწილის დღეს მარხულია, მათი მშობლებიც აგრეთვე მარხულია; პირველად როგორც ყოველთვის, მამაკაცებს მიართმევენ საჭმელს, შემდეგ კი – ქალებს, შეიქნება მილოცვები და კეთილი სურვილები; სანამ ხათან-ქალას წაიყვანდნენ ხათანის სახლში, წინდაწინ გაიგზავნება ლოგინი, რომელსაც ერთგული ადამიანი ჩაიბარებს და, დააგებს თუ არა ლოგინზე ბუმბულს იქვე შიგ ახლობლის და ერთგულის ვაჟს ჩააგორებს, რომ პირველად ვაჟი შეეძინოს ნეფე-დედოფალს.

მოილხენენ ქალის ოჯახში. შემდეგ გაემგზავრებიან დედოფლის წასაყვანად; სანამ ხათან-ქალას წაიყვანდნენ, დედამთილი დაწინაურდება, რომ შინ დაუხვდეს ხათან-ქალას და მათ წამყოს.

დედოფალს თავისი მშობლები წაღმა აბრუნებენ, ხვევნა-კოცნითა და ლოცვა-კურთხევით ისტუმრებენ, ტირიან საყვარელი ქალიშვილის მოშორების გამო და ჩააბარებენ დედამთილს.

ხათან-ქალას წინ მიუძღვიან რაბინი და ხახმები სანთლებითა და „ენ დოდი ქალას“ გალობით; ყველა თავისიანიც მიაცილებს, გარდა ქალის მშობლებისა. შოშბინი და დადე ყოველ წუთს ფრთხილობენ და აკვირდებიან, რომ არაფერი ცუდი შემთხვევს ხათან-ქალას; სახლის კიბიდან რომ ფეხს გადმოდგამს დედოფალი, უკან აღარ უნდა მიიხედოს იმ რწმენით, რომ მშობლებს აღარ დაუბრუნდეს სასიავოთ.

წინ ხათანი მიდის, აბრეშუმის ბაღდადზე უკიდია ხელი, მას ქალა მიჰყვება, ბაღდადის მეორე ყურზე ქალას უკიდია ხელი, მიჰყავთ გალობით, მაყრებით. ხათანის სახლამდე ფეხით მიჰყავთ. წინ მახარობელი მიდის, რათა ახაროს ვაჟის ოჯახს დედოფლის მოყვანა. მახარობელს ვაჟის ოჯახში მისვლისთანავე კისერზე აბრეშუმის ბაღდადს მოახვევენ და დაასაჩუქრებენ. მახარობელი უმღერის:

„მოვდივარ მახარობელი გულისა გამხარებელი,
დამიცალეთ დარბაზი, ქალი მომყავს ლამაზი“.

როგორც კი ხათან-ქალა ვაჟის მშობლების სახლში ფეხს შედგამენ, მათ დედამთილი დაუხვდება პირველსავე კარებში, დედოფალი პირველად მარჯვენა ფეხს შესდგამს, მარჯვენა ხელს კი დედამთილის მიერ გაწოდებულ საფუარში (პურის ცომში) ჩაჰყოფს. დედამთილი შეაყრის შვილსა და რძალს ღომის მარცვალს. მასვე საინით ხელში საფუარი და შაქარი უჭირავს და შესძახებს შვილსა და რძალს: „ასე გამიმრავლდით“, ღომის მარცვლის შეყრაზე; „ასე გამიფუვდით“, საფუარში ხელის ჩაყოფაზე; „ასე დამიტკბით“, შაქრის შეხებაზე.

შეიყვანენ ხათან-ქალას დარბაზში, სამჯერ „ენ დოდი ქალას“ გალობით შემოატრიალებენ და შემდეგ დასხდებიან მათთვის გაწყობილ სუფრაზე, რომელიც ტკბილეულობით და ნამცხვრებით არის გამართული. რაბინსა და ხახმებს, რომელნიც ხათან-ქალას შინ მოჰყვანენ, ხორცეულსა და ღვინოს მიაართმევენ, კიდუმ-ბერაზა კურთხევა-მოისმინონ.

ხათან-ქალას რომ ქალის ოჯახიდან გამოისტუმრებენ, უკანვე გამოაყოლებენ ღია სინით რამოდენიმე ცალ ფუან პურს, რამოდენიმე ქათამს შეუწვავსა და დამარილებულს, აგრეთვე თხელ მასას და დოქით ღვინოს. როგორც კი ხათანის ოჯახი მიიღებს ზემოხსენებულს, დაცლიან და იმავე რაოდენობით ისეთივე სახის ძღვენს, იმავე სინზე დაუწყობენ თავისი ოჯახიდან და დაუბრუნებენ მაგიერს; ღვინოს, ქათამს, პურს და თხელ მასას.

ხათან-ქალას გვერდს მოუსხდებიან შოშბინი და დადე, დედოფლის ახლო ნათესავები და ტკბილეულით გაწყობილ სუფრაზე განაგრძობენ ქეიფს. ღვინით პირველად ნათან-ქალას დალოცავენ, შემ-

დეგ დადეს; დადეს მიაწოდებენ სავსე ჭიქით ღვინოს, რომელშიაც ერთი ან რამდენიმე ცალი ოქროა; დადე ფეხზე წამოდგება, დაილოცება, ღვინოს მთლიანად შესვამს, ოქროებს კი შოშბინი გადმოჰყრის ჭიქიდან და დადეს მხარტმევს „სადადოს“. მოქეიფენი სუფრაზე რჩებიან, დადე კი ხათან-ქალას ლოგინს გაუსწორებს, დაარიგებს ქალას როგორ მოიქცეს, გამოემშვიდობება და შინ დაბრუნდება. (დადე აძლევს ქალას უხმარ თეთრ უბე მიტკალს, რომელიც ქალმა შეუღლების დროს უნდა დაიფინოს, რათა მისი ქალწულობა მიტკალზე აღინიშნოს).

პირველ ღამეს ნეფე რომ დარწმუნდება დედოფლის ქალწულობაში, იგი ვალდებულია ქალს აჩუქოს ვერცხლის ფული (ან ოქრო) შეძლების მიხედვით. თუ კი ქალს ქალწულობა დაკარგული აქვს (რაც მეტისმეტად იშვიათად ხდება), ვაჟი უარს ამბობს მასთან შეუღლებაზე, მოიწვევენ ქალის მშობლებს, რაბინ-ხახმებს, მოწმეებს, ახლობლებს და თავისი მზითვით ქალს უკანვე უბრუნებენ მშობლებს.

დედამთილის მიერ დახვედრებული საფუარი, ღომის მარცვალი და შაქარი ხათან-ქალას ერთი კვირის განმავლობაში საწოლის ქვეშ თავითით უდგია, იქვეა დიდი შავტარიანი დანაც, რომელიც ადგილიდან არ უნდა დაიძრას მერვე დღის საღამომდე.

ხათანის სახლიდან რომ დედოფლის ნათესავები დაბრუნდებიან, დედოფლის მშობლებს მიაკითხავენ, სადაც ისევ ღვინია გამართული.

მეორე დღით (ოთხშაბათს) შოშბინი და დადე იმ დროს მიაკითხავენ ხათან-ქალას, როცა უკანასკნელნი ახალი გამოღვიძებულნი არიან. შოშბინი ორ ბალიშს გაგზავნის სალოცავში და შვიდი დღის განმავლობაში შოშბინი და ხათანი სალოცავში ამ ბალიშებზე სხედან. შოშბინი დილითვე სალოცავში გაუძღვება; ერთი კვირის განმავლობაში, ხათან-ქალა მარტო არ დაიტოვება, რომ არაფერმა დააზარალოს. სალოცავში წასვლის შემდეგ დადე დაქორწილებულთა ნაწოლ ლოგინს გაასწორებს, დაუძახებს დედამთილს და დედოფლის სიქალწულებს აჩვენებს; ყველა უფროსი ქალი, ვინც კი არის ოჯახში, დახედავს და გაიგებს, რომ პატიოსანი ქალიშვილი მოუყვანიათო. სადედამთილო ბალიშსაც მხარტმევს დედამთილს დადე.

სანამდე ხათანი და შოშბინი სალოცავიდან დაბრუნდებოდნენ, დილაადრიან დედოფალს დედისაგან „მოსაკითხი“ მოუვა ხაჭაპურით, რძიანით, ნაღებით, მასით, ღვინით და სხვა.

ოთხშაბათ ნაშუადღევს შოშბინი გაჰყვება სიმამრის ოჯახში ხათანს და დაპატიჟებს: „გვეწვიეთ ამაღამ თქვენი მტერთა და მოყვრითაო“.

ოთხშაბათ დილიდანვე ხათანის სახლში იწყებს დენას ძღვენი ისე, როგორც დედოფლის სახლში მიდიოდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ დედოფალს ძღვენზე „პატივსადები“ რაიმე საჩუქარი უნდა გაეგზავნოს, ხათანისას კი – მარტო სურსათი ღვინით „უპატივსადებით“; ძღვენის მიმტანს იქვე აბარებენ, რომ გამომგზავნის ოჯახში მყოფნი ამაღამ ეწვიონ. არიან ცალკე მოპატიჟე ქალებიც, რომლებმაც ყველა კუთხე ზედმიწევნით იციან, სად რომელი ოჯახი ცხოვრობს, მოპატიჟეს პირით მაინც რომ შეუთვალონ; თუ მოპატიჟემ ორჯერ მაინც არ ჩამოუარა, და არ მოაგონა, დაპატიჟებულები დაემდურებიან, გულიანად არ დამპატიჟაო, გაეპუტებიან და ხშირად უსიამოვნება მოსდით ხოლმე.

ოთხშაბათ დილიდან დედოფალი უკვე თავღია ვეღარ გაივლის, მას უსათუოდ თავზე უნდა ეხუროს, თორემ თუ გათხოვილი ქალის თავის კეფა კედელმა დაინახა, იმ ოჯახს სიღარიბე არ აშორდებაო. გათხოვილი ქალისთვის არ შეიძლება არც „სანთელის დათმობა“, ე. ი. ის ვალდებულია ყოველ შაბათ-უქმე ღღეში სანთელი აანთოს.

ოთხშაბათ ღამით უკვე მოგროვდებიან სტუმრები, გაწყობილია სუფრა, ცალკე მამაკაცებისათვის, ცალკე ქალებისათვის. უცდიან მოყვრებს, რომელნიც ქალის მშობლების ოჯახში გროვდებიან, რომ ერთად მიეიდნენ მტერ-მოყვრითა და „დამშვენონ“.

მოყვრებს შეხვდებიან ღირსეულად, დედოფალს ყველა თავისი-ანი რაიმე საჩუქარს მოუტანს კიდევ ოთხშაბათ ღამის ნახვისას; დედამიდან დაწყებული და გათავებული პატარა ბავშვით ყველა სიხარულით მთარბენინებს საჩუქარს დედოფლისათვის.

სუფრაზე რომ დასხდებიან, დედოფლის დედა ხელს არაფერს ახლებს, არ სჭამს, „საუჭმელო“-ს უცდის, მას მთარბმევენ საჩუქრად ფულს, ღვინის დასალევს ღვინით და ფუანი პურით. ქალიშვილის დედამთილი ე. ი. მძახალი მთაწოდებს და ყველას გასაგონად ეტყვის: „ე ჩვენი ცოტა ბებრათ მიიღე მოყვარე, როგორც პურღვინის სახელი არ მოიშლება, ისე ჩვენი მოყვრობა ნუ მომალოს ღმერთმა“. მოილხენენ და იქეიფებენ, მთელ ღამეს გათენებამდე.

შაბათ დილით ხათანი უნდა იკუთროს სალოცავში. გამოლოცვის შემდეგ სიდედრის ოჯახში საუზმეა გაწყობილი, სადაც პირდაპირ სალოცავიდან მიდიან მარტო მამაკაცები; იქიდან სტუმრებიანად მიდიან ხათანის სახლში, სადაც სადილია გაწყობილი.

შაბათს სადილად დაწყებული ქეიფი ხშირად კვირამდე გასტანს. კვირა ღამით კი ხდება „მ ზ ი თ ე ვ ი ს მ ი ც ე მ ა“. სიდედრის სახლში სუფრაზე გაწყობილია ყველა ის საგანი, რაც დედოფალს მიეცა მზითვად. აღსანიშნავია, რომ ქალს მზითევში შეიძლება ბევრი

სხვადასხვა სახის ნივთი გაჰყვეს, უბრალო ქინძისთავიც კი, მხოლოდ არავითარ შემთხვევაში ნემსი არ უნდა იქნეს, რადგანაც ნემსის გაყოლა მზითევეში ცუდი ნიშანია – დოვლათი ნემსის ყუნწში გაძვრება და ქალი ვერ გაინარებსო. შავი ძაფიც არ უნდა გაჰყვეს დედოფალს; შავი ცუდის მომასწავებელიაო.

მოსულია რაბინისა და შოშბინის ხელმძღვანელობით მოწვეული ხალხი, მარტო მამაკაცები, წინასწარ შეფასებულია მზითევი და სიაც შედგენილია. დაიწყება ანგარიში: ქალის მხარეს უნდა მეტი შეაფასოს, ვაჟის მხარეს კი – ნაკლები; ზოგჯერ ამ ნიადაგზე ჩხუბიც მოსდით ხოლმე, ხშირად კი მშვიდობიანად რიგდება; მიიღებენ თუ რა საფასურისაა მთელი მზითევი და ფული (ძალიან იშვიათად გათხოვდება ქალი, რომ მას ფული არ გაჰყვეს). გაიშლება ქეთუბა, შიგ ჩაიწერება ღირებულება, რომელსაც 20%, დაემატება. ვაჟი, მოწმეები და შოშბინიც ხელს მოაწერენ, რომ ჩაიბარეს სრულად რაბინის თანდასწრებით და შეუდგებიან მოლხენას. დილით მზითევეს გაგზავნიან. მეორე ოთხშაბათ დილამდე ხათანი და შოშბინი დღეში სამჯერ – დილას, ნასადილევისა და საღამოს – სალოცავში დადიან და ლოცვის დროს ბალიშებზე სხედან. ერთი წუთითაც მარტო არ უნდა გაიაროს ხათანმა. მეორე ოთხშაბათ დილით კი, ე. ი. მერვე დღეს უკვე გათავდება ქორწილი ხახმის თანდასწრებით და კიდუმ-ბერახით. დადევ ყოველ დღე სამ იჯრაზე უნდა ესწრებოდეს რვა დღის განმავლობაში. ოთხშაბათ დილით გამოემშვიდობებიან ნეფე-დედოფალს შოშბინი და დადე, ხოლო ხუთშაბათ დილით დადე და შოშბინიც ძღვენს გაუგზავნიან თავიანთი სახლებიდან საჩუქრებით (კარგი საკაბე და ან კარგი ძვირფასი ნივთი გამოსადეგი); ქორწილის რვა დღის შემდეგ – ხათან-ქალას ჯერ შოშბინი გადაიწვევს, მერე დადე, მერე ქალის მშობლები. სანამ დედოფალს შოშბინი და დადე არ გადაიწვევს, მისი (დედოფლის) სახლიდან გამოსვლა და სადმე წასვლა ძალიან სირცხვილია.

ქორწილის ღამის შემდეგ დედოფალი ერთი კვირის განმავლობაში ქმარს აღარ უნდა მიეკაროს; ერთი კვირის შემდეგ კი ისევ დაიბანს, დაიცვლის და მიკვეში გაეველება. შეუდგება ჩვეულებრივი ისრაელის ქალის წესისამებრ ცხოვრებას. ერთი კვირის შემდეგ, როდესაც ქალი მიკვედან დაბრუნდება მას მისცემენ „საფუარს წასაკეთებლად“.

ქორწილის საღამოს რომ დედამთილმა საფუარი კარებთან შეახვედრა, იგივე საფუარი უნდა „წაკეთოს“. დედოფალი რომ მიკვეშია წასული, დაამზადებენ გობზე პურის ფქვილს და იმავე საფუარს, რომელიც ნეფე-დედოფლის ლოგინის ქვეშ სუფთად გადაფარებული

ინახებოდა. დედამთილი შიგ ბრინჯის მარცვლებს ჩაუყრის, როდესაც დედოფალი საფუარის „წაკეთებას“ შეუდგება, ისე ფრთხილად და დაკვირვებით უნდა დასრისოს ხელში საფუარი, რომ არც ერთი მარცვალი ბრინჯისა (რომელიც დედამთილს დათვლილი აქვს) არ უნდა დარჩეს შეუმჩნეველი, უნდა ამოალაგოს და სუფთა ალაგზე დააწყოს, დედამთილმა დაითვალოს და ნახოს ყველა უნახია თუ არა. თუ ბრინჯის ყველა მარცვალი ნახა და ამოიღო, კარგი რძალი იქნება, თუ არა და, ცუდი.

ხშირად დედოფალს მული მოეხმარება, გაიგებს-რა ვინმესგან, თუ დედამისმა რამდენი მარცვალი ბრინჯი ჩაურია საფუარში.

ძალიან ძნელი კი არის ერთი კვირის გამხმარ საფუარში ბრინჯის ძებნა, რაც უნდა დამბალი იყოს ის.

რძალი ემორჩილება ოჯახში ყველას, როგორც უმცროსი. უფროსები რომ შინ შემოვლიან, იგი ფეხზე უნდა წამოდგეს, დილით ადრე დგებოდეს, ღამით გვიან წვებოდეს, რასაც დედამთილი უბრძანებს, თავის გაუქნევლად ასრულებდეს, დედამთილის დაუკითხავად არსად წავიდეს, ვაგლან მეზობლებში სიარული არ დაიწყოს, ოჯახის აუგი (ნაკლი) არსად ილაპარაკოს. შეასრულოს ქმრის სურვილი, წავიდ-წამოვიდეს მხოლოდ ქმართან, მულთან, მაზლისცოლებთან, მარტო არ გაიაროს, არავინ გააბახოს (გალანძლოს) და სახელი არ გაუტყდეს. პატარძალი ისევე ემორჩილება უფროს „შილს“ მაზლის ცოლს, როგორც დედამთილს; მის წინ არ დაილაპარაკებს, სიტყვას დაუჯერებს, მისგან ოჯახის ყოველივე წვრილმანსაც კი შეისწავლის და მეცადინია ყოველნაირად პატივი სცეს მას. უფროსი შილი დედამთილობს.

რძალი ათი-ოცი წლობითაც რომ ჯალაბში იყოს, ხმას არ ამოიღებს დედამთილ-მამამთილის და უფროსი მაზლების წინ.

ქორწილის მერვე დღეზე „შვიდის“ შემდეგ დადე მიაკითხავს დედოფალს და თავის ხელით დაუცვლის ლოგინზე თეთრიან პირებს, მოაგროვებს ნეფე-დედოფლის საცვლებს რაც კი გასარეცხია, ერთად შეახვევს; ნაქორწილარ ლოგინს გაამზეურებს, დაურეკავს, დაუბერტყავს, სუფთა ახალ თეთრ პირებს ჩააცმევს, გასარეცხებს კი, თავის ოჯახში წაიღებს, გაურეცხავს, დაუუთოვებს და ისევე თავის ხელით დაუბრუნებს.

ნაქორწილარი სარეცხი ისეთ ადგილზე უნდა გადაიკიდოს, რომ ადამიანმა ვაგლახად ხელი არ შეახოს; თუ ნეფე-დედოფლის რაიმე ნაქორწილარი დაიკარგა, ეს ძალიან ცუდი ნიშანია, სჩანს ვინმემ უმტერა, უღალატა, შეიქნება მკითხავ-მარჩიელობა, თორაზე დახედება, გაიგონ თუ ვინ უემშაკა, ვინ უღალატა.



სურ. მ. ქუთაისელი ებრაელი ქალი (ტიბი)

თუ ასეთი რამ მოხდა, ე. ი. ნეფე-დედოფლის საცვალი დაიკარგა, ორივეს მშობლები გამწარებულნი ჩამოასხამენ წმინდა სანთელს, და-გრეხენ და სალოცავში წაიღებენ გ ა დ ა ს ა ც ე მ ა დ. აქ აანთებენ დაგრეხილ სანთელს, მიაკრავენ საქალებოში და ხმა-მალა გ ა დ ა ს -ც ე მ ე ნ მათი შვილების მოღალატეს. გადაცემის შემდეგ შეშინებული ქურდი მონაპარს ზოგჯერ ჩუმად უკანვე მიუგდებს.

მშობიარობა

ქალს პირველ შვილზე სალოგინოდ მშობლები გაიწვევენ; ხშირად ქალის ორსულობის დროს დედა უმზადებს „აკვნის იარაღს“, რომელიც შედგება ყველაფრისაგან, რაც კი აკვნისა და ბავშვისათვისაა საჭირო; ორ-ორი ლები და საბანი, ბავშვისათვის ორი წყვილი არტახი, ორი ბალიში – ერთი საშაბათო-საკაიდღეო, მეორე საწარეუკანო, ბავშვის ჩასაცმელები და დასახურავი საზაფხულო და საზამთრო.

ქალს რომ დალოგინების დრო მოუვა, დაახლოებით რამოდენიმე დღით ადრე დედ-მამა მოვა სიძისას და გაიწვევს ქალიშვილს. მათ ვახშამს გაუმართავენ, ორსულს დალოცავენ, წაღმა დააბრუნებენ, სანთლებს აანთებინებენ, ყველა კარის მეზუზას გამომამშვიდობებენ და დედამთილი ეტყვის: „წადი შვილო, როგორც მშვიდობით გისტუმრებ, ისევე მშვიდობით დამიბრუნდი, თავნითა და სარგებლით, გადარჩი ერთი ხმით, დამადლიანდი ბენზახარზე (ვაჟზე), გასაზდელზე და დასარჩენზე, ფეხ-ბედნიერზე, მაზალიანზე, ასლახიანზე (დოვლათიან-ხეირიანზე), ამენ“. დედამთილი სამჯერ წაღმა შემოაბრუნებს, გააცილებს და გაისტუმრებს.

ქალის ლოგინობის ხარჯები მისმა მშობლებმა უნდა გაისტუმროს, თუ ვაჟი ეყოლა, მიღაც (ნათვლა) ქალის მშობლების ხარჯზეა. ლოგინობის დროს შემსვლელ-გამსვლელი მნახველი, მელოგინეს სანახავათ მისული ქალები არავინ წავა ისე, რომ სუფრა არ გაუმალონ, არ მოალხინონ, ყველას გაუმასპინძლდებიან, მთელი კვირის განმავლობაში აცხოვენ და აკეთებენ ნაირ-ნაირ ტკბილსა და საუკეთესო ნამცხვრებს, ახალ-ახალს.

ქალს ვაჟი თუ შეეძინა, მერვე დღეზე ქალის მამა ხდება ნათლიად და იგი დიდის ხარჯითა და წვეულებით ასრულებს ამ წესს.

მორწმუნე ისრაელს ვაჟის დაბადება უფრო ახარებს, ვიდრე ქალის, რადგანაც ვაჟი სულის სახსენებლად გამოდგება, ქალი კი ვერ ეტყვის მშობლებს კადიმს.

ვაჟის დაბადებას ვინც პირველად მიახარებს მამას, საჩუქარს მიიღებს.

გაჭირვებულ მშობიარესთან მოიწევენ დედის პირველს (ქალს), რომელსაც ხელში უჭირავს სამი ცალი კვერცხი; შემოსვლისთანავე,

დედის პირველი მარჯვენა ფეხს შემოადგამს თუ არა, იქვე თითოეულ კვერცხს ცალცალკე კედელზე მიახლოს და ხმამაღლა იტყვის: „გველბაყაყი გაიყარა, დედა მარიამ შენ რას შვებო“-ო.

თუ მშობიარეს უჭირს მორჩენა, ვინც მივა მნახველი მიაძახებს: „ჩემი შემოსვლა – შენი მორჩენა,“ თან კაბის კალთას დაიბერტყავს და იტყვის: „როგორც მალე კალთის ბერტყევა, ისე მალე მას შვილი დაებადოს. მშობიარესთან მყოფთ ყველას გახსნილი უნდა ჰქონდეს ღილები და სხვა რაიმე შესაკრავი, აგრეთვე იმ სახლში არაფერი უნდა იყოს დაკეტილი იმ რწმენით, რომ როგორც დამსწრეთაგანმა სწრაფად ღილები დაიხსნა, ისე სწრაფად მისი წელიც გაიხსნას და დაებადოსო. მშობიარესთან მოაქვთ სალოცავის გასაღები, სეფერ-თორის კაბა, მთელი პური, რომელსაც მის მუცელზე შუაზე გადასტეხენ ღოცვა-კურთხევით, რომ მალე ეშველოს შეწუხებულს. გატეხილ პურს თავითთ ამოუდებენ ავადმყოფს, და ბავშვის დაბადების შემდეგ იმავე გატეხილ პურსა და ღვინოს გაუგზავნიან ღარიბს. მშობიარეს ქმარმა თავისი კალთით წყალი უნდა ასვას, რომ როგორც მალე მუცელმტკივანმა წყალი შესვა, ისე მალე ეშველოს.

როდესაც სეფერ-თორის კაბა და სალოცავის გასაღები მოაქვთ მუცელმტკივანთან, კაბას და გასაღებს ზედ გადააფარებენ ღაღადით: „გაუხსნას ღმერთმა საშველი კარები ყოველ მშობიარეს“ (იმ დროს „ეხალისა“ და სალოცავის კარი ღიაა მათ უკან მიტანამდე სალოცავში). ავადმყოფს ეკითხებიან თუ რაიმე ნედერი აქვს, ათარას აუშვებენ; დაუძახებენ ორ ხახამ – თალმიდს, რომელიც პურღვინოზე დალოცავს და ღმერთს შეეხვეწება აპატიოს მშობიარეს, თუ რაიმე ნედერი ვერ შეუსრულებია, რის შემდეგ ყველა დამსწრე მიაძახებს: მუთარლახ, მუთარლახ, მუთარლახ (თავისუფალი იყავი). მშობიარე ღმერთს ეხვეწება, წმინდა დედებს, სარა-რიჰკარახელ-ლიას, წარდგენ ღმერთის წინ, ილოცონ მისთვის, რომ უშველოს, არ იტანჯოს. ოჯახის უფროსი დედა ან დედამთილი ფუსფუსშია, სანთლებს ანთებს, მშობიარესაც აანთებინებს, ღვთის ვედრებით: „ოო, ღმერთო აბრაამისაო, ღმერთო ისხაკისაო, ღმერთო იაკობისაო, თუ ვინიცობაა, დამეთმოს სანთლის ანთება ამ ორსულობაში, მიიღე ე წმინდა სანთელი (სანთელი აუცილებლად შინ ჩამოსხმულია, ნართიც შინაურია), ნუ მიზამ ჩემი ცოდვისას, მიშველე და მემეხმარე გამჩენო ცისა და ქვეყნისაო“. მშობიარეს ანთებულ სანთლებს შანდლით თავით დაუდგამენ და იქვე უნდა დაიწვას.

მშობიარეს გამოავლებენ ხელში ფულს და იგი ამბობს: – „აა ღმერთო ერთო, უკვდავო და უცვალებელო, თუ ვინიცობაა ღარიბი გემეწბილებინოს და არ მიმეხედოს, ნუ გამიხსენებ ამ გაჭირვების დროს

მაპატივე, მიშველე“-ო. მის ხელში გამოვლებულ ფულს მთლიანად ღარიბებს დაურიგებენ.

ქალს რომ მუცელი ეტკინება, არ ვარგა თუ ბევრმა ვინმემ გაიგო: ძნელი მორჩენა ექნება, თვალს აიტანს.

მშობიარის მუცლის ტკივილის დროს, ოჯახის უფროსი ქალი სანთელს რომ აანთებს, წყალს ათბობს ცომის მოსაზეულად; მოზელს ცომს და მოზელის დროს ღმერთს ევედრება: – „აა ღმერთო, აბრა-ამისაო, ღმერთო ისხაკისაო, ღმერთო იაყაკობისაო, ღმერთო გამჩენო ცისა და ქვეყნისაო, რომელმაც გადაგვაქცეო წყალი ადამიანად, უხსენი მტყვესა ისრაელისას, ულხინე ავადმყოფსა ისრაელისას, უხსენი სალდათს ისრაელისას და გამოიყვანე გალუთისაგან (ტანჯვისაგან), ნუ გაუჭივრებ გამჩენო ნურსად მშობიარეს ისრაელისას და მათში ნურც ჩემსას, ამისო ზეხუთო (მადლო)“. ამ სიტყვებით მოზელილ ცომს მაღლა ორივე ხელით ასწევს და განაგრძობს: „ყველა გადაარჩინე მშვიდობიანად, ერთი ხმით, ვისაც რა მისცე გასაზდელი და დასარჩენი, ყველას შეახვდერე რიბონაშელყოლამ (გამჩენო-პატრონო ქვეყნისაო) დღე ბედნიერი და მთვარე მშვენიერი, მოაბძანე გამჩენო მაშიახ-ბენ-დავითი დამხსნელი ისრაელისა და მოგვასწარი თიხიათ ამეთიმს ამისო ზეხუთო (ცომზე ადებს ხელს) მოგვიხსენიე, მადლები მამებისა და პაპებისა, დაგვამადლიანე ყველაკანაი ხას (წმინდა) იერუშალიმს შენ საქებლათ და სადიდებლათ, ნუ გაგვიწყობ გამჩენო შენ საყვარელ ისრაელის შვილ; ნურსად პურსა საქმელათ, და წყალსა სასმელათ, თუ რამე ხალა დემებათლებინოს, მაპატივე და გამამიტანიე ამ ხალაში მე და ჩემი ქალი და რძალიც გამჩენო ხალაბერა-ხისაო“.

ამ სიტყვებით ცომზე ხუთ ალაგას პატარებს მოწყვეტს, შეაერთებს მათ (კვერცხის ოდენა უნდა იქნეს სულ მცირე) და სამჯერ წაღმა შემოავლებს კურთხევით, – მოზელილ ცომზე, რის შემდეგ შემოვლებულ კვერცხის მსგავს ხალას მშობიარეს ორივე ხელში გამოავლებს და გალუებულ ცეცხლში, პირდაპირ ღადარში ჩააგდებს, რომ სწრაფად დაიწვას, მოზელილ ცომს კი სუფთად გადაფარებულს თბილ ადგილზე დადგამს, რომ კარგად გაფუჭდეს.

მშობიარეს „მუხლში ჩადგომის“ შემდეგ კარს მაგრამ მიხურავენ, და როდესაც ბავშვი დაიბადება, სანამ ბავშვის ამხანაგიც (ბუდე) ანუ მომყოლი, არ გამოჰყვება და ქალი მთლიანად არ განთავისუფლდება, მანამ კარი არ გაიღება, შემდეგ გაიღება კარი, მაგრამ სანამ ყველა იქ მყოფი არ დაკბილავს რამეს, არავის გაუშვებენ; დაუკბილავი რომ ვინმე გავიდეს, ბავშვს სიმსუყე არ ექნებაო.

შეიქნება მილოცვა და შემახილები – „ფეხ-ბედნიერი, მაზალი-ანი, დოვლათიანი, ასლახიანი, ამენ იეირასონ; ვისაც ქყავსე გეგეზარ-დავე და დაგირჩავე შინ და გარეთ, ვისაც გენატრებავე, მეგესწროვე, ამენ“.

მელოგინეს სუფთად მოვლილს, მოასვენებენ და თუ მოსახერ-ხებელია აღარავის შეუშვებენ მასთან ოთახში, გარდა მცველისა, ხოლო არავითარ შემთხვევაში მარტო არ მიატოვებენ ორმოცამდე, არც სანთელს დააქრობენ მელოგინეს ოთახში.

მშობიარობის დროს ნახმარი ლოგინი და სხვა აუცილებლად მდინარე წყალში უნდა გაივლოს, რომ უწმინდურობა წყალმა წა-იღოს. მელოგინესათვის ცალკეა გადადებული ყოველივე საჭმელ-სას-მელის ჭურჭელი, რომელიც ცალკე უნდა ირეცხებოდეს. მელოგინეს ორმოცი დღის განმავლობაში ქმარი ახლოს არ უნდა მიეკაროს, მის ახლოსაც არ უნდა გაიაროს, რადგანაც ორმოცამდი ქალი უწმინდუ-რად ითვლება. მელოგინე სულ მცირე რვიდან ათდღემდე არ უნდა წამოდგეს, თუ ვაჟი ეყოლა მილის დღეს (ნათვლისათვის) ლოგინზე წამოჯდება, ხალხში არ გაერევა და არც მამაკაცებს დაენახვება. ქალები კი თვითონ შევლენ და მიულოცავენ. მელოგინეს თავით ბალიშის ქვეშ დაუწყობენ: შავტარიან დანას, რომ ავმა ანგელოზმა არ გალახოს, ავგაროზს, რომელშიაც გახვეულია ნახშირი, პილპილი და ნიორი, გამოკერილი სამკუთხად შავ ნაჭერში; თორა გაშლილი, რათა თო-რის მადლმა ააშოროს ავადმყოფობა; ხოლო მისი ოთახის შესასვ-ლელ კარზე ჩამოკიდებულია განვრეტილი ქვა (ზოროტი თვალი მას შეხედავს) და ცხენის ნალი, რომ ოთახში მცხოვრები გამარჯვებული იქნეს.

ნ ა თ ვ ლ ა

ვაჟი უნდა მოინათლოს მერვე დღეზე, თუ ბავშვი ჯანმრთელია. ნ ა თ ლ ო ბ ი ს წინა დღეს ბავშვის მამა და ნათლია (სანდაკი) ერ-თად მიდიან დასაბანად. ნათლიას ოჯახი უგზავნის გაწყობილ სინს, რომელზედაც ალაგია: ცხრა წყვილი სანთელი, ორი ჭრელი თავ-საფარი, ს ა ს ი ს ხ ა რ ი (მონათლულის გასახვევი) სუფთა თეთრი ქსო-ვილი. ს ა მ ი ლ ო (ს ა ნ ა თ ლ ო) პერანგი და წინდები; პერანგი და წინ-დები უნდა დაჭრას გულმთელმა ქალმა, ე. ი. ისეთმა, რომელსაც შვი-ლი არ დ ა კ ლ ე ბ ი ა. უნდა დ ა ი ჭ რ ა ს და შეიკეროს შუადღემდე, რომ ამომავალი მზე წყალობდეს მოსანათლავს. ყველა კუთხე-მეზო-ბელმა თითო-ოროლა ნემსი უნდა ამოუყაროს მადლისთვის, ვინც სა-შილო პერანგს ნემსს ამოუყრის, ან რამდენ ნემსსაც ამოუყრის, იმ-დენი წლის ცოდვა შეენდობა. კერვის დროს – ფეხზე უნდა იდგენ,

რომ არ დამძიმდეს მოსანათლავის „მ ა ზ ა ლ ი“ (ზ ე დ ი). შემდეგ სინზე უნდა დაიწყოს: ყინული-შაქარი, მიხაკი, რამდენიმე ფუანი ნამცხვა-რი, ერთი დიდი ლეკები, სუფთა ბამბა, საუკეთესო შინაური შავი მაგარი ღვინო ბანგისათვის და სხვა. ნათლია უგზავნის აგრეთვე ძღვენს ცოცხალი ფრინველებით (რამოდენიმე ბატი, ინდაური და ქათამი), ხშირად ნათლობის საყოფი შინაური ღვინითაც; ნათლია უგზავნის საჩუქრად: ნათლიდედას კარგ საკაბეს, ერთი ხელი თავი-დან ფეხამდე ყველანაირ ჩასაცმელს (ხშირად ნათლიას მდიდარს ეძე-ბენ). ნათლიმამასაც უგზავნის იმავე თავიდან ფეხამდე ჩასაცმელს და აგრეთვე იმ ოჯახში მყოფო ყველას თითო-ოროლა თავ რაიმე სა-ჩუქარს – ტანზე ჩასაცმელს, ვის ფეხსაცმელს, ვის ჩულქს, ვის პერანგს და სხვა.

უფრო ხშირად პირველი ვაჟის ნათლია დედის მამა (ბაბუა) არის, თუ ცოცხალია, თუ არა ქალის უფროსი ძმა. მეორე ვაჟის ნა-თლია კი მამის მამა (ბაბუა) უნდა გახდეს აუცილებლად, თუ ცო-ცხალია.

და ბ ა ნ გ ვ ა

ნათლობის წინა საღამოს შეიკრიბებიან ახლობელი ქალები, ემზადებიან დილისათვის, ახლობელი ყველა თავის სახლიდან მიიტანს თითო-ოროლა აბრეშუმის ბაღდადს.

მოწვეულია მოხუცი გამოცდილი ქალი, რომელიც გააწყობს სანათლო ბალიშს (ქისი-ელაიუ), აიღებენ საშუალო ზომის ღინდლის ბალიშს, სამ კუთხეს თავებით მიაკერებენ, რომ ზედ ბავშვი სარ-ტყელით დააკრან, შემდეგ სუფთად თეთრს შემოაკერებენ და მზად არის. გადააფარებენ აბრეშუმის ბაღდადებს. მოწყობილია თავსა-კრავი თხელი აბრეშუმის ქსოვილით და ბამბით შეკერილი. ყველა შემომსვლელი ქალი აიღებს ბაღდადს, ისევ გადააფარებს გაწყობილ ბალიშზე, დალოცავს მოსანათლავსა და მის მშობლებს. გააწყობენ სინს, რომელზედაც აწყვია: ყინული შაქარი, ცხრა ჭიქა, მათში ერთი უფრო მაღალი, ვერცხლის თასი, ცხრა წყვილი სანთელი, რომ ცხრა ზეციურმა მნათობმა შეინახოს მოსანათლავი და ააშოროს მას ცუდი, ერთი ჭიქით ძმარი, ერთი ვერცხლის თასი მიხაკით სავსე, რომ სურ-ნელება არ მოაკლდეს მოსანათლავს; ერთი ზედმიწევნით სუფთად შეხვეული წმინდა ბამბა, ღვინო დოქით და სხვა.

ბანგის ღამეს ძალიან უფრთხილდებიან, რომ ბავშვს „მ ო ნ ა-ხ დ ო მ ი“ არ მოხვდეს, რადგან ბავშვი გრძნობსო, რომ „ომში“ მი-დის და ამიტომ ჭინჭყლობს; თუ წვიმიანი ამინდია, შემსვლელი ვინც არ უნდა იყოს, ჯერ ცეცხლს უნდა მოეწვლოს და შემდეგ შევიდეს შინ,

თორემ წვიმიან ამინდში რაიმე ცუდი ანგელოზი დასდევს ადამიანს. იმავე ღამეს პატარას მოილხენენ და ადრე დაიშლებიან, დილით კი გათენებამდე თავს იყრიან მოწვეული ქალები; ნათლიას ცოლი ან დედა ადრიან მიდის, ზოგჯერ კი მოსანათლავეთან ბანგის ღამეს რჩება მცველად, რომ ბავშვი არაფერმა დააზარალოს. დილით ბავშვს დაბანენ; წყალს ნათლიას ცოლი უსხამს, თან შიგ წყალში ბანვის დროს აბნევს ვერცხლის ფულს, რომელსაც ბებია ქალი აიღებს საჩუქრად. ბავშვის დაბანის დროს ისმის ლოცვა-კურთხევა, ხვეწნა-ვედრება ღმერთის წინაშე. წინა სადამოს დიდი ამბით და ცერემონიით სუფთად დანაყული ყინული-შაქრით კეთდება და შეზავდება შავი ძველი ტკბილი ღვინით, ეს არის ბანგი.

დაბანილ ბავშვს ჩააცმევენ ნათლიას გამოგზავნილ პერანგს და წინდებს, ყველა იქ დამსწრე ქალი გახდის და ჩააცმევს წინდას ლოცვა-კურთხევით, თავზე შემიაკრავენ მორთულ თავსაკრავს, ბავშვს წელზე სარტყელით ზედ ბალიშზე დააკრავენ და ზედვე აბრეშუმის ბაღდადებს გადააფარებენ. ყველა შემომსვლელი ქალი აიღებს და ისევ გადააფარებს ბაღდადს ლოცვა-კურთხევით.

როდესაც მზად არის ყველაფერი, ბავშვს ბანგავენ: სუფთა ბამბით აწვეთებენ, ანუ ვერცხლის კოვზით ჩასხამენ პირში გამზადებულ ბანგს. ყველა დამსწრეთაგანმა უნდა მიაწოდოს მოსანათლავე ბავშვს ბანგი რიგ-რიგობით. როდესაც ბავშვი უკვე დაბანგულია, უფროსი ქალი (ბანგის შემზავებელი და მოსანათლავის მომვლელი) აიღებს ღვინით სავსე ჭიქას, აკურთხევს ღვინოს, მიხაკს და ლეკვებს; ყველა იქ დამსწრე მოსვამს ცოტ-ცოტა ღვინოს, ყველას ჩამოურიგებენ ცოტა მიხაკს და წვრილად დაჭრილ ლეკვებს, რომელსაც შესჭამენ, მიხაკს კი უსუნებენ. შაქრის-ყინულსაც გაკვნეტენ; უსურვებენ ბავშვს: ღვინოს სიძლიერეს, ლეკვების სიმსუყეს, ყინულ-შაქრის სიტკბოს და მიხაკის სურნელებას, თუ ბინაზეა ნათვლა, იქვე მოვა არა ნაკლები მინიანი (ათი სრულ წლოვანი მამაკაცი) მამაკაცისა, მათ შორის: ნათლია, ბავშვის მამა, „მოელი“ (სპეციალისტი წინადამცვეთი) და სხვა. უფრო ხშირად სალოცავში ნათლავენ ბავშვს. ნათლია სისიტ-თეფილინში გახვეულ ბავშვს მიიღებს და ჩაისვამს კალთაში, რაც დიდი, ხმამაღალი ლოცვა-შემახილებით ხდება. მოელი ბავშვს მაღლა ხელში რამდენიმეჯერ ასწევს „ეიშალომის“ ძახილით და დამსწრეთა გალობით, ყველა ფეხზე დგას. ქალები მეორე ოთახში ან საქალებოში არიან; აკურთხევენ მოსანათლავე ბავშვს. ხმამაღლა გალობისა და კურთხევის შემდეგ მოელი (მომნათლავი სპეციალისტი) აიღებს სპეციალურ მჭრელ სამართებელს და ვაჟის სასქესო ორგანოზე წინა

კანს მოათლის, რის შემდეგ ფრჩხილით ფრთხილად გადმოწევს, ვაჟი მონათლულია. შემდეგ მოელი აიღებს ჭიქით მაგარ ღვინის ძმარს, პირში ჩაიგუბებს და ზედ შეასხურებს მოჭრილ ადგილზე, სუფთად შეუხვევს წამლებით და ზამბით, ბავშვს ისევ სძინავს, ზოგჯერ კიდევ გაიღვიძებს, დაცვეთის დროს და მორთავს ტირილს. ბავშვი ისევ ნათლიას კალთაშია თავით დაბლა, რომ სისხლი არ წამოუვიდეს ჭრილობიდან. ხახამი აიღებს დიდი ჭიქით ღვინოს და აკურთხევს, შემდეგ ჯერ თვითონ მოსვამს ჭიქის ერთ მეოთხედს, მერე ნათლიას მიაწოდებს, ნათლიაც ცოტას მოსვამს, ბავშვის მამას გადასცემს, ისიც მოსვამს და სხვებს რიგ-რიგობით უფროსიდან უმცროსამდე ჩამო-ურიგებენ. ხახამი მერე მიხაკს აკურთხევს, იმასაც ჯერ თვითონ უსუნებს (უყნოსავს) და როგორც ღვინოს, ისე რიგ-რიგობით ყველას ჩამოურიგებენ. თითო ცალი მიხაკის ნაყოფი რომ შეხედეს თითოს, – ჯიბეში შეინახავს და გზაზე გამვლელ-გამომვლელს მიაწოდებს – „დამადლიანდი, ნამილევია“; ასევე ყინულ-შაქარსაც.

ნათლია ბავშვს ფრთხილად დედას ჩააბარებს. როდესაც დედამ მოსანათლავად გადასცა შვილი, დაუბარა, – როგორც შვიდობით გაბარებ ჩემ შვილს, ისევ შვიდობით დამიბრუნეო. როდესაც ნათლია უკანვე ჩააბარებს დედას მონათლულ შვილს, ეტყვის: შენ ჩამაბარე მოუნათლავი შვილი, მე კი დაგიბრუნე შვიდობით, აბრაამ-აბინუს (მამა აბრაამის) წესით მონათლული და ხასი ისრაელი; მოუარე, გაზარდე, ასწავლე თორა, მიცვა მაყასიმტობი, რომ იქნეს ნამდვილი ისრაელი, ვითარცა მამები ჩვენი, აბრაამ, ისხაკ და იაყაკობი, მოშე, არონ, დავით და შელომო, ჩააგონე შენ შვილს არ უარჰყოს რჯული ხასი ისრაელისა, ამის ფეხზე მოგცეთ ღმერთმა სარჩო უკლისი, ფარნასა (საზრდოება) უკლები, შეურცხვენელი, სხვისი დაუყვედრებელი, შვიდობა თემსა და ქვეყანაში, ტერსა და მოყვარეში, შინ და გარეთ; ტანის სიმთელით და გულის სიმხიარულით ზარდე, სიამის ორმოცი ამოათიე, დაგირჩა და დაგიბერდა ძველიცა და ახალიც“.

ახლად მონათლულ ბავშვს თავი ისევ დაბალზე აქვს, რომ სისხლი არ წამოუვიდეს ჭრილობიდან, მოელი-მომნათლავი კარგა ხანს არ მოშორდება, მალ-მალ დახედავს.

ბავშვის მონათვლის შემდეგ იქვე სუფრა გაიშლება და იქ დამსწრე მამაკაცები „სეყუდას“ (მილის სუფრა) დაესწრებიან, აუცილებლად ხორცეულით და ღვინით, მოილხენენ ცოტა ხანს, დალოცავენ ნამილევს, მის მშობლებს, სანდაკს (ნათლიას); ძალიან დიდ და კარგ საქმედ სთვლიან ნათლობას, იმ რწმენით, რომ ნათლიას ეპატიება ერთი წლის ცოდვა, ლოცავენ ჯამაათს. მასპინძელი ყველა სტუმარს

აუცილებლად ნამილევს (ნათლობისათვის დამზადებულს) გაატანს, რომ შინ თავისიანები დაამადლიანოს ნამილევს ჭამაზე.

ანდაზაა: „ნამილევი ძვალი რომ ნახო, უნდა აიღო და გაკვნიტო, რომ ცოდვები შეგენდოს“.

ბავშვის დაბანგვასა და მორთვაში უფრო ხნიერი ქალები იღებენ მონაწილეობას; ახალგაზრდა ქალები-კი, მოწვეულნი და ძვირფასად მორთულნი, სრულ შუადღეზე იკრიბებიან და დიდხანს მზიარულად შეექცევიან თეთრეულით, ნაჭაპურებით, ტკბილი ნამცხვრებით და ტკბილი სასმელებით გაწყობილ სუფრას.

ბავშვს თუ ჰყავს უფროსი და-ძმანი, თუ არა და ახლობელი ნათესავების ბავშვები გოგო-ბიჭი დღიდან ბავშვის დაბადებისა მილის (ნათლობის) დღემდე აგროვებენ ხურდა ფულს, კოჭ-კაკალს, თხილს, ქიშმიშ-ლაზლაზს და კამფეტს. როგორც კი მილა გათავდება, გადადგებიან აივანზე, ზევიდან მოფანტავენ და ჟივილ-ხივილით გადაუყრიან დაბლა ეზოში, ან ქუჩის პირად მომლოდინე ბავშვებს, რომელნიც სიმხიარულით აგროვებენ ზევიდან გადაყრილ კაკლეულობას.

დილით რომ მილის ცერემონია მორჩება, იწყება ქალების წვეულება, ღამით კი ვახშამი გაიმართება, ვახშამი – ხორცეულით, ხშირად დილაშდღე და უფრო მეტ ხანსაც გასტანს ღვინი. რაც კი ნამილევი ულუფა მორჩა, კუთხმეზობლებში და, თუ ახლობელი მილას ვერ დაესწრო, ყველას ოჯახში გაგზავნიან. ქვრივსა და ობლებს დაურიგებენ, აჭმევენ და ასმევენ დაუზოგავად.

ნამილევ ბავშვს სანამ ჭრილობა არ მოუშუშდება, ყოველდღე უკლებლივ რამდენიმეჯერ დახედავს მოელი და უვლის, როგორც საჭიროა.

ვაჟის დედა ორმოცი დღის შემდეგ თავისუფალია, დაიბანს, დაიცვლის, რაც ლოგინობისას ეცვა ცალკე შეინახავს, – ყველაფერს შინ გარეცხილს და მდინარეში გავლებულს. დაბანილი დაიჭრის ხელფეხზე ფრჩხილებს ღრმად. ერთგული ქალი (დედა ან დედამთილი) გადაავლებს წყალს და თუ ახლო აბანოა, აბანოში წაყვებიან; აბანოდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც დაღამდება, ისევე ერთგულ ქალს ის მიკვეში მიჰყავს. „მიკვე“ აუზია მოგროვილი წვიმის წყალით, რომელსაც ათბობენ. ერთსა და იმავე აუზში რამდენიმე ხნის განმავლობაში, ზოგჯერ თვეობითაც, სანამ არ მოვა დიდი წვიმა წყალი არ გამოიცვლება. მასში ჩადის გასავლებლად ყველა მორწმუნე ისრაელის ქალი ყოველ თვიურის შემდეგ, უნდა ჩავიდეს წყალში ისე, რომ თმაც გაშლილი ჰქონდეს, თვალებიც ღია, არც ყურები დაიცვას, ხელზე ბეჭედი, ან ყურში საყურე არ დარჩეს, თორემ ხელახლა

უნდა ჩავიდეს წყალში. ამრიგად სამჯერ ზედიზედ უნდა დაიმალოს წყალში; მას ზევდან დასცქერიან, ხომ მთლად დაიფარა, სამი ასეთი პროცედურის შემდეგ, მაყურებელი ქალი სამჯერ მიაძახებს: – „ქაშერ, ქაშერ, ქაშერ (ალაღია)“, სანამ წყლიდან ამოვიდოდეს. იქვე თავზე ხელებს დაიფარებს და იტყვის თორულად ლოცვას; ამოვა წყლიდან ფრთხილად, რომ შიგ ჩასასვლელად გამზადებული – სხვა ქალის სხე-
ულის არცერთი ნაწილი, ან ხელი, ან ფეხი, ან თმა მას არ მიე-
კაროს და შეუმშრალებლად იცვამს; ჩაცმულ-დაბურული სახედა-
მალული ხშირად თავშალ-მოხურული გამოდის სალოცავის ეზოში. მიესალმება სალოცავის კედლებს კოცნით, ლოცვით, ეხვეწება ღმერთს, ავედრებს თემსა და ქვეყანას, მტერსა და მოყვარეს, ქმარსა და შვილს, შინაურსა და გარეულს და მოდის სახლში. თუ მას გზაში პირ-
ველად რაიმე პირუტყვი შეხვდა (კატა ან ძაღლი, ან ღორი) უნდა აუცილებლად უკანვე გაბრუნდეს და ხელახლა მიკვებში გაველოს, ხოლო თუ მამაკაცი შეხვდა პირველად გზაში, კარგი ნიშანია; თუ მახინჯი ვინმე შეხვდა, არ ვარგა, იმ რწმენით, რომ მახინჯი შვილი გაუჩნდება. ამ შემთხვევაშიც უკანვე ტებილაში დაბრუნდება, რომ ხელახლა გაველოს.

მეორე დილით (თუ ამ დღეს „სეფერ თორა აბრძანდება“ ე. ი. ორშაბათი, ხუთშაბათ და შაბათ-უქმე დღეებში, ან ახალი მთვარის „როშხოდემის“ პირველ და მეორე დღეს გამოასვენენ სეფერს), მი-
კვებში გავლებული ქალი (ნატებილევი) სალოცავში საქალებოში მი-
დის და იქ ესწრება თორის გამოსვენების ცერემონიას, ხნიერი ქალები მას ლოცვა-კურთხევით შეხვდებიან და გაისტუმრებენ. სა-
ლოცავიდან პირდაპირ მივა ერთგული დედ-მამიანი ბედნიერის ოჯახ-
ში, რომელსაც შვილი არ აკლია. მანდილში ან თავშალში გახვე-
ული მიდის სალოცავში და ისევ ბრუნდება; მას შეხვდებიან პურ-
ღვინით, გაუწყობენ სუფრას, რომელზედაც დაალაგებენ შინაურ ღვი-
ნოს, ფუან ნამცხვარს, ნიგოზს, ტკბილეულობას და სხვას. პირველად ღვინოს მიაწოდებენ, რომ ღვინოსავით ძლიერი იქნეს შვილ-მამავალში, მეორეთ ფუან ნამცხვარს შუაზე გასტეხენ და მიაწოდებენ, რომ გა-
ფუვდეს ფუანი პურივით მისი მოდგმა, მერე ნიგოზს პირში მის-
ცემენ, რომ ნიგოზივით მსუყე იქნეს მისი ძუძუ-მკერდი, შემდეგ ტკბილს მიაწოდებენ, რომ ტკბილად და უტკივრად ზარდოს შვილი.

რძალი რომ დალოგინდება თავის დედის ოჯახში, დედამთილი მეორე დღესვე საუზმეს გაუგზავნის ფაფით და თეთრეულით (რძე, ნაღები, ახალი ყველი და სხვა); შემდეგ-კი ერთი კვირის განმავ-
ლობაში ყოველდღე მელოგინეს კეთილ-საყოლი უგზავნის მო-
საკითხს, სანახავად მოსული ქალები ახლად დაბადებულს ვერცხლისა

და ოქროს ფულს აჩუქებენ, ასე რომ დედას ბავშვის ცალკე სალარო შეეძენება, რომელსაც არ შეეხება, არც მოუკლებს გარდა იშვიათი შემთხვევისა, პირიქით, თვითონაც მიუმატებს ხოლმე და ბავშვის სახელზე ფული გროვდება.

რძალს თუ ვაჟი დაებადა, დედამთილი ღამით არ დატოვებს, რომ მონახდომი არ მოხვდეს დედა-შვილს. დღე და ღამე განუწყვეტლივ სანთელი უნდა ენთოს იმ ოთახში, სადაც მელოგინეა რვა დღის განმავლობაში რათა ანგელოზმა არ დააზარალოს დედა-შვილი. თუ ქალიშვილი დაებადა, ქალიშვილი ხმანაკლებია, იმდენი პატივი არა აქვს დედას, როგორც ვაჟის დაბადებაზე.

ამრიგად გაისტუმრებენ რა ქალის მშობლები ყველა ხარჯს ლოგინობასთან დაკავშირებულს, ო რ მ ო ც ს თავის სახლში ამოათე-ვინებენ. გაუმზადებს ერთ ხელს საუკეთესო ტანსაცმელს და ფეხსაცმელს, ბავშვის საჭირო შესამოსელს, აკვნიდან უბრალო ჩვრამდე, ერთ კარგ გვარიან ვახშამსაც გამართავს და თავისიანებს აჩვენებს სათითაოდ, რა რიგ ისტუმრებს ქალიშვილს, წაღმა დააბრუნებს და იმ დროს გაისტუმრებს თავის ოჯახში, სანამ მზე ჩავიდოდეს, რათა მზის ჩასვლის შემდეგ უწლოვანი ბავშვი, მით უფრო ვაჟი, გარეთ არ გაიყვანება. სანამ ქალიშვილს „თავნითა და სარგებლით“ გაისტუმრებდენ, მანამ სალოცავშიც წაიყვანენ; საქალებოდან უყურებს ქალი, თუ როგორ ასწიეს მაღლა ტრაპეზზე (თეზაზე) სეფერი, მოხუცი ქალები ასწავლიან, თუ როგორ შეეხვეწოს სეფერ-თორას, თუ რა სთხოვოს, ან რა დროს რა უნდა სთქვას და ნალოგინევიც იმეორებს მათ ნაკარნახევს.

სეფერს რომ შეასვენებენ („შეაბძანებენ“), ვინც წაჰყვა ნალოგინევეს სალოცავში, ისევე გამოაცილებს, სალოცავის გამოსასვლელ კართან სამჯერ წაღმა შემოატრიალებს, სალოცავის კედლებს აკონინებს და გაისტუმრებს. ნალოგინევი სალოცავიდან პირდაპირ ბედნიერსა და ერთგულ ოჯახში შევა.

ქალი დაუბრუნდება თავის ოჯახს და შეუდგება ჩვეულებრივ ცხოვრებას. შემდეგი შვილების ლოგინობას თავის ოჯახში მოაწყობს.

მუცლის მოშლა

ძალიან დიდ ცოდვად ითვლება მუცლის მოშლა. რამდენსაც ქალი მუცელს მოიშლის, იმდენი ცოცხალი და გაზრდილი შვილის სიკვდილი მოელის თავის სიცოცხლეში, ხოლო იმ სოფელს (იმ ყოლამ) ყველა „მოვნებული“ მუცლის სულები დაეხვევიან, შეაწუხებენ, მოსვენებას არ მისცემენ, თუ რად არ მოგვეცი საშუალება ვყოფი

ლიყავით ჩვენც ადამიანები და გამრავლებულიყო ჩვენგან ქვეყანაო. ამ შიშითა და რწმენით ისრაელის ქალი მუცელს არ მოიშლის ხელოვნურად, ის მრავალშვილიანდება და დადედაკაცდება.

ჯალაბის დაყოფა

მოხუცი დედა ჩვეულებრივ დაჰყოფს ყველა შვილს, ნაჯალაბარ ყველა წვრილმანს ჩამოურიგებს მათ. რომ არც ერთს გული არ დააკლდეს, ახლო-მახლო დაასახლებს ყველას, რომ შორს არსად ეყოლოს, ზოგჯერ ოთახებს მიაშენებენ და ცალკე იჯრას გაიხდიან, ან და მახლობლად უყიდის ორ-ორ ძმას ერთად, თვითონ კი თავის სამკვდრო-სასიცოცხლო კერიას არ მოშორდება, უფროს ან უმცროს შვილთან რჩება; მშობლებს გადადებული აქვთ „საუფროსო და საუნცროსო“.

უფროსის როლი ჯალაბში

დაყოფილ შვილებს დედა ისევე ყურადღებით ექცევა, როგორც დაყოფამდე; ყველას ოჯახს ის განაგებს, ის სელმღვანელობს, ის უფროსობს, უმისოდ „კვერი არ გატყდება“ და „წიწილი არ გაიქყლიტება“ – ყველას დედამ უნდა გადაავლოს თვალი და გაანაწილოს ისევე, როგორც ჯალაბად ყოფნისას; სალოცავიდან დაბრუნებისას პირველად დედას მიაკითხავენ და მას მიესალმებიან ხელზე კოცნით.

ოჯახში რაც კი რამე გამოუჩნდებათ, პირველი და საუკეთესო ნაწილი დედისაა. თუ რაიმე საჭიროება ექნებათ დახმარებისთვის დედას მიმართავენ, თავშენახულ დედას მუდამ რაიმე აქვს მომარაგებული „შავი დღისთვის“ და შვილ-მამავალს ხელს გაუმართავს. დედა ისე გაუმართავს ხელს, რომ „კედლის ყურიც“ ვერ გაიგებს, – შვილი დედას ჩვეულებრივ უტოვებს ფულს, „ნედაბისათვის“. ქალები სალოცავში (საქალებოში) აგროვებენ ფულს, ავადმყოფთათვის დასახმარებლად რომ ჩამოივლიან, ქალებიდან ყველა გაიღებს წვლილს. ობოლის დასახმარებლად ისე საიდუმლოდ შეგროვდება ფული, რომ არც კი იკითხავენ ვისთვის გროვდება.

დედის მოვალეობას შეადგენს ასეთებზე ზრუნვა; თავშენახული დედა გაუგზავნის ობოლს, უპატრონოს, ავადმყოფს, ისე დაეხმარება მათ, რომ შვილებმა და არც რძლებმა არ გაიგონ, ამისათვის დედას ცალკე აქვს გადანახული ტანისამოსი, ფეხსაცმელი, საცვლები, ფული და სხვა.

ერთგული და მორწმუნე დედა თავს დატრიალებს შვილ-მამა-ვალს. ბავშვებს (ვაჟებს) დაუბანგავს, ავადმყოფობის დროს არ მოშორდება, ულოცავს, უბარ წყალსა და წამლეულობას მოუტანს.

ბატონების დროს არ შორდება. მოუბოდიშებს, ითამაშებს, იცეკვებს, იხოხებს (გასაჭირის დროს), „განატებს“ გაუტეხავს, ციხის თავზე გადაულოცავს და ვისაც ჩვეულება აქვს „ორმოცის ფუძეს“ გადაუტანს, ე. ი. როდესაც ქალი ლოგინობიდან ორმოც დღეს ამოათევს, დაიბანს და დაიცვლის, ლოგინის აღების დროს გამოაცხოზონ: გაუფუებელ სამ თავ ნამცხვარს, შემოუსხდებიან მელოგინეს ირგვლივ და ლოგინის ანგელოზებს ეხვეწებიან: „აუშვით და ააყენეთ თქვენი მუხლისა და კალთის ჭირიმე, თქვენი ანგელოზობის ჭირიმე, თავზე შემოივლეთ და დაგვიტევეთ ჩვენი ნაგლახაური ხვთის ნაბოძები, თქვენ საქებათ და სადიდებლათ წამამყევით აი ამ ნამცხვარზე და ამ სანთლებზე, თქვენ ისიამუნეთ, იხაფიფეთ, ჩვენსას არა ეტკინოს რა, არა ეწყინოს რა, არა გაუჭირდეს რა, არა მოუკვდეს რა, წამოზმანდით გამამყევით“. ტაშის კვრითა და წაღმა ტრიალით, ცეკვით, გავა სახლიდან ნაციხვარის გალავანში („მწვანე ყვავილაზე“), დააწყობს ნამცხვრებს, ანთებს სანთლებს, კიდევ შეახვეწებს და დაბრუნდება.

„ორმოცის ფუძის“ გადახდის შემდეგ დაბრუნებული უფროსი დედა ორივე ხელში დოქებით ან თუნგებით სავსე წყალს შემოიტანს სახლში და ნალოგინევს დაუდგამს ოთახში, ეტყვის: „ასე აიძსო შენი უბე-კალთა გასაზდელ-დასარჩენით შვილო“.

ქალს რაკი თვითონ გადაუვარდება „ა ზ ა ტ ი ა“, თავისუფლად დადის სალოცავში, სატირალში, ნათვლაში, სასაფლაოზე (გამოტირილში) და სხვა. თვითონ დროს ქალი არ შეიძლება წავიდეს სალოცავში, სასაფლაოზე და სხვა.

ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი. როდესაც მშობლებს შვილი არ ეზრდება, ან გვიან უჩნდება „ნედერს“ (შეკვეთა) იზამენ.

უშვილო ქალი შეკვეთამს: „ოღონდ ღმერთმა შვილი მამცეს, იერუშალიმ წავალ და თან წავიყვან, როცა ცხრა წლის გახდება, მისი სიგრძის სანთელს ლოცვას შევწირამ; ჩემსას არაფერს ჩავაცემევ, სეფერ-თორას კაბას მივართმევ ვერცხლის კალმით, ჩემ ძუძუს არ ვაჭმევ, მისი თმის წონა ოქროს (ან ვერცხლს) ცხრა წლის, თუ ღმერთმა მამასწრო იერუშალიმში რომ წავიყვან, იქვე დავტყვებ, ცალ ყურში (ვაჟს) საყურეს გავუყრი, ყოველ ორშაბათ და ხუთშაბათ ვიმარხულებ, რამდენიმე წელიწადს (3 – 5); წარუჟანს, გარდა შაბათისა და „მოყედისა“ (უქმისა) „ხორც არ დავკბილამ“ და სხვა.

4. რ. თ ა ვ დ ი დ ი შ ვ ი ლ ი.

ქალი თუ ფეხმძიმედ შეიქნა, ნედერის შეკვეთის შემდეგ რაც კი მათ ჯალაზში მისი ფეხმძიმეობის დროს ხახვი გაიფცქენება, ნაფცქენს ახალ ცხრილზე მოაგროვებენ. შეკვეთილს ყოველივე წვრილმანსაც უკლებლივ ასრულებენ.

დაიბადება თუ არა „სანატრელი“, დედა არ შეხედავს, ბავშვს ახალ უხმარ ცხრილში მოგროვილ ხახვის ფურცელში ჩასვამენ დაუბანელად, ვინმე გარეშეს (არა ახლობელს) მიჰყიდიან სამ შაურათ, იქვე სახელდახელოთ კედელს გაარღვევენ და შიგ ბავშვს ცხრილით ნახვის ფურცლიანად გააძვრენენ, გასაზრდელადაც სხვას გადასცემენ, ხოლო დედას ბავშვის მოჭრილ ჭიპს დაუტოვებენ.

სანატრელი იზრდება სხვის ოჯახში, შეპირებისამებრ დედა არ ნახავს დადებულ ვადამდე, სხვები უზავნიან ბავშვს ჩასაცმელ-დასახურავს, თუ ვაჟია, ცალ გახვრეტილ ყურში ვერცხლის საყურეს გაუყრიან, ცხრა წლამდე თმასაც არ მოაკლებენ.

გახდება ბავშვი ცხრა წლის თუ არა, მას დიდი ქეიფითა და ლხინით გამოისყიდიან; ვინც დაბადებისას იყიდა (ფული დედას ცალკე აქვს შეხვეული და შენახული), მას ზედმეტ ფულს მისცემენ, „ალალს“ ეტყვიან და საკუთარ ფულსაც დაუბრუნებენ. გამოსყიდული ბავშვის შინ მიყვანისას მშობლები იხდიან ლხინს, თანაც ახალ შეკვეთასაც უმატებენ: სანამ მშობლები იცოცხლებენ, ყოველწლიურად გადაუხადონ ვაჟს ნათლობა, არა ნაკლებ „მინიანი“ (ათეული) მამაკაცით.

სანატრელს აუცილებლად უცხო და იშვიათი სახელი უნდა აურჩიონ. ისეთ სახელს გამოძებნიან, რომ ჩვეულებრივიდან გამოირჩეოდეს, ტანზეც გამორჩეულად ჩააცმევენ. ხშირად უკუღმათაც აცმევენ ტანისამოსს, რომ თვალი აღარ ეცეს. მარტოდ არც ერთ წუთს არ ტოვებენ, არც მძინარს და არც მღვიძარს; მუდამ ვინმე ახლავს თან, რომ ავმა ანგელოზმა არ გალახოს, არ დააზარალოს, ან მონახთომი არ მოხვდეს. ყოველდღე დილა-სადამოს დაქირავებული შემოღოცველი ულოცავს „თვალყბისას“, „შეშინებულისას“ და სხვა.

„ს ა ნ ა ტ რ ე ლ ი“ თუ მძიმედ გახდა ავად, აუცილებლად სახელს გამოუცვლიან და ახალ შეკვეთილობას (ნედერს) მისცემენ; მაგალითად, არასოდეს სატირალში არ უნდა წავიდეს, არასოდეს არ დაიწყევლოს, ღარიბი ხელცარიელი არ გაისტუმროს და სხვა.

ავათმყოფს თავს ევლებიან. თავით ფეხამდე იხსნიან შესაკრავებს (დილებს, ზორტებს და სხვა), ფეხშიშველი სამჯერ შემოუვლიან საწოლს ღმერთის ვედრებით, ოღონდ ავადმყოფი განიკურნოს და ღმერთმა მის მაგივრად შემომვლელის სული ჩაიბაროსო.

შეკვეთავენ „ამსაყას“ (ათი დღით მარხულობას), რასაც გადაუდებლად ასრულებენ და სხვა.

შეპირებისამებრ სანატრელს წაიყვანენ იერუსალიმში, სადაც ბეთამიკდაშის (წმინდა ტაძრის) დანგრეულ კედლებთან ხახამ-თალ-მიდების დასწრებით, წყლით სავსე ჭურჭელზე დააჯენენ და ერთ-გული (ბებია ან დედა) თმას პირველად მოჭრის ლოცვითა და ანთებული სანთლებით ხელში. ახლადმოჭრილ თმას აწონიან და მის წონა ოქროს ან ვერცხლს იქვე დატოვებენ შეწირულებად, თმას კი უკანვე წამოიღებენ.

იერუსალიმში შემოუვლელს არ დატოვებდნენ არც ერთ „წმინდა“ საფლავს, ყველას ევედრებოდნენ, რომ მიცვალებულის სული წარმდგარიყო ღვთის წინაშე და დაეფარა „სანატრელი“ ავი შემოსაყარისა, ავი ნაქნარისა და ავი ნათქვამისაგან.

ზემოხსენებულ საფლავთა მიწაც მოჰქონდათ და ინახავდნენ სამკურნალოდ.

იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ „სანატრელის“ ჭიპს, რომელსაც დედა მზრუნველობით უვლიდა და ინახავდა, თმასა და პირველად მოჭრილ ფრჩხილებს ერთ პარკში გამოკრავდა და ამგვარად ინახებოდა მის თავქვეშ ავგაროზთან; ავგაროზში გამოკერილი იყო: პატარა წალდი და პატარა შავტარიანი დანა, ნალი, პატარა თორა, გახვრეტილი ქვა, „ალის ყური“, ირმის თასმა, გახვრეტილი ქარვა, თეთრი მარჯანი, იერუსალიმის მიწა და სხვა.

წალდსა და დანას დებენ ავი ანგელოზისაგან დასაცავად; თორას – ავადმყოფობისაგან დასაცავად; გახვრეტილ ქვას – ავი თვალი მოხვდეს ქვას და არა სანატრელს; ქარვას – მიმზიდველი იყოს ქარვასავით; თეთრ მარჯანს – მასავით იშვიათი კარგი და ბედნიერი იქნეს ცხოვრებაში; ირმის თასმას – იყოს ირემსავით მალი; „ალის ყურს“ – ყოველმა წყევლამ, სანატრელის მიმართ თქმულმა, რომ ალის ყურში გაიაროს; იერუსალიმის მიწას – რათა სანატრელს არ მიეკაროს არავითარი „უსულო“ და მკბენარი მწერი, როგორც არ ეკარება ამ მიწას; ნალს კი – მუდამ გამარჯვებული დადიოდეს, არავინ დაიჯაბნოს და არც არავინ გაუსწროს წინ.

სეფერ-თორის (ათი მცნების) კაბა უნდა შეიკეროს დაპირებისამებრ: იყდიან ფარჩას, ან ხავერდს, ან აბრეშუმს, დაამზადებენ ნამცხვრებს, ტკბილეულობას, სასმელებს, გააწყობენ სუფრას, მოიწვევენ საგანგებოდ „სეფერ-თორის“ კაბის დამჭრელს, დაუძახებენ კუთხ-მეზობლისა და ნათესავ ქალებს.

შემოსხდებიან ძირს გაფენილ ხალიჩაზე დაწყობილ მუთაქა-ბალიშებზე, შუაში ზის გამომჭრელი, რომელიც ჭრის კაბას ლოცვით, წინ უდგია ღვინო და ტკბილი ნამცხვარი; დიდ ჭიქას ღვინით გაავსებს, ყველანი ფეხზე წამოდგებიან; გამომჭრელი აკუთრხევს, ევედრება



სურ. 4. ავტარონი.

დმერთს, დაიხსნას სეფერ-თორა გალუთისაგან (ტანჯვისაგან), დაუბრუნოს ისრაელის შვილს დაკარგული იერუშალიმი, მოაბძანოს მაშიახ ბენ-დავითი (მესია), რომ გაცოცხლდეს ყველა მიცვალებული, გაიშალოს იერუსალიმი, რომელიც დაკეცილია ცხრად და რომელმაც უნდა დაიტიოს ქვეყნის ყველა კუთხეში მყოფი ისრაელი და შეერთებულიყმა ისრაელის შვილებმა აქონ და ადიდონ გამჭენი... ამ სიტყვებზე დამსწრენი ერთხმად პასუხობენ: ამენ... იეირასონ... (აღსრუდღეს), თვალებს მაღლა ასწევს, ხელებს ჯერ გულზე დაიკრეფს, მერე მაღლა ააპყრობს; ნაკურთხ ღვინოს ერთ მეოთხედს შესვამს, შემდეგ ყველა დამსწრე ქალმა უნდა მოსვას რიგრიგობით – უფროსიდან უმცროსამდე, შემოუსხდებიან ისევ დაჭრილ კაბას ხალიჩაზე, კაბის დამჭრელი ტკბილ ნამცხვარს გასტეხს, ყველას ჩამოურიგებს ლოცვა-კურთხევით, შემდეგ კაბის დაჭრას შეუდგება. გამზადებულია რამდენიმე ნემსი ძაფით, რომელსაც ჯერ უფროსი ქალები აიღებენ ხელში; დაიწყება ნაწილების შეერთება, რასაც ერთიმეორეს გადასცემენ იმ მიზნით, რომ ყველას ხვდეს წილად „ნემსის ამოყრა“; ამრიგად კაბა შეიკრება.

შეკერილი კაბა, ზავშვის სიგრძე ჩამოსხმული სანთელი, სეფერ-თორის წასაკითხი ვერცხლის კალამი ხელში უჭირავს სანატრელს. შემოეხვევიან შინაურ-გარეულნი და უსურვებენ მას გაზრდას, ულოცავენ ნაყიდობიდან დახსნას, „ნედერიდან“ განთავისუფლებას და სხვა.

ყველა წაღმა ატრიალებს; უსურვებენ: გაზრდა-სიცოცხლეს, ჯანის სისაღეს, ავი ნათქვამის, ავი ნაქნარის, ავი შემოსაყარისა და ავი თვალის ამორებას, ისრაელთა რჯულის „კაიამი“-ს (ცოცხალი) სიყვარულს, თორა-თალმუდის შესწავლას, ბედნიერებას ხელ-ფეხით, მოწინავეობას ტოლსა და ამხანაგებში. შემოუსხდებიან სუფრას და დაიწყებენ სმა-ჭამას.

სეფერ-თორის კაბის დაჭრა ხშირად სამშაბათ დღეს უნდა მოხდეს (სამშაბათი „თელი“ დღეა).

სამშაბათიდან შაბათამდე სანატრელს გაუმზადებენ ახალ ტანსაცმელს თავიდან ფეხამდე და შაბათ დილით მიჰყავთ სალოცავში, აიყვანენ მაღლა თებაზე (ტრაპეზზე). სანატრელს ხელში უჭირავს სამი თავი საჩუქარი – კაბა, კალამი და სანთელი. ხაზანი (მლოცველი) აკურთხევს, ჯამაათი „ამენს“ დაუბრუნებს, ხაზანი ხმამაღლა გამოაცხადებს – ამომავლის შვილმა სალოცავს ესადაეს შემოსწირაო. სანატრელის ახლობელი ქალებიც საქალებოდან მანდილში გახვეულნი უცქერიან მათ.

სანატრელის მამა სალოცავიდან შინ წამოიყვანს ხახამსა და მახლობელ ნათესავ-მეგობრებს, რომელნიც დროს გაატარებენ სიმღერითა და კურთხევით, ლოცვითა და ღვთის ქება-დიდებათ.

ამ შაბათიდან სანატრელმაც უნდა იაროს სალოცავში, არ და-
აკლოს არც ერთი უქმე-დღესასწაული და ილოცოს.


მ თ მ ბ ი ა რ ე ქ ა ლ ი ს ს ა ს მ ე ლ - ს ა ჭ მ ე ლ ი. მემუბური ქალი
განსაკუთრებით ვაჟს უთმობს; ის იკვებება ისეთი სასმელ-საჭმელით,
რაც ბავშვს „საყმაწვილოს“ არ შეჰყრის. სჭამს: უნიგეზოს, უმწა-
როს, უმწვანილოს, უმჟავოს, უმსუქნოს, მოხარშულ ქათამს, მოხარ-
შულ ხოკერა კვახს (არა შემწვარს). მოხარშულ ან შემწვარ ხილს
(არა უმს), უმარილო ყველს, გადაზელილს და ხაჭოს. სჭამს არა
მჭადს, არამედ მისთვის საგანგებოდ ნაცარ-ლადარში გამომცხვარ
კვერს, რომელსაც შემდეგ რეცხავენ და კერიაზე აშრობენ; ასე გა-
მომცხვარი მჭადი არ აწყენს. მთმობიარე ქალი არ სვამს აუდულარ
წყალს, არც ღვინოს – გარდა შავისა, შავ საფერ ღვინოს წყლით
სვამს. გაურბის ცივსა და ძალიან ცხელსაც; არ სჭამს კარტოფილსა
და ბრინჯს, – „გრილია“. ბავშვს ასმევს სახამებელსა და შავ წამალს,
მუცლის ტკივილის დროს თხის ნალველს თავის რძეში გალესილს.

ხ ო ჭ ი ჭ ი და ა კ ვ ა ნ ი. ახალდაბადებულ ბავშვს კარგა ხანს
ხოჭიჭზე აკრავენ, ძუძუს მოსაწოვებლად დედას ლოგინზე აწვდიან;
დედის მოლოგინების შემდეგ ბავშვს აკვანში აწვენენ.

მოიტანენ ბედნიერის ნაწოლ აკვანს, ე. ი. ისეთს, რომელშიაც
ბავშვი არ მომკვდარა და რომელიც ოჯახის უფროსს შენახული აქვს.
ბავშვის ამ აკვანში დაწვენამდე დაუძახებენ ახლობელ-ერთგულებს,
გამოაცხოზენ სამ თავ დიდ ნამცხვარს – ფუანსა და ტკბილს. აკვანზე
თავითა და ფეხით ანთებულ სანთლებს მიაკრავენ, სანთლების ქვეშ
აკვანს მიაკრავენ საფუარს, აკვნის თავით ღრმა საინით დადგამენ
ღოშკაკალს, აკვანზე ჩამოკიდებენ მცველად: პატარა ცულს ან შავ-
ტარიან დანას, „ალის ყურს“, თორას, ცალკე სამკუთხედად გამო-
კრულ პილპილს, ნახშირსა და ნიორს. ყველა ულოცავს აკვანში ჩა-
წოლას, ღოშკაკალს აკვანზე გადააყრიან „ასე გაგვიმრავლდით“, ცომ-
საც – ასე „გაგვიფუვდით“. აკვანზე ჩამოკიდებულია ბავშვის სათამა-
შოები: ქარვა, ირმის თასმა, დავითის ფარი, გახვრეტილი ქვა,
ვერცხლის ფულები და სხვადასხვა სახის ღრიჭილო კაკლები, პატარა
ცოცხი და სხვა.

ბ ა ვ შ ვ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი კ ბ ი ლ ი ს ა მ ო ჭ რ ა. როდესაც დედა
დაუნახავს ბავშვს, რომ პირველი კბილი ამოუჭრია, ჩუმად (არავის
ეტყვის) იქვე პერანგის მარჯვენა ჩაქს ჩაუხვევს და იტყვის: – როგორც
ადვილად მე ეს ჩაქი ჩავხიე, ისე გაუადვილდეს ჩემს შვილს კბილების
ამოჭრაო.

იმ დღესვე მარცვალ სიმიდან მოხარშავს, ნიგვზითა და ხახვით
შეკმაზავს, ბრინჯის ფლავს ქიშმიშით აანელებს, დაპატიჟებს კუთხ-



სურ. 5. „ამულეტის“ (თილისმა) მარჯვენა მხარე.



სურ. 6. მისი მარცხენა მხარე.

მეზობლების ბავშვებს, ყველას ჩამოურიგებს სათითაოდ სიმინდსა და ფლავს, აგრეთვე თხილსა და ტკბილეულობასაც დაურიგებს.

ბავშვები ითამაშებენ, იხტუნავენ, მადლობას გადაიხდიან და დაიშლებიან.

ბ ა ვ შ ვ ი ს ფ ე ხ ი ს „მ ო ჯ რ ა“. თუ ბავშვმა ფეხის ადგმა დაი-
გვიანა, ოჯახში გამოაცხოვენ ერთ დიდ ბორბლის მსგავს ხმადს,
იმოდენა ზომისას, რომ ბავშვი ზედ თავისუფლად მოთავსდეს, ხოლო
შუაში მისი ორივე ფეხი თავისუფლად ჩაეტიოს. გამოაცხოვენ აგრე-
თვე ასეთივე ზომის ხაჭაპურსა და მასას.

დაუძახებენ ბავშვებსა და მეზობელ ერთგულ ქალებს. ბავშვს
ორივე ფეხით ჩააყენებენ ხმიადში, შემოეხვევიან გარს, ტაშს უკრა-
ვენ და ცეკვავენ ბავშვები. ის დედა, რომელსაც შვილი არ აკლია,
არც მუცლით მოვებია, აიღებს წინასწარ მომზადებულ „სათირს“
(პატარა ნაჯახს), დაარტყამს ხმიადს და შუაში მდგომ ბავშვს შეს-
ძახებს:

– მეფეს შემოუთვლიაო, სარი მაგრად დაასეო (სიმჯერ).

ყველა იქ დამსწრეც ერთხმად სამჯერვე გაიმეორებს მის ნათქვამს.

ბავშვები ტაშის კვრით მანამ უვლიან გარშემო, სანამ ყველას
არ ჩამოურიგებენ ხმიადს, ხაჭაპურსა და მასას, რომელიც იქვე უნდა
სჭამონ და იმ ოჯახიდან არსად გაიტანონ; შემდეგ სტუმარ ბავშვებს
ჩამოურიგებენ თხილს, ნუშს, შაქარსა და ტკბილეულობასაც.

ბავშვებს რომ გაისტუმრებენ, უფროსები შემოუსხდებიან სუფ-
რას და მოილხენენ.


გ ა ნ ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა „გ ე თ ი“. გეთის დაწერას უნდა დაეს-
წროს ათი სრულწლოვანი მამაკაცი (მინიანი) და ორივე მხარე, –
ქ ა ლ ი და მამაკაცი.

გეთი უნდა დასწეროს სპეციალისტმა მზის ჩასვლამდე. როდე-
საც დაწერილია გეთი, დამწერი გადასცემს მამაკაცს (ორივე მხარე
ქალი და მამაკაცი მარხულობს), უკანასკნელი მას ხელით დაახვევს.
ქალს ორივე ხელიგული გაშლილი აქვს, მამაკაცი გაშლილ ხელებში
შეხვეულ გეთს ჩაუდებს ზევიდან; ქალი აიღებს და შეხვეულ გეთს
უბეში ჩაიდებს, ათი კაცის თანდასწრებით. ამის შემდეგ ორივე თა-
ვისუფალია: მამაკაცს მაშინვე შეუძლია სხვა ქალი შეირთოს, ხოლო
ქალს ოთხმოცდაათ დღემდე არ შეუძლია გათხოვდეს სხვაზე.

„ხ ა ლ ი ს ა“. ქალი რომ დაქვრივდება, თუ მას შვილი არ გაჩე-
ნია, იგი უნდა გაჰყვეს ცოლად თავის უცოლო მაზლს (თუ ჰყავს).

რა გინდ მცირეწლოვანიც არ უნდა იყოს მაზლი, როგორც კი
წამოიზრდება, თავისი ქერივი რძალი ცოლად უნდა შეირთოს.

თუ არ შეირთო და უარი განაცხადა რომელიმე მხარემ, იმ
შემთხვევაში „ხალისა“ უნდა მისცენ.



სურ. 7. განკარგულება (გეგმა), საქ. იმპერატორის ბუხარის კოლეჯიდან.

უფროსი რაბინის თანდასწრებით ვაჟისთვის უნდა შეიკეროს ცალი ფეხსაცმელი, ზორტებით შესაკრავი, – მარცხენა ფეხის.

„ხალისას“ უნდა დაესწროს დაიანი (სამი კაცი), ერთ-ერთმა მათგანმა ვაჟს ფეხზე უნდა ჩააცვას და შეუკრას ზორტები.

ქვრივი რძალი გახსნის მაზლის ფეხზე ფეხსაცმელის ზორტებს, გახდის ფეხსაცმელს, გვერდზე გადაფურთხებს და ეტყვის სამჯერ: „მეწ იეზარი ლეაკიმ ლეახივ შემ ბეისრაელ“ (რადგანაც არ ისურვე აღგედგინა შენი ძმისთვის სახელი ისრელშიდა).

„ხალისა“ იშვიათად ხდებოდა ხოლმე.

ქო ე ნ ო ბ ი დ ა ნ დ ა ხ ს ნ ა. ქალს რომ პირველად ვაჟი დაება-
დება, სავალდებულოა მისი (ვაჟის) ქოენობიდან დახსნა.

ქოენი – არონა ქოენის ჩამომავალია.

არონა ქოენი მოშე რაბინუს (მოსეს) უფროსი ძმა იყო.

ქოენობა მხოლოდ უფროს ვაჟს ეხება.

ახალი სამი წლის ნერგის ნაყოფი პატრონს არ ეჭმევა; იგი მხოლოდ ქოენმა უნდა სჭამოს კურთხევით; სამი წლის შემდეგ პატ-
რონსაც შეუძლია სჭამოს.

ქოენობიდან დახსნა დიდი ამბით ხდება, მოგროვდებიან ოჯახში ქალები და მამაკაცები, ვინც კი გაიგებს, – დამახებული და დაუმა-
ხებლადაც. მოისწრაფიან, რომ ბერახეებს (კურთხევას) დაესწრონ. ვინც ქოენობის კურთხევას მოისმენს ან ქოენობისათვის დამზა-
დებულს დაკბილავს, ორმოცი თაყანი (მარხულობა) შეენდობა. უამრავი ხალხით გარშემორტყმულ დედას ხელში ვაჟი უჭირავს, ხახამი ეკითხება:

– ეს შვილი შენი პირველია თუ არა?

დედა უპასუხებს: – ჩემი პირველია.

ვაჟის მამა იქვეა, ხელში ვერცხლის ფული უჭირავს, რომელსაც ქოენს გადასცემს, ქოენი მას ეკითხება:

– ეს ფული გირჩენია თუ ეს შვილი?..

მამა უპასუხებს:

– შვილი მირჩენია.

ქოენი აკურთხევს ღვინოს, რომელსაც ჯერ თვითონ მოსვამს, შემდეგ ბავშვის მშობლებს გადასცემს; ღვინოს შემდეგ რიგრიგობით ერთიმეორეს გადასცემენ.

შემდეგ ქოენი იტყვის: ბარუხ ათა აშემ ფიდიონ – აბენ (კურ-
თხეულ ხარ ღმერთო, რომ დაიხსნა ჩემგან შვილი). ყველა დამსწრე ერთხმად მიაძახებს – „ამენ“. შეიქნება ასეთი შემახილები, მილოც-
ვები, დალოცვა და სხვ.

– ღმერთმა დაგიხსნას ყოველი გასაჭირისაგან შინ და გარეთ.



სურ. 8 "ჩაღიბა". საქ. ებრაელთა მუზეუმის კოლექციიდან.

– მოქშორდა ყველაფერი ცოდო-ბრალი, დედამისა და მოდ-გმისა.

– უვალო იყავი ამ სოფელსა და იმ სოფელსაც და სხვ.

მიწვეულნი შემოუსხდებიან წინასწარ გაწყობილ სუფრას, ცალკე მამაკაცები, ცალკე ქალები; მიუწვეველთათვის კი ცალკეა პაწია პარ-კუჭანებით დახვეული ნამცხვარი, რომელსაც ჩამოურიგებენ ყველას, რომ დამადლიანდნენ ნაქოენარზე; ნამცხვარს შინ წაიღებენ.

შინ პაწია ნამცეცხად დაჭრილ ნამცხვარს ყველას ჩამოური-გებენ, ვინც ქოენობას ვერ დაესწრო, იმათაც აწოდებენ დასამადლია-ნებლად.

ქოენი, ხახამი და დამახებული სტუმრები შეუდგებიან ღვინის, რაც ხშირად კარგა ხანს გრძელდება. სუფრაზე პირველყოვლისა ად-ღეგრძელებენ ქოენობიდან ახალ დახსნილს. შემდეგ კი დალევენ იე-რუშალაიმი ალსანიშნავად, რათა დაუბრუნდეს ისრაელის შვილს დაკარგული ხასი – იერუშალაიმი.

მეორე დღეს დარჩენილ სურსათს შუადღემდე უგზავნიან მათ, ვინც ვერ დაესწრო: პატივსაცემ მოყვრებს, ავადმყოფებს და სხვა.

„ს ი ს ი ტ კ ა ტ ა ნ ი“. 6 – 7 წლის ვაჟისთვის სავალდებულოა ტარება სისიტკატანისა, რომელიც მას გადაეცმევა თავზე – პერანგსა და ზედა ჩასაცმელს შუა. სისიტკატანი – შეკერილია სუფთა ქსოვი-ლისაგან, მოგრძო ოთხკუთხედი; ოთხივე კუთხეში თვალი აქვს ამო-ჭრილი და სუფთად ამოხვეული; თვლებში გაყრილია წმინდა შინ-დართული ძაფი, ზედ გამოყვანილი, გამოსკვნილი ნიშნებით. პირველი შემთხვევა – ათი, მეორე – ხუთი, მესამე – ექვსი, მეოთხე – ხუთი. რაც ყველა ერთად ნიშნავს გამჩენის სახელს „ადონაის“. სისიტკატანი ვაჟს იფარავს ყოველი ცუდისაგან. მისი ტარება სავალდებულოა სიკვდილამდე.

თ ე ფ ი ლ ი ნ ი ს და დ ე ბ ა. ცამეტი წლის ვაჟი (რამდენიმე დღე უნდა აკლდეს) სრულწლოვანად ითვლება; მას ისევე ევალება ყოვე-ლივე რელიგიური წესის შესრულება, როგორც ყველა მამაკაცს: ლოცვა-მარხვა, ცოდო-მადლი და სხვა.

აწყობენ ღვინის (შემღების მიხედვით) ხახმებითა და ერთ-გულებით; საუზმეს იხდიან, დილით სალოცავიდან დაბრუნების შემდეგ, როცა პირველად ასწავლიან თეფილინის დადებას. თეფილინი გაკე-თებულია ტყავისაგან; ორი ცალია, ერთი შუბლზე, ხოლო მეორე მარცხენა მკლავზე შემოსაკრავი; უკანასკნელი ჩამოდის ხელის თითე-ბამდე და შემოიხვევა შუა თითზე, რითაც აღინიშნება ღმერთის ქება-დიდება. შემდეგ სადილი ან ვახშამი გადაიხდება ზეიმით.

ამ დღიდან ვაჟი სრულწლოვანია. მან უნდა ილოცოს დღეში სამჯერ, უნდა იმარხულოს და შეასრულოს ყველა რელიგიური წესი: თავშიშველი არ უნდა გაიაროს, შაბათი არ გატეხოს, არ აამსუბუქოს და სხვა. თეფილინის დადება ისევ დიდ საქმედ ითვლება, როგორც ნათლობა (მილა), ქონობიდან დახსნა და ხელის გახსნა (ხელის გახსნაც, თორის სწავლის დასრულება, ისრაელური წესით სავალდებულოა მხოლოდ ვაჟისათვის).

„თ ო რ ა ზ ე დ ა ჯ დ ო მ ა“. თუ ისრაელს უნდა, რომ მისი ვაჟი ხახამი გამოვიდეს, მას მიაბარებს თორის საუკეთესო მცოდნეს – რაბინს (მასწავლებელს).

5 – 6 წლის ვაჟს დასვამენ მერხზე და ასწავლიან თორასა და „წმინდა რჯულს ისრაელისას“.

წინა დღით ოჯახში ამზადებენ ტკბილ ნამცხვარს თაფლით, რომელსაც ზევიდან გამოსახული აქვს „მაგენდავითი“ (დავითის ფარი), ექვსკუთხიანი ვარსკვლავი.

ნამცხვარს დილით ადრე ოჯახის უფროსი ქალი ჩამოურიგებს ოჯახის წევრებს; ის ადგილი, სადაც დავითის ფარია, ბავშვმა უნდა შესჭამოს უკლებლად; ბავშვისათვის მის გადაცემას მთელი ოჯახი ესწრება, ყველა ულოცავს ბავშვს თორაზე მიბარებას და უსურვებენ: „ხელ-გახსნილიც“ მოსწრებოდეს მათ.

იმ დღეს ბავშვის მშობლები (ხშირად ბებია და ბაბუაც) „თაყანიტობენ“ (მარხულობენ); სუფთად დაბანილ ბავშვს ჩააცმევენ ყველაფერ ახალს, ხელში თორას მისცემენ, პირში თაფლს გამოუსვამენ, ჯიბეში სამკუთხედად შეკერილ ავგაროზს ჩაუდებენ, ხელში აძლევენ ხვეულს, რომელშიაც არის თაფლით სავსე ჭიქა, ტკბილი ნამცხვარი, ფუანი გაუტე ავი პური და რამდენიმე ხაჭაპური; მამა გაახვევს ბავშვს სისიტში, აიყვანს ხელში, დედა წაღმა შემოაბრუნებს სამჯერ ქმარშვილს და ლოცვა-კურთხევით ისტუმრებს. მამა, რომელსაც ხელში სანთლები უჭირავს, პირველად მარჯვენა ფეხს გადმოდგამს სახლიდან (ბავშვის სიგრძე თაფლის სანთელი შინ მზადდება დიდ კელაპტრად), კელაპტარი ბავშვმა თვით უნდა აანთოს. გზაზე ყველა ნაცნობი ულოცავს.

ბავშვს რომ მიდრაში მიიყვანენ, შეიქმნება ერთი ჟრიამული და სიმხიარულე. რაბი ბავშვს სისიტს შემოხსნის, მეზუზასთან მიიყვანს მისასალმებლად, მარჯვენა ფეხს შემოადგმევინებს, წაღმა შემოატრიალებს სამჯერ და დალოცავს. თალმიდებიც მიაძახებენ – „ამენ“.

მამა ჩააბარებს რაბის ბავშვს, გახსნის ხვეულს, იღებს ნამცხვარს, ტკბილეულს, ხაჭაპურს და ყველა თალმიდს რომ გაწვდეს, ისე დაჭრის და ჩამოურიგებს.



სურ. შ. „ნაბეტი“
 საქ. ეზრადელთა შტუტგუზის კოლფეკორფამ.

მამა შინ ბრუნდება; მშობლები სადამომდე არ სჭამენ; საღამოზე კი რაბინისა და შინაურების თანდასწრებით კარგად მოილხენენ.

ხ ე ლ ის გ ა ხ ს ნ ა. იწყება თორის სწავლა – „ალეფ-ბეთიდან“ უმაღლეს სწავლამდე, რაც მხოლოდ „რჩეულთათვის“ ე. ი. მდიდართათვის იყო ხელმისაწვდომი; თორადასრულებულს გამოცდიან საგანგებოდ მოწვეული რაბინები. თუ ყმაწვილმა უპასუხა მიცემულ შეკითხვებზე, ღირსია „ხელის გახსნისა“ და მას ენიჭება ხახამის წოდება (ბრძენი). დასრულებული ხახამი რამდენიმე სპეციალობისაა, „ხ ა ზ ა ნ ი“ (მლოცველი), „მ ო ე ლ ი“ (მომნათლავი), „შოხეტი“ (დამკვლელი) და სხვა, ხახამი ჯამაათში დიდი პატივისცემით სარგებლობს, მას უმახიან ყოველი ისრაელის ოჯახში, ყოველ ავკარგზე, შინაური უთანხმოების მოგვარების მიზნით, სათხოვარ-გასათხოვარზე, გაყოფაზე, ნათლობაზე, ერთის სიტყვით უმისოდ არ გადაიჭრება თითქმის არც ერთი საყურადღებო საქმე ოჯახში.

შეუძლებელია რომ ხახამი არ დაესწროს ნიშნობა-ქორწილს, სიკვდილზე, დასაფლავებას და სხვა ასეთ მოვლენებს.

მოკლედ, ხახამი მთავარი ფიგურაა ისრაელის ოჯახში და დიდი ნდობითაც სარგებლობს.

ჭ ა ბ უ კ ო ბ ა. ქუთაისის ისრაელებში ჭაბუკობა მხოლოდ ორ-სამმა გვარმა იცოდა, ესენი იყვნენ: ფიჩხაძეები, ბუზიაშვილები და იაყოზიშვილები. ამ სამი გვარიდანაც ყველას არა, არამედ ნაწილს ჰქონდა შეკვეთილი – ნედერი. ჭაბუკობა შემდეგი სახით ტარდებოდა:

ოჯახში უფროსს ჰქონდა შეკვეთილი, თუ კი მის მოდგმა-ჩამომავალ ვაჟს (არა ქალს) – ვინმე ავად გაუზღებოდა და მოურჩებოდა, მისი სანაცვლო მამალი, ან მოზრდილი ყვინჩილი, შემოეველო თავზე. წინათ მოზვერსაც კი ივლებდნენ თავზე.

მოზვერს შემოავლებდნენ სამჯერ მას, ვისთვისაც ჭაბუკობა ეწყობოდა, მოზვერს ორივე რქის ადგილზე ანთებული სანთლები ჰქონდა მიკრული. მოზვერის თავზე შემოვლებისას ამბობდნენ; „თავი-თავის სანაცვლოდ, ხელი-ხელისთვის, ფეხი-ფეხისთვის, თვალი-თვალისთვის, ყური-ყურისთვის“ და სხვა. სწეულის ყველა ნაწილს ჩამოთვლიდნენ.

მოზვერის შემოვლებას ესწრებოდნენ ახლო ნათესავნი და ერთგულნი, ყველა იღებდა მონაწილეობას, ყველას ხელში ანთებული სანთელი ეჭირა, იმეორებდნენ უფროსის ნათქვამ სიტყვებს და თან დასძენდნენ „ამენ“. ზოგჯერ, თუ დიდი ჯალაბი იყო, თავზე შემოვლებულ მოზვერს დაკლავდნენ, ხოლო მეორეს რქებზე ანთებული სანთლებით, გზაჯვარედინზე გაუძღვებოდნენ და გაისტუმრებდნენ.

ზოგ ოჯახში დაკლავდნენ მამალს ან მოზრდილ ყვინჩილს, სუფრაზე მიიტანდნენ რგვალად მოხარშულს და იქვე ერთს დიდი ზომის საჯალაბოდ გამომცხვარ ხაჭაპურსაც. ოჯახის უფროსის მითითებით სუფრას შემოუსხდებოდნენ შინაური მამაკაცები და ვაჟები, შემდეგ უფროსი დაჭრიდა პირველად ხაჭაპურს, რასაც ყველას ჩამოურიგებდნენ, ხაჭაპური იქვე სუფრაზე უნდა შეჭმულიყო. ხაჭაპურის ჭამას რომ მორჩებოდნენ, ყველა ფეხზე წამოდგებოდა, პირს გამოირეცხავდნენ და ისევ სუფრას მიუბრუნდებოდნენ. ოჯახის უფროსი ახლა კი მოხარშულ მამალს დაჭრიდა, ყველას გაუნაწილებდა, როგორც ნაჭაპურს; მამალიც იქვე სუფრაზე უნდა შეჭმულიყო.

როდესაც ჭაბუკობისთვის დაკლულ მამალსა და ხაჭაპურს შესჭამდნენ, ყველანი წამოდგებოდნენ. სუფრაზე სხვა გამომცხვარ ხაჭაპურებსა და ნამცხვრებს მიიტანდნენ, სხვებიც შემოუსხდებოდნენ სუფრას და მოილხენდნენ.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ზემოხსენებული სამი გვარის წარმომადგენლები იერუსალიმში გაგზავნეს იმ დავალებით, რომ მათი გვარისათვის ეხსნათ ნედერი-შეკვეთილობა, ათარის აშვებით. „ათარას“ აშვებას უნდა დასწრებოდა ათი ღვთის მსანური კაცი, რომელთაც ჩამოურიგებდნენ თავზე შემოვლებულ ფულს. ათი კაცი ლოცულობდა იერუსალიმში „წმინდა მამების“ საფლავის ქვაზე, რათა ამომავალი გვარები დახსნილიყვნენ ნედერისაგან და შეკვეთილობისაგან განთავისუფლებულიყვნენ.

ამრიგად ჭაბუკობა უკვე მიატოვეს და აღარ ასრულებდნენ ზემოხსენებულ წესებს.

ისრაელის ოჯახში ყველისა და ხორცის ჭამის შუა განსაზღვრულმა დრომ უნდა გაიაროს, ჭაბუკობის დროს კი ერთად სჭამდნენ: ყველის ჭამის შემდეგ მხოლოდ პირის გამორეცხვით კმაყოფილდებოდნენ.

„იერუსალიმის წასვლა“. მოხუცებულნი ემზადებიან „იერუსალიმისათვის“ (იერუსალიმისათვის). წინასწარ გამოცხადდება, თუ როდის ეპირებიან ცოლქმარი გამგზავრებას; ყოველი კუთხიდან, ვისაც კი მისწვდება ყურში მათი წასვლა, მოდიან, ალოცვინებენ თავს, ატანებენ შეკვეთილებს, იმ მიზნით რომ შესწირონ „ბეთამიკდაშ“ წამსვლელ მოხუცებს, ასაჩუქრებენ ფულით და მით, რაც უფრო გამოადგებათ წასადებად. ემშვიდობებიან, მეხილას (შენდობას) თხოვენ. მოხუცებიც ცოცხლად სტოვებენ ყველას და ყველაფერს იმ რწმენით, რომ მათი ძვლები დამადლიანდება „წმინდა ქვეყანაში“ დამარხვას. ხშირად უფროსი ვაჟი გაყვება მშობლებს, დააბინავენ, უყიდის კებურას (საფლავს), სუდარას, გამოემშვიდობება საუკუნოდ

ცოცხალ მშობლებს და ბრუნდება თავის ოჯახში. მოიტანს დედ-მამის საფლავის მიწას, მათი სუდარის ნაჭერს, ყველა და ძმას ჩამოურიგებს და თვითონ უფროსი ძმა და რძალი გასწევენ მომავალში უფროსობას.

საცხოვრებლად იერუსალიმს წასულმა ქვრივმა ქალმა ან მამაკაცმა იქ უნდა მოძებნოს მეუღლე აუცილებლად. იერუსალიმში სიქვრივე დიდ ცოდვათ ითვლება მოხუცებისათვისაც კი.

იერუსალიმიდან მშობლები შვილებს უგზავნიან მოკითხვის წერილებს, იქაურ უცხო ხილს, რომელიც გზაში არ გაფუჭდება, სხვადასხვა თორას, შვილ-მამავლისთვის საჩუქრებს და სხვა.

ზოგი ისე გაჯიუტდება, რომ რაც გინდა ახალგაზრდა დაქვრივდეს, მეორედ შეუღლებას უარჰყოფს; გულდამწვარი შვილებს უვლის, რომ არავინ დაუჩაგროს; ხშირად ქვრივი ქალი ობოლ შვილებს მამობას უწევს და იტყვის: „რა მინდა იერუშალაიმში, ჩემი შვილები ჩემთვის ცხოვნებაცა და სიხარულიცაო“.

მართალია, მორწმუნე ქვრივს ბარემ კი უნდა ცხოვნება, წმინდა ქვეყანაში – იერუსალიმში რომ გაატაროს თავისი ცხოვრების უკანასკნელი დღენი და იქ გარდაიცვალოს, მაგრამ მეორედ შეუღლება რომ აღარ სწადია, იერუსალიმზედაც უარს ამბობს.

ზოგი მოხუციც იტყვის: „ხიდის ყურშიც რომ მოვიდეს იერუშალაიმი, ჩემ ქუთაისს მაინც არ დავტოვებ და არ წავალო“. ან „იერუშალაიმი რომ რიონში ჩამოვიდეს, მაინც არ წავალო“.



სურ. 10. ივრესალიძე წამსელნი.

2. მიცვალებულის დატირება და დასაფლავება

გარდაცვალების წინ, სანამ ავადმყოფს ლაპარაკი შეუძლია, (თუ მოხუცია) მას გარს ახვევია თავისიანები, მეზობლები და სხვა. მოვა ხახამი, თუ რაიმე „ნედერი“ დარჩა შეუსრულებელი, ალაღს ეტყვიან; თუ რაიმე დასაბარებელი აქვს – დაუბარებს ხახმის თანდასწრებით. ცოლშვილს (ან ქმარშვილს) ხახამი ათქმევინებს „ვიდუის“ (სიკვდილის წინ ლოცვა). მომაკვდავი ლოცავს იქ დამსწრეთ, ღმერთს ევედრება აპატიოს მას შეცოდებანი და მიიღოს მისი სული გაწმენდილი და სპეტაკი.¹

მომაკვდავს ქვედა საცვალი უნდა ეცვას, არ ვარგა ისე სულის ამოსვლა.

თუ ჭლექით კვდება, პირში უმარილო ჭყინტ ყველს ჩაუდებენ, პირზე საცერს გადახურავენ. თუ წვალობს სიკვდილის წინ, სასწორს დაანახებენ, ვინიცობაა თუ წონაში მოიპარა ოდესმე, უნდა მოინანიოს.

მომაკვდავს პირზე გადააფარებენ, ხახამი არ შორდება, სანამ არ გადაიცვლება; როგორც კი გადაიცვლება იქვე ძირს ჭილობზე გადმოასვენებენ, თავით და ფეხით სანთელს დაუნთებენ.

მეზობლები, რაც კი წყალი აქვთ ჭურჭელში, გადააქცევენ, რადგანაც სულის ამღები ხმაღს წყალში გაავლებსო და ამიტომ არ იხმარებოდა შინ ნადგამი წყალიო.

თუ სიცოცხლეში აქვთ შეკერილი სუდარა – უკეთესია, თუ არა, იყიდიან თეთრ ტილოს ან სუფთა ქსოვილს, იქვე მოიწვევენ სუდრის მკერავეებსაც. ოჯახში ნახმარის გამოყენება არ შეიძლება. უნდა იხმარონ ახალი კოჭა ძაფი, ახალი ნემსი, ახალი საპონი, უხმარი ქსოვილი; სუდარის მკერავ ქალებს დაუდგამენ ღვინოსა და სასმელ-საჭმელს; ჯერ სჭამენ, შემდეგ შეუდგებიან კერვას. შეკერავენ ჩასაცმელს, ისე რომ მიცვალებულს ხელფეხი დაუფაროს, პერანგსა და მის ამხანაგს, და თავზე ჩამოსაცმელ ქუდის რამ მსგავსს, რომ პირის სახე არ უჩანდეს, ბოლოს გასახვევ ერთიან დიდ „სამიწურს“,

¹ მომაკვდავ მოხუცებულს მოუყვანენ „სანატრელ“ შვილებს და დაალოცვინებენ.

რომელშიაც მთლიანად გაახვევენ. შეუკერავენ ბალიშის პირსაც, რომელშიაც მიწა ჩაიყრება და მიცვალებულს თავქვემ საფლავში ამოუდებენ. მიცვალებულს თვალებში იერუშალაიმის მიწას ჩააყრიან და ისე შესუდრავენ. დაბანის დროს ნახმარ ქოთნებსა და კოკებს იქვე დაამტვრევენ და გადაჰყრიან.

სუდარი აუცილებელია ყველა მიცვალებულისათვის დიდიდან პატარამდე. ისრაელების მდიდარი ფენა იერუსალიმიდან ღებულობდა სასუდრე „ქათანას“ (თხელი თეთრი ქსოვილი) და მას ინახავდნენ დასამარხად.

დაბალი ფენა კი ხმარობს სუფთა თეთრ ქსოვილს, რასაც კი იშოვის, მას უკერავს ჭირისუფალი თავის მიცვალებულს.

ზოგი (მეტწილად მოხუცნი) წინასწარ – სიცოცხლეში იკერავს სუდარას, ვინაიდან მიცვალებული მიწამ მალე უნდა იხილოს და მისი გაჩერება დიდი ცოდვაა. დამარხვა რომ დიდხანს არ დაავიანდეს, ცოცხლები თავისი სურვილით შეძენილსა და არჩეულ სუდარას იკერავენ.

მოიწვევენ მტერ-მოყვარეს, სუდარის დამჭრელსა და შემკერავს, გააწყობენ სუფრას შეძლებისა და ქონების მიხედვით და სიცილ-ხალისით შეუდგებიან ჭრა-კერვასა და პურის ჭამას. განსაკუთრებული ცერემონიით აზომებენ ცოცხალს თავის სუდარას. შეკერვის შემდეგ სუდარი ინახება იერუსალიმის მიწასთან, საპონთან, ვერცხლის ბეჭედთან ერთად შეხვეული.

ადამიანი, ქალი თუ მამაკაცი, ცამეტ წლამდე უცოდველია, ცამეტი წლის ზევით ყველა ისრაელისათვის სავალდებულოა ვერცხლის ბეჭედი ზედ წარწერილი საკუთარი სახელითა და გვარით.

რწმენის მიხედვით მეორედ მოსვლისას ყველა მიცვალებული გაცოცხლდება, მათ თავიანთი სახელი და გვარი დავიწყებული ექნებათ, ბეჭედზე დაიხედავენ და მოაგონდებათ, თუ ვინ იყვნენ. ბეჭედზე სავალდებულოა სახელისა და გვარის ებრაულ ენაზე ამოჭრა.

ქალი რომ სუდარას იკერავს, საფლავისათვის ვერცხლის საყურეებსაც იმზადებს, წინააღმდეგ შემთხვევაში საიქიოში მას ყურებში გახურებულ გველებს გაუყრიან.

ქალი თუ თვითურის დროს გარდაიცვალა, ჩვეულებრივ სუდართან ერთად მას შეუკერავენ და წელზე შემოაკრავენ შავ წინსაფარს; ეს იმის ნიშანია, რომ ის უწმინდური გარდაიცვალა, მეორედ. მოსვლისას წინ ვერ წადგება, დაიხედავს რა შავ წინსაფარზე – უკან დაიხეკს.

ადამიანი – ისრაელი ქალი თუ მამაკაცი, რომ უცნაური სიკვდილით (ქარეთით) მოკვდეს, მას ჩვეულებრივი სუდარის მაგივრად ერთ გრძელ პერანგს შეუკერავენ.

მიცვალებულს სამი ადამიანი ადგია თავზე დაბანის დროს; ერთი დაბანს, მეორე წყალს უსხამს ახალი თიხის ჭურჭელით (ქო-
თანი ან კოკა და დოქი) მესამე ხელს უწყობს; ჩააცმევენ, მოჭრიან
ფრჩხილსა და თმას. სუდარის ნაჭერს და მიცვალებულის სიგრძე ძაფს
(თუ მოხუცია) შვილ-მომავალს ჩამოურიგებენ. ხელის სალოკ თითზე
გაუკეთებენ ვერცხლის ბეჭედს, რომელზედაც ამოჭრილია მისი სახელი
და გვარი და გასუდრულ მიცვალებულს კუბოში ჩაასვენებენ გულ-
აღმა და ხელებ დაკრეფილს, ჭირისუფალი მას გამოემშვიდობება.
უცხონი მიცვალებულს დააბარებენ თავიანთ მიცვალებულთან და
ეხვეწებიან წარსდგეს ღმერთის წინაშე, კარგი თქვას, და კარგი
იგონოს, ილოცოს მათთვის: რიგ-რიგობით მოდიან მოტირალი ქა-
ლები და მოთქვამენ ხმამაღლა.

გამოსვენების წინ კარს მიხურავენ და კუბოს სამჯერ მიახლიან
ფეხებით: „მძიმე იქნეს შენი ფეხი“-ო. გამოსვენების შემდეგ, თუ ცამეტ
წელზე უფროსი ვაჟია, აუცილებლად სალოცავის ეზოში მიასვენე-
ბენ, სიტყვებს ეტყვიან ხახმები, ქალები გამოემშვიდობებიან და ხელ-
პირის დასაბანად წყლისპირად მიდიან; ქალები მიცვალებულს არ
მიაცილებენ საფლავამდის. დასაფლავებაზე წასვლისას საქმეს ტოვე-
ბენ, სავაჭროს კეტავენ და „მიცვაზე“ მიდიან. მამაკაცები სასაფლა-
ოზე მიჰყვებიან; გზაში „კუფას“ აგროვებენ; მიცვალებულს მიასვენე-
ბენ ხელით, არა ჭირისუფლები. მიცვალებულს უკუბოვოდ მარხავენ,
მიწის ბალიშს თავთით უგებენ, ყველა იქ დამსწრე ალაღს ეუბნება.
მიწას ყველა მიაყრის და შინ ბრუნდება. ბალახს მოწყვეტენ და
ხელუკუღმა საფლავისკენ თავსუკან გადიყრიან.

მიცვალებულის გამოსვენების წინ ოჯახის უფროს ქალს წყა-
ლის ცარიელი ჭურჭელი მიაქვს, სალოცავთან გამომშვიდობებისას
ქალები წყალზე მიდიან ხელპირის დასაბანად. ყველა დაიბანს
ხელპირს და არ გაიმშრალეს. ჭირისუფლები ცხვირსახოცებს წყალ-
ში ჰყრიან, ყველა ცოტა ხნით ჩაიმუხლება (ჩამოჯდება), ანუგეშებენ
ჭირისუფალს და ისევ ბინამდე მიაცილებენ.

ოჯახის უფროსი ქალი ჭურჭლით სავსე წყალს შეიტანს შინ, ტაშს
შემოკრავს და იტყვის სამჯერ: „ლხინში ვიყავი, სიმხიარულეში ვი-
ყავი,“ გამყოლი ქალებიც ცოტაოდენი ხნით რჩებიან, ანუგეშებენ,
ეუბნებიან: „არაფერ სასიავოთ არ დაგავიწყდათ თქვენი მიცვალე-
ბულიო“. არ ეტყვიან „მშვიდობით“ ან „გამარჯობა“ (მგლოვიარეს
არ შეიძლება მიეცეს სალამი).

სასაფლაოდან მამაკაცები ბრუნდებიან, ხახამიც თან ახლავთ,
ანუგეშებს ჭირისუფალს.

მოგროვდება ყველა, ვისაც „აბელობა“ (მგლოვიარობა) ერგება, ხახამი მიუახლოვდება ყველას, უფროსიდან უმცროსამდე¹; პირველად უფროსს მიაღებინებს აბელობას (მგლოვიარობას): ხახამს ხელში უკავია დანა, ჩაუჭრის პერანგს მშობლებზე – მარცხნით, დანარჩენებზე – გულთან მარჯვნივ. აბელი ამბობს: „ბარუხ დაიანა ემეთ“ (მოსამართლე ქეშმარიტი ბრძანდება). როდესაც კერიყას დაასრულებენ, იქვე სუფრას გაშლიან.

სუფრაზე შინ გაკეთებული არაფერი მიიტანება; ვინმე გარეშე, არა ნათესავი გაგზავნის პურს, ყველს, მოხარშულ კვერცხებს და ღვინოს. მგლოვიარენი შემოუსხდებიან სუფრას დაბალ საჯდომზე (არა მაგიდაზე), სჭამენ და სვამენ, ხახამი აკურთხევს პურღვინოს, ანუგეშებს მგლოვიარეთ და მამაკაცებს მიჰყვება სალოცავზე. აბელი არცერთი წუთით მარტო არ უნდა დარჩეს, ვინმე უნდა ახლდეს არა აბელი, რომ ავმა ანგელოზმა არ გალახოს. აბელობა ერთი კვირის განმავლობაში უნდა დაასრულონ მშობლებმა, შვილებმა და და-ძმებმა.

აბელი უნდა იჯდეს დაბალზე, უნდა იწვეს დაბალზე, არ უნდა იმუშაოს, არ სჭამოს ხორცეული (გარდა შაბათი დღისა).

ერთი კვირის განმავლობაში ნათესავ-მეზობლები ყოველი კუთხიდან უგზავნიან აბელს მოსაკითხს, გაწყობილს ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელებით (გარდა ხორცეულისა). მგლოვიარეთა ბინაზე აბელობის დროს ყოველ დილა-სადამოს იმართება პურის ჭამა, თავს იყრიან „მინიანი“, იქვე ლოცულობენ და ისმენენ ხახმების რჩევა-დარიგებას. მერვე დღემდე მათ ბინაზე განუწყვეტლივ დადიან ახლობელნი სანუგეშოდ. მერვე დღეზე „აუშვებენ აბელობიდან“, მამაკაცები მიდიან მიცვალებულის საფლავზე მინიანით ქვის (ან ნიშნის) დასადებათ: ოჯახში მზადდება ალაპისათვის; აბელობიდან გამოსულნი იცვლიან ტანისამოსს და შეუდგებიან ჩვეულებრივ საქმიანობას. შაბათ დღეს ნასადილევს ჭირისუფალთან მოდიან ქალები.

შაბათ დღეს დილით სალოცავში მყოფი ჯამაათი მიდის ჭირისუფალთან სანუგეშოდ.

ალაპი მერვე ღამეს ეწყობა საუკეთესო საჭმელ-სასმელით, მოიწვევენ შეძლების მიხედვით ხალხს, პირველად ტანის მზანელს უნდა გაეგზავნოს ულუფა, საუკეთესო ნაწილი მიცვალებულის სულის სახსენებლად. შემდეგ დამახებულინი შემოუსხდებიან სუფრას და მიცვალებულის სულის სასარგებლოდ ამბობენ „კადიშს“ (სულის ხსენება) და დაიშლებიან, ხშირად ძალიან გვიან, ვინაიდან ყველა ხახამი იტყვის თორის-პასუხს, „დარუშს“ ჭირისუფალთა სანუგეშებლად.

¹ მგლოვიარობა ევალება ცამეტი წლის ზევით ყველა ქალსა და მამაკაცს.

მეორე დღეს დილითვე შეუდგებიან დარჩენილი ულუფის დარიბებზე დარიგებას, შინ არაფერს დაიტოვებენ.

მგლოვიარენი ოცდაათდღემდე არ დაიბანენ, არც თმას მოიკლებენ, ოცდაათ დღეზე დაბანოილ-დაცვლილნი შეუდგებიან ჩვეულებრივ ცხოვრებას.

დღიდან გარდაცვალებისა სრული 11 თვის განმავლობაში, გარდაცვალებულისთვის ანთებული „ყანდილი“ (ზეთი) არ უნდა ჩაქრეს, მისი ლოგინი ისევე უნდა იქნეს გაწყობილი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელით, არც არავინ დაწვება იმ ლოგინზე. ლოგინთან უნდა იდგეს ჭიქით სავსე წყალი, რომელიც დილა-სადამოს უნდა იცვლებოდეს – მიცვალებულის სული ყოველ დილა-სადამოს წყალს სვამს, თუ არ დაიდგა წყალი ჭიქით და არ გამოიცვალა, გაჯავრებული მიცვალებული დამივიწყესო, სხვას ვინმე საყვარელს წაიყვანს თავის ოჯახიდან, სამწუთროს დაუზარალებს.

გარდაცვალებიდან სრული თერთმეტი თვის განმავლობაში ყოველ „როშხოდეშში“ (ახალ მთვარეზე) ოჯახში აღინიშნება პურის ჭამით, ნათესავები და ახლობელნი ხახმებთან ერთად გროვდებიან, აწყობენ ვახშამს საუკეთესო სასმელ-საჭმელით, მეტადრე ამზადებენ მას, რაც სიცოცხლეში უყვარდა მიცვალებულს, ნავახშმევს მოყვებიან თორის-პასუხებს, „დარუშებს“ (ლეგენდებს) და სხვ.

თერთმეტი თვის განმავლობაში ყოველ პარასკევ სადამოს გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად გააწყობენ სინზე საუკეთესოს, რაც კი შაბათის ულუფად გაკეთდა, იტყვიან „მენუხას“ (მენუხა – სულის ხსენება აუცილებლად მამაკაცმა უნდა სთქვას) და გზავნიან ტანის მბანელთან, რომელმაც მიცვალებული დაბანა.

თერთმეტი თვის განმავლობაში მიცვალებულს ვაჟი (თუ ჰყავს) დღეში სამჯერ კადიშს ეტყვის აუცილებლად სალოცავში, თუ ვაჟი არა ჰყავს, სხვა ვინმე მამაკაცი ან დაქირავებული.

თერთმეტი თვის განმავლობაში მგლოვიარეს ახალი არაფერი ჩაეცმევა, არც ლხინში წაესვლება გარდა „მილისა“ და „ქოენობისა“. მილაში ან ქოენობაში დაესწრება, არაფერს სჭამს, შინ წაიღებს საჭმელს გახვეულს და იქ თავის ოჯახის ყველა წევრს ჩამოურიგებს.

გ ა მ ო ტ ი რ ი ლ ი. გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე ჭირისუფალი სასაფლაოზე წავა, მიცვალებულის ტანისამოს და სასმელ-საჭმელს წაიღებს (ხაჭაპური, ნამცხვარი, არაყი და ღვინო).

წინასწარ მამაკაცები წავლენ, მინიანს წაიყოლებენ, კადიშს იტყვიან, გაშლიან სუფრას და საფლავის ახლოს სჭამენ; ქალები მიცვალებულის ქვაზე ტანისამოს დააწყობენ, ირგვლივ ხალიჩებით მოაგებენ, შემოუსხდებიან და სტირიან მოთქმით, ხმამაღლა.

საფლავთან მისვლის წინ ყველა პატარა ქვას აიღებს ხელში, საფლავზე დასდებს და იტყვის: „არაფერი გემატებოდესო.“ წამოსვლის წინ, ყველა თვითონვე წამოდგება; ხელი სხვამ არ უნდა მოჰკიდოს: არ ვარგა, ვინმე სხვა მოუკვდება.

გამოტირილზე მთელი ჯამათის ქალი მიდის, მაღლია ვინც სხვის მიცვალებულზე ორ ცრემლს მაინც ჩამოაგდებს, არავინ მოუკვდება თავისი.

გამოტირილზე ერთერთი მოწინავე და ნდობით აღჭურვილი ხნიერი ქალი „კუფა“-ს დაიძახებს, ხელში თავსაფარი უჭირავს და ფულს აგროვებს; ვისაც რამდენი შეუძლია, ფულს აჩუქებს თავისი მიცვალებულის სულის სასარგებლოდ და ცოცხლების სადღეგრძელოდ. შეგროვილ ფულს გადასცემს ვინმე ღარიბსა და გაჭირვებულს, ისეთს, რომელიც არა ჩანს ღარიბად, მაგრამ ნამუსიანია, ან ისეთსავე ავადმყოფს, ან დასასახლებელ ობოლს, რომელსაც მზითვებს უწყობენ.

სასაფლაოდან დაბრუნებულნი წყლისპირად წავლენ, ხელ-პირს დაიბანენ და იტყვიან „ღმერთო, შენ გააგრილე ყოველივე სიავე და გაჭირება ისრაელის შვილზე წამოსულიო“, რის შემდეგ ცოტა ხნით ქვაზე ჩამოჯდებიან და შინ ბრუნდებიან.

თერთმეტი თვის შემდეგ ტანისამოსს იცვლიან, ახალს იცვამენ, ნაცვამს ღარიბს აჩუქებენ; გაათავებენ მგლოვიარობას და მხიარულობენ – მიცვალებულის ლოგინს აალაგებენ, წლისთავზე პურის ჭამას (ლიმუდი) გადაუხდიან, რის შემდეგ ყოველ წლისთავს უხდიან ისეთივე ლიმუდით.

თუ გარდაცვალებული უფროსია, მის სახელს ყველა მისი ნაშვირი დაარქმევს და შემოიბრუნებს.

ქვრივი ქალი თუ გათხოვდა, მიცვალებული ქმრის საფლავზე წავა დაქორწინებამდე და საფლავის ქვაზე ცივ წყალს დაასხამს (ასევე მოიქცევა ქვრივი მამაკაციც).

3. ცრუმორწმუნეობა ახალი წელი („როშაშანა“ – წლისთავი).

ახალი წელი იწყება აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის შუა რიცხვებში, ე. ი. თიშრის თვის პირველი ორი დღით.

„როშაშანის“ წინა დღით დიდი მზადებაა: ოჯახის ყველა წევრი ემზადება, იბანს – ირეცხავს, იმზადებს ახალ-ახალს. წინა დღითვე მეზობლები და ნათესავები ერთი-მეორეს ეკითხებიან, ხომ არაფერი უსესხებიან და აღარ დაუბრუნებიან ან აღარ ახსოვთ; მოაგონებენ ერთმანეთს და „ალალსაც“ ეტყვიან.

„ალალის“ თქმაზე სამჯერ ეტყვიან: „თუ რაიმე ვალი და სესხი გვაქვს ერთმანეთის, უვალო ვიყოთ“.

წინა დღით მზის ჩასვლამდე მოგვარებულია ოჯახის ყოველივე საქმე იმ ანგარიშით, რომ ორი დღის განმავლობაში არაფერი იქნეს სამუშაო. სადამოთი მამაკაცები მიდიან სალოცავში და მათ დაბრუნებამდე ოჯახში ქალები ფუსფუსობენ; შეხვდებიან სალოცავიდან დაბრუნებულთ მხიარულნი, მაგიდაზე ანთებული სანთლებია, სუფრა დალაგებულია, სიწყნარეა, სიჩუმე, უფროსის პატივისცემა, უმცროსის დარიგება და მითითება.

სალოცავიდან დაბრუნებული ოჯახის უფროსი (მამა ან უფროსი ძმა) ფეხის შედგმისას დაიძახებს: „ლეშანა ტობა“ (კეთილი წელი-წადი), რაზედაც შინ დამხდომნი უპასუხებენ: „თიქათებ“ (დაიწერე).

უფროსებს უმცროსები ხელზე კოცნიან. ყველა კი დედას კოცნის ხელზე. უფროსი არიგებს უმცროსებს: იყვნენ ტკბილად, მშვიდად, ერთგულად, იფიქრონ კარგი, გააკეთონ კარგი, არ წაიჩხუბონ, არ დაიწყევლონ, აპატიონ და დაუთმონ ერთმანეთს, რომ მომავალი წელი იქნეს კარგი, ტკბილი და მშვიდობიანი. ვახშამს შეუდგებიან, მამაკაცები სუფრას შემოუსხდებიან, ქალები სასმელ-საჭმელს მიიტანენ. უფროსი მამაკაცი იტყვის „ბ ე რ ა ხ ა ს“, პურს აკურთხევს. „ბერახა“ სავალდებულოა ყოველი პურისჭამის წინ. ოჯახის უფროსი მამაკაცი აიღებს ორ მთელ პურს, ორი ხელით მაღლა ასწევს, ისევ სუფრაზე დასდებს, ერთიდან ყუას ჩამოსჭრის, ყუიდან პატარას მოჭრის, მარილზე დააწებს, შემდეგ წვრილად დაჭრის და დიდიდან

პატარამდე ყველას ჩამოურიგებს, აკურთხევენ, ყველა მარილზე დააწობს და შესჭამს. მარილის მაგივრად ამ დღეს პურს თაფლზე დააწობენ, რომ ტკბილი იქნეს მომავალი წელი. პურის შემდეგ ოჯახის უფროსი რიგზე აკურთხევს: მოხარშულ კვახს, მოხარშულ ქარხალს, მწვანე ლობიოს, მარილწყალში მოხარშულ თევზსა და სხვადასხვა ხილს, ყველას თაფლზე დააწობენ და ისე შესჭამენ; რომაშანაში არ სჭამენ არც მწარეს, არც მჟავეს და არც ნიგვზიანს.

ვანშმის შემდეგ ოჯახის უფროსი ქალი აიღებს ხელში ორ ცარიელ ჭურჭელს, გავა სახლიდან მახლობელ მდინარესთან ან წყაროსთან და გაავსებს წყლით, წამოიღებს შინ. პირველად მარჯვენა ფეხს შესდგამს ზღურბლზე ლოცვა-კურთხევით, ხმა-მადლა დაიძახებს: „როგორც ეს ჭურჭლებია სავსე წყლით, ისე გაივსოს ჩვენი ოჯახი დოვლათითა და მაზალით“. ამ სიტყვებით წყალს მიასხ-მოასხამს ზღრუბლებზედვე და ორივე ჭურჭელს წყლით სავსეს კუთხეში დადგამს.

დამინების წინ მოზრდილები გაფრთხილებულნი არიან, რომ იმ ღამის ნანახი სიზმარი დაიხსოვნონ, კარგად გამოიტანონ, ვინაიდან რაც მომავალ წელში მოელის, იმ ღამით დაესიზმრება.

დილით ოჯახის უფროსი ქალი ყველაზე წინ წამოდგება და დანარჩენებს ლოგინში მწოლარეს პირში თაფლს კოვზით აჭმევს.

დღით ყველამ ახალი უნდა ჩაიცვას (შეძლების გვარად). მორთულნი მამაკაცები და მანდილში გახვეული ქალები სალოცავში მიდიან. დილიდან გამოლოცვამდე (შუადღემდე) არაფერს სჭამენ.

ორი დღის განმავლობაში არავითარი საქმის გაკეთება არ შეიძლება, საჭმელიც წინა დღით მზადდება ორი დღის საყოფი.

„რომაშანაში“ წყალი არ უნდა დაიღვაროს, – ჭიანჭველა გაჩდება. არავინ არ უნდა დაიძინოს დღისით, გარდა ბავშვისა და ავადმყოფისა, მაზალი დაიძინებს. ოჯახიდან არაფერი უნდა გავიდეს, – მაზალი არ გაჰყვეს. არავითარი სახის სამუშაო არ უნდა გაკეთდეს, არ შეიძლება ყიდვა-გაყიდვა, არც რაიმე საკრავის დაკვრა – დიდი ცოდვაა.

„რომაშანის“ პირველ დღეს ვინც ორჯერ ზედი-ზედ ცხვირს დააცემინებს მომავალ წლამდე იცოცხლებს.

სალოცავიდან დაბრუნდებიან, იმხიარულებენ, ისადილებენ. გაერთობიან, არ დაიძინებენ და თორას ჭირნახულობენ.

წყლის კურთხევა

მზის ჩასვლამდე წყალს აკურთხევენ. ხალხი საზეიმოდ არის მორთული; ქალი და მამაკაცი გამოსულია მდინარის პირად და ქუჩებში სასეირნოდ.

მდინარის პირად ილოცებენ, კალთებს დაიბერტყენ, რომ ცოდ-
ვები მდინარეს გაჰყვეს.

როშაშანის ორივე დღეს ლოცვაზე ისმენენ შოფარის დაკვრას.
(შოფარი ცხვარის რქისაგანაა გაკეთებული); მისი დაკვრის დროს თუ
მოიგონებ რაც ცოდვა ჩაგიდენია, გეპატიება; ორსულმა ქალმა არ
უნდა მოისმინოს. შოფარის დაკვრის დროს ყველა ჩუმად და რა-
საც ღმერთს შესთხოვენ – შეუსრულდებათ.

ქათმის შემოვლება

როშაშანიდან ქიფურამდე ყველა ისრაელის შვილმა თავზე ქა-
თამი უნდა შემოივლოს: ქალმა – დედალი, მამაკაცმა – მამალი, ორ-
სულმა ქალმა – ერთი დედალი და ორი კვერცხი; თავზე შემონავლე-
ბი ოჯახში არ იჭმევა, ღარიბებზე რიგდება. ყველა ოჯახში მყოფს
ხელში უჭირავს თავისი შემოსავლები ქათამი, ერთი წყვილი ანთე-
ბული სანთელი, შოხეტი – (დამკვლელი) რიგზე – დიდიდან პატარამ-
დე, – შემოავლებს თავზე ყველას, აკურთხევს და დაკლავს. იქვე გაე-
გზავნება ღარიბებს. ღარიბები კი თითო კვერცხს, ან ცოტაოდენ
ფულს შემოივლებენ თავზე და ხახამს გადასცემენ საკურთხევლად
ქათმის შემოვლების აზრი ასეთია: თუ რაიმე მომავალ წელში მოე-
ლის ცუდი ადამიანს, მის მაგივრად თავზე შემოვლებული წავიდეს
სანაცვლოდ, რათა ქიფურში დაიბეჭდოს სიცოცხლეზე და შვიდო-
ბაზე.

ქიფური

თიშრის თვის ათში ქიფურია. როშაშანიდან ქიფურამდე ყველა
სრულწლოვანი ისრაელი მეცადინია განსაკუთრებით მოკრძალებული
იქნეს ლოცვა-მარხვაში; ერთი-მეორეს შეხვედრისას მეხილას (პატი-
ებას) სთხოვენ, დაუბრებულნი შერიგდებიან, ქიფურის წინა დღით კი
ნაშუადამევს სალოცავში მიდიან, რომ „ათარა“ აიშვან (ცოდვების
მონანიება). გათენებამდე შინ ბრუნდებიან ქალები, ამზადებენ შე-
ძლების მიხედვით სხვადასხვა სახის საჭმელს, იმას რაც მათ მიცვალებუ-
ლებს უყვარდათ, ახსენებენ მათ სახელს. დამზადებულს თითონ ისე
არ სჭამენ, რომ ღარიბებს არ დაურიგონ, რათა მათ საყვარელ მი-
ცვალებულს შეუსუმბუქდეს იმ სოფელს სასჯელი. „მენუხას“ (სულის
ხსენება) მამაკაცი იტყვის.

მენუხას რომ მორჩებიან, თვითონ სჭამენ; ქიფურის წინ დღით
ცხრაჯერ უნდა სჭამონ, ცხრაჯერ უნდა იკურთხოს სუფრა და ხელ-
წყალი.

დიდიდან პატარამდე, გარდა ავადმყოფისა, ყველამ უნდა იზა-
ნოს საქიფუროთ, ტანზე თეთრებს იცვამენ, ფეხზე კი მსუბუქ საცმელს.
კუთხ. მეზობლები ჩამოივლიან ერთმანეთში და პატიებას „მეხილას“
სთხოვენ; ერთი-მეორეს ალაღს ეუბნებიან.

შინ თავს მოიყრიან და სანთლებს ანთებენ. დიდ ტაშტზე შუა-
ში დიდი კელაპატარია, მას ოჯახის უფროსი მამაკაცი ანთებს პირ-
ველად, კელაპატარზე რიგ-რიგობით ანთებენ უფროსიდან უმცროსა-
მდე და ტაშტის ირგვლივ შემოაკრავენ წმინდა სანთლებს. უფროსი
დიასახლისი ღმერთს ევედრება, რომ მის ოჯახს მომავალ წელში
არაფერი დააკლდეს, არავინ მოუკვდეს, სულის მატერალი არ დაჯ-
დეს, მას სხვებიც მიჰყვება, – ყველა ღმერთს ევედრება და თან თა-
ვიანთ ანთებულ სანთლებს მისჩერებიან; თუ სანთელს ალი პირდაპირ
ასდის, კარგი ნიშანია, მისი ამნთები მომავალ წელს მშვიდობით მი-
აღწევს, თუ ალი გვერდზე ასდის, არ ვარგა, ზარალიანი წელიწადი
ექნება; თუ სანთელი გადავარდა და ჩაქრა, ცუდი ნიშანია, მისი ამნ-
თები მომავალ წლამდე ვერ მიაღწევს. ამის გამო თვითეული მეცა-
დინია სანთელი კარგად დაამაგროს, რომ არ გადავარდეს. სანთლე-
ბის ანთების შემდეგ ოჯახში მყოფნი ერთი-მეორეს ეხვევიან, კოცნი-
ან, პატიებას სთხოვენ, „ალაღს“ ეუბნებიან და სუფრას შემოუსხდე-
ბიან იმ ანგარიშით, რომ მზის ჩასვლამდე სალოცავში „ქოლნიდრეს“
მიუსწრონ. ქიფურის დაწყების საღამოს ვინც „ქოლნიდრეს“ მიუს-
წრებს, მას ეპატიება გასული წლის განმავლობაში თუ რამე ნედერი
(შეკვეთილება) ჰქონდა; როდესაც ხაზანი (მლოცველი) „ქოლნიდრეს“
იძახის, ყველა დამსწრე ღმერთს უნდა ევედროს, რომ შეუსრულებე-
ლი შეკვეთილობა ეპატიოს. მამაკაცები შიგ სალოცავში არიან, ქა-
ლები საქალებოში ფანჯრებიდან უცქერენ.

ქიფურის ღამეს მრავალი მორწმუნე სალოცავში ათევს ღამეს,
მრავალიც 24 საათის განმავლობაში ხმას არ იღებს. 13 წელს ზევით
ყველა ისრაელისათვის სავალდებულოა იმარხულოს; წინა დღით მზის
ჩასვლამდე რომ სჭამენ, მეორე საღამოს სანამ ცაზე ვარსკვლავი არ
გამოჩნდება, არაფერი სასმელ-საჭმელი არ შეიძლება მიიღონ. ქიფუ-
რის გასვლის საღამოს სალოცავიდან დიდი და პატარა ხელში ანთე-
ბული სანთლებით ბრუნდებიან შინ. სანამ ოჯახის უფროსი შინ ფეხს
შეადგამდეს, „სუქის“ ბოდს დაასობს ლოცვითა და კურთხევით, მე-
რე შინ შევა და ჩვეულებრივ ჭამა-სმას შეუდგებიან.

ს უ ქ ო თ ი

ქიფურის შემდეგ მე-5 დღეს ე. ი. თიშრის 15-ს იწყება სუ-
ქოთი. ახლომახლო ტყეებიდან გლეხებს ურმებით მოაქვთ ნეშოები,



სურ. 11. მლოცველი (ტიპი).
საქ. ებრაელთა მუზეუმის კოლექციიდან

რითაც აკეთებენ კარავს; შიგნით სუქას გააწყობენ ძვირფასი ფარჩე-ულით; სუქას ერთი კარი აქვს შესასვლელი, რომელსაც ორივე მხრით სუქაზე უფრო მაღალი ლერწმები აქვს გაკეთებული. სუქაში ერთი კუთხე ილია წინასწარმეტყველისაა. „ქისე ელიაუ“ (ელიაუ ანაბი – ილია წინასწარმეტყველი), ჩამოივლის ყველა ისრაელის სუქაში, თუ მისთვის გაწყობილი კუთხე ნახა, ზედვე დაჯდება და ოჯახს აკურთხევს, თუ მისი კუთხე და სუქა ვერ ნახა, არ ვარგა, – აღარ დალოცავს.

ყოველი პურისჭამა 8 დღის განმავლობაში უნდა ხდებოდეს სუქაში.

„ო შ ა ყ ა ნ ა“

სუქოთის მეშვიდე დღეზეა „ოშაყანა“ – ტირიფის თამაში; თუ რომაშანა ბედის საწერელი დღეა, ქიფური ბედის საბეჭდი დღეა, ოშაყანა – ბედის გადამწყვეტი დღეა; ოშაყანა ღამეს საბოლოოდ გადაწყდება ცაში, თუ მომავალ წელში ვის რა უნდა მოუვიდეს, ამიტომ ამ ღამეს ხშირად ლოცვაში ათევენ და ინანიებენ ცოდვებს, ხოლო დილით კი ყველა მლოცველს ხელში ტირიფის კონა უჭირავს და შვიდჯერ „თებას“ შემოუვლის (თება-ტრაპეზია), რის შემდეგ ყველას შინ მიაქვს ტირიფის კონა, რასაც მაღლა ჩამოკიდებს და შეინახავს მომავალ წლამდე.

„ს ი მ ხ ა თ თ ო რ ა“

სუქოთის მეცხრე დღეზე „სიმხათთორა“ (სიმხიარულე თორისა). 24 საათის განმავლობაში თითოეულმა სალოცავმა სამჯერ უნდა მოაწყოს „სეფერ-თორის“ თამაში. სიმხიარულით, გალობით, ყვავილების თაიგულებით, კელაპტრებითა და დიდი ცერემონიით ყოველი „სეფერ-თორის“ თამაშობა უნდა მოხდეს შვიდჯერ შემოტარებით თების გარშემო.

„სიმხათთორა“ აღინიშნება მეტი ხალისით; ყვილამ უნდა იმხიარულოს შინ და გარეთ, ქუჩაში სეირნობენ საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილნი, ღამეს გარეთ ათევენ ფერხულითა და სიმღერით; მღერიან „ჟუჟუნასა“ და სხვა ხალხურ სიმღერებს. ქალებს მამაკაცები შორიახლო მიჩერებიან, იმართება ფერხული, ცეკვა-თამაში, დაირით, გარმონითა და დოლით; წრეში ჩამოუვლიან, ცეკვავენ მეტწილად ლეკურს, ბაღდადურს, კინტოურს, დავლურს და სხვა. ხშირად ათენებენ ფერხულსა და ცეკვაში, ქუჩიდან პირდაპირ სალოცავში მიდიან დილით „თორის თამაშზე“ დასასწრებლად. მამაკაცები შიგ შედიან, ქალები კი საქალებოდან უყურებენ.

ბავშვებს ხელში ლამაზ გრძელ ჯოხებზე და თაიგულებში მორთული ანთებული თაფლის სანთლები უჭირავთ და ისე მიიღებენ მონაწილეობას სიმხიარულებში. „თორის თამაშის“ შემდეგ ანთებული სანთლებით შინ ბრუნდებიან. მთელ დღეს ატარებენ სიმხიარულებას, ლხინსა და სტუმრობაში. ამ დღეებში ხშირია ნიშნობა.

ხ ა ნ უ ქ ა

25 ქისლევეში იწყება ხანუქა, აღსანიშნავად იმისა, რომ მათათია ქოენ გადოლის შვილებმა განდევნეს მტერი აოხრებულ „მიკდაშიდან“ (იერუსალიმის ტაძრიდან).

ყოველი წლის 25 ქისლევიდან 8 დღის განმავლობაში ინთება სანთლები ან ყანდილი. პირველი დღე იწყება ორი ცალი სანთელის ანთებით და შემდეგ ყოველ-დღე ემატება თითო ცალი, ხოლო მერვე დღეს აინთება ცხრა ცალი სანთელი და ხანუქაც თავდება, „რომ-ხოდეშით“ (ახალი მთვარით). რვა დღის განმავლობაში სტუმრობა და სიმხიარულება.

ხ ი ლ ის კ უ რ თ ხ ე ვ ა

15 შებატშია ხილის კურთხევა. ამ დღეს ხეში წყალი ჩადგება, რომ კარგი მოსავალი მოვიდეს, ყველა სახის ხილი, ხმელი იქნება თუნედი, უნდა იკურთნოს.

ფ უ რ ი მ ი

14 ადარი ესთერ-მორდეხაის აღსანიშნავი მხიარული დღეა, ფურიმის წინა დღით მარხულობა; ამ დღესასწაულს ორი დღე მხიარულობენ ტკბილეულობითა და საუკეთესო ნამცხვრებით.

„დ ა ნ ის წ ვ ე რ ი“

ნათესავები და მოყვრები ერთი-მეორეს მოუკითხავენ, რასაც ემახიან „დანისწვერს“. დანისწვერი გაწყობილია სინზე: ტკბილეული ბევრნაირი და ხორცეულიც. ტკბილ ნამცხვრებში ან ვაშლ-მსხალში და ფორთოხალში ვერცხლის ფულია ჩარჭობილი. დანისწვერის მიმღლები მიმტანს ფულს აჩუქებს, ზოგჯერ მისი მიღებული სინით თვითონაც სამაგიეროს გაუგზავნის თავის მოყვარეს; თავს ისახელებენ ვინ ადრე და ვინ უკეთესი „დანისწვერი“ გაგზავნა, ქალსა და რძალს პატივსადეხსაც უგზავნიან.

ფურიმში ყველა ისრაელის ოჯახში ხახამი მივა და უკურთხევს ყველას ოჯახს, ხახამს ფულით ასაჩუქრებენ. ხახამზე ადრე სხვა უცხო

პირი ოჯახში არავინ უნდა შევიდეს, ხახმებიც ადრინად იწყებენ ოჯახებში ჩამოვლას.

გრძელდება სტუმრობა და ლხინი, ხშირად ერთ კვირამდისაც აუღებელია სუფრა, ქეიფი, მისვლა-მოსვლა, უცხოთა სტუმრობა, ეტლებით სეირნობა, ცხენების ჭენება, არღნით ეზო-ეზო ჩამოვლა და სხვა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანთა „შავი ორშაბათი“, ქუთაისის ისრაელებში აღინიშნება „თეთრეულით“ და ეწოდება „თეთრი ორშაბათი“.

დილაადრიან აცხოვენ ყველის ნაჭაპურებს, ამზადებენ ბრინჯისა და რძისაგან ფლავს, უზაენიან მოყვრებში ერთიმეორეს გაწყობილი სინითა და თეთრი ღვინით. ყველაფერი რძითა და ყველით არის გაკეთებული, არაფერია ხორცეული, არც თევზეული.

ფ ე ს ა ხ ი

15 ნისანში იწყება ფესახი. ფურიმის გასვლის შემდეგ იწყება „ფხეკის კვირე“. ფხეკის კვირეში არ უნდა დარჩეს ოჯახში ბეწვის ოდენიც კი მოუვლელი; ყოველი წვრილმანი, სახლის ყოველი კუთხე, ყოველი კუნჭული უნდა იქნეს მოვლილი, გამომზეურებული, გაფხეკილი, გარეცხილი და გასუფთავებული; ფესახისათვის ყველაფერი უნდა იქნეს „ქაშერი“ (წმინდა); არსად პურის მარცვალი არ უნდა დარჩეს.

საფესახო ჭურჭელი განცალკევებულია და სხვა დროს არ იხმარება; ის შენახულია ფესახიდან ფესახამდე. სპილენძის ჭურჭლის ხმარება შეიძლება მოკალვის შემდეგ. იმ დღეებში ჩამოვიღიან მომკალავი ლეკები. ხელვიწრო ოჯახი კი, როცა არ აქვს საფესახო ჭურჭელი, „სახამეზოს“ (არა საფესახო) „დაააგყალავებს“.

„ა გ ყ ა ლ ა“. გაკეთებულია დიდი ორი ქვაბი, ერთში მდუღარე წყალია; გავარვარებულ რკინას და რამოდენიმე ქვას ჩაყრიან ადუღებული წყლით სავსე ქვაბში; იქვე მეორე ქვაბია ისეთივე, ცივი წყლით; დასააგყალავებელ ჭურჭელს ჯერ მდუღარე ქვაბში ჩაუშვებენ, რამოდენიმე ხანს გააჩერებენ, ამოიღებენ, საგანგებოდ მისთვის მიჩნეული საკეცურით და იქვე ცივი წყლის ქვაბში სამჯერ გაავლებენ, იტყვიან სამჯერ „ქაშერ“-ს და ჭურჭელი მზად არის; შემდეგ გაავლებენ მდინარეში და იხმარება საფესახოთ. საფესახო მარილიც უნდა გაივლოს მდინარეში, სანთლის გულიც. ერთი სიტყვით, ყოველი სახის სახმარი ნივთი, თუ ის არ არის „საფესახო“, უნდა გაივლოს სუფთა მდინარეში, ხოლო ჭურჭელი კი „აგყალაში“. წყლის სახმარ ჭურჭელს (ბოთლი, სურა და სხვა) სამი დღე-ღამის განმავლობაში დილა-საღამოს წყალი უნდა ეცვლებოდეს, შემდეგ იხმარება საფესახოდ.

„ხამეზის მობოჰვა“

ფესახის წინა ღამით ოჯახის უფროსი მამაკაცი ჩამოივლის ყველა კუთხეს და კუნჭულს, სადაც კი დაწყობილია დიასახლისის მიერ შინ გამომცხვარი წვრილი კოკრები. ოჯახის უფროსს ხელში სანთლით მიუძღვება უმცროსი და უთითებს, თუ სად აწყვია კოკრები; ოჯახის უფროსს ერთ ხელში თორა უჭირავს, მეორეში ლურსმანი და თიხის ჭურჭელი; თითოეულ კუთხეში ლურსმანით კოკორს აიღებს და თიხის ჭურჭელში ჩაუშვებს; ყველას რომ მოაგროვებს, დილამდე შეინახავს. ფესახის წინა დღის დილით უკანასკნელად სჭამენ პურს, რის შემდეგ უნდა მოხდეს „ხამეზის გადაშენება“; მოგროვილ კოკრებს ქოთანშივე დასწვავს, ეზოს კუთხეში მიწას მოთხრის, შიგ ჩადგამს ქოთანს, ზედ ნავთს დაასხამს; რომ დაიწვება მიწას მიაყრის, რასაც „ხამეზის გადაშენება“ ჰქვია.

„ხამეზის“ გადაშენების შემდეგ პური აღარ გაჭაჭანდება ოჯახში. ამ დღეს კარტოფილით და კვერცხით იკვებებიან. ფესახის პირეელ საღამოს სუფრა დახურულია, სუფრის თავსა და ბოლოში სანთლებია ანთებული, სუფრაზე ცალკე სინია, რომელზედაც აწყვია: მოხარშული კვერცხები, მაცა და მოხარშული მამლის მხარი. სუფრაზე დალაგებულია აგრეთვე თითოეული ოჯახის წევრისათვის ღვინის ჭიქა, ოჯახის უფროსისათვის კი ყველაზე დიდი ჭიქა, ან ვერცხლის თასი; სუფრაზე: სალათა, ნიახური პირშუშხა და „ხარამზეთი“.

სალოცავიდან დაბრუნებული მამაკაცები მისალმებისა და მილოცვის შემდეგ ხელს დაიბანენ, სუფრას შემოუსხდებიან, მათ ქალებიც მიჰყვებიან და დაიწყება „აგადა“.

„ა გ ა დ ა“

„აგადა“ მოგონებაა იმისა, რომ ეგვიპტეში ფარაონები აწამებდნენ ისრაელებს და მოშე რაბენუმ (მოსე წინასწარმეტყველმა) დაიხსნა ისინი ფარაონის ხელიდან, ჩუმად ღამით გააპარა, მოზეილი ცომის გაფუება რომ ვერ მოასწრეს, თხელ ლავაშებად დააცხვეს გზაზე; მაცა მისი განსახიერებაა, სალათა, ნიახური და პირშუშხა, ძმრით შეზავებული, ეს იმის ნიშანია, რომ ასევე მწარე იყო ისრაელების ცხოვრება ეგვიპტეში; ხარამზეთი არეული თხილი, ვაშლი, ყურძენი, მსხალი, ილი და სხვა იმის მოგონებაა, თუ როგორ აზლინებდნენ ისრაელებს ტალახს მშენებლობისათვის, ყველა ამას აკურთხევენ და გვერდზე მარცხნივ გადახრილნი სჭამენ, ყველა აგადაზე მყოფმა ოთხი ჭიქა ღვინო უნდა შესვას (გარდა ავადმყოფისა); აგა

დაზე სტუმარი აუცილებელია, ყველა ისრაელის შვილმა უნდა მოი-
სმინოს აგადა.

ფესახის დაწყების პირველ ღამეს აგადა წაიკითხება თორულად,
ე. ი. ძველ ებრაულ ენაზე, მეორე ღამეს კი აუცილებლად ქართულ
ენაზე; აგადის მსვლელობის ყოველ წვრილმანს ოჯახის უფროსი ახ-
სნა-განმარტებით მოუთხრობს სუფრაზე დამსწრეთ ქართულად, რათა
ერკვეოდნენ აგადის მნიშვნელობაში.

შუა აგადაზე ბავშვებს – ვაჟებს გარეთ გაუშვებენ, ხელში მო-
ხარშულ კვერცხებსა და მაცას მისცემენ, კარს გადაკეტავენ, რამდე-
ნიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი კარზე აკაკუნებს და იძახის:

– ისრაელებო კარი გაგვიღეთ! –

– ვინა ხართ, სადაური ხართ, სიდან მოდიხართ?

– მისრაიმიდან (ეგვიპტიდან) მოვდივართ, ვირი ხრამში გა-
დაგვივარდა, ისრაელები ვართ!.. გვიშველეთ!..

– რა ნიშანი გაქვთ, რომ ისრაელები ხართ?

– ასოზე წითელი ძაფი გვაბია, გაგვიღეთ კარი და გვნახეთ.

გაუღებენ კარს, ბავშვები შემოვლენ, აჩვენებენ ნიშანს, რომე-
ლიც წინასწარაა გაკეთებული; შეიქნება სიცილი, ხმაური...

ფესახში პურს არ სჭამენ, არც ბრინჯს, მთავარია მაცა, რო-
მელიც ცხეება საგანგებოდ გაწყობილი ფურნეების საშუალებით, გა-
მოცდილი უფროსების ზედამხედველობით, განსაკუთრებული სისუ-
ფთავით. მაცის გამოცხოვა შეუძლია მხოლოდ მამაკაცს. ფესახი
გრძელდება 8 დღეს.

ყ მ ე რ ი

ფესახის პირველ დღიდანვე იწყება „ყომერი“ – 49 დღე, რაც
ნიშანია მგლოვიარობისა; ყომერში არავითარი სიმხიარულე, არც
ქორწილი, არც ახალის დაჭრა-შეკერვა და ჩაცმა არ შეიძლება,
მხოლოდ მეოცდაცამეტე დღეზე, როდესაც გარდაიცვალა რიბი შიმ-
ყონ ბარიოხაი (მას რადგან კარგი შვილი დარჩა ელყაზარი, დაიბა-
რა არ ეგლოვათ იგი) იქორწინებენ და იმხიარულებენ.

შაბუყოთი

6 „სივანს“ იწყება „შაბუყოთი“ (შველა) იმის აღსანიშნავად,
რომ მოშე რაბენუმ (მოსე წინასწარმეტყველმა) სინაის მთიდან ჩამო-
იტანა ათი მცნება (სეფერ-თორა). ორი დღე სიმხიარულეა „სეფერ

თორის“ მიღების დღის აღსანიშნავად, სალოცავი მორთულია ვარდ-ყვავილებით.

შაბუყოთის პირველ დღეს დილა ადრიან ბავშვებს ლოგინზე ყვავილებს დაუფენენ; მიულოცავენ კარგ დღეს, უსურვებენ ყვავილივით აყვავებას, სახლი შინ და გარეთ ყვავილებითაა შემკული. ლოგინზე ვარდის ფურცლებს ჰყრიან.

შაბუყოთის პირველ დღეს მეტწილად რძის ნაწარმით გაითენებენ: ხაჭაპურებით, რძის ფლავით, „რძიანით“ (ნაზუქი), ტკბილეულით და სხვა, მეორე დღეს – ხორცეულით.

შაბუყოთში სტუმრობა, მისვლა მოსვლა და სიმხიარულე იციან.

17 თამუზი თაყანიტის (მარხულობის) დღეა. დღე იკლებს, ღამე იმატებს.

მარხვა

აბის პირველიდან 8 დღე მარხვაა. მარხვაში (გარდა შაბათი დღისა) არ იჭმევა ხორცი, ღვინის სმა და სიმხიარულე არ შეიძლება; ეს დღეებია მგლოვიარობისა, ხოლო მეცხრე დღეზე მარხულობაა.

„სიონის ტირილი“

მთელი დღე და ღამე ლოცვითა და ვედრებით (ხშირად სალოცავში) ატარებენ; სასაფლაოზე დადიან; მიცვალებულებს სტირიან, „კადიმს“ (სულის ხსენება) ეუბნებიან, „მენუხას“ (მიცვალებულის სულის მოხსენიება საჰმელ-სასმელით) აგზავნიან და სხვა.

„სიონის ტირილი“, აღნიშვნაა იმისა, რომ სიონის ტაძარი მტერმა ააოხრა, გარყვნა და იმდენი ისრაელის შვილი დახოცა, რომ მათი სისხლი გზებზე დუღდა.

ორმოცი სელიხოთი

„ელულის“ თვეში იწყება „სელიხოთი“ (დილის ლოცვა). ორმოცი დილის სელიხოთი უნდა ილოცებოდეს გათენებამდე. პირველი ელულიდან (მეთორმეტე თვე) დაწყებული სელიხოთი გადადის მომავალი წლის ქიფურამდე.

ისრაელური აღრიცხვით წელიწადში თორმეტი თვეა, ხოლო ყოველ მესამე წელიწადში ცამეტი, რომელიც ემატება „ადარის“ თვეს და ეწოდება „ადარ-ვე-ადარი“.

თვის პირველი რიცხვი დაკავშირებულია ახალ მთვარესთან, რომელსაც ეწოდება რ ო შ ხ ო დ ე შ ი (თვის თავი).

ყოველი თვის დასაწყისი (როშხოდეში) ერთი ან ორი დღეა, ამ დღეებში მხიარულობენ, სტუმრად მიდიან ერთმანეთთან, გარ-

ჩეულ საჰმელ-სასმელს (უკეთესს), ხორცეულს ამზადებენ და სხვა. არ

რეცხავენ, არ კერავენ, მიცვალებულს სულს უხსენებენ, სანთლებს ანთებენ და მხიარულად ატარებენ, რომ თვე კარგი ექნეთ.

ქიფურის შემდეგ ისრაელთა უქმეებში ყველაზე დიდი უქმეა შაბათი დღე.

შ ა ბ ა თ ი

შაბათს განსაკუთრებულად ხვდებიან: წინა დღით კეთდება საუკეთესო, გამორჩეული და გემრიელი საჭმელები, ტკბილი ნამცხვრები, ფრინველი, თევზი, შეჭამადი, კვერცხი და სხვა.

პარასკევ საღამოს მზის ჩასვლამდე მზადდება და კეთდება საშაბათო ულუფა, სარეცხი, საცვალი და სხვა.

პარასკევ საღამოს აუცილებლად დიდიდან პატარამდე ყველა იბანს და იცვლის. მამაკაცები სალოცავში მიიჩქარიან, ქალები კი ჩქარობენ მზის ჩასვლამდე სანთელი აანთონ, რის შემდეგაც აღარაფრის გაკეთება არ შეიძლება.

მამაკაცები რომ სალოცავიდან დაბრუნდებიან, შინ მხიარულნი ხვდებიან, რომ კვირა მხიარული იქნეს შვიდი დღის განმავლობაში და ოჯახზე არ ისუნტლოს არაფერმა ცუდმა.

სალოცავიდან დაბრუნებული უმცროსები უფროსებს ხელზე კოცნიან; უფროსი კარებიდან სამჯერ დაიძახებს: „შაბათი შალომ“ (შაბათი შვიდობისა), მას უმცროსებიც მიჰყვებიან და შინ გალობით შედიან. ყველა „მუზუზას“ (კარზე ნიშანი) მიესალმება, წადმა შემობრუნდებიან და სუფრას შემოუსხდებიან.

ოჯახის უფროსი მამაკაცი ღვინოს აკურთხევს, რასაც ყველანი ფეხზე მდგომი ისმენენ, კურთხევის შემდეგ ერთ მესამედს თვით შესვამს, გადასცემს თავის მომტანოს; ჯერ მამაკაცები მოსვამენ იმავე ჭიქიდან, შემდეგ ქალები (იმ ვარაუდით, რომ რაც გინდა დიდი ჯალაბი იქნეს, ყველას გასწვდეს და ჭიქაში კიდევ ჩარჩეს). „კიდუშის“ (ღვინის კურთხევის) შემდეგ მოაქვთ ხელწყალი: ერთს ტაშტი უჭირავს ხელში, მეორეს თუნგით წყალი, ყველა ხელს იბანს, „ნეტილათს“ (ხელის კურთხევა) იზამენ, ჩუმად ისმენენ ოჯახის უფროსის ლოცვას, რომელიც გადახდის სუფრის-სახურავს, აიღებს ორ მთელ პურს, მაღლა ასწევს ორივე ხელით, ისევ სუფრაზე ერთი მეორეზე დასდებს, ერთზე ყუას ჩამოჭრის, ყუიდან პატარას მოჭრის, მარილზე აწობს, აკურთხევს, შემდეგ იმდენ ნაჭერს მოჭრის, რომ ყველას გასწვდეს. ყველანი აკურთხევენ, მარილზე აწობენ და შესჭამენ, შემდეგ ვახშმობენ.

ვახშმის შემდეგ ისევ გალობენ და მხიარულობენ. „შაბათ ღამეს“ ე. ი. პარასკევ ღამით იშვიათად გაივლიან, სახლიდან არ გამოვლენ, არაფერ ცუდს გადაეკიდონ და მით შაბათი არ „ამსუბუქონ“ (პარასკევ ღამით ავი ანგელოზებია გამოსული და მსხვერპლს ეძებენ, თუ სადმე დაინახეს გარშემო მიმავალი, დააზარალებენ). ნავახშმევს ოჯახში მხიარულობენ, ეზოში გავლასაც ერიდებიან, განსაკუთრებით წყლით ნასხამ ადგილებს.

შაბათ დღეს არავითარი საქმიანობა არ შეიძლება, არც მუშაობა, არც ცეცხლის ანთება და დაქრობა, არც ხიდზე გავლა და სხვ.

არ შეიძლება არავითარი ნივთის ტარება არც ჯიბით, არც გაგზავნა-გამოგზავნა, გარდა იშვიათი შემთხვევისა. თუ ადამიანს უჭირს, ყოველნაირი სამუშაო და საქმიანობა შეიძლება, ოღონდ უშველო გაჭირვებულს.

შაბათ დღეს ხნიერი ქალებიც დადიან სალოცავში, საქალებოში ისმენენ ლოცვას. შაბათ დღეს სამჯერ დადიან სალოცავში: დილით, მზის ჩასვლამდე და მზის ჩასვლის შემდეგ. ვარსკვლავების ამოსვლამდე სანთელს არ ანთებენ, სალოცავიდან დაბრუნებული მამაკაცები ღვინოსა და სურნელს აკურთხებენ.

ნაკურთხ ღვინოში ოჯახის უფროსი დაკვირვებით ჩაიხედავს: თუ თავისი საკუთარი თვალის კაკალი დაინახა – კარგი ნიშანია; მერე სხვა მამაკაცებსაც მიაწოდებს, „ელოა ღამის“ (შაბათ საღამოს) ნაკურთხ ღვინოს მარტო მამაკაცები და ვაჟები სვამენ (ქალები არა); ოჯახის უფროსი მონარჩენ ღვინოს მარცხენა ხელის გულში ჩაისხამს, შუბლზე მოისვამს, შიგ სანთელს ჩააქრობს, უყნოსავს და მარჯვენა ხელით ოჯახის ყველა წევრს მიასხურებს. ღვინის კურთხევის დროს იკურთხევა რაიმე სურნელოვანი: მიხაკი, ლიმონი, ჩაი ან სხვ.

შაბათ დღეს სავალდებულოა ოთხჯერ ჭამა: შუადღეზე თევზი, კვერცხი, ნამცხვარი და სხვა. სადილად აუცილებლად ფრინველი და ხორცეული (ცივი) უნდა იყოს, სამხარი და ვახშამი.

მეორე დღიდან შეუდგებიან ჩვეულებრივ საქმიანობას.



სურ. 12. სეფერ-თორა. საქ. ებრაელთა მუზეუმის კოლექციიდან.

„ბ ა ტ ო ნ ე ბ ი“

ისრაელური წესით ბატონების თაყვანისცემა და მისი სამსახური დიდ ცოდვად ითვლება. ბატონების სამსახური – ეს იგივე კერპთაყვანისმცემლობაა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის ქართველ ისრაელებში ღრმად იყო ცრუმორწმუნეობის ფესვები გადმული, ბატონებს მაინც ყველა ემსახურებოდა.

ბატონებში ყველაზე მძიმე და საშიში სახადია ყვავილი; როგორც კი ოჯახში ვინმეს ყვავილი გამოაჩნდება, უნდა დაიცვან შემდეგი:

1. ახლო-მახლო ბავშვებს, თუ აუცრელია, არ აუცრიან.
2. ბატონებიანი უნდა ინახულოს მხოლოდ მათმა „მოწონე-ბულმა“.
3. დილა-სადამოს ბატონებს უბოდიშებენ (იხ. ქვემოთ).
4. ბატონებიანის სახლში შემოტანილი საგანი უკან არ უნდა გაიტანონ.
5. არავითარი ხორცეული, არც თევზი, არ უნდა გაჭაჭანდეს ოჯახში.
6. ბატონებიანს არ უნდა გამოეცვალოს არც ლოგინი, არც საცვალი, არც ხელპირი უნდა დაბანონ, არც თმები და ფრჩხილები უნდა მოჭრან.
7. სანამ ბატონებიანს არ დაშაქრავენ, იმ სახლში სქესობრივ კავშირს არ იქონიებს არც ერთი მეუღლე.
8. ოთახში თაფლის სანთელი არ უნდა აინთოს – ღვთის სამსახურის მიზნით.
9. არავითარი შინაური ფრინველი არ დაიკლას (სხვა ოჯახიდან მიიღებენ გამზადებულს).
10. რაც კი სულიერი რამ შემოვა ბატონებიანთან (წიწილი, თიკანი, ბატკანი, მტრედი) უნდა შეიღებოს წითლად და ოთახიდან არსად გავიდეს.

11. არაფერი საქნარი: არც საკერავი, არც სარეცხი, არც ხელ-საქმე, არც ბუმბულის წეწვა და სხვა არ შეიძლება.

12. ოთახი, ლოგინი, ფანჯრები, მაგიდა ყველგან უნდა მოირ-თოს წითლად და იმ ოთახში სარკე არსად უნდა იქნეს.

13. ბატონებიან ოჯახიდან გარეთგასულმა სალამი არ უნდა მისცეს არავის, არც სხვა უნდა მიესალმოს მას, ბატონებს ეწყინება.

14. არავინ უნდა იკითხოს როგორ არის ავადმყოფი.

15. რასაც კი მოინებებს ბატონებიანი, ყველაფერი აუცილებლად უნდა შეუსრულდეს.

16. ვინც ერთხელ ნახავს ავადმყოფს აუცილებლად დილა-სა-ლამოს უნდა ინახულოს, სანამ დაშაქრავდნენ და არც ხელცარიელი უნდა მივიდეს ბატონებიანთან.

17. წამალ-ექიმი არ უნდა დაინახოს ბატონებმა თორემ – გა-ნაწყენდება.

18. ოჯახში არავითარი ლოცვა-მარხვა და რელიგიური წესი არ უნდა სრულდებოდეს, განაწყენდება.

19. არავითარ გულმოსულობა, არც ხმამაღლა ლაპარაკი, არც ჩხუბი არ უნდა მოისმინოს, – განაწყენდება.

20. არავითარი ვაჭრობა, ალებ-მიცემობა და საქმიანობა არ უნდა ესმოდეს.

თუ ოჯახში ერთმა გამოიარა ბატონები და მის დაშაქვრამდე მეორეს გამოაჩნდა, მეორეს სათუოდან გამოსვლამდე პირველის და-შაქვრა არ შეიძლება, არც „სუფრის გადატანა“ და არც „განატეხი“.

არიან ხნიერი ქალები, ე. წ. „მოწონებულნი“, რომელნიც ბა-ტონებს უყვარს, მათ აქვთ საკუთარი ჩონგურიც; ისინი ერთ ბატო-ნებიან ოჯახში რომ მივლენ, მეორეში აღარ მივლენ.

„მოწონებული“ დილა ადრიან მიდის, მიაქვს ია და ტუხტის ფოთლები (თუ იშოვება ყვავილები), ტკბილეულობა; მის მისვლამდე კარს არ გააღებენ („მოწონებული“ უმეტესად ქრისტიანია). შევა თუ არა შინ, ბატონებიანთან მიდის, დაუდგამს წინ ახალ-ახალ ყვა-ვილებს, ახალ წყაროს წყალს, ტკბილეულობას და იტყვის ჩონგურზე დამღერებით ლექსად:

ბატონებო ღვთიანებო, ღვთიდან გამოგზავნილებო, ვარდო

ბატონოო...

მაისში ვარდი გამოვა, ივანობისთვის პურიო,

ბატონებო გვევდრებით, კარგად დამიგდეთ ყურიო...

ამ ბატონების დედასა, ვარდი ურგიათ კერასა, ვარდო

ბატონო,

ოქროს აკვანი უდგიათ, ვარდო ბატონო,

შიგ უწევთ ბატონიშვილი, ვარდო ბატონო,
ეუბნებიან ნანასა, ვარდო ბატონო,
ნანინა ბატონიშვილსა, ვარდო ბატონო.

– „ბატონებო, თქვენი მუხლისა და კალთის ჭირიმე, თქვენი ბატონობის ჭირიმე, ეს მცირეოდენი ია და ვარდი მოგართვით, აბჰანდით, გაიარ-გამოიარეთ, მინდორ-ველზე გადაიხედეთ, გაისეირნეთ, ეს თქვენი ნაკადრები ჩვენ მოგვანდვეთ, გაიხედ-გამოიხედეთ, წამოაბჰანდით, მე თვითონ გაგიძღვებით, გიჩვენებთ (ხელებით კარე-ბისაკენ უთითებს). აი, თქვენი საყვარელი წვანე, ია და ვარდი, წყალი და მინდორ-ველი, მაგრე თქვენი მუხლისა და კალთის ჭირიმე, მაგრე თქვენი ბატონობის ჭირიმე“.

„მოწონებული“ გარეთ გავა, ისევ შემობრუნდება და კარს მი-
ხურავს, მიუცუცქდება ისევ ჩონგურით და განაგრძობს სიმღერას:

– „დატკბით, დატკბით დაიამდით, დატკბით ბატონო,
დაიტკბეთ თვალი და გული, ვარდო ბატონო,
აგრემც თქვენ გზას უხარია, ვარდო ბატონო;
თქვენ გზასა და თქვენ სავალსა, ვარდო ბატონო,
თქვენ შვილსა და მამავალსა, ვარდო ბატონო“ და სხვ.

თუ ბატონები განაწყენებულია, „მოწონებული“ ძირს იფორ-
თხებს, ბოდიშით ევედრება ბატონებს თავზე შემოივლონ და და-
ტოვონ თავიანთ საქებ სადიდებლად, თავიანთი შვილ-მომავლის სა-
დღეგრძელოთ და დაუტევონ უბინჩარათ, უტიფარათ, უწყინარათ, მის
სამაგიეროთ მიირთვან ეს სულიერი (წითლად შეღებილ წიწილს,
თიკანს, ან ბატკანს შემოავლებენ ავადმყოფს სამჯერ თავზე), ხელი
ხელის სანაცვლოთ, ფეხი ფეხის სანაცვლოთ, თავი თავის სანაცვლოთ,
თვალი თვალის სანაცვლოთ და სხვ. ჩამოყვება ყველა სხეულის ნა-
წილის სახელს, მარჯვენა ხელით ავადმყოფის ხსენებული სხეულის
ნაწილს შეეხება, მარცხენა ხელით მისი სანაცვლოსას, რომ მოათა-
ვებს ყველა ნაწილის დასახელებას, სამჯერ კიდევ შემოავლებს თავზე,
მოათავებს ვედრებას და სანაცვალს ხელს გაუშვებს. ავადმყოფმა თუ
თვალი გამოახილა, ან რაიმე სასმელ-საჭმელი მოითხოვა, მიუტანენ,
მიაწოდებენ და თუ აღარ შეჰამა, მის სანაცვალს შეაჭმევენ. ასე
ინახავენ თავზე შემოვლებულს, სანამ საბოლოოდ არ დაშაქრავენ ბა-
ტონებიანს.

მთელი დღის განმავლობაში ავადმყოფის გვერდზე ვინმე არის
და ჩონგურზე ამღერებს, მზის ჩასვლამდე კი ისევ მოვა „მოწონე-
ბული“, კარს ისევ ღიად დატოვებს და იტყვის:

„შემამიძებით ბატონებო, მოაბჰანდით თქვენი ჭირიმე, თქვენი
მუხლისა და კალთის ჭირიმე, თქვენი ბატონობის ჭირიმე, დაბჰან-
90

დით თქვენ ადგილებზე, ა თქვენი დატეხებული ამანათი, ისევე კარგად დაგახვედრეთ“ და სხვ.

„მოწონებული“ ისევ აიღებს ხელში ჩონგურს და იმღერებს ბატონების სიმღერებს, ცეკვავს, ყველას აცეკვებს ბატონების გასამხიარულებლად.

დაშაქვრა

ასე გრძელდება ყოველდღე დილა-საღამოს. როდესაც საბოლოოდ აღარავინ დარჩა მოუხდელი, მერე შეუდგებიან დაშაქვრას. სამი დღე ყოველდღიურად იასა და ტუხტის ფოთლებს ჩაყრიან ახლადმოტანილ წყალში, შიგვე შაქარს ჩაყრიან და ამ ნელთბილი წყლით ხელფებს ბანენ, მესამე დღეს კი ასეთსავე ნელთბილ წყალს მთელს ტანზეც გადაავლებენ.

განატეხი

დაშაქვრის შემდეგ „განატეხს“ გააკეთებენ; გამოაცხობენ ხაჭაპურს, ხმიადს, კოკრებს, შუაში ნაბატონევს ჩააყენებენ, ირგვლივ სხვები შემოუსხდებიან, გატეხავენ ნამცხვარს, სჭამენ, ბაზმას აანთებენ (კეცის ნატეხზე ნიგოზსა და შაქარს ნაკვერცხალზე დასწვავენ); ბატონებისათვის გაწყობილ სუფრას წყლისპირად წაიღებს „მოწონებული“, სანაცვალს ჯვარედინ გზაზე გაუშვებს, წიწილი ან მტრედი თუ ჰყავდათ შეღებილი ბატონებისათვის, იმათაც გააფრენს, სუფრის მოწყობილობას კი მთლიანად წყლისპირად დატოვებს და ბატონებს წყლის პირზედვე დაემშვიდობება.

თუ ბატონებმა რაიმე მიზეზი დაუტოვა, სადაც კი გაიგონებს „მოწონებული“, რომ სხვა ოჯახს ესტუმრა ბატონები, იქ მივა, მოუბოდიშებს, ნაავადმყოფარსაც თან წაიყვანს და შეახვეწებს, რომ თავიანთი დამიზეხებული ბატონებმა თვითონვე განკურნონ, რის შემდეგ ხელახლა განატეხს გააკეთებენ და ციხის ნანგრევებზე გადაულოცავენ კაკლეულობით.

ფერად ნაჭრებს, სხვადასხვა სახის კოკრებსა და ნამცხვრებს, გროშ ფულს, კაკლეულობას, წითლად შეღებილ კვერცხებს, ტკბილეულს „მოწონებული“ წაიღებს (ქუთაისში ასეთისათვის მიღებულია „მწვანე ყვავილას“ ციხის ნანგრევები) ციხის ნანგრევში და გადაულოცავს, რომ ბატონებმა ითამაშონ და თავი შეიქციონ ფერად ნაჭრებზე, კაკლეულ-ტკბილეულზე. ყვავილების კონებზე და მათი დაზიანებული კი აუშვან და ააყენონ.

დაბრუნდება „მოწონებული“ ავადმყოფის ოჯახში, ავადმყოფს მხრებზე ხელს მოკიდებს და ეტყვის: – ამიერიდან აგიშვებს და აგა-

ყენებს, აწი შენი უნებური აღარაფერი გეტკინება, ბატონებმა შემოგითვალეს, მაღლა ასწევს ავადმყოფს, წაღმა შემოაბრუნებს სამჯერ, იცეკვებს და ითამაშებს, ყველა იქ დამსწრესაც ათამაშებს.

ბატონების დროს სუფრისსაფარი, ფანჯრების ფარდები – წითელი და ჭრელი, ფერადი ბაღდადები, რომელიც ბატონების მიერაა მიღებული, ხელიდან ხელში გადადის; სადაც კი ბატონები გაჩნდება, მიაქვთ და მით უწყობენ კუთხეს.

ბატონებში, როგორც ზევით ვთქვით, ყველაზე მძიმეა ყვავილი, მას მიჰყვება წითელა, ხველა, ქუნთრუშა (ანუ ყელბატონები), ყბაყურა, ფშატა (ანუ წყლის ყვავილი), კისერა (დიფტერიტი) და სხვ.

ბატონებიანის ლოგინს ორმოცამდე „არ დაანძრევენ“, ხელს არ ახლებენ; ორმოცი დღის შემდეგ მოუვლიან, გამოუცვლიან, გაამზეურებენ და გარეცხავენ.

ავადმყოფსაც ორმოცი დღის შემდეგ დაბანენ; ორმოცამდე მისი ხელპირის დასაბან წყალში მუდამ უნდა შეურიონ: შაქარი, იის ფოთლები და ყვავილები, სადაც კისურნელოვანი მცენარე მოიპოვება. წყალი მუდამ ნელთბილი უნდა იქნეს.

ორმოცამდე არც ერთი წუთით მარტო არ უნდა დარჩეს ავადმყოფი, ვინმე მცველად უნდა ჰყავდეს; ღამით კი სინათლეში უნდა იძინოს.

ორმოცამდე წყლის ნასხამ ადგილებსა და ფეხისალაგებს არ უნდა წაეკაროს, რომ კვლავ არ გაუმეორდეს ბატონები, თორემ განაწყენებული ძალიან მძიმე მოსარჩენია.

ბატონებიანის გარდაცვალება

ბატონებიანი თუ გარდაიცვალა და იმავე ოჯახში, ან მეზობლად კიდევ ვინმეა ბატონებიანი, ისე გამოასვენებენ მიცვალებულს, რომ ერთ „ვაი“-საც არ დაიძახებენ, რათა ბატონები არ განაწყენდეს; არც უნდა გაიგოს ბატონებიანმა ვინმეს გარდაცვალება.

მიცვალებულს თუ იმ ქუჩაზე მiasვენებენ, რომელზედაც ბატონებიანია, იმ დროს ცეკვა თამაშით და ბოდიშით ეხვეწებიან ბატონებს იმ ოჯახის მყოფნი, არ განაწყენდნენ, არ გაწყრენ და არ გაიგონ რომ ვინმეს მiasვენებენ.

მოწონებული

ბატონებზე თუ მოზრდილ ვაჟს ან მამაკაცს სასქესო ორგანო აწუხებს, „მოწონებული“ შევაზმავს ქვასანაყს, მორთავს ფერადებით ცალკე ქვასა და ცალკე როდინს (ქვიჯას), მიიტანს ახლო ავადმყოფთან, როდესაც მას სძინავს, დაუდგამს მორთულ ქვასა და ქვიჯას



სურ. 13. ამულეტი.—თორის ნაწერი ავადმყოფობის წინააღმდეგ, საკ. ებრაელთა მღვდელის კოლეგტივიდან.

თავით და ბატონებს მიმართავს თხოვნით: „თქვენი ჭირიმე ბატონებო, თქვენი მუხლისა და კალთის ჭირიმე, თქვენი ბატონობის ჭირიმე, თქვენი შვილ-მამავალის ჭირიმე, ნუ აწუხებთ თქვენ ნაკადრებ, აი აგერ გადმოხედეთ, მე მოგართვით თქვენმა მოწონებულმა და მიღებულმა ტურფათ მორთული თქვენი გასახარელი, აი ამაზე იმხიარულეთ და იხაფიფეთ, თქვენი მოწონებული და ნაკადრები გაანთავისუფლეთ, აუშვით, გააგრილეთ, თავზე შემოივლეთ და დაგვიტევით, თქვენი ბატონობის ჭირიმე, თქვენი მოდგმა-ჩამამავლობის ჭირიმე, დატკბით ბატონებო, დასიამდით, თქვენ ჩემი ხვეწნა და თხოვნა არ გაგიწილებიათ, ნურც ახლა გამაწილებთ“. აიღებს ფერადი ნაჭრებით მორთულ ქვას და რამდენჯერმე ჩაარტყამს ნელნელა უხმოთ ქვიჯაში, მერე მოაშორებს ქვას, გადადებს მეორე მხარეზე, წააქცევს ქვიჯას და დაუპირისპირებს ქვას. გაიმეორებს სამჯერ მობოდიშებას, ამოიღებს ორივე თავის ძუძუს და ფორთხვით სამჯერ შემოუვლის ბატონებისათვის გაწყობილ სუფრას.

ნაღალატი – კუდიანობა

ფრჩხილს, თმებს, ტანისამოსის ნაჭერს, შეკრულ ჭინჭებს, დაკეტილ ბოქლომს, დამქვრალ სანთელს, თუ ქალს „ღალატობენ“ დედალი მგლის ასოს, თუ მამაკაცს – მამალი მგლისას, შელოცვილ კენჭებს, ყველას ერთად შეხვეულს, კუდიანი გზაჯვარედინზე შუაღამით მიწაში ღრმად ჩაფლობს და ჩაუთქვამს: სანამ ეს ბოქლომი არ გავხსნა, სანამ ეს ფრჩხილები და თმა თავის პატრონს არ გამოეზას, სანამ ეს ჩემი დამარხული არ ამოვიდეს, მანამ იკვნესოს, იახაუხოს, იჭირვეულოს, არ გაუჩდეს მაშველი, არ გეეხსნას წელგული, არ დამადლიანდეს შვილზე; კუდიანი ისევ მიაყრის მიწას და წავა.

გადაცემა

ათ თითზე ათ სანთელს დაიკრავს, უხემსოთ (უჭმელად), უბრად გავა სახლიდან, ქალი მანდილში გახვეული, მამაკაცი კი „სისიტში“, მივა სალოცავის კართან იმ დროს, როცა იქ არავინაა და ათივე თითზე ანთებული სანთლებით, ხელეგაშლილი დაიწყევლება: – როგორც ეს სანთლები დნება და იწვის, ღმერთო და წმინდაო „სეფერთორებო“ თქვენ გეხვეწებით, ასე დაიწვას, ასევე დადნეს (ესა და ესა), არ გაიხაროს მისმა სულის შესავალმა, არ მიეცეს ხსნა და შველა მისას არც ორფეხსა და არც ოთხფეხს, დეეწვას ოჯახი, მუუკვდეს გულის სამცხარო-გულსაწვავი, არ გაიშვას მისი არც ძუ და არც ხვადი და სხვა. ჩემი „პირთაყანითობის“ (გადამცემი მარხულია) პირით გეხვეწები და გევედრები, შეისმინე ჩემი ხვეწნა ღმერთო

აბრაამისაო, ღმერთო ისხაკისაო, ღმერთო იაყაკობისაო; გამამწარა, დამაღონა – გაამწარე და დააღონე, მე კი ნუ მამიდევებ ჩემი პირის წყეულობას, ჩემ ნაშიერსა და ნაამაგარ, დააბათლე ყოველი წამო-სეული „გეზერეები“ (გასაჭირი) მათზე, ამიშორე იმათ თაავ ავი შემოსაყარი, ნუ მოადევნებ ჩემ ცოდობ“.

ამ სიტყვებით დაბრუნდება უკუღმა, წამოვა და გაიმეორებს:

„ამ ლოცვა „ყაალის“ (სალოცავის) „ზეხუთო“ – (ხელებს სალო-ცავისაკენ მიაშვერს), – როგორც ე ჩემი ხელის თითები დავიწვი, ისე დაუწვი იმას საუკეთესოზე გული და ასე უკუღმა აროინე იმისი ოჯახი“.

სალოცავზე გადაცემა ძალიან დიდი ცოდვაა, აშკარად ვერავინ გაბედავს, უშლიან არ ჩაიდიხოს, რადგანაც მისთვისაც (გადამცემი-სათვის) არ ვარგა.

კუდიანობა

კუდიანი დაიკავებს ორივე ხელში ქვას, ურტყამს ერთი მეო-რეს და გაიძახის:

– „ასე გაქვავდა ამაშავალი (ვიზედაც კუდიანობს, მის სახელს იმეორებს), ასე გაცივდა, ასე გალიგდა“.

რამდენიმე ხნის განუწყვეტელი ბუტბუტის შემდეგ ორივე ქვას მდინარეში ისვრის და მიაძახებს:

„სანამდი მე ი ქვები არ ამოვიღო, მანამდი არაფერი ეშველა“.

კუდიანი უნაყოფო ხეს მიმართავს:

„შენსავით გახმა, შენსავით არ გამოვიდა ნაყოფი მისი წელგუ-ლიდან“... მზის ჩასვლის დროს ასე იწყევლება: „ჩავიდა მისი მზე და აღარ ამოვიდა მეორეთ მოსვლამდისინი“.

კუდიანმა თუ იხელთა და სადმე თავის ახლო ნახა მსხვერპლი, ჩუმად ხელს დაადებს, შეეხება და დაწყევლის:

„წადი, დღეიდან დაწევი ერთ გვერდზე და სანამდისინ ჩემი ხელის ნაბანი არ გასვა, არ გადაბრუნდი მეორე გვერდზე“.

თუ ვინმე ახლობელმა თვალი შეასწრო და შეხედა, რომ უცხომ მას ხელი შეახო და იგი ავად გახდა, შემოასივვენ კეთილ-საყოლსა და მის ხელის ნაბანს წაიღებენ ავადმყოფის სასმელად.

ახალი ბინა

მორწმუნე ისრაელი სახლს იშვიათად ააშენებს, საძირკველს არ ჩაუყრის და თუ ააშენა, საძირკველში ახალ-ახალ ვერცხლის ფულს თან ჩაატანს, იქვე პატარა პურ-ღვინოს გააწყობს სუფრაზე და შიგ საძირკველის ძირში ახალ მამალს დააკვლევინებს ლოცვა-კურთხევით,

იმის აღსანიშნავად, რომ საძირკველის ჩაყრას არ გაჰყვეს ოჯახის მარჩენალი ვაჟკაცი – მამალი მისი სანაცვლოა.

ახალ სახლში ისე საცხოვრებლად არ შევა, თუ რამდენიმე ხნის განმავლობაში შიგ არ გამოწვა სხვადასხვა სახის საგნები, მაგალითად: გოგირდი, საკმეველი და სხვა. ამას სჩადის იმ მიზნით, რომ ბოროტი სული არ დაეპატრონოს სახლს და არ დააზარალოს ვინმე. გამოწვავს რამდენიმეჯერ და დღედაღამე განუწყვეტლივ სანთელს ანთებს, ვინაიდან ეზმაკეულს სინათლე არ უყვარს და იგი გაშორდება სახლს.

შესვლის წინ ახლო ნათესავები უგზავნიან ფუან პურს რიცხვით სამ, ხუთ, შვიდ, ან ცხრა ცალს, აგრეთვე ცოცხალ ფრინველს, მამალს, ინდოურს ან ქათამს და შინაურ ღვინოსა და არაყს, თავით შეაქარს. საცხოვრებლად ჩასახლებამდე გააკეთებს ყველა კარზე „მეზუზას“ (მეზუზა – ნიშანია იმისა, რომ ამ ბინაში ცხოვრობს მორწმუნე ისრაელი) კურთხევითა და ლოცვით.

პირველად სახლში ოჯახის უფროსი შედგამს მარჯვენა ფეხს; მას მარჯვენა ხელში უჭირავს ჭურჭლით სავსე წყალი, მარცხენა ხელში მთელი გაუტეხავი დიდი ფუანი პური (შინაური), ხოლო გულზე ჩამოკიდებული ან მიყუდებული აქვს, როგორც ეს მოუხერხდება, თავი შეაქარი, ჯიბეში უდევს თორა და სანთელი.

მის შესვლას ახლობლები ლოცვა-კურთხევით მიჰყვებიან. უფროსი შეიტანს ზემოხსენებულს და ევედრება ღმერთს, რომ ახალ სახლში მან და მისმა ოჯახმა ბედნიერად და მხიარულად მოათიოს. წყალს, პურს და შეაქარს ერთ ადგილზე დააწყობს, თორასა და სანთელს დაიკავეს ხელში ანთებულს, ყველა კუთხეში მივა, გაშლის თორას და ჩააფერთხებს, თან სანთელს მიანათებს და ღმერთს ევედრება, რათა მისი ძირკუთხე იქნეს ისრაელური და ქაშერი, როგორც მოშეს თორა და ნათელი, როგორც ანთებული სანთელი. მოწვეულნი სუფრას შემოუსხდებიან, საპატიო ადგილს რაბინი ან უფროსი ხახამი დაიკავეს; მის გარშემო ხახმები ჩამწკრივდებიან, შემდეგ სუფრას სხვებიც შემოუსხდებიან, დაიწყება მილოცვები, ლოცვა-კურთხევანი და ლხინი.

ოჯახის უფროსი ყველა ხახამს დაასაჩუქრებს ფულით. ამრიგად იკურთხევა პირველად ახალი სახლი, ხოლო ამის შემდეგ კარგა ხანს არ გამოიღევა მიმლოცავი სტუმარი, რომელთაგან არცერთი არ მივა ხელცარიელი; ყველას მიაქვს მთელი ფუანი პური, შეაქარი და ღვინო (მარილი არა).

ბინიდან გასვლა

ოჯახის არც ერთი წევრი არ გავა სახლიდან ისე, რომ სამჯერ წაღმა არ შემოტრიალდეს და სამჯერ მეზუზას არ გამოემშვიდობოს, სიტყვებით: „ა ღმერთო, როგორც შვიდობით მივდივარ ისევე შვიდობით დამაბრუნე და ოჯახიც შვიდობით დამახვთერე, გამჩენო ცისა და ქვეყნისაო“.

სახლიდან გასვლისას, თუ ახლოს ვინმე შეეყარა და ხელში უჭირავს სავსე ჭურჭელი წყლით, ან ღვინით, ან პური, ან ტკბილი, ეს კარგი ნიშანია: შინ გამარჯვებული დაბრუნდება; და თუ ვინმე შეხვდა ხელში ცარიელი ჭურჭლით, ან რაიმე არა ტკბილით (მწვანილი: ბოლოკი, წიწმატი, ხახვი და სხვა), ის ნაწყენი განაგრძობს გზას, უკან დაბრუნებაც ცუდია: მიზანს ველარ მიაღწევს, მიდის გზად და სულ ფათერაკს მოელოდება, იფურთხება, იწყევლება, მარცხნით იყურება, არ შეხვდეს რაიმე ცუდს და მარცხნივ წყევლის ცუდ ანგელოზს, არ გაბედოს, მასზე არ ისუნტლოს და არ დააზარალოს.

ბინის გამოცვლა

თუ ისრაელმა ბინა გამოიცვალა და მის ყოფილ ბინაში ისევ ისრაელი იცხოვრებს – არც ერთ კარზე მეზუზას არ მოაშორებს, ისევ დატოვებს, ხოლო თუ მის ნადგომ ბინაში არა ისრაელი იცხოვრებს, იმ შემთხვევაში, არცერთ კარზე მეზუზას არ დატოვებს.

თორის ნაწერი

არავითარი ნაწერი ებრაულ ენაზე (არც ხელით, არც ნაბეჭდი) უკუღმა არ უნდა დაიდვას და არც უნდა გადაიგდოს.

დავარდნილ თორას აიღებენ, აკოცებენ და დასდებენ (დაასვენებენ); ფურცლის ნახევებს ჩადებენ უჯრაში, აგროვებენ და შემდეგ თიხის ჭურჭლით მიასვენებენ სასაფლაოზე და მარხავენ.

ტანისამოსის და ფესხაცმელის ჩაცმა-გახდა

ტანზე პირველად მარჯვენა სახელო უნდა ჩაიცვას, შემდეგ – მარცხენა; ჯერ მარჯვენა ხელი და ფეხი უნდა გაეყაროს ტანისამოსში. ფესხაცმელიც ასევე, ჯერ მარჯვენა ფეხზე, მერე მარცხენაზე უნდა ჩაიცვას, ხოლო გახდით კი პირველად აუცილებლად მარცხენა ფეხზე უნდა გაიხადოს, შემდეგ კი მარჯვენაზე.

ფრჩხილების მოჭრა

ფრჩხილები უნდა მოიჭრას შემდეგ დღეებში: კვირას, სამშაბათსა და პარასკევს; სხვა დღეს ფრჩხილების მოჭრა დიდ ცოდვად 7. რ. თ ა ვ დ ი დ ი შ ვ ი ლი.

ითვლება; რადგანაც შაბათი ღლე დიდი უქმეა – არც უნდა მოიჭრას და არც უნდა ამოვიდეს, ვინაიდან ფრჩხილი მესამე დღეს ამოდის მოჭრის შემდეგ, ამის გამო არ მოიჭრება ხუთშაბათ დღეს, ორშაბათ-ხუთშაბათობით „სეფერის აბრძანების“ დღეა (ყოველ ორშაბათ-ხუთშაბათ ხდება დილით სალოცავში ათი მცნების გამოსეცნება). არც რომხოდეშში (ახალ მთვარეზე) და არც იომტობში (დღესასწაულზე) არ შეიძლება ფრჩხილის მოჭრა.

ფრჩხილი უნდა მოიჭრას შემდეგი წესით: პირველად მარჯვენა ხელფეხზე, შემდეგ მარცხენაზე; პირველად ცერზე მერე შუა თითზე, შემდეგ ნეკზე, სალოც თითზე და უსახელო თითზე. ფრჩხილები უნდა დაიწვას ცეცხლში, ან დაიმარხოხს მიწაში, თუ მტერმა ფრჩხილები ხელში ჩაიგდო, უკუდიანებს და უღალატებს.

ცოდვილი

ადამიანი იერუშალაიმში რომ დაიმარხება, თუ ის ცოდვილია, იერუშალაიმის მიწა მას არ იყაბულებს და არა წმინდა მიწაში გადმოისვრის.

გომელი

ისრაელი თუ რაიმე გასაჭირიდან გადარჩებოდა ან შორი მგზავრობიდან შვიდობით დაბრუნდებოდა, „გომელი“ უნდა შეესრულებია.

სალოცავში ტრაპეზზე შედგებოდა, სალოცავს ფულს შესწირავდა და ხმამაღლა ჯამათის გასაგონად ღმერთს მადლობას უძღვნიდა.

მთვარის კურთხევა

ყოველ თვეში ერთხელ, როდესაც ღრუბლიანი სადამო არაა და ახალი მთვარე წმინდად მოჩანს ცაზე, სადამოს ლოცვიდან გამოსული ჯამათი იქვე „ლოცვის ეზოში“ შეჩერდება, მლოცველი ხმამაღლა აკურთხევს მთვარეს, დამსწრენიც ზანს აძლევენ, ღმერთს ევედრებიან, რომ მომავალი თვე მოუბრუნდეს მათ კარგი, კეთილი, შვიდობითა და გამარჯვებით შინ და გარეთ. გარეშე ხალხი რომ დაინახავს მთვარეს აკურთხევენ, შეიქნება გამახილ-გამომანილი, მოგროვდება ქალი და კაცი, ამენის დასაბრუნებლად. მთვარეს – ვერცხლს დაანახებენ, პირველ მთვარის დანახვაზე ვერცხლის ფულს დახედავენ.

„რეფუა“

როდესაც სადმე შეწუხებული ავადმყოფია, სალოცავში გამოაცხადებენ, რომ ჯამათმა მას „რეფუა“ – განკურნება უსურვოს.

ავადმყოფის პატრონი სალოცავს ფულს შესწირავს, ხალხს ეხვეწება დალოცოს მისი ავადმყოფი, კარგად ეყოლოს. ხაზანი-მლოცველი დაიძახებს ხმამაღლა, თუ ვინმეს როდესმე ავადმყოფმა აწყენინა, ყველამ ალალი უთხრას და „რეფუა“ უსურვოს. ჯამაათი ერთხმად მიაძახებს: რეფუა შელელმა (მთლიანად განკურნება).

ჭექა-ქუხილი

როდესაც ცაში ელვა-ჭექაა, ხალხი აწრუპუნდება, შეიქნება მითქმა-მოთქმა, რომ ელიაუნაბი – ილია წინასწარმეტყველი ჯორჯ, შემჯდარი დაჭიანობს და სანამდი გულს არ მოიჯერებს ჭენებითე მანამდი ჭექა-ქუხილი არ გაჩერდებაო.

4. ასოთსამღერელი, მარჩიელობა, დაცდილობა და სხვა.

ა

1. ახალ მთვარეზე არც სარეცხი გარეცხო, არც საკერავი დაჭრა, – კარგი არ გამოვა.

—

2. ახალი მთვარე თუ წმინდათ დაინახე – მხიარული თვე გექნება, თუ ბუნდოვნად დაინანე – ღრუბელში, ან ხის ტოტებში, – ის თვე ზარალიანი გექნება.

—

3. აიბიანსა (ართვალი) და ქერა ადამიანს ერიდე – დაგნავსავს.

—

4. ახალი რამე რომ ჩაიცვა – პირველად ერთგულს აჩვენე.

—

5. ადამიანს თავზე თუ ერთი გვირგვინი აქვს – ერთხელ იქორწინებს, თუ ორი გვირგვინი აქვს – ორჯერ, თუ სამი – სამჯერ.

—

6. არაზე პირი არ გააღო – კარგი შეიკვეთე.

—

7. ავი სიზმარი ცეცხლს ჩასმახე.

—

8. ადამიანს ზედ ტანზე არაფერი დააკერო – მალე მოკვდება.

—

9. ავადმყოფს დილით გათენებამდი უბარი წყალი შეუტანე, ხელფეხი და პირი დაბანე – ავადმყოფობა გაგრილდება.

—

10. ავადმყოფობა თუ ვინმემ შემოგმახოს, შენც შეამახე, – თორემ ავად გახდები.

ბ

11. ბავშვი რომ დაიბადება – პირველი პერანგი მამის ძველი პერანგისაგან შეკერილი ჩააცვი – მამას ეყვარება.

—

12. ბავშვი თუ ძირს ფორთხავს შინისკენ – ვინმე მგზავრს ელოდე, თუ კარისკენ ფორთხავს – სახლიდან მგზავრი წავა.

—

13. ბავშვი ერთ წლამდე სარკეში არ ჩაახედო – წყლის შეეშინდება.

14. ბავშვს რომ აკვანში პირზე მოხდი, პირველად ზევით აიხედ – შენი თვალი არ ეცეს.

15. ბავშვი თუ არ იძინებს და კრთება, სამჯერ თორა ჩააფერთხე, – დაეძინება.

16. ბავშვი თუ აკვანში არ წევს, აკვანს მთლიანად არ გადაახურო ზეწარი – ბავშვი არ გაიზრდება.

17. ბავშვის ჩასაცმელი ღამით გაკიდებული არ დატოვო, – თორემ ბავშვი გაუზნეურდება.

18. ბავშვის დანაბანი წყალი არ გააჩერო, გადააქციე – ბავშვი ვერ დაიძინებს.

19. ბავშვს თუ დორბლი სდის პირზე – უფროსმა მამიდან შეაქრას დორბლი მაკრატელით, დორბლის დენა შეწყდება.

20. ბავშვი თუ აკვანშია, აკვანზე არაფერი გადაატარო, მოუარე და ისე გადაეცი, – თორემ ბავშვი დღემოკლე იქნება.

21. ბავშვმა თუ ფეხზე გვიან გაიარა და მუხლების სისუსტე აქვს, ურემში გაზმული ხარის, ან კამეჩის პირზე გადმომდინარე ქაფი გამოუსვი მუხლებში, – მუხლები გაუმაგრდება.

22. ბავშვმა თუ გვიან ამოიდგა ენა, მერცხლის (უკეთესია მერცხლის ბარტყის) კუდი გამოუსვი პირში, რომ ბავშვმა მერცხალივით იჭიკჭიკოს.

ბ

23. გასაყიდი საქონელი თუ ძირს დავარდა – მალე გაიყიდება.

24. გათხოვილი ქალის თავის კეფა რომ ქმარმა დაინახოს – დაღარიბდება.

25. გულ-ხელი არ დაიკრიფო – მწუხარებას ეძახი.

დ

26. გამოჭრილი შესაკერი ლოგინზე არ დასდო – შეკერვა დაუგვიანდება.

27. დილით რომ ადგები, პირველად თუ მამაკაცი დაინახე – გაიხარებ, თუ ქალი დაინახე, – რამე გეწყინება, თუ მუშა დაინახე – გაიმარჯვებ.

—
28. დანა ძირს დაესობა – მამაკაცი გახარებული ბრუნდება.

—
29. დანა განზე დაეცემა – მამაკაცი ნაწყენი ბრუნდება.

—
30. დილით ვინც პირველი შეგხვდეს, გამარჯობა იმან გითხრას, პირველად შენ არ უთხრა – ვერ გაიმარჯვებ იმ დღეს.

—
31. დედა რომ იწყევლება – ძუძუები ილოცება.

3

32. „ელოლამის“ (შაბათ საღამოს) სალოცავიდან მოსული მამაკაცი რომ ღვინოს აკურთხევს, შიგ ჩაიხედავს – თუ ღვინოში თა-ვის საკუთარი თვალის კაკალი დაინახა, მეორე შაბათ საღამომდე მას არაფერი გაუჭირდება; ღვინოც დასხმის დროს თუ წაღმა დატ-რიალდა – მაკურთხეველი წაღმა ივლის, თუ ღვინო უკუღმა დატრი-ალდა, ცული ნიშანია, – მეორე შაბათამდე ოჯახს ზარალი მოელის.

—
33. ერთი და იგივე პირი თუ ერთ დღეს ორჯერ შეგხვდა – ორივე გაიხარებთ.

—
34. „ელოლამის“ ნაკურთხი ღვინო ქალმა რომ დალიოს, – წვერი ამოუვა.

—
35. „ელოლამის“ კიდულში (ნაკურთხი ღვინო) ფეხით სუსტს მუხლების ქვეშ უნდა გამოუსვა – ფეხები გაუმაგრდება.

3

36. ვინც კარგად დანას ქვაზე გალესავს – კარგად იცრუებს.

—
37. ვარსკვლავები არ დაითვალო – მეჭეჭები გაგიჩდება.

—
38. ვარსკვლავის მოწყვეტას რომ შეხედო, მიაძახე „მახსოვს, მახსოვს“, თორემ მახსოვრობა დაგეკარება.

თ

39. თმა რომ დაივარცხნო, არ გადააგდო შეინახე, არც ცეც-ხლში დასწვა, – თორემ შენს თმას მიწაზე დაგდებულს ჩიტი ბუდეში ჩაიდებს და თავის ტკივილს დაგიწყებს.

—
40. თვალები თუ გიმტერდება, ვინმეს შენი ნახვა ეჩქარება.

41. თუ თითში ნემსი შეგესო და სისხლი გამოვიდა – ვინმეს მოეწონები.

42. თუ ვინმემ შემთხვევით უცაბედათ შემოგაფურთხა – შეგე-
ძინება რამე.

43. თუ ფრჩხილებზე თეთრი ხაზები გაგიჩნდა – ახლებს ჩაიცვამ.

44. თუ ძუძუს მაწოვებელი ქალი შეშინებული ხარ, პირველად
ძუძუს რძე გამოიწურე, ცერების ფრჩხილებზე სამ-სამი წვეთი დაი-
წურე და შემდეგ აწოვე ბავშვს, – „ნაზაფრალი“ ძუძუ აღარ აწყენს.

45. თუ ბავშვი ჭინჭილობს – ნათვალევია, ჭიქით წყალში ნაკვე-
რჩხალი ჩააგდე და იმ დროს სამი ქვრივი ქალი მოიხსენიე, რომლის
ხსენებაზეც ნახშირი ამოიცირიტებს – იმ ქვრივის ნათვალევია; იმ
დადალული წყლით ბავშვს დღეში სამჯერ დაბანე ხელპირი.

46. თუ ვინმემ სურდო შემოგძახოს – უპასუხე, „წუხელი წისქვი-
ლში ვიყავი, სანელებელი დავფქვი და მოვედიო“.

47. თუ სურდო გკირდეს, შავ ჩოხიანს, ან შავ კაბიანს ჩუმად
წაუსვი სურდოიანი ხელი – სურდო მოგშორდება.

48. თვალის წამწამი თუ ხელზე შეგრჩეს – უბეში შეინახე, წე-
რილი გაგახარებს.

49. თუ ბავშვი უზნეოა და ჭინჭელი, ხვეტის დროს ფეხებში
ნაგავი შემოაყარე – მისი უზნეობა ნაგავს გაჰყვება.

50. თითები ერთმანეთში არ გაუყარო – იმ დროს საიქიოს
გასამართლებენ.

51. თუ მწარედ გასლოკინებს – ვინმე ავად გახსენებს.

o

52. ისრაელის შვილმა სახლი არ უნდა ააშენოს, ბალავერი არ
უნდა ჩაყაროს თორემ, ვინმე გულის სამწვავე მოუკვდება, ბალავერს
აუცილებლად თან ჩაჰყვება.

3

53. კარის ზღურბლზე არავინ გააჩერო—მოვალე მოგივა.

—

54. კარის ზღურბლზე ხელი არავის ჩამოართვა – წაიჩხუბებით.

—

55. კატა პირს იბანს – მოწვიმს.

—

56. კვერცხის ნაჭუჭი და არც ძვალი ცეცხლში არ დასწვა –
სიღარიბე იცის.

—

57. კარი არ დაწყევლო თორემ კისერს გაგიშემებს.

—

58. კედელზე ობობას ქსელი არ გააჩერო – ზედ წყევლა დაი-
ბუდრებს.

—

59. კოვზი ძირს დაეცემა – ქალი მოიჩქარის.

—

60. კვატის (იხვის) ბუმბულის ბალიშზე არ უნდა დაიძინო –
ცუდი სიზმარი დაგესიზმრება.

—

61. კერვის დროს თუ ძაფი გაინასკვა – ახალ რამეს შეიკერავ.

მ

62. მარჯვენა წარბი მოგეფხანოს – გაიხარებ.

—

63. მარცხენა წარბი მოგეფხანოს – გეწყინება რამე.

—

64. მარჯვენა ხელის გული მოგეფხანოს – ფულს გასცემ.

—

65. მარცხენა ხელის გული მოგეფხანოს – ფულს მიიღებ.

—

66. მარჯვენა ფეხის გული მოგეფხანოს – ვინმეს ქალიშვილის
დაბადებას გაიგებ.

—

67. მარცხენა ფეხის გული მოგეფხანოს – ვინმეს ვაჟის დაბადე-
ბას გაიგებ.

—

68. მარჯვენა თვალი აგითამაშდეს – ახლობელის სიკვდილს
გაიგებ.

69. მარცხენა თვალი აგითამაშდეს – შორეულის სიკვდილს გაიგებ.

70. მარჯვენა ყურმა გიწივლოს – მარცხნივ სამჯერ გადააფურთხე.

71. მარცხენა ყურმა გიწივლოს – მარცხნივ სამჯერ გადააფურთხე საწყენ-საკვირელობას გაიგებ.

72. მარჯვენა ძუძუ მოგეფხანოს – შენს ქალიშვილს უჭირს.

73. მარცხენა ძუძუ მოგეფხანოს – შენს ვაჟიშვილს უჭირს.

74. მიცვალებულს თუ მოასვენებენ, ბავშვიან აკვანს თავი აუწიე, თორემ მიცვალებული აკვანში მწოლარე ბავშს დაქელავს (დააზარალებს).

75. მიცვალებული თუ ზეზეა (დაუმარხავი), ნემსი არ ამოუყარო, თორემ მიცვალებული დაიწყევლება: „მიკერ-მოკერე, უკან მამყევით“.

76. მთმობიარე ქალმა მარცხენა ხელით ჩუმად საწყენიც რომ სჭამოს, სხვას არ შეახედოს – ბავშვს აღარ აწყენს.

77. მეზობელს თუ ნამუშევარი ასესხო, ფქვილი, ღომი, ან მარცვლეული, სამჯერ ცოტ-ცოტა ამოიღე მისივე ჭურჭლიდან ორი თითით, ისევ შენს ჭურჭელში ჩააბრუნე და სამჯერვე თქვი: „აქა ბარაქა, აქა დოვლათი“.

78. მომაკვდავ ადამიანს ქვედა საცვალი უნდა ეცვას – თუ არ აცვია და ისე გარდაიცვალა, დიდი ცოდვაა, საიქიოს ცეცხლის მათრახებით სცემენ.

79. მდულარე წყალი მიწაზე არ გადააქციო, თორემ თუ იმ დროს „შედს (შედი – უწმინდური, მავნე ანგელოზი) შვილები ჰაერზე გარეთ ჰყავს გამოყვანილი და დაედულრა, დაეხოცება, ჩაგამტერდება და დაგაზარალებს, სანამ შვილს არ დაგისახიჩრებს, არ მოგშორდება.

80. მიცვალებული თუ მაგარია (გაშეშებული), კარგია – არავის წაიყოლებს, თუ რბილია, მალე ვინმეს ახლობელს გაიყოლებს.

81. მიცვალებულის დამარხვის შემდეგ დაბრუნებულს წინ არ უნდა შეხვდე, მას საფლავის ანგელოზი მაწყენარი თან მოსდევს და ხმაღამოდებული მსხვერპლს ეძებს.

82. მიცვალებულს რომ მიწას მიაბარებენ, მისი საფლავის მიწას ჩუმად წამოიღებენ და ჭირისუფალს კისერში ჩუმადვე ჩაუყრიან, რომ მიწასავით გაუგრილდეს მწუხარება.

83. მარილის შინ დაბნევამ ჩხუბი იცის.

84. მაგიდაზე ქუდი არ დასდვა – ჩხუბი იცის.

85. მწარე ხახვი – უნიფხვო ქალის დათესილია.

86. მამა რომ იწყევლება წვერებიც იწყევლება.

87. მამაკაცმა თუ სიმთვრალით გონება დაკარგოს – ცოლის ქვედა საცვალი თავით დაუგეთ, შიგვე ღომის მარცვალიც გაახვიეთ.

88. მგზავრის წასვლის წინ თუ ორი ცხვირი დაგაცემინა – კარგია; ერთი – ცუდი ნიშანია.

89. მიმავალ მგზავრს ფეხებში წყალი მიასხი – „წყალობელი“ (მწყალობელი ანგელოზი) წაყვება.

90. მაგიდაზე ქაღალდს ნუ გადუსვამ – სიღარიბე იცის.

91. მგზავრი რომ გაისტუმრო, ორი ჭურჭლით სუფთა წყალი შინ შემოიტანე და სთქვი: „როგორც ეს ჭურჭლები სავსეა, ისე სავსე დამიბრუნდეს ჩემს მიერ გასტუმრებული მგზავრის უბე-კალთაო“.

92. მგზავრი რომ გაისტუმრო, დღე-ღამის განმავლობაში შინ ცოცხი არ მოუსვა, – დოვლათი არ გაიხვეტოს, მგზავრი უკანვე შვიდობით დაბრუნდეს.

93. მგზავრი თუ გყავს გასტუმრებული, სტუმარი რომელი კარიდანაც შემოვა, იმავე კარიდან გავიდეს, რომ მგზავრი შვიდობით დაბრუნდეს.

6

94. ნასესხევი მარილი არ დაიბრუნო – წაიჩხუბებით.

—

95. ნიკაპი მოგეფხანოს – მამაკაცი მოვა.

—

96. ნემსში თუ სხვისთვის ძაფი გაუყარო, არ განასკვო – შეძლება იცის.

—

97. „ნანიდავარი“ (თვიურიანი) ნარეცხის წყალზე რომ მამაკაცმა გადაიაროს, ვერ იხეირებს, – ისეთ ალაგს უნდა დაასხა, რომ ზედ ადამიანის ფეხი არ დაიდგას.

ო

98. ორსულ ქალს შეეკითხე: რა გაქვს მაგ ხელზეო, თუ მარჯვენა ხელის ზურგზე დაიხედა, ვაჟი შეეძინება, თუ მარცხენა ხელის ზურგზე დაიხედა, ქალი შეეძინება; თუ ორივე ხელის ზურგზე ერთად დაიხედა, ორი (ტყუპი) ვაჟი შეეძინება; თუ ორივე ხელის გულზე დაიხედა, ორი (ტყუპი) ქალი შეეძინება, თუ ერთი ხელის ზურგზე დაიხედა და მეორე ხელის გულზე დაიხედა, ქალვაჟი (ტყუპი) შეეძინება.

—

99. ოჯახიდან ფუფანი პურის ცომი ორგულს არ გაატანო – დოვლათი თან წაყვება.

—

100. ორ ქალს შუა მამაკაცმა არ გაიაროს – ქალიშვილები ეყოლება.

—

101. ორი რომ ერთდროულად ერთსადიმავეს იტყვის – დღეგრძელი იქნებიან.

—

102. ორშაბათ-ოთხშაბათს ქალმა თმა არ გაიშალო, არ დაივარცხნო, არ დაიბანო, ასეა ნათქვამი:

„ორშაბათსა და ოთხშაბათს

ქალო ნუ იშლი თმასა;

ან მოგიკლავ ქმარსაო,

ან საყვარელ ძმასაო“.

103. ორშაბათ-ოთხშაბათს ფრჩხილი არ მოიჭრა „გატეხილი“ დღეა, ნათქვამია: „ორშაბათსა და ოთხშაბათს უბედურმა დედამ შვილს ფრჩხილი მოჭრაო.“

104. ორსულმა ქალმა ფაწალიანი (ფაწალა-ტყირპი) ხელი თუ სადმე მოისვა უცაბედად, არ ვარგა, – ბავშვს ფაწალა თან დაყვება იმ ადგილზე, სადაც დედამ ხელი მოისვა.

105. ორსულმა ქალმა თუ კამეჩის ნორცი შესჭამა – მორჩენა დაუგვიანდება, სანამ მისი ქმარიც არ შესჭამს, და თუ ქმარმა შესჭამა თავისი ცოლის ორსულობაში კამეჩის ხორცი, ან რძე, ან ყველი, ცოლმაც უნდა შესჭამოს, რომ შვილის შობა არ დაუგვიანდეს.

106. ობლებს მშობლების დასაფლავების შემდეგ ღვინით სავსე ჭიქაში ჩაახედებენ, რომ არ ეშინოდესთ დედმამის მოგონებაზე, მათი თვალი და გული სავსე იქნეს, თვალი არ გაუტყდეს.

107. ოჯახში დგამი (ავეჯეული) წელიწადში ორჯერ გადადგი და გადმოდგი რომ მაზალი (ბედი) კეთილად შეიცვალოს.

108. ოჯახს ერთი წლის განმავლობაში თუ ორი ადამიანის სული დააკლდა – მეორე მიცვალებულის საფლავში დამარხვის დროს დაკლული ქათამი, ან მამალი უნდა ჩააყოლონ, რომ მესამე ადამიანიც აღარ დააკლდეს.

109. ოჯახში თუ სამი თავი ჭურჭელი ზედიზედ გატყდა – ვინმეს სანაცვალა.

110. ორი ადამიანი რომ ერთ პირსახოცზე შეიხოცავს, არ ვარგა – ერთმანეთი შესძულდებათ.

3

111. პატარა ბავშვს თავზე რბილი თუ დიდი აქვს – მძიმე გასაზრდელი იქნება, თუ რბილი პატარა აქვს, ადვილი გასაზრდელი იქნება.

112. პური პირუკულმა არ დადვა – საქმე უკულმა წაგივა.

113. პირველად რომ გაზაფხულზე მერცხალს დაინახავ, თუ ზეზე ხარ – კარგი ზაფხული გექნება, თუ ზიხარ – ცუდი ზაფხული გექნება.

114. პურისა და ჭადის ნატეხს ფეხი არ დაადგა – სიღარიბის პურს სჭამ.

რ

115. როცა ძაღლი ღმუის – ცალი ფეხსაცმელი უკულმა დაამხე და სამჯერ გადააფურთხე.

116. „როშხოდეშს“ (ახალ მთვარეს) თუ სიმხიარულით დაიყენებ, მეორე თვემდე სულ იმხიარულებ, საწყენი არაფერი შეგხვდება და თუ დარდიანი, მწუხარე იქნები, ახალ მთვარემდე საწყენი არ გამოგელევა.

117. როცა სახლიდან გახვალ – უკან აღარ მიბრუნდე – ხიფათს შეხვდები.

118. რაიმე საქმეზე თუ მიდიხარ, უკან არ მიბრუნდე – ვერ გაიმარჯვებ.

119. როდესაც შინ ფეხმძიმე ქალია, ვინც არ უნდა შემოვიდეს უნდა ჩამოჯდეს, ისე არ გავიდეს სახლიდან, თორემ ფეხმძიმე ქალს მუცელი მოეშლება.

120. როდესაც სახადით ავადმყოფი გყავს, ღამით თავთით დაუდგი ერთი ჭიქა წყალი, ერთი ცალი კვერცხი, რამდენიმე ცალი გროშის ფული; დილით უბრად ყველა ესენი ავადმყოფს თავზე სამჯერ შემოავლე, უბრადვე სახლიდან გადი და ჯვარედინ გზაზე დატოვე; შინ რომ დაბრუნდები ისევ უბრად მიდი ავადმყოფთან და სამჯერ ჩასძახე: „ასე შემოგითვალეს – აგიშვებ და აგაყენებო!“

121. როდესაც მიცვალებულს ახსენებ და იმ დროს ვინმეს ცხეირს დააცემინებს, სამჯერ ორივე ბეჭებზე ხელი დაარტყი და სამ-სამჯერ უთხარი: „შენ ჩვენი ხარ, შენ იმის მოსვლამდი არაფერი გეტკინოს“, თორემ მიცვალებული წაიყვანს.

122. რომაშანაში (წლის თავი) წყალი არ დაგექცეს – ჭიანჭველა გაგიჩდება.

123. როდესაც დედის პირველი გარდაიცვლება, მას პირში მარგალიტს ჩაუდებენ, საფლავში თან ჩააყოლებენ, რომ მარტოობა არ იგრძნოს და სხვაც არ გაიყოლიოს.

124. როცა მაშუალს სამაჰანკლოდ მიაგზავნიან, მან არაფერი უნდა შეჰამოს – საქმეს ვერ შეასრულებს.

ს

125. სხვისი ფეხი თუ შენ ფეხზე მოგხვდეს, ორივემ სამჯერ გადააფურთხეთ, თორემ ეო=რთმანეთი შეგძულდებათ.

126. სასა მოგეფხანოს – ნამგზავრს შესჰამ.

127. სიზმარი ერთგულს უთხარი – როგორც აგიხსნის, ისე აგიხდება.

128. სახლში რომ შეხვიდე, მარჯვენა ფეხი შეადგი პირველად, სახლიდან რომ გამოხვიდე, წაღმა შემოტრიალდი და სთქვი: „ღმერთო როგორც მშვიდობით მივდივარ, ისე მშვიდობით დამაბრუნე და ოჯახიც მშვიდობით დამახვედრე, გამჩენო ცისა და ქვეყნისაო“.

129. სატირალიდან დაბრუნებისას სამჯერ ბუმბუებზე ცივი წყალი გადაივლე და სამჯერვე თქვი: „ღმერთო გააგრილე ყოველი გეზერეები (შეწუხებანი) ამენ“, – მანამდე ბავშვს არ აწოვო.

130. სარეცხის დროს ქალს თუ კარგი ამინდი დაესწრო – ქმარს უყვარს.

131. საპირფარეშოში შესვლის წინ ჩააფურთხე და გამოსვლის შემდეგაც ჩააფურთხე – არაფერი „მოგხვდეს“.

132. სარკე რომ გატყდება არ ვარგა – ვინმე ახლობელი გარდაიცვლება.

133. საპირფარეშოდან გამოსვლის შემდეგ თუ ხელი არ დაი-
ბანე – „მაზიკი“ (მავნებელი ანგელოზი) ხელებზე ზის – არ მოგშორ-
დება, დაგაზარალებს.

134. სურდოიანს შავი უნიშნო კატის კუდი ცეცხლზე მორუ-
ჯული აყნოსვინე – მორჩება.

ტ

135. ტუჩზე ან ენაზე თუ უცაბედათ იკბინე – რამეს უცნაურს
გაიგებ.

უ

136. უწლოვან ბავშვს სახეზე რომ წვიმის წვეთები მოხვდება –
ქორფლიანი იქნება.

137. „ურწმუნოს“ (გველს) რომ ახსენებ, ვინმე შენზე ძეირს
ამბობს; სამჯერ უნდა გადააფურთხო და თქვა: „ფუი, ავად იარა ჩემ-
მა ავად მახსენებელმა“.

ფ

138. ფეხმძიმე ქალს თუ რამე სასმელ-საჭმელი მოენატროს,
ქვა გახეთქეთ და აუსრულეთ, თორემ მანკიანი შვილი დაებადება –
შესაძლებელია: სურვილისაგან მუცელიც მოეშალოს.

139. ფეხმძიმე ქალმა მიცვალებულს არ უნდა შეხედოს, თო-
რემ ბავშვი ავზნიანი დაებადება.

140. ფეხმძიმობის დროს ქალმა მახინჯს არ უნდა შეხედოს –
თვითონაც მახინჯი დაებადება.

141. ფეხმძიმე დედაკაცს ფეხზე არ გადაუარო – მუცელი მოეშ-
ლება.

142. ფრჩხილი რომ მოიჭრა ხელფეხზე, ცეცხლში დასწვი, ან
მიწაში ჩამარხე, თორემ იმ სოფელს თვალდახუჭული მოგაძებნი-
ებენ.

ხ

143. ხელში ნემსი არავის მისცე – წაიჩხუბებით.

144. ხის მოჭრას რომ ახალგაზრდა უყურებდეს, არ ვარგა –
უდროვოდ წაიქცევა.

145. ხელის ჩამორთმევის დროს თუ ოთხი ხელი გადაჯვარედინდა –
ლხინში იქნები, – სადმე ხაჭაპურს აცხოვენ.

146. ხორცი არ დაიმგუნება – ვინმე დააკლდება ოჯახს.

147. ხელიდან რაიმე გივარდება – შენთან მოიჩქარიან.

6

148. ცხვირი მოგეფხანოს – მგზავრს ელოდე.

149. ცარიელი უძაფო ნემსი არავის გამოართვა – ცარიელი
სიძე მაგივა, ან უმზითვო რძალი.

150. ცარიელი ჭურჭელი შინ არავინ შემოიტანოს – ოჯახი და-
ცარიელდება.

151. ცაზე რომ ცისარტყელა გამოჩნდება – სახელმწიფოებს შო-
რის შეტაკება მოხდება.

152. ცას რომ ვარსკვლავი მოწყდება – ვინმე მოკვდება და მი-
სი ვარსკვლავი წყდება.

153. ცეცხლი რომ ნაპერწკლებს შემოგაყრის – გაიხარებ.

154. ცეცხლი რომ ბუტბუტებს – საკეცური ჩაარტყი, ჩააფურ-
თხე, – მტერი გაგინებს.

155. ცუდი სიზმარი თუ ნახო, არავის უთხრა, უბრად აიღე
ხელში ცეცხლი (ასანთი) სამჯერ ორივე ხელის ფრჩხილებზე შემო-
იწვი და სამჯერვე გაიმეორე: „ოჰოო ღმერთო ამ ცეცხლში დაიწ-
ვას ყოველი ჩემი ნანახი ავი სიზმარი“.

156. ცარიელი აკვანი არ დაირწება – არ ვარგა, შიგ ბავშვი
არ გაიზრდება.

ბ

157. პროხა რომ ეზოში შემოიბღავლებს – არ ვარგა, იმ ოჯახს ვინმე მოუკვდება.

158. ძაღლმა შემოგაზმოროს – რამეს შეიძენ.

159. ძაღლმა შემოგაფერთნოს – რამეს იზარალებ.

160. ძაღლი თუ ზევით ყმუის – ზევითა მეზობელს მოუკვდება ვინმე, თუ ქვეითკენ ყმუის – ქვეითა მეზობელს მოუკვდება ვინმე.

161. ძუძუში მეტი რძე თუ გაწუხებს, გამოიწურე და გადაასხი მდინარეში, რათა როგორც წყალი არ დაშრება, ისე შენი ძუძუ-მკერდი არ გაშრეს. ან ცეცხლში ჩაასხი, რომ ცეცხლივით იძლიეროს და არ გამოილიოს რძე. თუ ისეთ ალაგს დაგეჟცა რძე, რომ ზედ რაიმე არაწმინდამ გადაიარა, ძუძუ გაგიშრება.

162. ძაღლი თუ ფეხებით მიწას თხრის – არ ვარგა, შეაფურთხე სამჯერ და უთხარი სამჯერვე: „ფუი, შენი საფლავი გაითხარე“.

ღ

163. ღომის ადუღებამდე ღომის ქვაბს ჩოგანი არ დაანახო – თორემ ღომი წამოდუღებას დააგვიანებს.

164. ღამე სარკეში არ ჩაიხედო – სურვილი აღარ შეგისრულდება.

ქ

165. ქათამი დღეში რომ ორ კვერცხს დადებს, არ ვარგა – იმ ოჯახს ვინმე დააკლდება.

166. ქალს რომ პირველად ბავშვი მუცელში გაენძრევა, იმ დროს ვისაც იგი შეხედავს – ბავშვიც მას ემგვანება.

შ

167. შენს ნასვამ ჭურჭელში მონარჩენი სასმელი სხვას არ ასვა – შენს საიდუმლოებას გაიგებს.

8. რ. თ ა ვ დ ი დ ი შ ვ ი ლ ი.

168. „შაბათ ღამეს“ (პარასკევ საღამოს) რომ მამაკაცი სალო-
ცავიდან შინ დაბრუნდება, თუ ოჯახში სიმხიარულე დაუხვდა, ჩამო-
ივლის კარგი ანგელოზი და დალოცავს: „დღეისწორამდე სულ ასე
იმხიარულეთო“, და თუ ოჯახში უსიამოვნება დაუხვდა – ჩამოივლის
მაწყენარი ანგელოზი და დაიწყევლება: „დღეისწორამდე იჩხუბეთო“.

169. შეშინებულს ცოტაოდენი თავისი შარდი უნდა დაა-
ლევიო – დაწყნარდება.

170. შაბათის ნათქვამი ელოღამემდი (შაბათ საღამომდე) შეა-
სრულე, ელოღამის ნათქვამი კი – კვირა დილამდე, თორემ აღარ
შესრულდება.

171. შვილისთვის თუ აკვანი აარჩიო საყიდლათ – აკვანი მაღლა
ასწიე და სამჯერ ძირს დაახალე, თუ არ წაიქცეს, წამოიღე – მასშინ
აწოლი ბავშვი გაიზრდება; თუ აკვანი წაიქცეს – არ იყიდო.

ჩ

172. ჩიტმა ერთხელ ჩამოგძახოს – გაიხარებ; რამოდენიმეჯერ
ჩამოგძახოს – გეწყინება.

ყ

173. ყვავი რომ ჩამოგაჩხავლებს ცუდი ნიშანია – საწყენი შეგ-
ხვდება.

ჯ

174. ჯიბეში ხელი არავის ჩააყოფიო – მეუღლე გიღალატებს.

წ

175. წარბი რომ მოგეფხანოს – ჯერ მოიფხანე, მერე ხელზე
იკოცნე, რომ კეთილად აგიხდეს.

176. წინა კარზე, თვალსაჩინო ადგილზე ცხენის ნალი და გახ-
ვრეტილი ქვა ჩამოკიდე – ვინმე ავითვალისა შემოვა, პირველად გახ-
ვრეტილ ქვასა და ნალს შეხედოს.

177. წყალს უბრალოდ ნუ ადუღებ – დაიწყევლება.

178. წვიმიან ამინდში, რომ სახლიდან გამოხვიდე, სამჯერ გადააფურთხე – წვიმის ანგელოზმა არ დაგაზარალოს.

—

179. წყევლა არ თქვა – „მეამენე“ ანგელოზი ჩამოივლის და „ამენს“ დასცემს.

ჟ

180. ჭიქაში თუ ჩაის ფოთოლი მოიცირციტებს – წერილს მიიღებ.

—

181. ჭრელთვალა ადამიანს არ დაენდო – მაცდურია.

—

182. ჭიქა თუ სასმელმა არ გაავსო – მზითვები დაგაკლდება.

5. შელოცვები

ნათვალევის შელოცვა

თვალი გეცა დიაცისა, თვალი გეცა მამაცისა, ქრისტიანის, ურიისა, ქალისა, კაცისა, კოჭდაბალისა, კოჭმაღალისა, შინაურის, გარეულის, დედისა, მამისა, დისა, ძმისა, ვისიც თვალი გეცა, თვალთა ღადარი, გულთა ლახვარი, ერდოს მეხი, კარის ცეცხლი, გასკდა შანთი, მოხვდა თვალში, ორი ძირი ბალი, დავარდა ორივე კაკალი თვალი, ასალა მასალა, შავი ჭირი სანსალა, წითელი გველი გასანსალეული გულმუცელში ეტაკა, შენს ავთვალსა და ავსულსა, გადავიდა ღობეზე, მოიშალა ღონეზე, გახურებული კერია, უკუღმა ნაჩი ტენია. ღობეს იქით ცეცხლი იყო, ღობეს აქეთ წყალი არი, წავარდა წყალი, წამსო ცეცხლი, ისემც ქრებოდეს, ისემც შრებოდეს, შენი ავი თვალისა, შენი ავი გულისა, ყველა ვიცი ვინც არი, ჩავხდი ნიფხავსა, ჩაუსვამ კატასა, მივაბჭყალინებ, მოვაბჭყალინებ, შევარცხვენ და გავაწბილებ ღმერთითა, აბრაამ, ისხაკ და იაყაკობის ბრძანებითა (მოსრესს ნახშირს, შუბლზე წაუსვამს).

გასკდა შავი კლდე, მას გამოყვა შავი კაცი, შავი ცხენით, შავი იარაღით, ხელთ ეჭირა შავი გველი, გადავკარ შავსა სიჰსა ქვასა, ისემც სკდებოდეს, ისემც გჯებოდეს, შენი ავი თვალისა, შენი ავი სულისა.

გასკდა წითელი კლდე, მას გამოყვა წითელი კაცი, წითელი ცხენით, წითელი იარაღით, ხელთ ეჭირა წითელი გველი, გადავკარ წითელსა სიჰსა ქვასა, ისემც სკდებოდეს, ისემც გჯებოდეს, შენი ავი თვალისა, შენი ავი სულისა.

გასკდა თეთრი კლდე, მას გამოყვა თეთრი კაცი, თეთრი ცხენით, თეთრი ტანისამოსით, თეთრი იარაღით, ხელთ ეჭირა თეთრი გველი, გადავკარ თეთრსა სიჰსა ქვასა, ისემც სკდებოდეს, ისემც გჯებოდეს შენი ავი თვალისა და შენი ავი სულისა (სამჯერ გაიმეორებს ზემოხსენებულს, ამთქნარებს).

მონახთომის შელოცვა

მონახთომო დედიანო, მონახთომო მამიანო, მონახთომო შვილიანო, მონახთომო ძირიანო, მონახთომო დიანო, მონახთომო მძიანო.

დილას მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, საღამოს მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, აის მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, დაის მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, წყლის ანგელოზი მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, ხის ანგელოზი მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, მიწის ანგელოზი მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, კართ ანგელოზი მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, ჰაერის ანგელოზი მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ, ლოგინის ანგელოზი მოხვთი, მაინც მონახთომი ხარ; სტირიან დედანი თქვენი, სტირიან მამანი თქვენი, სტირიან დანი თქვენი, სტირიან მძანი თქვენი, სად არის შვილი ჩვენიო, სად არის ძირი ჩვენიო; თავით შეხვედი, ფეხით გამოდი, ფეხით შეხვედი, თავით გამოდი, გამოდი, გამოიარე, გამოქროლდი ქარივითა, გამოდინდი წყალივითა, გამოდი, გამოიარე, ფეხის ფრჩხილი გამოიარე, ხელისფრჩხილი გამოიარე, ძვალში ხარ – რბილში გამოდი, რბილში ხარ – კანში გამოდი, კანში ხარ – კარში გამოდი, ამომავალს გაეყარე (ავადმყოფის სახელს იტყვის) სხვას შეეყარე, გამოდი ნებითა, თვარემ გამოგიყვან ძალითა, ანითა ბანითა, ჩემისა შავისა შავტარიანი დანითა, ამოხკრავ ბარსა და ნიჩაბსა, გაგატან წყალსა მდინარსა, მისთანა ადგილს გისროლი, არც გესმოდეს წყლის შხუილი, არცა მამლისა ყიული (შავტარიან დანას შელოცვის დროს აატარ-ჩამოატარებს). მე მლოცველი, ღმერთი შენი მარგებელი (იტყვის შელოცვას სამჯერ).

შეშინებულის შელოცვა

ხელში უჭირავს ზოლიანი აბრეშუმის სარტყელი, რომელიც ავადმყოფს გულზე აქვს მიბნეული, ზომავს მტკავლით, შელოცვას რომ დაასრულებს, ხელახლა გაზომავს და ნაკლებს გამოიყვანს, თან დასძენს: „იმდენათ შეშინებულია, რომ აჰა ნახევარი მტკაველი მოიკლო სარტყელმაო“. შელოცვის დროს გულზე ხელს ადებს ავადმყოფს, უწრუპუნებს, ხან მარჯვნივ შეაბრუნებს ხელის გულს და ხანაც მარცხნივ, თან ამბობს:

დედამ შეგაშინა მაინც შეშინებული ხარ, მამამ შეგაშინა მაინც შეშინებული ხარ, დამ შეგაშინა მაინც შეშინებული ხარ, მძამ შეგაშინა მაინც შეშინებული ხარ, შინ შესულმა შეგაშინა მაინც შეშინებუ-

ლი ხარ, გასულმა შეგაშინა მაინც შეშინებული ხარ, დაძახილის შეგეშინდა მაინც შეშინებული ხარ, დაყვირების შეგეშინდა მაინც შეშინებული ხარ, ძაღლის ყეფის შეგეშინდა მაინც შეშინებული ხარ, კატის კნავილის შეგეშინდა მაინც შეშინებული ხარ; გულო რას შეგ-შინებია, გულო მოდი საგულესა შეგიკერავ საგულესა, თეთრი ქორი ქანდარასა, ქათამი საბუდარასა, შენი გული აქანასა; მოდი გულო, მოდი სულო, მოდი ჯანო, მოდი სისხლო დაკარგულო, მოდი ფერო, მოდი ხორცო, ლოცვა ჩემი – რგება შენი. ღმერთო არგე აბრაამ, ისხაკ და იაყაკობის მადლო და ძალო ბძანებითა შენითა (შელოცვას გაიმეორებს სამჯერ თავიდან ბოლომდე გულზე ხელის გულის ტრიალით და უზომავს გულს წრუპუნით).

წითელ-ბედნიერის შელოცვა

იჯდა დედა მარიამი სელსა სკამსა, ქსელავდა საქსელსა, მობ-ძანდებოდა ბედი ბედნიერი, შეეკითხა დედა მარიამი: „სად მიდიხარ ბედო ბედნიერო, ლამაზო და მშვენიერო“. უპასუხა ბედმა ბედ-ნიერმა:

– მე მივდივარ ამამავლის (ავადმყოფის სახელს იტყვის) ტანში ხორცის საჭმელათ, სისხლის სასმელათ, ძვალისა და რბილის სამტვრევლათ.

– არა, არ გაგიშვებ შე ობოლო მარგალიტო, ამის ტანში ხორცის საჭმელათ, სისხლის სასმელათ, ძვალისა და რბილის სამტვრევლათ, არ შეგიშვებ ამ ყმაწვილის ტანში საჭინჭელიანებლად, ძვლების სა-ხრელად, აქჭრი და დაქჭრი ჩემი შატარიანი დანითა, დაგაყრ-ვინებ ქვირითსა, ჩაგაგდებ ქვენასა, არ გამოგიშვებ ზენასა, არც გა-გაგონებ მამლის ყიულსა, არც არა წყლისა შხუილსა, შე ობოლო მარგალიტო.

გამოდი, გამოიარე, გილოცავ წითელ ბედნიერისასა ქარისასა, ქარსაყმაწვილოსასა, ლურჯი ქარისასა, ქარფილენჯისასა, წითელი ქა-რისასა, ყვითელი ქარისასა, თეთრი ქარისასა, გამოდი შემოივლე თავზე ე ყმაწვილი, ნუ გვიწუხებ, ნუ გვიტირებ, როგორც შენით მოსულხარ, ისე შენით წადი, თავით შესულხარ, ფეხით გამოდი, ფეხით შესულხარ თავით გამოდი. აი კარიც გაგიღე (კარს გააღებენ სამჯერ და დახურავენ).

წყლისას შელოცვა

ხელში ბზის სავარცხელი უჭირავს და იტყვის:

ანი იყო, ბანი იყო, წყალთაშუა ნავი იყო, ნავის თავზე საყდა-რია, იმაშია დედაკაცი, დედაკაცო გადმომიგდე კალამი და კალმის ტარი, ავალ ზეცას ვეტყვი დედას:

– სამი ძმანი მოდიოდა, ერთსა ერქვა ისა, მეორესა ხვთისა, მესამესა წყლისა, დაუსვი და დაუბერე სავარცხელი ბზისა (სამჯერ გაიმეორებენ და სულს უბერავენ).

გველის შელოცვა

ფუტის ჯამსეფა, ფუტის მეფუნა, ფუტის ბატონო, ათასი წლის მერცხლის დედოფალო, ძღვენი მომქონდა, ქადა, ხაჭაპური და ქათამი, დამიხვდენ რუსის ქალები და იმათმა წამართვეს. და აწი ერჩოდე მათასა და არა ჩვენსასა. ბძანება არის ღმერთისა, მგელი ვარ და მგელზე ვზივარ, მაღლა მერცხლისა ბოლოსა, ფუტსა ვსვამ, ფუტსა ვჭამ, ფუტი მაცვია, ფუტი მახურია, ფუი ასე გამქრალა უმისა და უხარშავის მჭამელი (სამჯერ შეულოცავს და გველი წავა).

გველის შელოცვა

ტიი, ტიი, ტიტიმანი, ატმანატი და ჩანახი კოლო ვარ, კოლო წითელი, კაბა მაცვია ყვითელი, იფნისა ჯონი მიჭირავს, გველის საწყაპუნებელი, გველო მოვიდა ანკარა, თავით ბოლომდე გაგყარა. (გველს ანკარის ეშინია და მისი სახელის ხსენებაზე გაიპარება). სამჯერ ეტყვიან.

მუცლის კივილის შელოცვა

როცა ჩვილ ბავშვს მუცელი ასტკივდება და მწარედ სტირის, ფეხებს აწრიალებს, დედის პირველი შვილი აიყვანს მას ხელში, მაღლა ასწევს, სამჯერ თავზე წალმა შემოივლებს და სამჯერ იტყვის: – პირველი ვარ დედისა, წამალი ვარ ჩხვერისა.

წყლისას (ძუძუს ტკივილი) შელოცვა

ორკო, ორკო, ორკოღმართო, თავდაღმართო, ჭენჭერახო, რას გადმამდგარხარ მაღალსა გორასა, რას წამოგისხამს შავი მაზარა. რას გადმოკივი წითელი მამალივითა, რას დაკიდებულხარ წითელი პეპელივითა, აქჭრი და დაქჭრი ჩემისა შავისა შავტარიანი დანითა, გადაგადებ რაინსა, არცა ხქონდეს სამყოფი შენი, არა ხქონდეს სადგომი შენი (სამჯერ).

დამწერის შელოცვა

ელი ელამდა, მელი მელამდა, ზღვა ფოფინობდა, წითელი ხუ-
ცესა ხარი გეება, ვის გინახამსე ქვიშა ნახნავი, ზედ ყანა ნათესი
სამი დღის მერე დამწვარი გამწელებული, რქმიანი ქალის ლეჩაქი
დამწვარი-დაკერებული (სამჯერ).

სლოკინის შელოცვა

ია მახსენებელსა, ვარდი მაგონებელსა, შვიდი წლის ციებ-ცხე-
ლება, ანთება და ხურება ჩემ ავად მახსენებელსა (სამჯერ).

სლოკინის შელოცვა – შეკითხვა

ვინ გახსენა!.. ვის მოპარე საფუარი?.. (სამჯერ შეეკითხება
ერთგული ადამიანი).

სურდოს შელოცვა

– სურდო მეწვია სადილათ,
რა მივართვა საჭმელათ?
– ანკალი-ზანკალი,
დათვი-დამპალი,
დაუკარით ტაში,
გააგდეთ კარში (სამჯერ).

პირველი მერცხლის შელოცვა

ფეხზე დადგება და შესძახებს სამჯერ:
მერცხალო, მერცხალო, რას დამჭიკჭიკებ, ყური დამიგდე; მეც
ფეხზე ვარ – ვერ დამჯახნი.

თვალის ტკივილის შელოცვა

ივანესას მივდიოდი
თვალში რაცხა ჩამივარდა,
ამოვისვი ხელიო
თან ამომყვა გველიო.

და ლ ო ც ვ ე ბ ი

გედეყარე ხაზინას იოსება სადიკისასა.

—

დამადლიანდი – ფარნასა შეურცხვენელზე.

—

დამადლიანდი – სარჩო უკლისზე.

—

დამადლიანდი ხას იერუშალაიმზე.

—

გედეგეფარა კალთა სასიკეთო.

—

აქშორდა ტრის ნანდომი.

—

წაღმა იარე წაღმართიანა, დაგიტკბა ზღვა და ხმელეთი.

—

დამადლიანდი – ბენ-ზახარზე (ვაჟზე) გასაზდელ-დასარჩენზე.

—

გაგიმრავლდა თეთრი და საქონელი, რჩენა და დოვლათი.

—

გიძრიელა ორფეხმაც და ოთხფეხმაც, შინშესულმა და გარეთ
გასულმა.

—

გაგიძლიერდა შინ და გარეთ ნაშიერ-ნაამაგარი.

—

რასაც ხელი მოკიდო ერთი ათასათ გექცა.

—

არ დაგაკლდა შენ სიცოცხლეში და არც სიკვდილის უკან – კა-
ტა მჟღავანიც.

—

დამიძკვიდრდა შენი თავი.

—

არ ნახე სიმწარე – ნუ გაგიმეტოს ღმერთმა.

გაუჟდა შენ ნაშიერ-ნაამაგარ უხინჩარ-უტკივარი.

—

არ გაგიცრუვდა ხელმონავლები.

—

დაბათლდა ყოველი წამოსული გეზერეები (ცუდი) შენზე.

—

დაგიდგა კაის წელიწადი.

—

მეგეცა შვიდობა.

—

აგისრულდა ყოველივე გულის სანებური (კეთილი).

—

არ დეგემართა ტრის გულისა.

—

არ გაცუცურაგდი, დეგესწრო შვილ-მამავალი სიკვდილის საათ.

—

ჩაიყარა შენი ძვლები ხას იერუშალაიმში.

—

შენ კვდარ დაადგა სვეტის ნათელი.

—

არ ისუნტლა შენზე ავმა ანგელოზმა.

—

არ ისუნტლა შენზე ყაინ არაყმა.

—

არ ისუნტლა შენზე მალახ ამავეთმა.

—

არ დაგივარდა ჯანი და არ განთი სხვისამარა.

—

არ დაგივარდა დოვლათი.

—

არ შეგეყარე პირშავათ იმ ყოლამ.

—

არ დავარდი სიკვდილის საათამდისინი.

—

დეგესწრო შვილ-მამავალი უკლებლათ სიკვდილის საათ ღმერთით.

—

როგორც გლოცამს პირი ჩემი, ისე დაგლოცოს მაღლიდან გამჩენმა.

წყვეტა წყალობელი ანგელოზი დედ-მამის შვილობის ღმერთით.

—

ლამიშვიდობისა – შვიდობა არ მეგეშალა.

—

შემოქცვა წყალობელი ანგელოზი.

—

არ გაიხარა შენზე მტერმა და ურჯულომ.

—

გელირსა რქმის ხელით დამარხვა.

—

მოქშორდა უდროვით სიკვდილი.

წყევლა

გაგიშწარდა მშობელი.

—

მოგიკვდა კაი და არა გლახა.

—

დეგეწვა დედის ძუძუები.

—

მოგიკვდა გულის სამწვაი.

—

არ მოვიდა შენი ნეშამა „თიხიათ ამეთიმზე“ (მეორეთ მოსვლაზე).

—

მოგიკვდა პატრონი.

—

მოგიკვდა გულის შესახარებელი.

—

კუდიანი ხარ, კუდიანი, შენ მოგიკვდა ქუდიანი.

—

გადაგიშენდა – არ მოგიშენდა.

—

გაგიძაღლდა მშობელი.

—

ამოგივარდა გამამცემელი.

—

გაგიწყდა სულის მახსენებელი, ხორცის მაფარებელი.

—

არ ივარგა შენმა ბღავანმა.

—
შენ გაგიწყდა სუყველაფერი.

—
მოგიკვდა გულით საყვარელი, გულდამწვარი ზედ დააკვდი.

—
ამოგივარდა გვარი და ჯილაგი.

—
შეგეკრა კრიჭა – დეგემართა უჭმელობა.

—
დეგემართა ტრის ნანდომი.

—
გაგიჩდა ჭია-მჭამელი, ჭია-მხვრელი, ჭია-ბუღუთურული.

—
გაგიწყვა დოვლათი, გაგიწყვა პური საჭმელათ, წყალი სასმე-
ლათ.

—
გედევა მაღალი ღმერთი.

—
გამოგიფრინდა ბებრის ნაირი, უცეფი.

—
დაგიმოკლდა დღეები.

—
დავალიანდი ქარეთზე.

—
არ გაიშვა შენი კუკული.

—
გედევა მაღალი და მართალი.

—
არ მეგესწრო შვილმამავლის კაი.

—
ქცემა ღმერთმა, დაქწყევლა და დაქშუბა ღმერთმა.

—
ჩამოიარე ჯამითა და ქოთნით – ჩემმა ნაშიერმა ჩაგიყარა.

—
ქცემა ამან დაბალმა და იმან მაღალმა.

—
არ გაიშვა შენი ორზე მავალი და ოთხზე მახიჯებელი.

—
გამოგიფრინდა შავი მაწყინარი ანგელოზი.

გედევა ცოდო-ბრალი.

—

არ დამადლიანდი ბენზახარზე (ვაჟზე).

—

დეგეცა შავი არამი ქარი.

—

არ გელირსა ისრაელის ნაკურთხი მიწა.

—

არ დაგმარხა ისრელიშვილმა.

—

არ გელირსა ბედმაზალი, „ხუფა მურადი“ (ქორწინება).

—

ცხრამდი იარე, ერთი არ შეგაბერდა.

—

გაშრი, გახმი, თან გაყევი (შეფურთხებით).

—

გაგიხმა წელგული, არ გაგიჩდა სამოძირო.

—

იარე ცხრა კარ, – არ გაძეხი ერთ კარ.

—

წადი, გაიარე პირუკუღმა.

—

ისე აქცილდა გაუხურულება (გაუბედურება).

—

ისე აქცილდა საკვირელობა.

—

გასკდი ვარმათ, ჩაქყვა ცეცხლი, არწყე სისხლი და ბალღამი.

—

გაგიჩდა ქარცეცხლი, ქარნამთი, თაკარა თანგამტანებელი.

—

გაგცვინდა წვერ-ულაში – ამოგივიდა ნარი-ეკალი.

—

შორს იარე, რომს იარე, ცხრა მთა გადაიარე.

—

ვაი შენ და ხვთისა და ბატონის გამოშვებული რისხვა.

—

ურჩუხ-უნელებელი, უხსარ-უშაღავათებელი, უნელებელი, უგ-რილებელი.

—

ეული მეული, არა ჭამე წრეული, არცა გაისეული, არცა მერ-
მისეული, დეგემართა სნეული.

—
გაგიარა წელკავმა.

—
სოკო წითელი – მოქწყდა კისერი.

—
ია და ვარდი – კლდეს გადავარდი.

—
შორს, შორს ქვასა და ხეს, წყალსა და მეწყერს, ქარსა და
ნიავეს, შემაჭივრებელსა და დამძალავს ისრაელისას.

—
აგიტყდა კბილის ტკივილი.

—
თავი ქვას ახალე, მუცელი სამართებელ.

—
წადი, ისე იარე, როგორც იარა ჯაჭვის ხიდზე ფურლუნებმა
(როდესმე ქუთაისში ჩაცვენილა მიმავალი ფურლუნები ჯაჭვის ხიდზე).

—
ნახე შავი სიძმარი.

—
გეტაკა გადამტრიალებელი.

—
აგიტყდა თავყბის ტკივილი.

—
თვალი დაგიდგა, ღმერთი გაგიწყრა, წინ ეშმაკები წაგიძღვა.

—
ვაშლი – გაშრი.

—
მასა – გაგიხმა სარსა.

—
კაკალი – დაიწყე კანკალი.

—
ქათამი – დაიწყე ქათქათი.

—
ღვინო – წეგედინა ღვრიო.

—
კვერცხი – გაგიხმა ფერცხლი.

სანთელი – დაგიძვირდა ნათელი.

—

გიკბინა სიკვდილმა.

—

ოხრახუში – მოქხვდა ყურში, გაგიარა ყურის ძირში.

—

ატამი – დაგაწვა სატანი.

—

ბია – გაგიჩდა თია.

—

ოსპი – მოსპი.

—

პური – დაგიდგა ყური.

—

ქოთანი – გაგიჩდა ქოთაო.

—

ყველი – გაგიხმა ყვერი.

—

ბერწეული – არ დაგცალდა მოწეული.

—

სულუგუნი – შენ გაგიხმა სული და გული.

—

ყალიონი – არ გაგიტენდა დილა ალიონი.

—

შენ და მე არა, ჭირმა გიარა, თემო მოქტეხა, ზარკალ გიარა.

—

არ გაციეზა, ხვალ გაციეზა, ზეგ გაცხელეზა, ანთეზა – ხურეზა,
თანგადაყოლება.

—

ღმერთმა გიხსნას თვალყმისაგან, გამოგიყვანოს მისი წყალო-
ბისაგან.

—

იარე წყეული, კრული, შეჩვენებული, შვიდ დგამდო, შვიდ-
დარამდისინი.

—

იარე პირუკუღმა.

—

შაბათა – იარე შავათა.

—

დეგეტაკა ავი დასატაკებელი.

დეგეტაფილა რამე.

—

დეგეკარქა ე სოფელი და ი სოფელი.

—

არ შემხვთი და არ დემენახე იმ სოფელ.

—

იყავი შეჩვენებული ამ სოფლიდან იმ სოფლამდე, ჯერ ღმერთიდან და მერე ჩემდან.

—

გაგისკდა მიწა და ჩავარდი შიგა.

—

არ გაიშვა შენი არც ორფეხი და არც ოთხფეხი.

—

არ გაიშვა შენი ბანალი.

—

დაბათლდი სიკვდილით.

—

შენ დაკეთლუანდი.

—

იქამც არი, შიგ ნაცარი.

შიგ თუთქი და შიგ ღადარი.

კაი ადგილზედამც არი.

—

დეგელანდა ავი დასალანდებელი.

—

ვაი და ვუი, შავი და ბნელი,
კუპრი და ძეძი არ მოაკლდა შენ ოჯახს.

—

შენ დეგეცა რუის კლდე.

—

ჩაგივარდა ხმა და ღარღილი.

—

ჩაგივარდა რუახ-რაცა.

—

ჩაგივარდა მალუყლუყებელი.

—

ჩაგივარდა ალის ქარი.

—

გეკითხა და გენანია, ღმერთო შენით.

—

მოგიჩდა ავი მოსაჩენი.

—

დაკეთლუანდი, ავი კეთლუანობით.



პურ. 14 კუთხისეული გზრადლი ტალის ტასიჩაქმ.

6. ფოლკლორი

ლეგენდები, ზღაპრები, ლექსები, ანეგდოტები და ანდაზები.

1. გაჭივრებული კაცის ამბავი

ცხოვრობდა ერთი გაჭივრებული კაცი, რომელიც შუახანში იყო შესული და მუშაობა აღარ შეეძლო, ცოლი დღიურათ მუშაობდა, მაგრამა ოჯახ ვერ აკმაყოფილებდა. ტანისამოსი ისე შემოაცვდა ტანზე, რომა საცოდავი სანახავი გახდა ე გაჭივრებული კაცი.

ცოლ შერცხვა რქმის უპატიურათ სიარული, ჩამოიარა მეზობლებში, ითხუა ტანისამოსი რამე ნაცვამი, ვისაც რა ქონდა მეზობლებმაც ათხუეს და გაატანეს. ცოლმა ჩააცვა სუფთად და ურჩია წასულიყო სამუშაოს მოსამებნელათ.

ჩაიცვა გაჭივრებულმა კაცმა, წავიდა სამუშაოს სამებნათ, იარა, ეძება მაგრამ, ვერსად ვერაფერი სამუშაო გამონახა. როდისაც ძებნით დაიღალა, მერე დაიწყო ხმამაღლა ყვირილი: „ჭკუა მაქ და ფული არა მაქ“. ამის გამგონე ქუჩის ბოვშები ეედევნენ და სიცილით მიზდიეს, ის კი ისევ გაიძახის: „ჭკუა მაქ და ფული არა მაქ“. გეეკიდენ ქუჩის ბოვშები სიცილ-ხარხარით. დაინახა ერთმა დინდარე ვაჭარმა, გაიგონა გაჭივრებულის სიტყვები, დაუძახა და შეეკითხა, რისი მუშაობა შეგიძლიათ, მოელაპარეკა და შეპირდა დახმარებას.

ვაჭარმა წაიყვანა თავის სავაჭროში, გამოცადა რამოდენიმე დღით, ნახა კაც საქმე შეუძლია გააკეთოს, გადაწყვიტა დახმარებოდა. კარქა ხან იყოლია ვაჭარმა თავის თავთან, პურის ფულსაც აძლევდა ისე, რომ აღარ მოშივებოდა იმის ცოლშვილ.

ვაჭარმა გაიგო, რომა მისი მეზობელი ვაჭრები საგზავროთ ემზადებიან, შეუთანხმდა იმათ, რომ იმისი კაციც თან წეეყვანავე, რასაც საქონელ თითონ შეიძენდენ, ისეთივე მისთვინაც შეეძინავე, მხოლოდ ფული იმის კაც ჯიბეზე ექნებოდა. მეზობლებმაც თანახმობა გამოუცხადეს.

ვაჭარმა დააკერა უბეზე გაჭივრებულ კაც ასი თუმანი ოქრო, გააყოლა სამი ცხენი, სახარჯოც გაატანა და სხვა ვაჭრებთან ერთათ გაისტუმრა.

სანამდისინი ზღვას მიაღებოდენ, ცხენებით იგზავრეს, ზღვის პირას გემ მოუცადეს, უნდა გაყოლოდენ გემ. ცხენები იქვე დააბეს ყველამ მისთვინ არსებულ თავლაში, როდისაც გემიდან ისევე დაბრუნდებოდენ, ცხენებით წავიდოდენ თავის ქვეყანაში.

გემი მზათ იყო გასასვლელათ. ვაჭრებმა საგზავრო ფული ამოიღეს ბილეთების საყიდლათ, გაჭირვებულკაც უთხრეს, ემელო ფული, რომ მისთვინაც ბილეთი შეეძინავე, მაგრამა არაფრის დიდებით იმან არ ამოიღო ფული უბიდან, არც იმათ გაყვა ზღვაზე საგზავროთ, როდისაც ვაჭრებ არაფერი გაუვიდავე, ადგენ და თითონ გეემგზავრენ, ისი კი დარჩა ზღვის პირათ.

დადის ზღვის პირათ გაჭირვებული კაცი, ათვალიერებს, უკვირს თებზები დახტიან, ხან ზეით ამოცურამენ, ხან ჩაიყურყუმაღავებენ, მიჩერებია ყველა ამას და თვალ ადევნებსე. იფიქრა ე საწყალი თებზები ცოდო არიან ვინ რას აჰმევსეო, წავიდა, იყიდა ერთი ტომარა ქიშმიში და თებზეზ წვრილ-წვრილათ გადაუყარა, მოგროვდა ზღვის პირათ მრავალი თებზი, ქიშმიშის გემო გაიგეს. ყოველდღე იყიდის თითო ტომარა ქიშმიშ და უყრის ზღვაში თებზეზ. ისე გასუქდენ თებზეზები, რომა თუ აქამდი დიდები წვრილებ ყლაპამდენ, ახლა დიდებსაც დაუწყეს გადაყლაპა.

მივიდა საჩივარი ლივიათანთან (თევზების უფროსი), რომ არსად ზღვაში წვრილი თებზი აღარ არი, სულ დიდები ყლაპამენ და ისე დასუქდენ, რომა ღორებ დეემსგავსენო.

დაიბარა ლივიათანმა დიდი და სუქანი თებზეზები და შეეკითხავე, რამ დაგასუქათ ასე, რომ ყველაფერ თქვენ ყლაპამთ და ზღვაში წვრილი თებზის ნატამალიც კი აღარ არიო?..

– ჩვენე ბატონო, ლივიათანო, წვრილ თებზეზ მუდამ ვყლაპამდით, ჩვენე კიდე ჩვენზე დიდები გვყლაპამდენ, მაგრამა ეს ერთი ხანია ზღვის პირათ ვინცაღა კაცი ყოველდღიურათ ქიშმიშ გვიზოგებსე, ქიშმიშმა ჩვენე გაგვასუქა და ჩვენე დიდი თებზეზები ვეღარ მეგვეერიენ გადასაყლაპავათ, ამიტომ თქვენთან საჩივარი შემოიტანეს.

უპასუხეს ლივიათან სუქანმა თებზეზმა. ლივიათანი შეეკითხავე:

– თქვენე რითი გადაუხადეთ იმ ადამიან პატივისცემა?..

თებზეზმა ერთი მეორეს გადახედეს, რომ არაფრით არ გადაუხადიავე – ჯერჯერობით არაფრით ბატონო ლივიათანო, რითი გადაუხადოთ?

– აი თქვე ბრიყვებო თქვენე, ამ ჩვენ ზღვაში უთვალავი თვალმარგალიტია, სამსეა ზღვის ძირი სიდიდნდრით, რომენიც ჩვენ არ გამოგვადგება, ადამიან კი გაადინდრებს, თითო თებზმა რომ ლაყუჩით მაღლა აიტანოთ სათითოკაკლოთ ე თვალ-მარგალიტი და ზღვის პირათ წაარწყიოთ, ი კაცი მოაგრუებს ყველას და გაკეთდება.

თებზეები ასეც მოიქცენ, ყოველდღიურათ დილაობით ზღვის პირათ წაარწყევდენ ზღვის ძირიდან ლაყუჩით ამოტანილ თვალმარგალიტ, მიდიოდა დილაობით გაჭივრებული კაცი, ჯერ ერთ ტომარა ქიშმიშ გადაუყრიდა თებზებ, მოუსვამდა ხელ თვალმარგალიტ ზღვის პირათ მობრჭყვიალეს მზეზე და ტომარაში ყოველდღე აგრუებდა.

ბევრი სიდიდნდრე მუაგროვა ვაჭრების დაბრუნებამდი. თვალმარგალიტებ ნეხვში ახვევდა, დააგვრალეზდა ნეხვ, ახმობდა, გამხმარ ტომრებით ინახამდა. სამი ტომარა ნეხვში გამხმარი თვალმარგალიტი რომ მუაგროვა, ამასობაში ვაჭრებიც გემით დაბრუნდენ, მოიტანეს ძვირფასი საქონელი, ნახეს გაჭივრებულ კაც სამი ტომარა ნეხვი მოუგრუებია, სიცილი დააყარეს:

– რათ გინდა კაცო ე ნეხვი, ჩვენ ქვეყანაში საქონელი არა გვაქ, თვარემა ნეხვი ბევრია.

– გამამადგება ძმაო, ჩემთვინ ესე საჭიროა, შეშის მაგიერობას გამიწევს, ზამთარში წვრილშვილი გათბება ცეცხლზე.

ვაჭრებმა ბევრი იცინეს, ეგონათ ჭკუიდან შერყეულაო, გაჭივრებული კაცი კი ცარიელ ნეხვ ახმობს ახლა სამი ტომარაც იმითი გაამსო. სამ ცხენ ორ-ოლი ტომარა გადაკიდა, როგორც ვაჭრები გაუდგენ გზას, ისიც იმათ გაყვა.

გზაზე მოწვიმა, თავი ერთ გამოქვაბულ შეაფარეს; ვაჭრები თავიანთ საქონელ ეფერებიან, გაჭივრებული კაციც თავის ნეხვ, ძალიან რომ შეცივდავე თხოვეს, ნეხვით ცეცხლი ეენთოვე, გამთბარიყვენ, გაჭივრებულმა აუარა, თქვენ ამისთანა ნეხვ ვერ დამიბრუნებთო. ვაჭრებმა მისცეს ხელწერილი, როდესაც დაბრუნდებოდენ, ისეთივე ნეხვი დეებრუნებინავე იმისთვინ, როგორც ტომრებში იყო. გაჭივრებულმა სამი ტომრით ცარიელი ნეხვი ასესხავე, ვაჭრებმა დაანთეს ცეცხლი გათბენ, გაშრენ, ამასობაში კიდევ გამოიდარა. გაუდგენ გზასა და მივიდენ თავის ქვეყანაში. ვაჭრები სიცილით დი სიმხიარულით შევიდენ, გზაში გემეეგებენ თავისიანები. გაჭივრებულ კაც კი ის შემეეგება, ვინც იმას ასი თუმანი გაატანა, ვაჭრებმა სასაცილოთ აიღეს და უთხრეს:

– შენ რომ კაცი გაგვატანე, ექვსი ტომარა იმისთანა საქონელი წამოგიღო, რომა თვალეზ უკეთესი არაფერი უნახია. ჩვენც გვაესესხა სამი ტომარა და ხელწერილი მივეცით, რომ დაუბრუნოთ ისეთივე, სად იმონე ამნარი ჭკუის კოლოფი?

ვაჭარმა არაფერი თქვა, გაჭივრებულ ჩამოართვა სამი ტომარა ნეხვი, არ უსაყვედურა, როდესაც ხელწერილი ნახა, შეეკითხა: „რა საჭირო იყო ნეხვის სესხებაზე ხელწერილიო“. გაჭივრებულმა მოით-

როვა თავრობის დასწრება და იმ ვაჭრებისაც, ვინც ისესხა ნეხვი; ყველა მოგროვდა, გაჭივრებულმა მოითხოვა შეემოწმებინა მისი მოტანილი ნეხვი, რომა ისეთივე დებერუნებინავე სესხი.

გახსნეს ტომრები, დაშალეს დაგვრალეული ნეხვი, ნახეს შიგა სამსეა თვალ-მარგალიტით, გახსნეს მეორე, მესამე, ყველა ისეთივეა, ყველაში თვალ-მარგალიტია.

ვაჭრები გოცეებული ერთმანეთ შეყურებენ, აღარ იციან რა ქნან, ვინ გადაიხთის ამდენ ვაალ, თუ არა და ხელწერილის ძალით თავრობა ქონებას წაართმევს.

მეტი გზა აღარ ქონდათ, გაჭივრებული რომ არაფრად ჩეეგდოვე, ამხანაგი – ვაჭრის იყო ქონება, თან ხელწერილსაც თავისი ძალა ქონდა.

იანგარიშეს, რამდენი ფულიუნდა გედებხადავე, რომ სესხი გენაღდებინავე, ნახეს თელი თავისი ქონებაც კი არ ყოფნიდათ ვალის გასასტუმრებლათ; შეწუხდენ უზომოთ, გაჭივრებულმა როდისაც დაინახა, თუ რა დღეშიაც ჩავარდენ ვაჭრები მერე უთხრავე:

– წადით ძმაო, თქვენზე გავალეებულ აღარა ქთხოვე, ოღონ მამავალში სხვას სიცილ ნუ დააყრით, თვარემა ასევე დაგემართებავე. გახარებული ვაჭრები სიხარულით ცას ეწეოდენ და დიდი მადლობით წავიდენ.

გაჭივრებულმა ჩამოუყვა თავის ვაჭარ, რაც მოხდა. გაიყვეს თვალ-მარგალიტები და ორივემ კეთილათ იცხოვრეს.

ნათქვამი: მოშე მორელაშვილის.

2. სოლომონ მეფის სიბრძნე

სასახლეში ცხარე კამათი იყო, მეფე სოლომონი არწმუნებდა თავის უზენაეს ორგანოს, რომელიც შესდგებოდა სამოცდა თერთმეტი ბრძენი მოხუცისაგან, რომ: „ადამ ბე ელეფ მაცათი, ვე იშა ბე ხოლელ ენ ლო მაცათი“. (ადამიანი მედგარი – ჭკვიანი შეიძლება ათასში ერთი გამოვიდეს, ხოლო დედაკაცი კი ერთიც არა).

უზენაესის სამოცდა თერთმეტი მოხუცი ბრძენი არცერთი არ დაეთანხმა მეფეს, კამათი მწვავე ხასიათს იღებდა. მოთმინებიდან გამოსულმა მეფემ გადაწყვეტილად სთქვა, – დაგიმტკიცებთო.

მეფემ გასცა განკარგულება:

– გამომიძებნეთ ისეთი დედაკაცი, რომელიც იყოს პატიოსანი ცოლი, სამაგალითო დედა, წარჩინებული ქმარის უერთგულესი მეგობარი, კეთილშობილი ოჯახის შვილი და იშვიათი სილამაზის პატრონი.

კარის კაცებმა მონახეს ასეთი ქალი, მეფემ ბრძანა:

– აქ მომგვარეთ მისი ქმარი.

მეფის ბრძანება ფიცხლავ შესრულდა.

– ადამიანო! მინდა გავიგო თუ რით არ ამ ქვეყნად უკმაყოფილო, – შეეკითხა მეფე მოსულს.

– არაფრით მეფეო! – კაცი ჩემისთანა ბედნიერი არ მოიძებნება... უკეთესი ბედნიერება არ იქნება.

– მე მსურს გიყოლიო ჩემს ახლოს, გიბოძებ უზუცეს თავადობას, ჩემს სასახლეში შენ იქნები მეორე პირი, ეს უფრო მეტი ბედნიერება იქნება, ვინემ შენ ამ ჟამად გაქვს, შეგრთავ ცოლად ჩემს ლამაზ ასულს...

– მეფეო!.. მე ცოლშვილიანივარ...

– ვიცი, არაფერია, გახდები ამ ქვეყნად უბედნიერესი ადამიანი, მხოლოდ იმ პირობით, ჩემი ქალიშვილის ბედნიერებას ხელს არავინ უშლიდეს – შენ უნდა მოჰკლა 'შენი ცოლი და მოიშორო თავიდან, რისთვისაც შენ პასუხს არავინ მოგთხოვს.

– მაპატიეთ ბატონო! ვერ ვიქ, ვერ მოვკლავ... რისთვის მოვკლა?... რა დააშავა... აკანკალებული ხმით განაგრძო ქმარმა, მაპატიეთ მეფეო, ვერ მოვკლავ.

მეფემ მოხვია ხელი აღელვებულ ქმარს, წაიყვანა და აჩვენა მთელი ის სიმიდიდრე, რომელიც სიძისათვის იყო გამზადებული, ძვირფასი ხალიჩებით მოგებული ოთახები, თვალის მომჭრელი საუნჯენი და უთვალავი ოქრო და ვერცხლი, რის ნახვამ მოაღბო მნახველი, მაგრამ მაინც ყოყმანობდა.

– ცოლი მოვკლა... შვილებს რა უყო?!. თვალები მიაშტერა მეფეს.

– დარდი ნუ გაქვს, ყველას კარგსა და საუკეთესო პირობებში ვამყოფებ.

დათანხმდა ქმარი მეფის წინადადებაზე, მიიღო მეფისაგან ხმალი და დაბრუნდა შინ. სიხარულისაგან თავბრუდახვეული მომავალი ბედნიერების მოლოდინში, დაადგა თავზე მძინარე ცოლს, იძრო ხმალი, უნდა მოჰკვეთოს თავი, ერთერთმა ბავშვმა „დედა“ წამოიძახა მძინარემ, ქმარს ხმალი ხელში გაუჩერდა, ძირს დახარა და სთქვა:

– რასთვის უნდა მოუკლა შვილებს დედა, ცოდვა არიან, არ მოვკლავ, ჰყავდეთ დედა.

ერთხანს იფიქრა, თვალ წინ გაურბინა მეფის სასახლემ, ძვირფასმა სამკაულებმა, უამრავმა თვალ-მარგალიტმა და მეფის მშვენიერმა ასულმა, რომელიც ბაღში მოსეირნე შორიდან დაინახა, როდესაც

მეფე მომავალი სიძის ბინას ათვალიერებინებდა, ერთი წუთით ყველაფერი დაავიწყდა, გაიტაცა საცოლეს ეშხმა, კვლავ ასწია ხმალი, მიუახლოვდა ლოგინს, ნახა ბავშვი ძუძუს სწოვდა და ზედვე ხელებს თ უცაცუნებდა, კვლავ შეაჩერა ხელი, ხმალი ჩააგო.

– რა უსინდისო ადამიანი უნდა ვიყო, რომ ის ჩჩვილი ძუძუ-მწოვარიც არ დავინდო, უდედოდ დავტოვო, ჩამოვდა სავარძელზე, იფიქრა, იფიქრა, ზეზე წამოდგა და სთქვა: – რა მნიშვნელობა აქვს ერთი ადამიანის სიცოცხლეს, განა ცოტა არიან უდედოდ ბავშვები!.. ბედნიერება რად დავკარგო?!.. ისევ იშინებდა ხმალი, თვალებ დახუჭულმა დააპირა თავის მოკვეთა ცოლისთვის. გაიფიქრა, ერთი ცალი თვალით კიდევ შეეხედა უკანასკნელად. გაახილა ცალი თვალი, დახედა მძინარე ცოლს ელიმებოდა, სინათლის შუქზე როგორც არასოდეს ისეთი ლამაზი ჩანდა, სავსე გულმკერდზე ხუჭუჭი თმები დალა-ლებად დაფენოდა; ძუძუზე ბავშვს ჩასძინებოდა.

– რა მშვენიერია, ილიმება... რა დამიშავა, რომ კვლავ!... არა.. არა.. არ მოვკლავ, ვერ მოვკლავ... იცოცხლოს, სამაგალითო დედაა, ჭკვიანი, დარბაისელი, ჩემი სიამაყეა, რად მინდა მეფის სიმდიდრე, ვინ არის ჩემისთანა ბედნიერი?.. ამ ცოლშვილის პატრონს ლხინში რა უნდა – ლხინი შინ მაქვს, გაიშვირა ხელი მძინარე ცოლშვილი-საკენ.

გადმოსცვივდა ცხარე ცრემლები, ხმალი საბოლოოდ ქარქაშში ჩააგო, ზედ ხელი დაჰკრა და პირდაპირ მეფის სასახლისაკენ გაეშუ-რა მისი რისხვის მოლოდინში, რადგან ბრძანება ვერ შეასრულა.

უკან დაბრუნებული ქმარის ნახვა მეფეს არ გაუკვირდა, იქვე სასწრაფოდ მოიხმო სამოცდა თერთმეტი უზუცესი და მოუსმინეს.

– დაიბრუნეთ მეფეო თქვენი ხმალი, დამსაჯეთ ისე, როგორც გნებავდეთ, ჩემს ცოლს ჩემთვის არაფერი დაუშავებია, ვერ მოვკალი, კარგია მეტი სიმდიდრე და სიდიდე, მაგრამ უკეთესია – სინდისის სიწმინდე.

მეფემ უზუცესებს განუცხადა, არ დავიწყებოდათ ამ ადამიანის მოქმედება, ქმარი გაანთავისუფლა და მისცა წინადადება, არასოდეს არავისთვის მომხდარი ამბის შესახებ არ ეამბნა.

გაიარა ერთმა თვემ, მეფემ დაიბარა იმ კაცის ცოლი. ესაუბრა საიდუმლოდ და განუცხადა:

– მომწონხარ მ შვენიერო ქმნილებავ, დიდი ხანია შენზე თვალი მიჭირავს, მსურს შენი ცოლად შერთვა, რაც კი სასახლეში ცოლები მყავს, ყველაზე უფროსი შენ გახდები, აი, ეს მჭირფასი სამკაულები, მთელი სასახლის სიმდიდრე შენი იქნება, ოღონდ ერთი პირობით – შენი ქმარი უნდა მოჰყლა. რისთვისაც მე მოგცემ ხმალს, როდესაც დაგიბარო, მოდი ჩემთან.

გახარებული ქალი, არც უფიქრია, ისე დათანხმდა.

მეფემ დაიბარა ხელოსანი, შეუკვეთა ხმალი კალასაგან გაკეთებული, რომელიც სავსებით ჩვეულებრივ ხმალს ემსგავსებოდა, მხოლოდ იქნებოდა ზღაგვი – არა ბასრი.

გაუმზადეს მეფეს შეკვეთილი ხმალი და მიართვეს. რამოდენიმე ხნის შემდეგ მეფემ დაიბარა ის ქალი, გადასცა ხმალი და დაავალა, რომ დაეთრო კარგად ქმარი, დაეძინებინა და შემდეგ იმ ხმლით მოეკვეთა თავი.

წაიღო ქალმა ხმალი. შინ საუკეთესო სადილი მოამზადა, იყიდა ძვირფასი ღვინო და სასმელები, გაშალა სუფრა, მოირთო კეკლუცად, ნელსაცხებლის სუნი მთელს არე-მარეს მოედო; გადმოდგა ბანზე და ელოდებოდა ქმარს.

დაინახა რა მომავალი ქმარი, შეეგება განსაკუთრებული სიხარულით, ეხვეოდა, ეალერსებოდა, ქმარი შეეკითხა:

– რაშია საქმე, დღეს იშვიათი კარგი ულლუვა დაგიმზადებია, შენც თვითან ძალიან გახარებული ხარ, ახალი ძვირფასი კაბა ჩაგიცვია, რა მიზეზია?!

– დიდი ხანია თვალო, შენი ქეიფი და ლხენა არ მინახია, მინდა ერთი კარგად ვიქეიფო, მხიარულად ვიქნეთ, მოეფერა ქმარს.

როდესაც ქმარი კარგა შეზარხოშებული დაინახა, ლოგინი გაუსწორა და დააძინა, რაკი დაინახა უკვე ღრმა ძილში შევიდა, ამოიღო ხმალი, პირდაპირ ყელზე გაუსვა-გამოუსვა, ქმარს გაედვიძა, სტაცა ხელი ხმალს, აატრიალა, მეორე ხელი ცოლს წაავლო, გაკვირვებული შეეკითხა, რად მკლავო.

ქალმა უამბო როგორც იყო საქმე. იქვე წამოდგა ქმარი და ხელმოკიდებული მიიყვანა ცოლი მეფის სასახლემდე, ხმალიც თან წამოიღო.

სასახლეში პირველად უხუცესები დაუხვდა. ქმარმა მათ გადასცა რაც მოხდა, და მოითხოვა მეფის ნახვა.

სთხოვეს მეფეს... გამოვიდა მეფე, ფეხზე წამოუდგენ სამოცდათერთმეტი უხუცესნი და მოახსენეს:

– ეს კაცი თქვენი განკარგულებით ცოლს უნდა მოეკლა, რადგანაც შეპირებიხართ ცოლათ შერთვას და სასახლეში უფროს ქალად გამოცხადებას, რას იტყვით მეფეო?.

მეფეს გაეცინა, მოითხოვა მის მიერ ქალისათვის ჩაბარებული ხმალი, რომელიც იქვე გადასცეს.

დაათვალიერა მეფემ ხმალი, გადასცა უხუცესებს, ნახეს ის იყო კალასაგან გაკეთებული ზღაგვი, რომელიც უკვე გაღუნულიყო.

მოაგონა მეფემ უხუცესებს ამ ქმარის ამბავი და თავიანთი ჯიუტობა მის წინააღმდეგ, რომ სამოცდა თერთმეტი ბრძენი უხუცესი არწმუნებდა მეფეს, შეიძლება დედაკაციც იქნეს მედგარი ჭკვიანიო.

მეფის უტყუარი სიბრძნე ერთხელ კიდევ დაადასტურეს და გაიმეორეს მისი სიტყვები ხმამაღლა ყველამ ერთად.

– „ადამ ბე ელეფ მაცათი, ვე იშა ბე ხოლელ ენ ლო მაცათი.“

(ადამიანი მედგარი – ჭკვიანი შეიძლება ათასში ერთი გამოვიდეს, ხოლო დედაკაცი კი ერთიც არა).

ნათქვამი: **მოშე დაფარაშვილის.**

3. ეშეთხაელზე (კეთილშობილ ქალზე)

ცხოვრობდა ქვეყანაზე ერთი პატიოსანი ოჯახი, თითოთ საჩვენებელი იყო ამ ოჯახის შემადგენლობა. ქმარი, ხახამ-თალმიდი (ბრძენი, ნასწავლი) ცოლი, – პატიოსანი, რომელიც ასრულებდა გამჩენიდან დავედრებულ ისრეელის წესებ, რაც კი ევალება ისრეელის ქალ, არ დათმობდა: სანთელ, ხალას და მიკვებს (სანთელი ევალება ქალს, ყოველ პარასკევსა და შაბათ საღამოსა და რომხოდეშში – იომტობში ახალ მთვარეზე და უქმე დღეებში; ხალა, როდესაც ისრეელის ქალი პურის ცომს მოზეღს ერთი ოყის და მეტი რაოდენობისას, მან გაფუებული პურიდან უნდა მოწყვიტოს ხუთ ადგილზე იმდენი, რომ ერთი კვერცხის ოდენა იქნეს, აკურთხოს და ცეცხლში დასწვას; მიკვე, როდესაც ისრეელის ქალი თვითურს მოიშორებს, ერთი კვირის შემდეგ უნდა დაისუფტაოს, დაიბანოს და სპეციალურად მოწყობილ აბაზანაში გაეცლოს). უვლიდა თავის ქმარშილ პატიოსნათ. მისი სახე კაც არ დაუნახია. არ ლილითობდა (არ არშიყობდა), არ კოხტაობდა, სხვისი არა ეხარბებოდა რა და არც ენატრებოდა, რაც კი მისთვის გამჩენ ებომებინა, იმაზე თავდაბალი იყო.

ღმერთ იმათი ოჯახი გეეხარებინა, იმისთანა რწყვილი ვაჟიშვილი ყავდავე რომა ამ სოფლათ მათი უკეთესი კი არა, ბადალიც არ მოიპოვებოდა, ორივენი მიდრაშში (სკოლაში) სწავლობდენ და საუკეთესო თალმიდებიც (მოწაფეები) იყვენ.

ეშეთხაელი გაისტუმრებდავე ქმარშილ მიდრაშში, სუფთა ჩაცმულ-დახურულ გაატანდავე ლოცვა-კურთხებას: „აქმორდავე ავი ნაქნარი, ავი ნათქვამი, ყაინ არაყი (ავი თვალი), იარეთ წაღმა, წაღმართიანა როგორც შვიდობით გისტუმრებვე ისევე შვიდობით დამიბრუნდით“. გაისტუმრებდავე იმათ, მეზუზას (კარზე ნიშანს) აკოცებდა, შვიდოდა შახში და მის იერ კაციშვილი ვერ დაინახამდა, ოჯახ ემსახურებოდა. დაუბრუნდებოდა ქმარშილი, დახვდებოდავე

მხიარული, მხარტმეცდავე ხელწყალ, სასმელ-საჭმელ, მოუჯდებოდავე გვერდში და ხაფიფობდენ, მოყვებოდენ შირა-მაყასიმტობ (ლექსებსა და შაირებს), ნასადილეზე მოისვენებდენ და მინხა-ყარბითზე (სალამოს ლოცვებზე) ისევე ერთათ წავიდოდენ მამა და შვილები სალოცავათ. ნალოცავზე დაბრუნდებოდენ, ივანშმებდენ, მოყვებოდენ „შემაყ ისრეელ“ (გესმოდეს ისრეელო) და დაიძინებდენ. გაგითენდა დია, დილა სასიკეთო, დილიდან ისევ ისე შეუდგებოდენ ჩვეულობას.

ერთხელ პარასკებ სადამოზე ეშეთხაელმა, როგორც ჩვეულება ქონდა, სანთელი აანთო, ღმერთი ახსენა და აივანზე გადმოდგა შვილებ დაუხვდებო, რადგანაც ქმარი მისი სხვა ქვეყანას იყო გაგზანლი მიდრაშის საქმეებზე და ცოლ დაუბარა იქნება შაბათისთვის ბებრად (ვერ) მოვიდო.

იყურება ეშეთხაელი აივანზე, შეხედა ორივე ძმებ ჩაუკიდნიავე ერთმანეთისთვის ხელი და ნალოცავი მოდიან. შეეგებავე დედა შვილებ, – „შაბათ შალომით“, შვილები დედის ხელზე კოცნით შემოვიდენ შახში და როგორც პეტერეები, მეზუზას რო ვერ აუწვდენ საკოცნელათ, დედამ აწიავე ორივე და ისე აკოცნინავე მეზუზისთვის.

ვანშმოზას დეეპირენ, ნეტილათი (ხელის დაბანა) ქნეს და ივანშმეს; ნავანშმეებზე ორივე ბიჭები გარეთ გავიდენ და აივანზე თამაში დაიწყეს, დედა კი ჭურჭლის ალაგებას შეუდგა, ბიჭებმა რომ შახში შემოსვლა დაიგვიანეს, შეწუხებულმა დედამ აივანზე გამოიხედა, ნახა, ბიჭები ძირ აგდიან ორივე კვდარი, ეშეთხაელ ელდა ეცა; პირველათ ეგონა მეზუმრებიან, მეყაშმირებიან – მაშინებენო, მივიდა ახლო დააკვირდავე, ორივე კვდრებია. შეწუხდა უზომოთ დედა, მაგრამ იცოდა, ვერას გააწყობდა, თან შაბათი ბძანდებოდა, დეგებუროსე იმისი ზეხუთი (მადლი) აიყვანა ორივე უხმოთ ცივ-ცივათ და თავიანთ ლოგინებში ჩააწვინა, მიახურავე საბანი და მიენდო გამჩენ (ღმერთს), შაბათის ხათრისთვის იმდენათ აფასებდა შაბათ რომა, ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია, არ შესცოდა აკადიმ ბარუხუს (კურთხეულს).

ქმარი შახში არ ყავდა, მეზობლებ არ შეატყობინა, აქო და ადიდა გამჩენი სიკვდილ-სიცოცხლის, აიღო ხელში თორა და დაიწყო თეილიმის (ფსალმუნის) კითხვა შაბათის სახელზე.

რომ არი ასე ეშეთხაელი, ამ სიჩუმეში, კიბეზე კაცის ფეხის ხმა მეესმო. ადგა გაიხედა, ნახა მისი ქმარი მობძანებულა, ისე შეეგება როგორც ყველთვის. ქმარი რომ შახში შემოვიდა, ბიჭები მოიკითხა, ცოლმა უთხრა: – ადრიანა ივანშმეს და შენ რომ ბებრათ (არ) ბძანდებოდი, ორივემ დაიძინეს, გელოდენ და მოიწყინესო.

– დავხედოვე ერთი ჩემ შვილებ, საბანი ხომ არ გადახდიავე.

– გაანებე თავი, თვალო, ძინამსე და ნუ გააღვიძებე!..

ქმარმა დაუჯერა ცოლ და აღარ შეაწუხა ბიჭები. ახსენა ღმერთი, დაიბანა ხელ-ფეხი, დაიცვალა შაბათის სახელზე და შეუდგა გამჩენის ქება-დიდებას.

სანამდი ქმარი ლოცულობდა, ეშეთხაელმა ვახშამი გაუწყო, კიდუმ-ბერაზა (პურ-ღვინო) მიართვა, მუუჯდა გვერდში, ისე იქცეოდა, ვითამ შვილები მოკდომია ქართით (გამოცვლილი სიკვდილით) კი არა და ჩიტიც არ გადაფრენიაო.

ქმარმა ივახშმა, წამოდგა ნავახშმი, გაიარ-გამოიარა და თორის ჭინახულ შეუდგა. ცოლმა აალაგა სუფრა და ქმარ გვერდში მუუჯდა. როისაც ქმარმა იმისკენ გაიხედა, მაშინ გაბედა და შეეკითხა: „რა-ტომ დაიგვიანე“-ო, ქმარმა ჩამოუყვა:

როდისაც ჩვენ ქვეყანას მოუახლოვდი და ერთი ორი საათი კიდე მიკლდა შახში მოსვლას, ვირი, რომენზეაც მე ვიჯექი, დაფრთხა აქლემების დანახვაზე; მამავალი დაინახა, შორიდან გაჩერდა, ალაგი-დანვე ვედარ დავძარიტ, ასე გეგონა მიწაში ჩეერჭოვო, ადგა თავის პატრონმა და თითონ წაიყვანა თუ არა თავისი ვირი, არც კი ვიცი მეე გასტუმრებული მყავდა, გზაში ვერ დავრჩებოდი, შაბათ ვერ გავტეხამდი, ავდექი, ვახსენე ღმერთის სახელი და ფეხდაფეხ წემევედი, შემეგვიანდა, ლოცვას ვედარ მოუსწრებდი, მოვედი და შახში ვილოცე, მაპატიოს იეირასონ (ეგრე იყოს) გამჩენმა.

– მადლობა ღმერთ, ხომ შვიდობით მობძანდი და სულ ერთია, დილა სასიკეთო, სამშვიდობო გაგვითენოსე გამჩენმა, დილაზე წაბძანდები ლოცვაში, გვაპატიებსე ღმერთი.

მოისვენეს, საწყალ ქალ არ ეძინება, თავისი ემართება, მაგრამ ვერც შაბათ ამსუბუქებს და არც უნდა ქმარ გააგებინოს, თუ რა შავი დღე ადგია. დაწვა, მაგრამ არ დამინებია, ჩუმათ, ხმა ამოუღებლათ წევს ლოგინში, ძილი კი არ ეკარება, სიმწრით გამოათენა. გათენდა დილა, ადრიანა წამოდგენ, ახსენა ღმერთი, ქმარი ლოცვაში გაისტუმრა, ქმარმა დაუბარა:

– ბიჭები ადრიანა გამოუშვი ლოცვაზე და მერე შენც წამოდი.

– შეიძლება მე ვერ წამოვიდე, ყმარწვილო, იცოდე ახლავე; ქმარი წავიდა ლოცვაში, იფიქრა ჩემი ცოლი ნიდათ არისო (ნიდა, თვიურის დროს, სალოცავში ვერ წავა), ქმარმა ილოცა ღმერთის სახელზე დაკეცა თორა-სისიტი, თავის უჯრაში შეინახა (ყველა მლოცველს სალოცავში საკუთარი ადგილი აქვს ნაყიდი თავისი უჯრით, შაბათ უქმე დღეს წაღებ-მოტანა არაფრის შეიძლება და თორა-სისიტს თავიანთ უჯრებში ინახავენ).

დეესალმა მეზუზას ლოცვისას და წამოვიდა შახში. ცოლი ჩვეულებრივად დაუხვდა, ქმარ მიეგება, ქმარმა ბიჭები მოიკითხა, ცოლმა

უთხრა: „ჩემ თავისახლ გავგზანევე და სალამოდისინი არ მოვლიან“ ქმარმაც დაუჯერა, ვერაფერი ეჭვი ვერ აიღო. ისადილეს ცოლ-ქმარმა, ნასადილებზე ქმარი მიდრავში წავიდა თორის საჭინახულოდ, ცოლი კი აივანზე იჯდა მუნჯივით, არც ხმას იღებდა, არც არავის ელაპარაკებოდა.

დაღამდა, დაგიღამდა სასიკეთოდ, ქმარი ისევ ლოცვიდან შახში დაბრუნდა, ცოლი შეეგება, კარებში სამს დოქით წყალი დაახვეთრა, ქმარმა ბიჭები ისევ მოიკითხა, ცოლმა უთხრა: „კიდუში აკურთხე, ღმერთი ახსენე და ჩვენც წავიდეთ ჩემთავისახლ, ბიჭებიც ჩვენ თითონ წამოიყვანოთ“. დეთანხმა ქმარი, დაყაბულდა, აკურთხა კიდუში, ცოლმა მიუნათა სანთელი და სურნელიც (ყოველ შაბათ საღამოს, როდესაც სალოცავიდან დაბრუნებული შინ კიდუშს (ღვინოს) აკურთხევს, სანთელი სპეციალურად ჩამოქნილი უნდა მიენათოს და სურნელოვანიც საყნოსავად, ჩაი, ლიმონი, მიხაკი და სხვა). კიდუში რომ გაათავა, ქმარმა ძირკუთხეში ნაკურთხი ღვინო მოასხა, ცოლი მივიდა კვდარ შვილებთან, ორივეს დახედა, რომელიც თავფეხშექცევით იწვენ, ატირდა მწარეთ, რომ გეგონა იმის ქმარ ტირილი და შემოსულიყო იმ ოთახში; ერთი რომ დაიძახა: „ვაი დედასავო“, იქნა გამჩენიდან წყალობა, კურთხეულია მისი სიხასე (სიწმიდე), ორივე ბიჭებმა წამოყვეს ლოგინიდან იქით-აქეთ თავები, გაცოცხლდნ და მატრალ დედას მიაძახეს: „რა იყო დედაო“. ე შეთხაელი ჭკუაზე შეიშალა ღარმე, თავის თვალზე არ უჯერებდა, თუ იმის წინ გუშინ საღამოზე კვდარი რწყვილი შვილი ნესით (სასწაულით) გაცოცხლდა და უფრო მეტი ხმით დაიყვირა – ვაი დედასა – ბიჭები ლოგინიდან წამოცვინდნ, ქმარი გაშლილი თორით (გაშლილი თორის დატოვება დიდი ცოდვაა, რომ წმინდას უწმინდურმა არ გადაუაროს) ხელში ოთახში შევიდა, ნახა ცოლი გულშეწუხებული პოლზე აგდია, ორივე ბიჭები ადგიან თავზე და ტირიან.

გაოცდა ქმარი, ამდენი ხნის ცოლქმარი არიან და არასოდეს არ მოუტყუილებია ისი ცოლ, ახლა რატომ მოატყუილა, რომა ბიჭებიო ჩემთავისახლ არიანო, როისაც ორივე აგერ ყოფილან; საქმის ნამდვილი ამბავი კი არ იცის ქმარმა, ძირ წაქცეული ცოლი რომ დაინახა, თითონაც შეწუხდა და კრაოტზე ჩამოჯდა. ბიჭებმა რო დაინახეს მამასაც გული უწუხს, დაიწყეს ყვირილი. გამოვიდნ აივანში და იკივლეს.

მეზობლებმა ხო გაიგონეს ბიჭების ყვირილი, შემეესიენ და ნახეს ორივე ცოლქმარი გულშეწუხებული, გაიქცნ რაბისთან, თორა ჩააფერთხეს ორივეს, ქინძმარი გამოიტანეს დაუზილეს და რაბის მოსვლამდი მოაბრუნეს.

რაკი მოზრუნდენ მეზობლები წავიდ-წამოვიდენ, რაბი კი დარჩა. მოასურიელავე ორივე მოუჯდავე, გვერდში, ბიჭებიც მოიჯინა და გამო-იკითხა ხო შვილობა ხქონდავეო.

ცოლქმარი ერთმანეთ მიჩერებოდენ, არ იცოდენ რა უნდა ეთქვავე რაბისთვის. რაბიმ კითხავე კიდე, ეშეთხაელმა თავსაფარი შუბლზე ჩამოიწია, თავი დაბლა დასწია მოკრძალებით და რაბის უთხრა:

– მეხილა მიქებოდახ (ბოდიში თქვენს პატიოსნებასთან) რაბი, თუ ნებას მამცემთ თქვენ წინ ხმა არ ემემელება მარამა, მე ვიტყვი, მე მოგახსენებ.

– ბეხაბოდ (ინებეთ) ბძანეთ. უთხრა რაბიმ. ეშეთხაელმა და-იწყო ლაპარიკი, ქმარ უკვირდა, რავა თამამად ლაპარიკობსო, ხომ არაფერი ღმერთი გაწყრომიო, მაგრამა თავი შეიკავა და მოუსმინა, ბიჭები მეორე ოთახში გაუშვა, რომ არ გეეგონავე.

– რაბი ბატონო, ყმარწვილმა (ჩემმა ქმარმა) არაფერი იცის. მაგ ბძანდებოდა მიდრაშის საქმეებზე სხვაგან. გუშინ საღამოს ლოცვას ველარ მიუსწრო. მე და ჩემმა ბიჭებმა ხვთისა და თქვენი წყალობა ვახშამი გიახელით, მე ჭურჭელ ვალაგებდი, ბიჭები აივანში თამაშობდენ, შახში შემოსვლა რო დააგვიანადვე, მე აივანში გავიხედე და ორივე ბიჭები კვდარი დამიხვდენ, რადგანაც ხასი (წმინდა) შაბათი ბძანდებოდა, დევენაცვლე მის გამჩენ, ჩავიგდე ხმა, არ ავამსუბუქო შაბათითქვა, ორივე შევაბძანე, ლოგინში დავაწვინევე, გადავახურევე, მობძანდა ყმარწვილიც, მაგის უმფროსობა არ მემეშალა, უწინ მე მოვიშალე ღმერთისაგან, ბიჭები მკითხა, უთხარი ძინამსეთქვა, მივეგებე, მოვასვენე, დილაზე ლოცვაზე გავისტუმრე, ლოცვიდან რომ მობძანდა, ბიჭები რომ მკითხა, უთხარი ჩემთავისახლ არიანთქვა, ამაღამაც, უთხარი ჯერ არ მოსულანთქვა, კიდუშ-ბერახა ქენი და ერთათ წავიდეთთქვა; იპრიანა ღმერთმა, დევენაცვლე მის სახელ, არ დაუხედნია ლოგინზე, თორას ჭინახულობდა, მეე თავი შევიკავე შაბათი არ ავამსუბუქოთქვა და როისაც წესი ისრეელის შესასრულა და კიდუშის ღვინო ძირკუთხეშიც მიასხა, მერე შევედი კვდრების სატირლათ, რომ ვერ შევბედე ყმარწვილს (ქმარს) და რო დავიძახე – ვაი დედასა – თქვა, ორივე ბიჭები წამოხტენ, მეე თვალებ არ უჯერებდი, თუ მართლა გაცოცხლდენ და რეტდასხმული ვკიოდი, მერე რა მოხთა, აღარ მახსობს. ასე იყო რაბი ბატონო, მეხილა (ბოდიში), შეგაწუხეთ, ახლა რავა ჯობია თქვენ გვიბძანეთ. გაკვირვებული უსმენდა რაბიცა და ქმარიც ქალის სიტყვებ. რაბიმ გულდასმით უპასუხა:

– ეშეთხაელი ყოფილხარ ქალო შენე, ჩეში ნეშამა (სული) დამკვიდრდა შენ ნეშამასთან, შენ ყოფილხარ ვადაი (ქმშმარიტად) გა-

თავებული სადკანოთი (წმინდანი), ესე გამჩენმა გიქნა საკურველობა, გამოგიგზანა შაბათ ღამის მაზიკები (ავი ანგელოზები) მოსაკლავათ შენი უცოდველი ბოშებისთვინ, გამოქცადა რა შენე, თუ იყავი შენე ღირსი განყედენისა (სამოთხისა) გიქნა საკურველობა, ამსუბუქებდი შაბათ, შენი ბოშები აღარ გაცოცხლდებოდენ, ხასვე შალომ (ნუ ინებოს გამჩენმან) შეინახე შენე და არ ამსუბუქე შაბათი, გიქნა გამჩენმა ნესი და სატირლათ მისულ დედას გაგიცოცხლა ორივე ვაჟი-შვილები. ღმერთ დაულოცნია თქვენი ოჯახი, იძლიერეთ, იყავით რომ ხაართ კიდე უკეთესი და არ ნახეთ სიმწარე მაშიახის მობმა-ნებამდისინი (მეორეთ მოსვლამდი), დაუმახეთ ბიჭებ და ნუ ეტყვიით იმათ რაც მოხდა.

დაუმახეს ბიჭებ და უთხრა იმათ რაბიმ:

– ნუ შეგეშინდებავე, თალმიდებო, თქვენ დედასა და მამას ისევე თვალში უყურეთ. გახსოვდესე ღმერთი ისრეელის მქნელი საკურველობის, იცოცხლეთ და იძრიელეთ.

რაბიმ აკურთხა ორივე ბიჭები, წაღმა დაბრუნდა, მეზუზას გემესალმა და წავიდა.

ნათქვამი: **ხავა ბუზიაშვილის.**

4. ს ა მ ი ძ მ ა

იყო ერთი თორის მოჭირნახულე ბატონი, დღე და ღამე თორას კითხულობდა. დიდი სიმდიდრე ქონდა, გამრჯელიც იყო. მუშაობა უყვარდა, დაუზარებელი იყო.

ბატონს სამი ვაჟი ყავდა, არც ერთ მათგანს გარჯა არ უყვარდათ. ზარმაცობდენ და მამას ისინი ეცოდებოდა.

როდესაც ბატონმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, დაუმახა სამივე შვილსა და უთხრა: „სანამ ჩემი ქონება გექნებათ და გეყოფათ სჭამეთ, მერე კი თუ არ გაისარჯოთ, პური არა სჭამოთ“.

მამა გარდაიცვალა, შვილებმა ისრაელის წესი შეუსრულეს. თერთმეტი თვე იგლოვეს, არ დაუკლიათ კადიში, მაპტირი (სულის ხსენება), სანთელი, ზეთი, ალაპი და სხვა. ყველაფერი რიგზე შეუსრულეს, თვითონ კი გარჯაზე არც უფიქრიათ, მიადგენ მამის დატყეხულ ქონებას და სჭამეს. თერთმეტი თვე რომ გათავდა, ნააბელარი (ნამგლოვიარები) ტანისამოსი გამოიცვალეს. ახალ-ახალი ჩაიცვეს-დაიხურეს, მიჰყვენ ხელგაშლილ ცხოვრებას, ერთიმეორეს ასწრებდნენ, ვინ მეტს დახარჯავდა, ისე მალე გამოელიათ მამის დატოვებული ქონება, რომ უკან მოხედვაც კი ვერ მოასწრეს.

დარჩენ სამივე ძმები კისერ-გადაგდებული, არც თუ რაიმე ხელობა იციან, არც კადრულობენ თავის ქვეყანაში რომ სამუშაო მოიძებნონ, უკადრისობენ.

გასწიეს სამივემ ერთად უცხო ქვეყანაში, იქ არავინაც არ გვიცნობსო, სამუშაოს მოსაძებნათ.

მივიდნენ ერთ სახელმწიფოში, მოითხოვეს სამუშაო, უთხრეს სასადილოშია საქმეო, სამივე დადგენ სასადილოში სამუშაოთ, ტანი-სამოსი ჯერჯერობით შერჩათ, ტანზე რიგიანათ ეცვათ, საჭმელს კი სასადილოში უფასოთ ღებულობდნენ.

ძმებმა გაიგეს, მეფეს ყოლია ერთი მზეთუნახავი ქალიშვილი მაგრამ ისეთი სასიძო ვერ უშოვნია, ვინც მის საქმეს გააკეთებს. უფროს ძმას ურჩიეს უნცროსებმა წასულიყო მეფის კარზე და გაეკეთებინა მეფის საქმე, რა იქნებოდა ისეთი ძნელი, რომ ვაჟკაცი მას ვერ გააკეთებდა, თუ უფროსი ძმა მეფის სიძე გახდებოდა, უნცროსებსაც არა უშავდა, მოეწყობოდნენ და იცხოვრებდნენ.

წავიდა უფროსი ძმა მეფის სასახლეში, მიიყვანეს მეფესთან, მეფემ მისცა წინადადება:

– თუ შენ ჩემს ძროხას სამოთხის წყალზე წაიყვან, სადაც ის ყოველდღე დადის წყალის სასმელად და უკანვე მოიყვან, ჩემი სიძე გახდები, თუ არა და არა. გაეცინა უფროს ძმას, ამაზე იოლი საქმე რა უნდა იყოსო, დათანხმდა, მოაბა ძროხას ბაწარი და წაიყვანა.

მცირე მანძილი რომ გაიარეს, აიწყვიტა ძროხამ ბაწარი, ჰკრა თავი და მიიმალა, დარჩა წამყვანი პირდაღებული. აღარ იცის რა ქნას, გაექცა ძროხა, მისდევს, მაგრამ რას დაეწევა, ფრინველივით გაქრა ძროხა, მიეფარა.

ძროხამ დალია სამოთხის წყალი და უკანვე მობრუნდა. მეორე დღეს მეორე ძმა გაგზავნეს მეფესთან, რომელიც უფროსს დასცინოდა, რა დიდი საქმეა, ძროხის წაყვანა, ვერ მოახერხეო. მივიდა მეორე ძმა, მეფემ მასაც ისეთივე წინადადება მისცა, როგორც პირველს, მეორე ძმამაც მოაბა ძროხას ბაწარი და წაიყვანა, ცოტა რომ გაიარეს, ძროხამ ისევ აიწყვიტა ბაწარი და გაიქცა, მეორე ძმაც ყურებ-ჩამოყრილი დარჩა, ვერც კი მოასწრო გამორკვეულიყო, რა მოხდა, მიიხედ-მოიხედა, ძროხის კვალიც აღარსად სჩანდა, მწარედ დალონდა, მაგრამ რას იზამდა.

მესამე დღეს მესამე ძმა გაგზავნეს, წადი ძმაო, იქნება შენ მაინც გახდე მეფის სიძე და ჩვენც გვეშველოსო.

მესამე ძმა მივიდა მეფესთან, მიიღო წინადადება ძროხა წაყვანა სამოთხის წყალზე, ესმია წყალი და ისევ მეფის სასახლეში მიეყვანა.

მესამე დღეს მესამე ძმამ წაიყვანა ძროხა, ბაწარი არ მოაბა, რამედ ნება-ნება მიჰყვა ძროხას კვალზე, მიდიან, მიდიან; მივიდნენ სამოთხის კართან. ძროხა წყალს მიაღდა სასმელათ, მესამე ძმა კი სამოთხეში იჭვრიტება, შეიხედავს რა სამოთხეში ნახა ამოდენი თეთრ-წვერიანი თორას ჭირნახულობს, ერთი კი კუთხეშია მოკუნტული, არც თორა უჭირავს ხელში, დაღონებული ზის, მივიდა შეეკითხა:

– რადა ხარო მარტო თქვენ მოკუნტული და არც თორას არ ჭირნახულობთ?

– ჩემი შვილი იმ ქვეყნად კოხტაობს, არავის კადრულობს სალაპარაკოთ, მეც მის გამო ამ დღეში ვარ.

– გამატანე შენ შვილთან წერილი და წაუღებ.

მოკუნტულმა სწრაფად დასწერა წერილი, შვილს სთხოვა თავი გაენებებია კოხტაობისათვის, ყოფილიყო თავმდაბალი, რომ ძამამისიც გასწორებულიყო და თორის ჭირნახული ღირსებოდა.

მესამე ძმამ წამოიღო წერილი, წამოყვა ისევ მეფის ძროხას და ფეხდაფეხ მოვიდა სასახლესთან.

ნახეს, გაეხარდათ, მეფეს სასიძოც მოეწონა. გამოიყვანა თავის მზეთუნახავი ქალიშვილი და დალოცა. სასიძომ უთხრა მეფეს, რომელიც ქორწილს აჩქარებდა:

– ბატონო მეფევ! მე ერთი საქმე მაქვს გასაკეთებელი, სანამ იმ საქმეს არ მოვრჩები, მანამდე ქალს ვერ ვითხოვ.

– რა საქმეა შვილო, მითხარი და კიდევ მორჩი.

– ერთი დიდი წვეულება უნდა გამართოთ ისეთი, რომ ყველა ღირსეული კაცი ამ ქვეყნის თქვენს სუფრაზე იყოს. მე მანამდე ვერაფერს გეტყვით, რისთვის მჭირდება ეს წვეულება, შემდეგ კი ყველას გაიგებთ.

მეფე დათანხმდა. გასცა ბრძანება, გამართეს დიდებული წვეულება, მოიწვიეს ყველა იმ ქვეყნის ღირსეულნი და წარჩინებულნი, მოგროვდა ხალხი, გაივსო მეფის დიდი დარბაზი, სასიძომ მიიხედ-მიიხედა, ყველას ხედავს, მხოლოდ იმ მოკუნტული კაცის შვილს, რომელთანაც წერილი აქვს გადასაცემი, ვერ ხედავს. დაუძახა მეფის ვეზირებს და შეეკითხა; რად არ არის ის კაციო, ვეზირებმა გაიცინეს და უპასუხეს, – რომ ის ისეთი ამპარტავანია, ვინმეს ეწვიოს კი არა, სალამსაც არავისას კადრულობსო. სასიძომ უთხრა, რომ მისი სახელით, მეფის სასიძოს სახელით, მოეწვიათ საჩქაროთ. დატრიალდნენ მეფის მსახურნი, სთხოვეს, მეფის სასიძო გთხოვს გვეწვიოთო და მართლაც ყველას გასაკვირად, მოვიდა. ყველას უკვირდა მისი წვეულებაში ყოფნა, მაგრამ არ შეამჩნევინეს, ისე ილხინეს გათენებამდი, უცხო სტუმარმაც მოილხინა, ლხინს რომ მორჩნენ და სტუმ-

რებმა წასვლა დააპირეს, სასიძომ სთხოვა უცხო სტუმარს, ცალკე ოთახში მიიწვია და მამა მისი გამოტანებული წერილი გადასცა, მისი მდგომარეობაც აუხსნა. შვილმა წაიკითხა მამისაგან გამოგზავნილი წერილი, ძალიან გაოცდა, არ ეგონა, თუ მამა მისი ცუდ დღეში იყო.

მეფის სასიძოს მისცა პატიოსანი სიტყვა, რომ ამიერიდან გახდებოდა თავმდაბალი, აღარ იკობტავებდა, ყველას დაუახლოვდებოდა, ოღონდაც მამა მისი არ დატანჯულიყო. გამოემშვიდობენ ერთმანეთსა და დღეიდან დამეგობრდენ.

მეფემ სასიძოს კიდევ მისცა წინადადება დაქორწილებულიყო. სასიძომ სთხოვა ერთხელ კიდევ წაყოლოდა ძროხას სამოთხის წყლის სასმელად და შემდეგ იქორწილებდა.

მეფეს უკვირდა, თუ რად აყოვნებდა სასიძო ქორწილს, მაგრამ თავს იკავებდა, შეკითხვა არ მისცა.

სასიძოს კი უნდოდა ენახა თავისი თვალით, თუ ის მოკუნტული კაცი გასწორდებოდა, რადგანაც მისი წერილის მიღების შემდეგ მისი შვილი ისე გამოიცვალა, ისეთი თავმდაბალი გახდა, რომ ვეღარ იცნობდით, ყველას უკვირდა, მიზეზი კი არავინ იცოდა.

სასიძომ ძროხა წაიყვანა წყალის სასმელად, თვითონ ისევე ნელ-ნელა მიჰყვა. ძროხა რომ სამოთხის წყალის სმას შეუდგა სასიძომ ისევე სამოთხეში შეიხედა, ნახა, იქ არავინ მოკუნტული აღარ არის, ყველა თეთრ-წვერებს ხელში თორა უჭირავთ და ჭირნახულობენ. ეძებს, რომ გაარჩიოს რომელია მისი წერილის გამტანებელი, მაგრამ ამოდ, ვერ გაარჩია. ბოლოს თვითონ დაინახა სამოთხიდან მოხუცმა მისი წერილის წამლები, რომელსაც კარგა ხანია ელოდებოდა.

გამოვიდა გარეთ, შიგ სამოთხეში შეიწვია მეფის სასიძო, დიდი მადლობა გადაუხადა მისი შველისათვის, წაიყვანა ერთ ოთახში, ანახა ყანდილები, აუხსნა მათი მნიშვნელობა და განუმარტა:

– აი ჩემო შვილო, თვითეულ ცოცხალ ადამიანს აქ, ამ ოთახში უნთიათ ყანდილი, აი ხომ ხედავ ეს ყანდილი ინთება, ეს ნიშნავს ვისიც ეს არის, ეს ადამიანი ახლა იზადება, ეს ყანდილი ქრება, ამის პატრონი კვდება. აი ეს ყანდილი ბჟუტავს, ამისი პატრონი ავადმყოფია და სხვ. მოხუცმა ბოლოს აიღო ერთი ბოთლი ყანდილის ზეთი და ერთ ყანდილზე დაასხა, მთლიანად გაამსებინა და უთხრა: რაკი შენ ჩემი დახმარება იკისრე, მოკუნტული გამასწორე, თორა ხელში მიჭირავს და ვჭირნახულობ შენი წყალობით, წადი შვილო, იცოცხლე, არ მოკვდე ამ ყანდილის დაქრობამდე, სანამ ოქროს ჯოხი არ შემოგვრას, მანამ არაფერი გეტკინოს.

დააბრუნა წაღმა, დალოცა და გამოუშვა. მეფის სასიძო გან-
ცვიფრებული დაბრუნდა ნახულით, გამობრუნდა და ძროხას გამოყვა
გახარებული, მეფეს გვერდით მიუჯდა და მოუყვა რაც მოხდა. მეფეს
ესიამოვნა სასიძოს მოქმედება, თვითონაც დიდი მადლობა უთხრა
სულგრძელობისათვის.

მეფემ დააქორწილა ქალ-სიძე, გადაიხადა დიდი ლხინი, მოი-
წვია გასწორებული კაცის შვილიც, რომელმაც საქვეყნოდ დაგმო
თავისი წინანდელი ქცევა.

მეფე თავის მრევლს მოუწოდებდა თავმდაბლობისაკენ; თავისი
ძვირფასი და ჭკვიანი სიძის ძმებიც მეფემ კარგ ოჯახებს დაუსიძა
და იცხოვრეს ბედნიერად.

ნათქვამი: **სიმზა ბერიძისა**

5. გერ-დედინაცვლის ამბავი

ქვეყნად ცხოვრობდა ერთი ბედნიერი ოჯახი. დინდარე და პა-
ტიოსანი, მისვის (მადლის) მიმდევარი; ცოლი და ქმარი ერთმანეთ
არ აცლიდენ ღარიბის შებრალებას. ყავდათ ერთად-ერთი ქალი-
შვილი, რომლის უკეთესი ქვეყნად არაფერი არსებობდა, ლამაზი და
ხელასლახიანი (ხელბარაქიანი). ამ ბედნიერ ოჯახ გაუხდა დიასახლისი
მძიმე ავად, როდესაც ქალმა თავს ცუდად შეატყო, მოიხმო ქმარი
და უთხრა:

– თვალო, მე ვიცი არ მოვრჩები, დაბადებული უნდა მოკვ-
დეს, მეც მამივიდა გადაცვალების დრო, გახსოვდეს მუდამ ღარიბი
და ქვრივ-ობოლი, ქალიშვილი არავის დააჩაგრინო, ქალიშვილს არ
დაუშალო, რაც სედაკა (მოწყალება) გასცეს, პირიქით ხელი შეუწყე,
შენ კი იცოდე, როგორც სედაკაზე ხელ აიღებ, ემეთ (ქეშმარიტად)
სიღარიბე გეწვევა, განადგურდები ყველანაირად, გახსოვდეს ჩემი
სიტყვები, გიმეორებ ქალიშვილი ჩვენი ბედნიერია, არავის შერჩება
მისი დაჩაგვრა, ხენწიფის შვილის ზიულა (იღბალი) – დედოფალი
გახდება.

მამაკვდავმა დედამ ქალიშვილ დაუძახა, უთხრა:

– შვილო არ იმწუხრო, გაჩენილი უნდა მოკვდეს, მეც მამი-
ვიდა გადაცვალების დრო, აი ე ცხვირსახოცი შენია, ელიაუნანბ
ზახორლეთობმა (ილია წინასწარმეტყველმა) დაგიტოვა, შენ მამაშენს
არ შეეკითხო, ყოველ პარასკევ დილით ე ცხვირსახოცი გაშალე,
აიღებ ას მანათ ფულ, ასივე ქვრივ-ობლებ და ღარიბებ დაურიგე,
რომ შაბათი დააპატიოსნონ და დააყენონ; ე ცხვირსახოცი მხოლოდ
შენ ხელშია ძალაში, სხვას რომ ჩაუვარდეს აღარ ივარგებს. შვი-
დობით შვილო, გახსოვდეს რჯული ისრაელის, დედა იგლოვე თერ-

თმეტ თვეს, მერე კი იმხიარულე, სადაც შენ იქნები, ელიაჟანაბიც მუდამ შენთან იქნება, რომ არაფერმა ისუნტლოს შენზე, გიწერია ზიულათ მეფის შვილი, აილე ე ცხვირსახოცი, ე წყვილი ოქროს ქოში ქეთუბაზე (ქორწინებაზე) ჩაიცვი, გიმეორებ გებრალეზოდეს ღარიბები და შენ სიცოცხლეში არაფერი გაგიჭირდება.

დააბრუნა შვილი დედამ სამჯერ წაღმა, გადაკოცნა და მიიცვალა. მიცვალებული დააპატიოსნეს, არ დაუკლიათ, რაც კი ისრაელის წესს ეკუთნის, თერთმეტი თვის განმავლობაში ყოველივე შეუსრულეს. თერთმეტ თვეზე მამა-შვილმა ნააბელარი გამოიცვალეს, ახლები ჩაიცვეს და "შეუდგენ ჩვეულებრივ ცხოვრებას.

რაც დედამ დაუბარა, ქალიშვილი ყველაფერ ასრულებდა.

რაც ცოლმა დაუბარა, ქმარიც ყველას უკლებლივ ასრულებდა. ღუოდენ და ფუოდენ, წყაროს წყალივით წინ მიდიოდენ. ნათესავებ არ მოწონდათ მისი სიქვრივე, შეუჩდენ და ათხოვინეს ქვრივი ქალი, რომენსაც ქალიშვილი მოყვა.

ერთხან ტკბილად ცხოვრობდენ, მაგრამ როდესაც დედინაცვალმა დაინახა, რომ მის ქალიშვილ გერი ჯობნის, აითვალწუნა გერი, დაუწყო ყოველ ნაბიჯზე კინკლაობა, ქმარ ენებ უტანდა, რომა შენი ქალიშვილი ყოველ პარასკევ დღეს ღარიბებ თელ შენ ქონებას ურიგებსო.

ნელ-ნელა მამასაც შეაძულა შვილი; მართლაც როგორც დედამ უანდერძა, ყოველ პარასკევ დილით ქალიშვილი გაშლიდა ცხვირსახოც, აიღებდა ას მანათ ფულ, ვინც ღარიბი და ქვრივ-ობოლი ეგულებოდა ყველას ჩამოურიგებდა, მამამ უსაყვედურა ქალიშვილ, არ გეცა მოწყალება, მაგრამ ქალიშვილმა არ მოიშალა. მამამ ცემა შვილი, მაინც არ მოიშალა, როდესაც ნამეტანი გაბრაზდა დედინაცვალი, ქმარ უთხრა: „ან მაგ მამაშორე, ან მე წავალ შენი ოჯახიდან“-ო. მამას შვილმა მოაგონა დედის ანდერძი, რომ სანამ ღარიბებ შეიწყალებდა, დოვლათიც ექნებოდა, მაგრამ ცოლმა მოახდინა ქმარზე გავლენა, აღარაფერ არ აძლევდა მოწყალებას ქვრივობლებ, პირიქით ქალიშვილსაც უშლიდა.

მამამ და დედინაცვალმა შეუკრეს ხელფეხი საბრალო ქალიშვილ და საწნახელში ჩასვეს, თავი დახურეს, სამი დღე და ღამე არც არაფერი ასვეს-აჭამეს, არც მიხედეს, მოკვდესო.

სამი დღის შემდეგ ცოლმა უთხრა ქმარ: „წადი კაცო, ი სულ-აყროლებულის შვილი ჩაკვდებოდა საწნახელში, ამოათრიე და დამარხე, სანამდი სული აუვიდოდეს, თვარემა საწნახელი გაგვიფუჭდება, აღარ ივარგებს ღვინისთვინ“. მივიდა მამა, ახადა საწნახელ თავი, რა ნახა, ქალიშვილ შეხინა (შუქი) ადგია, რაც კარქი იყო, უკეთესი

გამხთარა, რძით ნაბან დამსგავსებია, ვარდის ფერათ ყვავის. გაიქცა და ცოლ აცნობა, ცოლმა უთხრა: „ახლავე ტყეში გადააშენე, მაგრე ხელფენ შეკრული, თვარემა ჩემი ქალიშვილი თავ მოიკლამს, ის თუ კიდე აქანა დაინახა“. მიუბრუნდა მამა ისევ საწნახელ, ამოიყვანა ხელ-ფენშეკრული ქალიშვილი, შემოიგდო ზურგზე და ტყეში წაიყვან. შუა ტყეში უალაგო ალაგას დასვა, ნადირი შეჭამსო და მიატევა.

მამას რომ ზურგით ქალიშვილი ტყისკენ მიყავდა, ქალიშვილს გზაზე ცალი ქოში გეხადა და დაკარქა, რომელიც შემთხვევით ნადირობიდან დაბრუნებულმა ხენწიფის შვილმა ნახა და უბეში ჩაიდვა.

ხელფესშეკრული ქალი ტყეში უპატრონოდ გდია, როგორც კი მამა მისი ტყეს გაშორდა, მას გამეცხადა ელიაუანაბი, შეუხსნა ხელ-ფეხი, აიყვანა მალა ხეზე და დასვა, თან ორი ანგელოზი მალახ-რეფიელი და მალახ-გაბრიელი დაუყენა, რომ მასზე არაფერ ესუნ-ტლებინა, მისცა ისევ ცხვირსახოცი, რადგანაც დედის დატყევებული სახში დარჩა, აკურთხა და უთხრა: „შვილო, რაც კი მეგესურვოს სასმელ-საჭმელი, ღმერთის გაჩენილი, ამ ცხვირსახოც როგორც გაშლი, შენ წინ გაჩდება“, ქალმა მადლობა მოახსენა; ჯის ქალი მალა ხეზე, ბრჭყვინამს როგორც მზე და მთვარე, ისე ანათებს არე-მარეს.

მამა რომ სახში დაბრუნდა, ცოლ და გერ მიახარა: „იმისთანა უსიან ტყეში დავსვი, რომა ახლა მისი ძვალიც აღარ იქნება, მხეცები ისე დაგლეჯამდენ“-ო. გაიარა რამოდენიმე ხანმა, მის ოჯახ დღითი-დღე აკლდება დოვლათი, აღარაფერ ხეირობს, რასაც საქმეს ხელ-მოკიდებს, უკუღმა მიუდის.

ხენწიფის შვილმა ერთ დღეს ჩამოიარა თავისი საბძანებელი და ნახული ქოში ვისაც ფეხზე მეერგებოდა, მოძებნა, თავისი ზიული (ბედი) ის იქნებოდა, ბევრი იარა თავისი მხლებლებით, მაგრამ არავის მეერგო. ზოლოს ამათ სახლსაც მოადგა. დედინაცვალმა იცნო ქოში, შეურბეინა თავის ქალიშვილ, ხან ქუსლი ჩამოათალა, ხან ფეხის გული, მაგრამ მაინც არ მეერგო, უკან დაუბრუნა ხენწიფის შვილ, მაგრამ მაინც ვერ ისვენებდა, ვაი თუ ი სულაყეფებულის შვილი სადმე ცოცხალია და მონახოსო, დაუწყო ქმარ ჩხუბი: „ჩქარა წადი ტყეში ნახე, ცოცხალი არსად იყოს, თვარემა ვიცი ზიული უწერია, ხენწიფის რძალი უნდა გახდეს, ქოშიც მისია. მონახამენ და დასტურ გახდება ხენწიფის რძალიო“.

გაბოროტებულმა მამამ დაუწყო ქალიშვილ ძებნა, მივიდა შუა ტყეში, დაინახა. რაძალა აშუქებს მალა ხიდან, აცოცდა ხეზე, შორიახლო შეეკითხა:

– ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, ან ამ უსიან ტყეში რაზე ხარო?

– ვერ მიცანი, მამაჩემო, შენი შვილი ვარ, აქ ძალიან კარ-
გად ვარ.

გაუკვირდა მამას, თან გაბრაზდა, რავა კარქად არიო, ჩამო-
იყვანა, დაჭრა ხელფეხი, დათხარა ორივე თვალები, მოიგდო ისევ
ზურგზე და მახლობელ ჭაში ჩააგდო.

სახში რო დაბრუნდა, ცოლ უამბო რაც მოხდა, როგორც
მიუსწრო თვარემა, ხენწიფის შვილი მონახამდა და წაიყვანდა.

ხენწიფის შვილი კი არ ისვენებს, ეძებს ქოშის პატრონ, დილა
რო გათენდება, წავა საძებნელათ, კარქათ რო დადამდება, ხელცა-
რიელი ბრუნდება სახში, ვერ იპოვნა საცოლე.

ბოლოს ტყეში დაიწყო ძებნა, ჭას რომ მიუახლოვდა, მოახლეს
უბძანა წყალი ემეელო, ვერცხლის სურა მიაწოდა, თითონ კი იქვე
ქვაზე ჩაისვენა. მოახლე რომ ჭას მიუახლოვდა წყალის ამოსაღებათ,
იმისთანა შუქი ამოდიოდა ჭიდან, რომა ჭკუაზე შეიშალა ღარმე. შე-
შინებული უკანვე გაბრუნდა, სხვებ მიუთითა ჩაიხედეთო. ჩაიხედეს
ჭაში, ნახეს მზესავით აშუქებს ქალის თავი, შეეკითხენ:

– ვინ ხარ, რა სულიერი ხან, ამ ჭაში რატომ ხარ, მავნებელი
რამე ხომ არა ხარ?

– ნუ გეშინიათ, მე ვარ ადამიანის შვილი, როგორც თქვენ
იმისთანაი, აქ მტერმა ჩამაგდო, თვალები დამთხარა და ხელფეხი დამ-
ჭრა. ნუ გეშინიათ ჩემი, მე მავნებელი არა ვარ, აქ წყალი სუფთაა
და მიირთვით.

მსახურებმა რომ საუბარი გამართეს, ხენწიფის შვილი თითო-
ნაც ზეზე წამოდგა, ჭაში ჩაიხედა, დაინახა მზის მსგავსი სილამაზის
ქალი, უბძანათ ემეყვანავე. ამოიყვანეს ჭიდან, მისი სილამაზე მზეს
აბნელებს, საცოდავი სანახავია უხელფეხო, თვალებ დათხარილი ქალი.
ამ დროს იქვე გაჩნდა ელიაუანაბი კაცის სახით, მივიდა დაუწყო
ლაპარიკი, მალახ რეფიელ-გაბრიელ უბძანა, ქალისთვინ ცხვირსასოცი
მეესვათ; მოუსვეს ცხვირსახოცი, ხელების ადგილზე ხელები იქვე
გემეება, მოუსვეს ფეხების ადგილზე, ფეხები გემეება, ამოუსვეს თვა-
ლებში, თვალები ემხილა, წამოდგა ქალი ალვის ხის მსგავსი, შეხედა
ხენწიფის შვილმა, თვალი ვედარ გაუსწორა მის ბრწყინვალეზას,
აილო ქოში, ჩააცვა ფეხზე, მისია, მეერგო. გახარებულმა და გაკვირე-
ბულმა უთხრა:

– „ქალო, შენ ყოფილხარ _ ჩემი ზიული და მე კი ჩემ საბძანე-
ბელში ოჯახიც არ გამიშვია, ამ ქოშის პატრონ მე თითონ ისე და-
ვეძებ, შენ კი ტყეში ყოფილხარ“. ელიაუანაბი მიჩერებია ორივეს.
ხედამს ერთმანეთის შესაფერი არიან. მიუახლოვდა იმათ და უთხრა:
„თქვენე ერთმანეთის ზიული ხართ, მაღლიდან ღმერთმა გადაწყვიტა,

მე დამავალა თქვენი დაქეთუბება, აი ქეთუბაც“. ამოიღო უბიდან დაწერილი გახოვილი ქეთუბა. მოწმეებათ მალაზ რეფიელ-გაბრიელი დაუყენა, უკურთნა ქეთუბა, დალოცა ორივე და დაუბარა:

– წადით შვილო იცხოვრეთ ბედნიერათ, თქვენ სიცოცხლეში, არც გაჭირვება გენახოს, არც სიკვდილი და არც თუ რაიმე ზარალი, გებრალეზოდესე მუდამ ქვრივი და ობოლი, წლის თავზე ვაჟი შეგეძინებავე მე თითონ მოვალ და ვიქნები მოელი (მომნათლავი).

წაიყვანა ხენწიფის შვილმა უმშვენიერესი და უბედნიერესი ქალი, მიიყვანა სახში, მამა მისსაც მეტათ მეეწონა და გეეხარდა. გადაიხადეს დიდი ქორწილი, ერთი თვე დღე და ღამე განუწყვეტლივ ილხინეს, ბევრი სიდინდრე და მოწყალება გაიღეს ხელვიწრო ხალხზე, კმაყოფილი ხალხი ლოცამდავე ახალ ნეფე-დედოფალ და ისინიც შეუდგენ ჩვეულებრივ ცხოვრებას.

ყოველ პარასკევ დილით ქალი გაშლის ცხვირსახოც, აიღებს ას მანათ და მოჩვეულ ღარიბსა და ქვრივ-ობლებ ურიგებს.

გაიარა ერთმა წელიწადმა და შეეძინავე ვაჟი, ისეთი მშვენიერი, როგორც მშობლები არიან, ვაჟი დედის მსგავსია. დადგა მილის დღე (ნათლობა). ხენწიფემ მოიწვია ყველა დიდი და დიდებული, თავის ქვეყნის საუკეთესო ერთგული კარისკაცები, ღებულობენ სტუმრებ, ულოცამენ, მხიარულობენ, გაშლილია სუფრა დიდებული, რაც კი იმ ქვეყანაში საუკეთესო სასმელ-საჭმელი და ტკბილეული მოიპოვება, ყველაფერი ხენწიფის სუფრაზეა მიტანილი. დიდი დარბაზი გაიმსო ხალხით ცალკე ქალებისთვის არი სუფრა გაშლილი, გულუბნები მასპინძელი მხიარული ხვდება სტუმრებ.

მოვიდენ საუკეთესო და ცნობილი მოელები (მომნათლაეები), მაგრამ მეფის შვილი არც ერთ არ ეუნება ბოზმ მილა გაუკეთოს, ყველას კი გონია აი აგერ მამცემს წინადადებასაო.

ბოლოს შვილმა მიიხმო მამა და უთხრა:

– ბატონო ხენწიფე! სანდაკობა შენია (ნათლობა), მოელი კი სადაც არის გაიხლებათ. ბეხაბოდ (ინებეთ) შეუდეგით მილის წესებ.

– სად არი შვილო მოელი; მე ვერ ვხედავ უცხო კაც, აქ ყველა ცნობილი და გამოცდილი არიან, ბარელმა იმათმა მიიღონ მილა-მისვა (ნათლობა).

– ბოდიში ბატონო მამა, მაპატივე, რომ სიტყვას გიბრუნებ, მოვა ახლავე მოელი, ნუ შემეკითხები მის ვინაობას.

ხენწიფემ აღარაფერი კითხა შვილ, გეეხვია სისიტში (სპევ-მოსახვევი ლოცვის დროს), დაიწყეს ეიშალომი (ნათლობის გალობა), გაიღო კარი და სისიტში გახვეული თავიდან ფეხებამდისინი ელია-

უანაბი მიუახლოვდა ქისი-ელიაუს (სანათლო მოწყობილობას), ასწია ხელში ბოზში და სამჯერ წაღმა შემოაბრუნა. როგორც ისრაელის წესია, შემოსძახა მშვენიერი ხმით, „ეიშალომი“ და შეუდგა მილას. მონათლა ბოზში, თვითონვე კიდუში (ღვინო) აკურთხა, მონათლული დედას ჩააბარა; დატრიალდა წაღმა და გაბრუნდა, მეჩქარებო. ბოზშ ელიაუ დაარქვეს.

სტუმრებ გაუკვირდავე, მოელმა არაფერი დაკბილა ნამილევიო. ხახამ-თალმიდებსაც უკვირდავე, თუ ვინ იყო უცხო მოელი, სახეზე შეხინა (შუქი) ადგა ვერ იცვნეს, მაგრამ ხენწიფის ოჯახში რას გაბედამდენ. შეუდგენ სეყუდას (პურ-მარილი), ილხინეს-იქეიფეს, ხენწიფემ ყველა ხახამ-თალმიდი საკმაოთ დაასაჩუქრა და კმაყოფილი ლოცვა-კურთხევით გაუდგენ თავიანთ გზას.

იზდება ბოზში, ყვეელ დღე უკეთესი და უკეთესი ხთება, ხენწიფის ოჯახში ბოზშმა დიდი სიმხიარულე შეიტანა.

ბოზშის დედა ჩვეულებრივ განაგრძობს სედაკას (მოწყალებას), მაგრამ გულში დარდი ააქ, მართალია ის მამამ მოიძულა, ტყეშიც დატევა, ხელფეხიც დაჭრა, მაგრამ ეს ხომ ყველიფერი დედინაცვლის ენით მოხთა. ფიქრობს მაინც თავის მამაზე, ნეტაი სადმე მანახა, რომ მისი ამბავი ვიცოდეთ.

მამა მისი კი ისე დაღარიბდა აღარაფერი გააჩდა, ცოლის ჩხუბით თავმოებურებული კვირეობით დაიკარქებოდა ხოლმე, ტყეში წავიდოდა, ფარჩხებ ბოჭამდა, ყიდდა და თავ იმითი ირჩენდა, მუდამ ტიროდა და იტანჯებოდა მის გამო, რომა ცოლის ენით ქალიშვილი დაღუპა.

ერთ დღეს ისე შორ გადაიკარქა და წავიდა, რომ გზაც ვეღარ გაიგნო. იარა, იარა და ხენწიფის ახლო მივიდა, იქნება შემობრალონ და ლუკმა მამიშვირონო. იმ დროს მისი ქალიშვილი ვაიშვილით ხელში მაღლა აივანზე გადმამდგარიყო, დაინახა მამა მისია, იცნო, გულმა ძგერა დაუწყო, თვალებიდან ცრემლები გადმოუვიდა, გაიქცა, ქმარ დაუძახა და უთხრა:

– ნახე, აი ისი მამა ჩემია, რანაირათ გამოცვლილა, შეილი ვარ, მართალია ცუდი ბევრი მიყო, მაგრამ დედინაცვლიდან იძულებული გახდა, მაინც უნდა შევიბრალოთ. შენი ჭირიმე მსახურებ დაძახებინე ასვან-აჭამონ, კარქი ტან-ფეხი გაატანონ, ბლომად საზღოც რაც კი წიკოს, ე ასი მანათი ფულიც მისცენ და ნუ გაიგებს, რომ მისი ქალიშვილი მე კარგად ან ცოცხლად ვარ, შერცხვება და დავვალიანდებით. ქმარი ისე მოიქცა, როგორც ცოლმა უთხრა. კაცი სიხარულით გაგიჟდა ღარმე, ესე ჩემ თავზე რა ბედნიერებაა, რომ ასე უხვად გამიმასპინძლდენ და ამოდენითაც დამასაჩუქრესო, დიდი

მადლობა გადაუხადავე, გასწია შინ, მიიტანა ია და ვარდი, ხელი მოიბრუნა, მიეჩვია ხენწიფის სასახლეს და მოუხშირა იქ სიარულს. ყვეელ მისვლაზე უფრო მეტ საჩუქარ აძლევდენ, ისე გაისტუმრებდენ. ერთხელ როდისაც აკიდებული ჯორებით გაატანეს საჩუქარი, მიხვდა, აქ ჩემი ქალიშვილი უნდა იყოს ნამდვილათ, იმას ზიულათ მეფის შვილი ეწერა, მე უღმერთომ ცოლის სიტყვით დავლუმპე, მაგრამ იმას ღმერთი მაინც წყალობდა ისევ გადარჩებოდაო. იფიქრა, იფიქრა, იმწუხარა, ჩაწვა ლოგინში და აღარც ამდგარა, მიიცვალა.

ქალიშვილმა და სიძემ რომ გაიგეს მამის გადაცვალება, რაც ისრაელის წესი იყო კადიში და მაფტირი (სულის ხსენება), ზეთი და სანთელი ყველიფერი შეუსრულეს, ქალიშვილმა თერთმეტი თვე აბელობა (მგლოვიარობა) ამოათია, მერე ისევ გამოიცვალა ტანისამოსი. მამის საფლავზე ხშირად ხახამ-თალმიდებ და მინიან (ათ კაცს) წაიყვანდა, თორას უკითხამდა და არ ივიწყებდა. დედის ანდერძსაც მუდამ ასრულებდა, ისი და მისი ქმარშვილი დაბერდენ ბედნიერათ და მხიარულად.

ნათქვამი: **ხავა ხანანაშვილის**

6. შარიანი კაცი

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი ზარმაცი და შარიანი კაცი. იმისთანა ზარმაცი იყო ე კაცი იმისთანაი, რომა არაფერი საქმის გაკეთება არ შეეძლო, თელი დღეობით იჩხუბოდა, შარიანობდა და მეტ არაფერ აკეთებდა, ცოლშვილი შიმშილით ეხოცებოდა.

ვისაც კი შეძლებულ დაინახამდა, ჩხუბ აუტეხამდა, რითი მჯობინარო, რომ ჩემზე უკეთესად ცხოვრობო.

სალოცავში ჯამათ მისგან თავი ქონდა მობეზრებული, არც ერთი მოყედი (კაი დღე) არც შაბათი დღე, ისე არ გაივლიდა, რომა იმას სალოცავში ჩხუბი არ ექნა, ვინმეს ამოიღებდა თვალში და შარიანობდა.

ისე შეეზარა ჯამათ ე შარიანი კაცი, რომა სალოცავში სიარულ გაუბოლდენ იმის გამო, არ წეგვეჩხუბოსო. ბევრჯელ მოიყარეს თავი, იმჯელეს, დეხმარენ ხოლმე, ფარეებსაც უზოგებდენ, ყოველიმხრივ ხელს უწყობდენ, მაგრამ ისი მაინც თავისაც არ იშლიდა; ხაზანი (მლოცველი) რომ თებაზე (ტრაპეზზე) შედგებოდა, ისი მაშინაც იჩხუბოდა. ჯამათიდან რჩეულმა კაცებმა სცადეს მოლაპარაკებოდენ, რაიმე ხელობა ეელო და ემუშავნა, მიცეს წინადადება, იუკადრისა, იუარა.

ჯამათი წადგა ღმერთისა და სეფერთორის (ათი მცნების) წინ, ილოცა, ან სიკვდილით და ან სიცოცხლით მეეშორებინა ღმერთ

იმათთვის შარიანი კაცი, ევედრებოდენ ღმერთ მისგან განთავისუფლებას.

ერთ მშვენიერ დღეს, შარიან კაც გემეცხადა კაცის სახით ელიაუანაბი (ილია წინასწარმეტყველი) და უთხრა:

– მე ვარ მთავარი ექიმი, ისეთი რომა ყოველ ნაირ ავადმყოფობას მოვარჩენ, რაც გინდ მძიმე ავადმყოფი იყოს, მე შემოიძლია მისი გაკურნება, მხოლოდ მჭირია დამხმარე კაცი, თუ შეგიძლია შენე გამიწიე თანაშემწეობა, გასამრჯელოს არ დაგაკლებ.

შარიანი კაცი დეთანხმა; დაიწყეს ავადმყოფების ძებნა, გაიგეს ერთ დიდ კაც ერთადერთი შვილის მეტი არაფერი გააჩნია და ავათ ყავს, ისეთი მძიმე ავათ არი, უკანასკნელ წუთებშია, ვერც ერთმა ექიმმა ის ვერ მოარჩინა, დამწუნებული მშობლები თავზე დატირიან.

ელიაუანაბიმ წაიყვანა შარიანი კაცი დიდი კაცის კარზე, მოიხმეს დიდი კაცი, ელიაუანაბიმ უთხრა:

– მე ვარ ექიმი, ეს კი ჩემი თანაშემწეა, ჩვენ შეგვიძლია შენი შვილის მორჩენა, თუ ორას თუმან ოქროზე გაგვირიგდები.

– ოღონ კი ჩემი შვილი მორჩეს და თელ ჩემს ქონებაზე ხელ ავიღებ, უპასუხა დიდმა კაცმა. მორიგდენ ორას თუმნად, რადგანაც ელიაუანაბიმ მეტი არ ისურვა, შარიანი კაცი კი თვალებ უბრიალებს, რაზე მეტი არ ვთხუეთო. ელიაუანაბიმ დაუბარა, მეემზადებინავე თბილი წყალი, ერთ დიდი ქვაბი, ერთი დიდი შტოლი ავადმყოფობის დასაწვენათ, ცალკე ოთახში დეედგათ და შიგ მისი და მისი თანაშემწის მეტი არავინ მიკარებოდავე.

გამაზადეს ყოველივე საჩქაროთ. შეიყვანეს ცალკე ოთახში ავადმყოფი ელიაუანაბიმ და შარიანმა კაცმა, დააწვინეს შტოლზე მამაკვდავი, ელიაუანაბიმ ჩაიცვა თეთრი, შარიანსაც თეთრი ჩააცვა, ამოიღო დიდი გალესილი დანა და მიადგა ავადმყოფ დასაჭრელათ, ამ დროს შარიანმა კაცმა უთხრა:

– შენ, ეი, მე რამდენი უნდა მამცე ფარეები, იმ ორასი თუმნიდან, რატომ ახლავე არ მეუნები!..

– რა თქმა უნდა ძმაო, ნახევარი შენე, ნახევარიც მე... შარიანი დეთანხმა, შეუდგენ ავადმყოფის ექიმობას. ელიაუანაბიმ დიდი მჭრელი დანით დაჭრა ავადმყოფ ხელები, ფეხები, თავი, ტანი, თელი სხეული ნაკუწებად აქცია და ქვაბში თბილ წყალში ჩააწყო, შარიანი მიჩერებია, შიშიდგან ცანცახობს, დაჭრილ კაც ნაჭრებათ ქცეულ რალა მოარჩენსო, ფიქრობს, მაგრამა ფარეების დარდი მაინც არ ასვენებს, როდისაც ავადმყოფი მთლიანად დაჭრილი ქვაბშია ჩალაგებული, შარიანმა უთხრა:

– რომ დაჭერი, რაღას აპირობ აწი, ვიყვირებ, დაუძახებ ავად-
მყოფის პატრონ, რომ შენ დაგიჭირონ, მე კი უდანაშაულო ვარ,

– ნუ იზამ კაცო მაგისტანა საქმეს, ცოდო ვარ, ნუ იყვირებ.

– არ ვიყვირებ იმ შემთხვევაში, თუ თელად ორას თუმან მე
მამცემ.

– კარქი მოქცემ, ოღონ ნუ იყვირებ, მაგრამ შენ რომ გას-
წავლი ექიმობას, მე არაფერი არ უნდა მივიღო გასამრჯელო?!.. რას
მერჩი!..

– რას მასწავლი, კაცის დაჭრა რა დიდი საქმეა, შენზე კარ-
ქათ მე დაგჭრი, თუ მაგითი მორჩება.

– სულ! ხმა არ ამოიღო, არსად არაფერი თქვა, არც არავის
ასწავლო, ასე დაჭრილი, თბილ წყალში ჩალაგებული, რაც გინდა
მძიმე ავადმყოფი იყოს მორჩება, აი მიყურე!..

ამოალაგა ქვაბიდან ელიაუნაბიმ ნაჭრები, დააწყო შტოლზე,
რიგზევე ყველა ნაწილები მიაწყო, გადააფარა ზეიდან სუფთა ზე-
წარი, მიუსვ-მოუსვა ხელი და ავადმყოფი შტოლიდან საღათ წამოდ-
გა, თავისი ფეხით გავიდა მეორე ოთახში სრულიად ჯანსაღი და
მხიარული.

დიდი კაცის ოჯახი სიმხიარულიდან თითქმის ჭკუაზე შეიშალა,
რომა მამაკვდავი ამდენი ხნის მძიმე ავადმყოფი, ასე უცბად სასწა-
ულით მორჩა და თავისი ფეხით დადის.

მისცეს ორასი თუმანი ფარეები, მრავალი საჩუქარი და დიდი
მადლობით გაისტუმრეს.

შარიანმა სულ თითონ მიითვისა ყველაფერი, მე რომ არ ვყო-
ფილიყავი, შენ რას გააკეთებდიო, ეჩხუბა ელიაუნაბის, იმანაც გაა-
ტანა, უთხრა, ღმერთმა მოგახმაროსო და დაუბარა:

– რადგანაც ისწავლე ექიმობა, როდესაც ჩავარდეს ამნაირი
ავადმყოფი, მე მაცნობე, ერთად ვიმუშავოთ და ფარეებიც აწი გავი-
ყოთ ხოლმე.

– ძალიან კარქი, აუცილებლათ შეგატყობინებ, ერთად ვიმუ-
შაოთ. წავიდა ელიაუნაბი, შარიანი კაცი თელად გადარია ფარეებმა
და მამავლის იმედმა, იფიქრა, არ ადგა მისი გვერდები, მე იმას აღარ
ვაცნობო და არც ფარა გაუნაწილო, მე თითონ გავაკეთებ, გავდინდრ-
დები, მამხედა ღმერთმა, ნამდვილად ჩემი საქმეა, დაჭერი, ჩალაგე
ქვაბის თბილ წყალში, ამოიღე შტოლზე, გადააფარე ზედე ზეწარი,
გადაუსვი ხელი და მორჩა მამაკვდავი, რასთვინ მჭირია ვინმე, ხწო-
რეთ ჩემი საქმეაო.

მოისვენა ჯამათმა, აღარ იჩხუბოდა შარიანი კაცი სალოცავში,
სახარჯო ბლომათ ქონდა, არც ეძებდა ჯერჯერობით ავადმყოფ, ხარ-

ჯამდა ოხრათ ფარას, ჩეეწყო ხელები ჯიბეებში და არხეინად დასეირნობდა, დინდრულად ჩაცმულ-დახურული.

როდისაც სახარჯო გემეელია, ისევ დაიწყო შარიანობა და ჩხუბი. ამასობაში გავარდა ქალაქში ხმა, რომა ხენწიფეს მემკვიდრე ავით გახდომია, ქვეყანა მოუვლიათ და ვერ მოარჩინესო.

შარიანი წავიდა ხენწიფის სასახლეში, იხმო თვით ხენწიფე და უთხრა: მე შემიძლია თქვენი შვილის მორჩენა, მხოლოდ ცალკე ოთახში გამიმზადეთ შტოლი, დიდი ქვაბი და თბილი წყალი, დამტევეთ მარტო ერთი საათის განმავლობაში, თქვენი შვილი თავის ფეხით გამოვა ოთახიდან. ხელმწიფეს სიხარულიდან თავბრუ დეესხა, ბძანა სასწრაფოთ გეეშზადებინავე ყველაფერი, შარიანი კაცი მიიწვია მანამდი, შეპირდა ნახევარ სახენწიფოს, თუ რომ მართლაც მის შვილ ნახამდა ფეხზე გავლილ და საუკუნო დიდებას მის ოჯახ.

მოახსენეს ხენწიფეს, მზად გახლავთ ყველაფერიო. ხენწიფემ გაიყვანა მამაკვდავი შვილი, თავის ხელით შტოლზე დააწვინა უგრძნობლად მყოფი, შარიანმა უთხრა დამტევეთ მარტოვო.

ჩაიკეტა ოთახში შიგნიდან, ამოიღო ჯიბიდან მჭრელი დანა, დაჭრა ნაკუწებად ავადმყოფი, ჩაალაგა ქვაბში, გააჩერა ერთ ხანს, მერე ამოალაგა ისევ, შტოლზე გააწყო რიგ-რიგობით სახსრები, ზეიდან ზეწარი გადააფარა, გადაუსვა ხელი, ნახა არ ინძრევა ავადმყოფი, გაჩერდა, უყურა ერთი ხანი, კიდე გადაუსვა ხელი, არც ახლა გაინძრა, ეგონა ხწორეთ ვერ დავალაგე სახსრებო, ნახა ყველა ნაწილი თავის ადგილზეა, ისევ დახურა ზეწარი, კიდე გადაუსვა ხელი, მაინც არ ინძრევა, შეწუხდა, იცდის, გავიდა ნახევარი საათი, ერთი საათი, ორი, სამი საათი, არ ინძრევა ავადმყოფი, გარედან ჩოჩქოლი ისმის, რა დეემართა ამდენ ხანს? შექჳპირდა ერთ საათში მოვარჩენო; აღარ იცის რა ქნას, სადაცაა შემოანტვრევენ კარებ, ნახამენ დაჭრილ ავადმყოფ და ამას ხეირ არ დააყრიან. აიტანა შიშმა, სულ ცახცახობს, კბილ კბილზე სცემს სიმწარიდგან, ხელებ კბილებით იკბენს, ეს რა მამივიდაო, გარედან ხმაურობამ იმატა, შეიქნა ყვირილი, ამდენი ხანი რა ქენიო, უკაკუნებენ, ხედამს, ავადმყოფი არც შეერთდა და არც ინძრევა, იფიქრა დავიღუშე და ეს არიო, ჩემი ხელით მაინც მოვიკლამ ჩემ თავსაო, მიიტანა დანა ყელში, უნდა გამოისვას, სწორეთ ამ დროს გემეეცხადა ისევ ელიაუნაბი, ხელი დაუკავა, თვალებში მიაჩერდა, და შეეკითხა:

– მიცანი?

– გიცანი...

აკანკალეხული ხმით უპასუხა შარიანმა კაცმა, მეხვია მუხლებზე და შეტირა:

– შენი ღვთის გულისთვინ, მიშველე რამე, დავიღუპე კაცი, ხენწიფის რისხვას მაინც ვერ გადაურჩები, მითხარი თუ გაცოცხლდება, თვარემა ჩემი ხელით აქავისე ყელი უნდა გამოვიჭრა.

– თუ კი შენ ექიმობა იცოდი, შენევე გააცოცხლე, თუ არა არც ექიმობა იცი, არც მე მაცნობე, არც წინანდელი ფარა გამი-ზიარე, სულ შენ წაილე შარიანობით, აწი რაღას ფიქრობ?! გიშველის რამე...

– შენ მიშველე, შენი ჭირიმე, თუ არა და აქავე ყელ გამო-ვიჭრი, ვიღუპები...

ეხვევა მუხლებზე და ემუდარება, კარზე კი ხმაურობა არი, ადელ-ვებული ხენწიფე და მისი კარისკაცები გულის ფანცხალით ელო-დებიან ავადმყოფის გაკურნებას.

ელიაუანაბი შეყურებს შარიან კააც, გუნებაში ეცინება, იმას რომ დაღრეჯილ ხედამს და ეკითხება:

– კიდე იშარიანებ აწი?..

– არა ბატონო, არა დამიჯერე თორა თუ მწამს, არა...

– კიდე იზარმაცებ?.. თქვი სიმართლე ისრეელო!..

– ვაიმე, არა ემეთ (ჭეშმარიტად), არ ვიზარმაცებ იცოდეს ღმერთმა.

– კიდე იდიდგულებ?.. შენ... შე არა წმინდა!..

– არა ბატონო, გეფიცები მოშეს თორას, ოღონ ამ გაჭირ-ვებას გადამარჩინე, ე კაცი გამიცოცხლე და ჩემ სიცოცხლეში რაც ცუდი ჩამიდენია, ყველას დავგმობ.

ხენწიფე რომ ფარეებ მოქცემს, ხომ მამიტან უკლებლათ ჩემ ბინაზე.

– კი შენი ჭირიმე, ოღონ აქიდან შვიდობით გავიდე და რაც კი გამაჩნია, იმასაც შენ მოქცემ.

– აწი ხომ აღარ დაიწყებ ექიმობას, პირობა მამეცი.

– არა, არა, დამიხსნას „აშემით ბარახმა“, რავა ვიფიქრებ.

ელიაუანაბი მივიდა დაჭრილთან, დააწყო რიგზე მისი ნაწილები, ახსენა ღმერთის სახელი, ზედ ზეწარი გადააფარა, გადაუსვა ხელი, გაინძრა ავადმყოფი, წამოჯდა, ზეწარი მოიშორა.

შარიანი კაცი ხედამს, თვალეზ არ უჯერებს. მიიხედა ელიაუა-ნაბისაკენ, აღარ ჩამს, გამქრალა.

კარებ ანტერევენ დაგვიანების გამო შეშინებული ხელმწიფის კაცები.

ავადმყოფი წამოდგა, მივიდა კარებთან და თითონავე გამოა-ლო. მის დანახვაზე შეიქნა სიხარული, მიდიან, ეხვევიან ვინ ავად-მყოფსა და ვინ „ექიმს“, ხენწიფე ჭკუიდან შეიშალა ღარმე, აღარ იცის რითი გადაუხადოს შვილის გამკურნებელ.

შარიან კაც კი ცოცხალის ფერი აღარ ადევს, ვერხვის ფო-თელივით კანკალობს. ვერ მიმხვდარა, რაშია საქმე, ვინ იყო ი კაცი, ოთახში სიდან შემოვიდა, ან სიდან გავიდა, ვერ წარმოუდგენია, რანაირათ მოხდა მკვდარის გაცოცხლება.

დააჯილდოვეს შარიანი კაცი უხვად, უთვალავი თვალმარგალიტით, თეთრი და საქონელი უბოძეს, გადინდრებული ჯორ-აქლე-მებით აკიდებული ქონებით გაისტუმრეს თავის სახში.

მეორე დღესავე წავიდა შარიანი კაცი „ექიმის“ მოსამებნათ, მაგრამა დანიშნულ ადგილას არ ამოჩდა.

მიხვდა შარიანი კაცი, რომ ისი ელიაუნანბმა გამოცადა, რომ ისი ხორციელი ადამიანი არ იყო, თითონ კი დროზე ვერ მიხვდა, მაგრამ სადღა მონახამდა.

შარიანმა კაცმა დაიწყო პატიოსანი, თავდაბალი შრომით ცხოვრება, დაგმო თავისი ცუდი წასული და წყაროს წყალივით წინ წავიდა.

ნათქვამი: **ჩანკო ელუაშვილისა**

7. სამი ქალიშვილი

ერთ კაც ყავდა სამი ქალიშვილი. სამივე უკუღმართები იყვნენ. მამა მეტისმეტი პატიოსანი ისრეელი იყო; გული წყდებოდა, ვის დემსგავსენო ჩემი ქალიშვილებიო.

უფროსი ქალიშვილი იყო მეტი ზარმაცი, არასოდეს არაფერ საქმეს არ გააკეთებდა, მეზობლებში დამუნძულობდა და ჭორიკანაობდა. ოჯახი რომ წყალ წეელო, ხელ არ გაანძრევდა. მეორე ქალიშვილი იყო ქურდი, მიუხედავათ იმისა, რომა მამა შეძლებული კაცი იყო, შვილებ არაფერ აკლებდა, მაინც რამე უნდა მოეპარნა, ვის ოჯახშიაც შევიდოდა, აუცილებლათ ნაქურდალი უნდა მეეტანა სახში.

მესამე ქალიშვილი იყო ავი ენის, რაც უნდა ვინმეს მეორეზე კარქი ეთქვა რამე, ისი მაინც ავათ მიუტანდა ენას და გადაკიდებდავე ერთი მეორეს.

ბევრი ეცადა მამამ, ხან „ხახამ თალმიდიც“ მიუგზანა ქალიშვილებ, ხან საყოლკეთილი, რომ გამოხწორებულებიყვნენ, მაგრამა არ იქნა და არ გამოხწორდენ, პირიქით, უარესი გახდენ.

შეწუხებულ მამას გადაწყვეტილი ქონდა, არც ერთი იმათგანი არ გეეთხუებინა, მაგრამა კუთხ-მეზობლებ ეცოდებოდავე პატიოსანი მამა და მიუგზანეს შუაკაცი გეეთხუებინა უფროსი ქალიშვილი.

ბევრი იუარა მამამ, უფრო შემარცხვენს, თავი მემეჭრება, თუ დღეს ათმა იცის ჩემი უბედურობა, აწი ასი გაიგებსო, მაგრამა შუა-კაცი არ მეეშვა და გაათხუებინა ქალიშვილი.

წაიყვანეს დედოფალი ნეფის სახში, დიდი ქორწილი და სიმ-ხიარულეა, დედოფალმა სტუმრები არაფრათ ჩააგდო, მეძინებო, წავიდა თავის ოთახში და დაიძინა.

გათენდა დილა, სტუმრები ისევ ქეიფობენ, მოვიდა შუადღე, დედოფალ ისევ ძინამს, არც დგება ლოგინიდან, ნაშუადღევზე წამოდგა ზღაზვნით და საყვედურით, არ დამაძინეს სტუმრებმაო.

მეორე და მესამე დღესაც ქეიფობდენ და მხიარულობდენ სტუმრები; მესამე დღეს დედოფალმა ყველას გასაგონებლად ხმამაღლა უსაყვედურა სტუმრებ, თქვენმა ხმაურობამ აღარ დამაძინაო.

დედამთილი ხედამდა ყველა ამეებ, მაგრამა ელოდა, მოვა დროო და თავისით გამოხწორდებო, რძალი უფრო ზარმაცობდა.

გაიარა რამდენიმე ხანმა, ვინც იმათ ოჯახში სტუმრათ მოვიდოდა, დედამთილი თავის ხელით დამზადებულ სადილ რძლის გაკეთებულათ ასაღებდა, თავის შეკერილსაც რძალის შეკერილათ, აქებდა, კარქი რძალი მყავს ოჯახშიო; როდისაც შვილი უსაყვედურებდა ამ ზარმაც რას გადამკიდეო, დედა შეუტევდა, ჯერ ახალი პატარძალია, მერე და მერე შეისწავლისო.

რძალი ხედამდა, რომ იმას აქებდენ, არაფერ აკეთებდა, მაგრამა ბოლოს შერცხვა, ამოუდგა დედამთილ გვერდში და იმასავით ერთგული შეიქნა ოჯახის, მიატევა სიზარმაცე, თავი გაანება ჭოროკანობას და გარეთ წაწაღსაც. გახდა საუკეთესო დიასახლისი და დედა.

ქალიშვილების მამას ისევ ისე მიაკითხა შუაკაცმა და ახლა მეორე ქალიშვილიც გაათხუებინა. მამას ეშინოდა, ქურდობას ვერ მიატევებსო, თავი მემეჭრება, გავილანძღებო, მაგრამ შუაკაცი არ მეეშვა, ქალსა გათხუება უნდა, ქმარი ეყოლება – ყოველივე სიგლახესაც მიატევებსო. წაიყვანეს ქურდი ქალიშვილი ქმრის ბინაზე, კარქი ქორწილიც გადაიხადეს.

დედოფალი რომ ხედამს სტუმრებ მვირფასი ოქროვერცხლი გაუკეთებიავე, პირიდან დუჟებ ყრიის სიმწარიდგან. უნდა ვინმეს რამე მოპაროს, მიჩერებია ნიქვთებ, ხელები აუთამაშდა, მაგრამა დედოფალი იყო და რაღას გაბედამდა, შერცხვა.

მეორე და მესამე დღესაც კიდე ეწვიენ სტუმრები, ისევ მოუნდა პატარძალ მოპარვა, თვალებიდგან ცეცხლებ აფრქვევდა, ისე სურვილი მეერია ქურდობის, მაგრამა გაიფიქრა, თუ ჩემი მამის ოჯახში ვქურდობდი, და ნაქურდალი მიმქონდა, მამა სულ მიჯავრდებოდა. ნუ ქურდობ თვარემა გაუბედურდებო, ახლა კი რომ მოვიპარო,

ხომ ქმარი და დედამთილი მიმიხვდებიან და სახლიდან გამაგდებენო.

ამოიჭრა გულში აღარ ექურდნა და კიდევაც შეასრულა. შეიქნა დიდებული ქალი და კარქი დედა.

მესამე ქალიშვილი, რომენიც ავი ენის იყო, მამას ეჩხუბებოდა, გათხუბა მეც კი მინდაო. მამა უარობდა, შენი ენით შენც დაილუპები და მეც დამლუმამო, მაგრამ ისე შეუჩინა შუაკაცები მესამე ქალიშვილმა, რომა ისიც გაათხუა.

გათხუების შემდეგაც არ დაანება თავი ავი ენის ტრიალ მესამე ქალიშვილმა, არაფერმა იმაზე არ იმოქმედა არც ხვეწნა-მუდარამ და არც მუქარამ, მაინც ავ ენას ატრიალებდა, ვინმეს ერთმანეთზე გადაკიდებდა და იმითი ტკბებოდა, რომ სხვები იჩხუბებდნენ.

ერთ დღეს მამამ მიაკითხა სამივე ქალიშვილებს. ნახა უფროსი ზარმაცი გამოხწორებულა, საამაყო ქალი გამხდარა, გაიხარა მამამ, ქალიშვილი გულში ჩაიკრა, მადლობა უთხრა კარქ შვიილ.

ნახა მეორე ქალიშვილი დიდებულათ ცხოვრობს, ქმარშვილში მოწყობილა, ოჯახი რიგზე აქ, ქურდობა სამუდამოთ მიუტევებია. მისი სახსენებელიც აღარ უნდა რომ გაიგონოს, მამას პატიებას თხოვს, რაც წასულში შეაწუხა, აპატიოს.

გახარებული მამა ეხოვა ხან შვილ, ხან სიძეს და შვილიშვილებს, ღმერთ მადლობას უძღვნის, რომ ამ დღეს მეესწრო და აღტაცებული მესამე ქალიშვილთან წავიდა.

მესამე ქალიშვილმა დაინახა თუ არა თავისი მამა, საყვედურით აამსო:

– შვილათ არ მიგაჩნივარ, არ მკითხულობ, თუ რავა ვცხოვრობ, ან რა მდგომარეობაში ვიმყოფები, ერთხელაც არ მამიკითხე, ყველა მე მჩაგრამს, ქმარ დედამიწასთან ვყავარ გახწორებული, სულ მეჩხუბება, მამამთილი კი, როგორც შვილ გაიგულებს სადმე, ემედვნება და ურცხვად თავ მთხოვს, ასე შავ დღეში გეგულები და შენე კი რა ისრეელის შვილი მამა ხაარ, არც კი მეძებ.

ხმა გაკმენდილი ისმენდა მამა შვილის სიტყვებს, გაკვირებული თვალებ ატრიალებდა, აღარ იცოდა რა ეთქვა, ან რავა მოქცეულიყო, დაიჯერა შვილის ნათქვამი, გადაწყვიტა იმისი მამამთილის მოკვლა.

დაიმალა ქალიშვილის დახმარებით და როგორც კი დაინახა სახში შემოსული მამამთილი, იქავისე თავი მოჭრა დაუზოგავათ საბრალო კააც, არც კი იკითხა არაფერი. მოვიდა სიძე, დაუხვტა თავმოჭრილი მამა, დაუწყო სიმაგრ საყვედური, რაზე მოკალი მამაჩემიო.

სიმაგრმა თავისი თქვა, სიძემ კიდე თავისი, ამასობაში სიძე ეცა სიმაგრ და ხანჯლით გული გაუპო, ამ ამბის შემხედვარე ქალი-შვილმა მორთო კვილი, მივარდა ქმარ, რავა თუ მამა მამიკალიო და ქმარი მოკლა, მერე ჩაჯდა სამი მკვდარის შუა და სახეს იგლეჯამდა.

ასე მოხდა ცუდი საქმე ავი ენისაგან, სამი კაცი ემსხვერპლა ქალის ავ ენას, რომელმაც დაღუმპა თელი ოჯახი და გზა შარაზე დაყარა უპატრონოთ.

ბევრი ინანა ბოლოს, მაგრამა გვიანი იყო.

ნათქვამი: **ფენო დავითიაშვილისა**

8. ღარიბი კაცის ამბავი

იყო ერთი მეტის მეტი ღარიბი ისრელი, მაგრამ მეტის მეტი მორწმუნე, არც ერთ დღეს სამჯელ ლოცვას არ დააკლდებოდა და რასაც კი ხახამი სალოცავში გამოაცხადებდა, ყველაფერ გულდასმით მოისმენდა და ოჯახში ცოლშვილ გადასცემდა.

ერთ შაბათ დღეს ხახამმა იდარუშა: „ისრელის შვილებო, რასაც კი გასცემთ ღმერთის სახელზე და ღარიბსა და გაჭირვებულ შეიბრალებთ, ემეთ (ჭემმარიტად) ღმერთი ერთი ათად გადაგიბთისე, არ დეგეკარგებათ, ყველას აიღებთო“.

ღარიბმა კაცმა ე ამბავი ცოლშვილ უამბო:

– დღესე რაბიმ ლოცვაზე დარუში თქვაა, „ვინც რომ ღმერთ რამეს მიავალებსო, ღარიბ აჩუქებსო, აუცილებლათ არ დეეკარქებაო და ღმერთი ერთი ათათ გადაუბთისო.

– მერე, ჩვენც მივავალოთ ღმერთ, თუ კი ერთი ათათ ავიღებთ, უთხრა ცოლმა ღარიბ კაც.

– თურმე, ღმერთ რომ ასი მანათი მიავალო, აუცილებლათ ას თუმან მოქცემს; მოდი მართლაც ვიშონოთ ასი მანათი და მივავალოთ, უკეთესი რა უნდა მოვიგოთ?..

ცოლქმარმა, რაც კი რამე ოჯახში გააჩდავე, ყველაფერი მიყიდ-მოყიდეს, არ დარჩენილა იმათ ბარაზე არც ჭურჭელი, არც ლოგინი, არც ჩასაცემელი, ერთი სიტყვით ყოველივე გაყიდეს, ასი თუმანი შეაგროვეს და სულ ღარიბებზე დაარიგეს. თავის აზრით – ღმერთ მია-ვალეს.

გათენდა მეორე დილა, აღარაფერი აქე საჭმელი, ღარიბი კაცი სამუშაოთაც აღარ წავიდა, ღმერთი ვალ დამიბრუნებსო. გაიარა ორმა დღემ, სამმა, ერთმა კვირემ, ღმერთი ფულ არ უბრუნებსე, ცოლშვილი შიმშილით ეხოცება. ადგა და მანამდისინი ჩამოისესხა

კუთხმეზობლებში, მაგრამ რომ ველარავის დაუბრუნავე მეორეთ აღარ ასესხეს.

გამწარდა კაცი, ბოზმები შიმშილიდგან სულ ლევენ. წავიდა ღარიბი კაცი სალოცავში, შევიდა ეხალის (სეფერ-თორების შესანახი განჯინა) წინ, გააღო კარი, მივიდა სეფერ-თორასთან და ებუტბუ-ტება:

– ღმერთო გამჩენო, ვიცი შენთან არ დემეკარქება ფული, მაგრამა ცოლშვილი ძალიან შემიწუხდა შიმშილით, გთხოვ დიდი მორიდებით, დამიბრუნე ჩემი ასი თუმანი.

ბევრი იბუტბუტა, მაგრამ მაინც არაფერი გაუვიდა, ღმერთმა ასი თუმანი არ დაუბრუნა.

ერთი კვირის განმავლობაში ყვეელდღე იარა სალოცავში, დიდი მორიდებით თხოვდა ღმერთ დეებრუნებინა მისთვის ასი თუმანი, მაგრამა, ვერაფერი მიიღო.

ბოლოს გადაწყვიტა, რაც იქნება-იქნება, რადგანაც ღმერთმაც მამატყუილა და ას თუმან აღარ მიბრუნებსო, უსაყვედურებო. ერთხელ კიდე მივიდა სეფერ-თორასთან და ხმამაღლა უთხრა.

– შე დალოცვილო ღმერთო, შენთან ვიცი რომ არაფერი დემეკარქება, ერთი ათად ავიღებ ჩემ მოვალეზულ შენთან, ას მანათში რომ ას თუმან ავიღებ ისიც ვიცი, მაგრამა ჩემ მდგომარეობაში შედი, ცოლშვილი ამამიწყდება შიმშილიდგან, ალბათ დაგავიწყდა თვარემა, აქამდიც დამიბრუნებდი.

წამოვიდა სახში დაიმედებული, რომ ღმერთი ახლა მაინც დაუბრუნებს ას თუმან, მაგრამ გაუცრუვდა იმედი.

უკანასკნელათ გადაწყვიტა თავის ჩამოღრჩობა, რადგანაც მის ლოდინ ბოლო აღარ, მეეღო, ვალეზით გაიმსო, სახში აღარაფერი გააჩდა, გარეთ არავინ აღარაფერ ენდობოდა.

მონახა დიდი და ფსხვილი სარეცხის ბაწარი, წაიღო ჩუმათ სახლიდგან და გასწია ტყეში. ეძებს მოხერხებულ ხეს, რომა ზედ ბაწარი ჩამუბას. აი ნახა ერთი დაბალი ხე, ზედ ბაწარი გამოაბა, თავი შიგავე შეყო ჩამოსაღრჩობად, მაგრამ რო ნახა ხე დაბალია, არ მეწონა, იფიქრა, ნადირები ისე შემჭამს, რომა დასამარხავად აღარ გამოვდგებიო.

ეძებს მოხერხებულ ხეს, ვერ პოულობს, ზოგი მაღალია, ზოგიც ძალიან დაბალია, თავიც ენანება ჩამოსაღრჩობათ, ამასობაში დაღამება იწყო. ნადირიც სოროებიდან გამოვიდა, შეშინდა, ნადირი დამგლიჯამსო, აცოცდა ერთ ძალიან მაღალ ხეზე, ზედ ბაწარით დეება, რომ ძირ არ გადმოვარდნილიყო; იქ უნდა გეეთია ღამე, დილით კი ჩამოსაღრჩობი ნის ძებნას უნდა შედგომოდა.

დალამდა, გამოვიდა ქვეყნის ნადირი სხვადასხვა ჯიშის და მოდ-გმის, დაიწყო ტყეში ნადირმა ხეტიალი; კაც მალლა ხეზე შიშით აზანზარებს, ზედ არ ამოცოცდენ და არ დამაზარალონო, თვალიც ვერ მოხუჭა დასაძინებლათ. შუა ღამე რო გადავიდა, გაიხედა შორიდგან ცხენიანი კაცი მოქრის, ისე მარდათ, რომა ჩიტივით მოფრინამს ცხენი. ცხენიანი კაცი ზედ იმ ხის ქვეშ გადმოხტა, რომენ ხეზეაც ე ღარიბი კაცი არი ასული, ცხენი მეორე ხეზე მიაბა, ნაბადი ძირ გაშალა, ზედ დაჯდა, ამოიღო ხურჯინიდან სამი დიდი ერთნაირი ზომის პური და დაიწყო წინ ნაბადზე, ერთზე იყო გამოხატული ქრისტიანების სათაყვანებელი ჯვარი, მეორე პურზე იყო მახმადის სახე, ნახევარმთვარე და მარსკვლავი, მესამეზე კი ისრეელის ღმერთის სახელი იყო გამოყვანილი,

კაცი ზეიდან დაყურებს ამ სურათ, შიშიდან კვერცხის ოდენ-ზე მოიკუტა, არ შემამხედოს და არ მამკლასო.

მგზავრმა ამოიღო დიდი მჭრელი ხმალი, დაადგა ზედ პირველ პურ, რომენზედაც ქრისტეს ჯვარი იყო გამოყვანილი, ასწია ხმალი ხელში და დაუწყო პურ ხმამალა ყვირილი.

– შენე ქრისტეს ჯვარო, ამდენი წელიწადია ხალხი გეთაყვა-ნება, შენზე ლოცულობს, რის მაქნისი ხარ, რომ ხალხში ძმობა ვერ დაგიმყარებია, შენი მორწმუნე... დაგარტყა ე ხმალი და გაქჩეხო, ცრუ და მატყუარი ყოფილხარ, შენე ხატო.

მგზავრმა დაარტყა ხმალი ჯვარ, პური შუაზე გაჭრა, ნახევარი მარჯვნივ გადაისროლა და ნახევარიც მარცხნივ.

ახლა მახმადის სახე რომ ზედ იყო, ნახევარ მთვარე და მარსკვლავი, იმ მეორე პურ დაადგა მგზავრი ამოღებული ხმლით.

– შენ ჰეი მატყუარა მახმადის სარწმუნოება! არც შენ ხარ ქრისტეს ხატზე უკეთესი, შენც ატყუილებ ხალხ, შენი გულისთვინ რამდენი მახმადიანი იჩეხამს წლიდან წლამდინ თავ, როდის გაათავებ შენეც ამდენი ხალხის ჩეხვას და სისხლის დაღვრას, როდის უნდა გაიგოს შენმა მორწმუნემ, რომა შენე არაფერ არ წარმოადგენ და ტყუილათ გეთაყვანება ამდენი ხალხი, ოი შე მატყუარა შენე!..

ყვირილითა და მუქარით დაარტყა მგზავრმა მეორე პურსაც მჭრელი ხმალი და მახმადის სათაყვანებელი ნახევარმთვარე და მარსკვლავი შუაზე გაჩეხა, მისი ნახევარიც მარჯვნივ და მარცხნივ გადავარდა.

საწყალი კაცი ზეიდან დაყურებს ყველა ამ ამბავ, გული უძგერის, შიშიდგან კბილებ ერთმანეთზე ურტყამს, ეშინია დაბლიდან მგზავრმა არ აიხედოს ზეით და არ მოკლას ისი.

მგზავრი მესამე პურ მიადგა ხმალამოდებული, უყვირის:

–ეი შენ, ისრეელის ღმერთო, ამდენი ხალხი შენ გეთაყვანება, რამდენი სანთელი იწვის შენთვის, ყველა შენ სახელ ფიცულობს, არაფრის შემძლე კი არ ყოფილხარ, ძმობა ვერ დაგიმყარებია ხალხში, შენი მორწმუნე ხალხი გაურბის სხვა ერების დამეგობრებას, რას აკეთებ,რომ ამდენ ხალხ აწვალე, შე მატყუარა შენე, გაქტრა შენეც შუაზე და იქით და აქეთ გადაგისროლო, როგორც ქრისტეს ხატსა და მახმად უქენი, დაიყვირა მგზავრმა დიდი ხმით და ხმალი აწია რომ მესამე პურიც შუაზე გაჩეხოს.

საწყალი კაცი ზეიდან დაყურებს, არ გამიჩეხოს ჩემი ღმერთიო, როისაც მგზავრმა ხმალი მაღლა აწია და ზარნაშოსავით დაიყვირა, ესეც არი მესამე პურიც უნდა გაჩეხოს შუაზე, საწყალმა კაცმა მისდა უნებლიეთ დაიყვირა ზევიდან.

– არ დაარტყა მაგას, არ მოკლა იწამე ღმერთი, მაგას ჩემი ვალიც აქ ასი თუმანი.

მგზავრმა რომ უცებ მოულოდნელათ ზეიდან უცხოთ ხმა გაიგონა, იფიქრა დემედევნენ ნამდვილათ და მამკლამენო. შიშიდგან გული გაუსკდა და იქავისე წაიქცა.

გათენებამდი გაჭირვებით გაძლო ხეზე მიბმულმა საწყალმა კაცმა, არ იცოდა თუ მგზავრი კვდარი იყო. როდესაც გათენება იწყო ნადირი ისევე სოროებში მიიმალა, მზემაც ამოანათა, ხედამს მირ წაქცეული კაცი აღარ ინძრევა, ჩამოვიდა ხიდან ნელნელა, მივიდა ნახა, კაცი აღარ სუნთქამს, იქვე მიწა გათხარა, მიცვალებული დამარხა, გახსნა ხურჯინი, ნახა შიგა სხვა ნადავლ შორის ერთი ქისა ფულით სამსე, გაშალა ქისა, დათვალა ნამდვილათ ასი თითო თუმნინი ოქროა. აიღო და ჯიბეში ჩაიდვა, ნაბადი მოისხა, ხურჯინი გადაკიდა ცხენ, თითონაც ზედ შემოახტა და მხიარული დაბრუნდა სახში.

შიმშილიდგან გულწასული ცოლშვილი მირ ეყარენ. როდისაც უკან მობრუნდა საწყალი კაცი სამსე ფულით და საქონლით, ცოლ უთხრა:

– დედაკაცო! ხედამ ამ ბაწარ, აი ე სარეცხის ბაწარი სახლიდან მოვიპარე და თავის ჩამოსაღრჩობათ ტყეში წავიდე.

ჩვენი ღმერთი ნაღდიც ყოფილა და ხწორიც, ფული დამიბრუნა, მაგრამ წვალემა კი ცოდნია, სანამდისინი თავის დაღრჩობა არ გადაწყვიტე, ჩემი ვალი მანამდი არ დამიბრუნა, მაგრამ მაინც მაღლობა ღმერთ, რომ მივიღე სრულიათ.

ნათქვამი: მოშე ძორელაშვილისა

ლექსები და კუპლეტები

9. თათარო ჩამამეთხოვე
ცუდ ალიან-ჩალიანსა,
თვარემ ისეთ საქმეს გიზამ,
რომ არ ექნას ტარიელსა.
არზრუმამდი ასე მოგსდევ
როგორც ქორი ვარიასა;
ცხენებს დაგატევებინებ
ძუა-ფაფარ ლალიანსა.

ნათქვამი: ხანია ჩახვაშვილისა

10. ოდეს ზღვა დაშრეს, ქვიშა გამოჩდეს,
თევზი მთას ვლიდეს სიარულითა.
ბელი შვილს შობდეს, დათვი უვლიდეს.
მგელი თავს ვლიდეს ჭიანჭურითა;
მაშინ გელირსოს, ჩემო მიჯნურო,
ჩემთან ალერსი და დროს ტარება.

—
11. მარგალიტი ავადულე
გადმოვიდა გუბე-წყალი,
შენ კალთასა ქვეშ მოკვკდები
შენი ხელით მესხას წყალი,
იმას მაინც იტყვის ვინმე
– შენთვის მოკვდა ეს საწყალი.

—
12. ერთი დედამთილი მყავდა
დილას ადრე ადგება,
ჯერ ქალიშვილებ გადალახამს
მერე რძალ მიადგება.
გალახული პატარძალი
დაიწყებდა წყევლასა,

ღმერთო შენ გადამარჩინე
დედამთილის ცემასა.

13. რაჭიდან წამამიყვანეს
პატარძალი მეეო,
ცხენს მათრახი შემოვკარი
ფეხს აუჩქარეო.
უკან მაყრები მამძახის,
პატარძალო ჰეეო,
მათი ალაყ-მალაყები
არათ ჩავაგდეო.

14. საყვარელო, კეკლუცო,
მინდა ვთქვა შენი ქება;
ქება შენი უთვლელია
მაღე არ გათავდება.
თუმც ქახალდზე დავწერო
კალამს წვერი მოტყდება,
ლამაზ ლოყას გაკოცო,
ნეტავ როდის მოხდება.

15. პატარძალო პატარაო,
წყალს მოიტან სხვას არაო,
ჩამოჯდები კერასაო,
ატანტალებ ენასაო,
გამოაცხოვ ჭადის კოკორს
დაამწარებ ყველასაო.

16. ცხენი გამოვაბი ბროწეულხესა,
ეეშვა, დეება ჰალვისა ხესა;
მე კი ვენაცვალე შენ სიყვარულსა,
არც მასმევ, არც მაჭმევ, არც მიგდებ ყურსა.

17. ფერი გიგავს წითელ ღვინოს
ჭიქაში მდგომიარესა,
სასუფეველი რათ უნდა
შენ გვერდში მწოლიარესა.

18. ქალო, ქალო ქანჩიაო,
ფარჩის კაბა გაცვიაო;
გაიხადე მე ჩამაცვი
შენზე უფრო მადლიაო.

19. მეცხვარეს რათ უნდა ხელში ქამანჩა.
იმას მოუხდება – ლეკურ-დამბაჩა.

20. აჯაკელა ტიროდაო,
ბევრი ერბო უნდოდაო,
ასი კვერცხი რომ დაასხეს
ასიც კიდე უნდოდაო.

21. ვაი დედა თითი მტკივა,
სად არი შავბალახაო,
თეთრსა გოგოს რომ ვაკოცე,
შავმა გოგომ გამლახაო.

22. ნეტაი შენსა დედასა
რომ გაუზდიხარ შვილათა,
არც გინდა პირის დაბანა
არც წარბის ღება ხშირათა.

23. ღმერთსა მეტად ეჯავრება
უშვილო და პურამვირი,
თუ უშვილო ცხონდებოდეს,
სამოთხეში შევა ვირი.

24. გოგი იყო ცქიტიშვილი,
დანას ლესდა უტაროსა;
რაც რომ სხვისთვინ მოინდომა,
ღმერთმა თითონ უტაროსა;

25. მდიდარი კაცი რას ფიქრობს;
შეინახამს ფულსა ბევრსა;
მოკვდება ოხრათ დარჩება
მიაბარებს ეშმაკ სულსა.

26. სიმდიდრე ფარათ არა ღირს,
ქვეყანა ჩაღათ არა ღირს.
რაცგინდ ბევრი ფული ხქონდეს
ერთ ლამაზ ქალათ არა ღირს.

27. ნეტავ რა არის მისთანა,
თავის ნება შვილისთანა,
ვაჟი მამულს მოუხდება
ჭირისუფლად ქალისთანა.

28. სადაური სად მოკვდება
სად უთხრიან სამარესა,
ვისი შვილი, ვისსა შვილსა
ვის უძახის საყვარელსა.

29. სიძვე შენი ქისაო – ფერათ ნარინჯისაო,
შიგ ნადები საფასური – კვნიტი მარილისაო.

30. არც ისე ქალისთვინაო,
იმ კარქი მოყვრისთვინაო,
არც ისე მოყვრისთვინაო.
იმ კარქი მოდგმისთვინაო.

31. გოგო უთხარ დედა შენსა
ნება მოგვცეს მე და შენცა;
თუ არ მოგვცემს ნებას ჩვენა
შენ მოუკვდი დედა შენსა.

32. წითელ ქოშებ შენ მოგიტან,
ყვითელ მესტებ დედა შენ;
იმ ბრუტიან მამაშენ
კალთით ვაჭმევ მანათებ.

33. ლამაზო შენი ეშხითა
ვიწვი ცეცხლის ალშია;
შენთუ ჩემი არ იქნები
მოკვდები მე ჯავრშია.
და თუ კიდეც არ მოკვდე
ჩავვარდები დარდშია,

და მით ჭლექი გამიჩდება
სიყმაწვილის ტანშია.
იცოდე, რომ წაწყდები
მიწაც აღარ გიხილებს
სამოთხეში რომ შეხვდიდე
ანგელოზი გიყვირებს.
ჯოჯოხეთში გახგზავნიან
ემშაკები გიხილებს,
მაშინ შენი საყვარელი
ცხარე ცრემლით გიტირებს.

34. დანომ ქალი მოიტაცა
იოხაბედაო;
ტარასიამ წაიყვანა
ფაიტონითაო;
ყეზრიკომა არ მიიღო
იოხაბედაო.

35. ელო-მელო შე პირ-ბნელო
შე პირ გასაშავებელო.

36. შალომ შალომ ბარაქაო,
მოხდენილო ტანათაო,
შენ რომ ქალი მოიყვანე
არ გივარგა ფარათაო.

37. კიკაია კიკალაო,
კაბა ვინ მოგიტანაო,
შალომია დამირჩება,
ისხაკამ მამიტანაო.

38. ბემით ბარი-ბალი
შელახლეხა სხალი,
ვაი კორან-კორახი,
წითელ-ყვითელ ტყემალი.

39. ანი აღონაი ამართი,
ყველი და პური მამართვი;
თუ არ ვჭამო
ისევე წამართვი.

40. ინაინი და ლეხემი,
ბასარი ტოვეთ თონლო,
ნაშა ქამე იეშობს
ბაითში დამალეხეო.

41. ახ ვარდია ვარდიაო,
შენი კოცნა მადლიაო;
მე და შენი დაშორება
მამა შენის ბრალიაო.

42. „დალოცვილმა“ ხენწიფემ
მანიფესტი გამოცა,
ოთხ წელიწად მამსახურა
კაპეიკი არ მამცა.

43. აქნამდი კარქათ გიყვარდი
ახლა დამიწყე ძულეზა,
მაღალმა ღმერთმა გასინჯოს
შენი და ჩემი გუნეზა.

44. ორი გოგო მოდიოდა,
თამრიკო და მარო,
ერთმანეთ ეკითხებოდენ,
შენ ვინ გინდა ქალო,
მე ისეთი ქმარი მინდა
ქონდეს საწვრილმანო,
მისი ნავაჭრი ფულები
სადამომდი ვთვალო.

45. ღობეზე ჩიტი შემოჯდა
იმახდა ჭაჭი-ჭიჭიო,
ელოხაიმი ისთერს უმახდა,
აქა ვარ შენი ბიჭიო.

46. ეხაიაშბა ამართი
ხაჭაპურები მამართვი,
თუ არ ვჭამო
ისევე წამართვი.

47. მაშოია კოკდებო
თეთრი კაბა უხდებო,
თეთრი კაბის ნიმუშები
მიშეკოს მოუხდებო.

48. მიშას წვერი გაუპარცამს
საარშიყოთ კისერიო,
რატომ მაშოს არ თხოულობ
ყურუმსალო ვის ელიო.

49. დედა რაზე გამათხოვე
ასე პატარა ქალიო,
ვერ შევძელი ოჯახობა
ვერ მოვიტანე წყალიო.

50. ჟუჟუნასა

ჟუჟუნასა, ჟუჟუნასა-თვალ ჟუჟუნასაო;
მაღლიდან გადმომცქერია – თვალ ჟუჟუნასაო,
თვალ ჩიჩხა და თეთრი ქალი – თვალ ჟუჟუნასაო;
ხელს მიქნევდა აქ ამოდი – თვალ ჟუჟუნასაო;
შინ არა ჩემი ქმარიო – თვალ ჟუჟუნასაო;
ციხის სანგრევით გავგზანე – თვალ ჟუჟუნასაო;
მახარობელი მოვიდა – თვალ ჟუჟუნასაო;
– ქალო მოგიკლეს ქმარიო – თვალ ჟუჟუნასაო;
– ნეტამც ეგრე იქნებოდეს – თვალ ჟუჟუნასაო;
შენ დაქრჩეს ჩემი თავიო – თვალ ჟუჟუნასაო.

51. გოგო, გოგო გულქანაო,
წითელო და სუქანაო;
ნეტავ შენი თავი მამცა,
სასიმიდეს უკანაო.

52. ნიკი მტკივა, ნიკი მტკივა,
ვინ მამიტანს ბალახსაო,
გადვიხედე ყანაშია
ამოსულა ტარხუნაო,
გოგო შენი ქმარი მოდის
კოჭლია და ფახუნაო.

53. იწილო ბიწილო, შარშანდელი წიწილო,
ახლოს, მახლოს, ჩიტმა გნახოს,
შენი ფესვი ფესმანდური;
აბდა უბდა კატას ქუფთა,
ტაშტი გატყდა ხმა გავარდა,
მეზობლისას გადავარდა,
მარიამ, მარიამ სკუპ...

54. თოვს, თოვს, ბუქი ბუქამს,
ყაზარას ცოლი მოყავს;
იწილითა ბიწილითა,
სამი ქათმის წიწილითა,
გააკეთა წვენი,
არ მაჭამა წვენი,
იმას გაუხმა წვერი.

55. – კიდობ კიდობანა, თავის საბარცხალა, დედა შენი სად არი?

– ოკრიბას.

– რას მოგიტანს?

– ჭაჭუას.

– შენმა ხწორაფხანიკმა რო გამოიაროს, ძუძუს აჭმევ თუ არა?

(თუ უპასუხა):

– კი... კი...

– დაურჩი დედას, დაურჩი მამას, დაურჩი ბებიას, დაურჩი

ბაბუას (თუ უპასუხა):

– არა... არა...

– მოუკვდი დედას, მოუკვდი მამას, მოუკვდი ბებიას, მოუკვდი ბაბუას.

56. ისთერ ბამბაში ნახვევო, დედა ისთეროო!..¹

დიდი დროშკით წაყვანილო, დედა ისთეროო!..

ძველი ურმით მოყვანილო, დედა ისთეროო!..

სულ ხასი და ხასი გაცვი, დედა ისთეროო!..

ხამი არ მოგაკარეო, დედა ისთეროო!..

ჩემ კლავზე ისე გაძინე, დედა ისთეროო!..

¹ ქუთაისში სოფლიდან წამოიყვანეს შამელაშვილებმა დედის ერთა ქალი-შვილი ისთერი, დიდი „დროშკებით“ და ბევრი მზითვებით. რამდენიმე ხნის შემდეგ, ისთერი თავისი მზითვებით ურმით უკანვე დაუბრუნეს დედამის, დედა ამ სიტყვებით მოთქვამდა უკან დაბრუნებულ ქალიშვილს.

ძილი არ მოგაკელიო, დედა ისთერო!..
სულ ბულკის პური გაჭამე, დედა ისთერო!..
თაღი არ მოგაკარეო, დედა ისთერო!..
სულ შავი ღვინო გიზოგე, დედა ისთერო!..
თეთრი არ მოგაკარეო, დედა ისთერო!..

57. კოჩა, კოჩა, პატარა რიპკა მორჩა!

– რა ყაავს?

– ბიჭი.

– შეეყარა ჭიჭი.

– როდის ააქ მილა?

– არ გაუთენდა დილა.

—

58. უმატებელა კატამ

ლეკვები დაყარა,

საღორეში ჩაყარა,

ვაი მისი ბრალი

კატა მისი ქმარი,

კატა დაუკალი

ღომში ჩაუკარი.

59. ფერხული

– რახტაპიტამ, ქალი მყავდა

რანტაპიტამ, – გავათხუე

– რახტაპიტამ, – ვის მიეცი

რახტაპიტამ – მენახშირეს.

—

60. რაი რაი რახტაპიტომ

სახლის კარი არ დაკეტო;

რაი რაი რახტაპიტომ

ჩემი ცოდო არ დაიდო.

—

61. ქოჩორა – ქოჩორა ქათამო,

სად მიდიხარ ბატონო?

– ტყეში მივდივარ ბატონო..

– ტყეში რა გინდა ბატონო?...

– შეშას მოვიტან ბატონო.

– შეშა რათ გინდა ბატონო?

– სიძე მამივა ბატონო.

– სიძე რათ გინდა ბატონო?

- ქოშებ მამიტანს ბატონო.
- ქოშები რათ გინდა ბატონო?
- ჩავიცვამ, ჩავაბრაზუნებ.

62. ელო-მელო, ჩიკარტელო,
ჩიტი მყავდა შევარდენო,
გაუშვი და თითი ვკარი,
ე თათარი მე მოვკალი.

63. ბეზიას ლექსები

ბეზია ადე, ბეზია ადე,
რავა დაგძინებია, ადე,
აბრაშუმმა გვიღალატა
თვალო მირო გენაცვალე,
ბამბა მაინც ბევრია.

ბეზია ადე, ბეზია ადე.

(აბრამია ელიგულაშვილის (კატაპარიას) ცოლს აბრეშუმში არ მოუ-
ვიდა, დარდიანი იყო, ჩამოძინებოდა და ქმარმა გაულექსა, გაამხნე-
ვა, რადგანაც ბამბა კი ბევრი მოიწიეს).

64. მირომ ანთო კვარი
თათარს გაუღო კარი,
შემოვიდა, შემოყვა,
მირომ მიართვა დგამი.
მირო, რათ გინდა თათარი,
ბრუნდი აქვთ მათ დავთარი,
გიყვარდეს ისრეელი,
სეფერ-თორა მართალი.

65. საბავშვო ლექსი

ყიყლიყო, მამალო!
თავზე გადასავალო:
– სამი წელიწადია
პური არ მიჭამია,
პურის ნაფურჩხალაი
ქალაქ ჩამიტანია.

ქალაქელი დედლები
 ახტიან და დახტიან,
 წითელ კვერცხებ დაყრიან;
 ერთი მე ავიღევი,
 ერთი ჩემმა დობილმა,
 დობილს თვალი გავარდა
 კოჭებაში ჩავარდა.
 – კოჭებაი რა იქნა?
 – წყალმა წაიღო.
 – წყალი რა იქნა?
 – მზეს მიეკრა.
 – მზე რა იქნა?
 – ციხეს მიეკრა...
 – ციხე რა იქნა?
 – გადანგრეულა...

66. ლექსი ბატონა კაკიტელაშვილის რძლებზე

ოსიას ცოლი მზესა გავს,
 დუხიას ცოლი მთვარესა,
 მოშიას ცოლი ანათებს
 იქაურ არე-მარესა;
 ისრელის ცოლი მისტირის,
 ვაი ყველაზე მდარესა.

(ბატონა კაკიტელაშვილის ართვალის ცოლი ჰყავდა, სამაგიეროდ მან თავის ვაჟებს ოსიას, დუხიას და მოშიას ლამაზები აურჩია, ხოლო ისრელს კი ულამაზო ცოლი შეხვდა, რის გამოც ეს ლექსი გამოუთქვეს).

67. ძიძის ნაწინა

შენი ჭირი ჭიასაო,
 გაზდილსა კოტინასაო.
 ქუთაის – რიჟინაშვილსა,
 რაჭაში – შიმშილაშვილსა,
 ლეჩხუმში – მეგრელიშვილსა,
 საჩხერეს – ხიხინაშვილსა.

68. პუტი-პუტი პუტებიო, ქმარსა გავეპუტებიო,
 როცა კაბას მიყიდისო – მაშინ ჩევეხუტებიო.

69. დიდი-მამას ქალი ვარ – ქოჩერას გათხოვებული,
ქოჩერა წავა ქალაქსა, – ის მამიტანს კაბასა.

70. გოგო შენი ჭირიმე, შუბლი გადმომიჭიმეო,
შენი ოქროს ქამარი, წელზე შემომიჭიროო.

71. გენაცვალოს დედაშენი, მერე შენი მამიდაო,
შენი წილი შეჭამადი, – თაროშია ჯამითაო.

72. აპა კამბეჩო ბულაო – თორნეში ჩაგაყუდაო,
შენი აპოხტით გამაძლო – ზედ ღვინო მამაყუდაო.

73. ა, გამო ძაღლო კუდაო, არ დამიხიო გუდაო,
მამაღმა მგელმა შექჭამა – ლობეზე დაგაყუდაო.

74. ობლის ტირილი

დედის ტკბილი რძის ჭირიმე, ძუძუებს ვენაცვალეზი,
ვინც მათი გემო არ იცის, ახვეული აქ თვალეზი.
დედას ვეძახი მამასა; ვეძახი მამას, პაპასა;
არც ერთი პასუხს არ მაძლევს, მან უფრო გამაკაპასა.
ხელში ჩამიგდო ობოლი, კუდურმა დედინაცვალმა,
დამწყევლა ენა ბოროტმა, გამღალა მე მისმა თვალმა,
დედის რძე თაფლი ყოფილა, დედინაცვალის ნაღველა,
დავლიე, ყელზე დამადგა, ძიმწარეთ წამამახველა,
ოხ, რა ძნელია ობლობა – დედინაცვალის დედობა,
დედინაცვალის დედობა, მისი მოყვრული მტერობა.
ისევ დედის რძის ჭირიმე, ძუძუებს ვენაცვალეზი,
ოცნებით მაინც შევიტკბო, სიმცხადით განაწყალეზი.

75. დედის საფლავზე ტირილი

აღვის ხე აყვავებულა, ნეტავ დედა რააო!..
ეს ხომ შენი წელტანია – ვაი დედასაო!..
წყალს კიდობანი მიქონდა, ნეტავ დედა რააო!..
ესეც ხომ შენი კუბოა – ვაი დედასაო...
ამოდი ქარო – ნიაგო, ამ დასახრავკვიაო,
საგულებელი აქა მყავს – სახელ-ბატონი ქვიაო.

76. გაღმა-გამოღმა წყალი დის
ნარინჯის ფერათ გადმოდის,

შიგა ზის ქალი ლამაზი
მუშკამბრის სუნი ამოდის;
წყალი ვთხოვე და არ მასვა,
გარჯილო სულს, ამოდი.

77. აპა ჩემო, სოფიო, მამიხარშე ლობიო,
მანც არ მეგეშვები, გინდა დამკრა თოფიო.
აპა ჩემო მარია, დაგვიყენე დარია,
მანც არ მეგეშვები, გინდა დამკრა ხმალია.
აპა ჩემო ლიზა, მამიქსოვე ქისა,
მანც არ მეგეშვები, გინდა გახდე სხვისა.

78. ჩხუბი ჩიტის ჩამომახილზე

ორი სახლის აივანზე მეზობლები, რიკა და სარა, იდგენ და მუ-
საიფობდენ. ორივე სახლის შუა ხეზე ჩიტი შემოჯდა და ჩამოიმძახა,
რიკამ და სარამ ერთხმად უპასუხეს:

– კაი ამბავი, მეე ჩიტო,
ოქროს ნისკარტი შეენ.

ერთმანეთის ხმა რომ გაიგონეს, ეწყინავე, რიკამ დაუძახა:

– სარა ქალო, ჩიტმა შე ჩამამძახა, ისე შენ არ გამიმწარდი,

შენ რაზე უპასუხე.

ნაწყენმა სარამ მკვახედ მიუგო:

– გამწარდა ჩემი გამწარების მონებე, რაზე მიფიცამ ტყუილზე,
როდესაც ჩიტმა პირდაპირ მე ჩამამძახა.

შეიქნა ჩხუბი, ორივე ჩემობდა, მე ჩამამძახაო, ჩამოვიდნენ აივ-
ნიდან ისე იჩხუბეს, რომ ერთმანეთი დახიეს. ჩეერიენ მეზობლები და
ძლივ დააშორეს ცრუმორწმუნე ქალები.

რიკა და სარა დაგლეჯილ-დახეული კაბებით და გაწეწილი
თმებით დაბრუნდენ სახლებში.

ჩიტმა ისე „ჩამომძახათ“.

79. მოწმობა სასამართლოში

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ქართველი ისრაელობა
მანც გაურბოდა სასამართლოს კარსა და საერთოდ მთავრობა-დაწე-
სებულება-სასამართლოში, ვინაიდან დიდ სირცხვილად იყო მიჩნე-
ული. ამის გამო ყველა ზომას მიიღებდნენ იმისთვის, რომ ქალისა-
თვის აუცილებელი დასწრებაც კი აეცილებინათ თავიდან.

ქუთაისში ყველასათვის ცნობილი მოქიფე და მშვენიერი ხმის პატრონი მომღერალი, ხუტუნია ენუქაშვილი, ქეიფობდა მიხაკო ციციაშვილთან. ქეიფში ჩხუბი მოუვიდათ, ერთმანეთს ესროლეს, ერთი იმათგანი დაიჭრა. ამას ყველაფერს ხედავდა იმ დროის ცნობილი მკითხავი ქალი სარიკო, რომელიც მუდამ პოლიციის ახლო ქვაფენილზე სამფეხა პატარა სკამზე იჯდა და ამვლეულ-ჩამვლეულ ოკრიბელ გლეხებს სამკითხაოდ მოუწოდებდა.

სარიკო გახდა მოწმე ზემოხსენებული ჩხუბისა, რისთვისაც მოწმეთ დაასახელეს.

სამჯერ გადაიდვა საქმე სასამართლოში, იმის გამო, რომ მთავარი მოწმე სარა რიჟინაშვილი არ ცხადდებოდა.

მეოთხეჯერ ძალით მიიყვანეს, გამოუძახეს და მოსამართლე შეეკითხა:

– სარა რიჟინაშვილო, რა იცით ენუქაშვილისა და ციციაშვილის ჩხუბის შესახებ, უამბეთ სასამართლოს.

სარიკო კედლებს გაკვირვებული ათვალიერებდა, ამთქნარებდა, არ პასუხობდა მოსამართლეს, თავისთვის ლაპარაკობდა:

– იარა დედა სუდში, გაუწყვა სხვა მაზალ-დოვლათი იეირასონ ჩემს ავად მახსენებელს.

მოსამართლე კვლავ ეკითხებოდა:

– სარა რიჟინაშვილო, რა იცით გვიამბეთ!

– იარა დედა სუდში და გაუწყვა სხვა დოვლათი, ჩემი ქმარშვილის დამაწყევარს, ამენ.

გაბრაზებული მოსამართლე თარჯიმანის პირით კვლავ შეკითხვას აძლევდა, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსა.

სარიკო კვლავ გაიძახოდა:

– არა, დედა, არა, რა ჩემი საქმე არი ჩავიარე, სუდში სიარული, აქანა იარა და სხვა სიკეთე გაუწყვა ჩემ დამძალავ..,

ასე მოღალა სარიკომ მოსამართლე და პასუხი არ გასცა; თავმობეზრებული მოსამართლე იძულებული გახდა უმისოთ იოლად წასულიყო და საქმე გაარჩია.

80. თავგმა რკინა „დაკვნიტა“

ღარიბი კაცი გამოვიდა დილით ქოხიდან და მეზობლებს შეჩივლა:

– რაღა მეშველება, ჩემი გაჭირება მეყოფა, ძლივს ჭადი ვიყიდე, შინ დავაბინავე და ღამით სულ თავგვებ შეუჭამიავე.

მდიდრებმა დასცინეს:

12 რ. თ ა ვ დ ი დ ი შ ვ ი ლ ი.

– ამ უბედურ თავისი საჭმელი ჭადი არ გააჩნია, თავი რას შეუჭამდა, ტყუილ იგონებსო.

მეორე დღეს მდიდარი გამოვიდა დილით და მეზობლებ შეჩივლა შეწუხებული სახით:

– რა უბედურობა მამივიდა, რომ იცოდეთ, რაც კი შენახული რკინა მქონდა, სულ თლად თავგებ დაუკვნეტიანვე.

რადგანაც ეს მდიდარმა თქვა, მეზობლებმაც კი დაუდასტურეს.

– ალბად შეუჭამდაო.

ცხვარმა დააცხვინკა და მგელმა უთხრა:

– „ღვთის წყალობაო“.

ცხვარმა უპასუხა:

– წყალობა თუ რამე იქნება, თქვენგან იქნებაო.

1918 წელს დიდი ხნის აეადმყოფობის შემდეგ ი. თ-შვილი ლოგინად ჩავარდა. არც ძალიან მოხუცებული იყო, სიღარიბის გამო წამალი და ექიმი კი აკლდა.

იმ დღეებში, უეცრად გულის სიდამბლით გარდაიცვალა ქუთაისში გამოჩენილი მდიდარი ვაჭრის ნ-შვილის ცოლი, ი. თ-შვილმა რომ მისი სიკვდილის ამბავი გაიგო, სიცილით წარმოსთქვა:

– მე თუ ვკვდები, ვიცი სიღარიბის გამო ვკვდები, ბევრი რამით გულნაკლული მივდივარ ამ ქვეყნიდან, მაგრამ ესეც შენი დიდი ცნობილი, სახელოვანი ნ-შვილის ცოლი, რომელიც დამა-ატლასეულობას ზანდუკში ინახამდა, ჩინჩამდა, არ იცვამდა, სედაკას (ღარიბის შებრალება) არასოდეს გასცემდა, ისიც მოკვდა, ხომ გავიმღვანეე წინ, ანასუნი მის საქმეს, აწი მეც თუ მოვკვდები, აღარ დევნებ, შეილ-მამავალიც დამსწრებია სიკვდილის საათზე უკლებლად.

შიმყონა თოფლიშვილს ჰკითხეს: „ლოცვაზე რად არ დადიხარო“, შიმყონამ უპასუხა: „ყოველ დღე „ელოაი ნეშამას“ ყვებიან და მამბეზრდაო“.

81. ღარიბი კაცისა და მდიდრის ამბავი

ერთი ღარიბი კაცი ცოლთან იწვა და ეძინა, მეზობლებმა შეუჭვრიტეს და სიცილი დააყარეს:

– კი არა რცხვენია, ცოლთან წევსო.

მდიდარ კაცს ვირთან წაასწრეს, იმ დროს ის ღარიბი კაციც იქვე იყო, რომელსაც თავის საკუთარ ცოლთან წოლა უძრახეს. ღა-

რიზმა კაცმა წამოიძახა, ვუი, ვუი, მეტი სირცხვილი რაღა იქნება, კაცი ვირთან მივიდესო. წემესიენ მდიდრის ამქრები ღარიბსა და კის-რის ტეხით გააგდეს, აგინეს:

– შე მამაძაღლო, შენე, როგორ გაზედე მისი შეურაცყოფა, სსუუ, ჩუმათ, ხმა-კრინტი არ ამოიღო, მდიდარ ექიმმა დაუნიშნა ავად-მყოფობის გამოთაო. ღარიბმა კაცმა მწარეთ ამოიხვნეშა და უპა-სუხა:

– თქვენ თვითონ მამაძაღლებო, ჩემთვის თვით ბუნებიდან და-წესებული კანონიერ ცოლთან წოლა არ შეიძლებოდა, რადგან ღა-რიბი ვარ, მაგე კი ვინაიდან მდიდარია, ისემე აშენდა თქვენი ოჯახი, ექიმმა დაუნიშნა, რამე გამოსარჩენ მეელით მისგან და ანამუსიანებო.

82. მოყვრების ცეკვა

როდესაც საქართველოში რუსები შემოვიდნენ, რუსული ენა ძალიან ცოტა ქართველმა იცოდა, თუ გაიგონებდენ რუსულს, მაცა-დინი იყვნენ გამეორებით ესწავლათ და დაეუბრიებინათ ყოველი სიტყვა.

იმ დროებით ოსია პაპიაშვილის ვაჟმა დანიშნა აბრამგულა თავ-დიდიშვილის ქალიშვილი. როგორც წესი იყო, შეიქნა ე. წ. მტერ-მოყვრობა. პირველად ქალის მშობლებმა გადმოიწვია მოყვრები, ოსია პაპიაშვილი მისი ნაშიერით და მტერ-მოყვრებით ეწვია აბრამგულა თავდიდიშვილის ოჯახს.

პაპიაშვილებმა სარძლოს პირისსანახავი ჩამოუტანეს, ოქრო და ვერცხლი, ვინ სელზე ბეჭედი ჩამოაცვა, ვინ მაჯაზე სამაჯური, ვინ გულზე ქინძისთავი დაუბნია, ვინ ყურში საყურე გაუკეთა; ოსია პა-პიაშვილმა კი სარძლოს ბაჯადლო ოქროს საათი და მისივე ძეწკვი გადაკიდა კისერზე, შეიქნა მილოცვები და სიმხიარულე. მერე სა-დედამთილომ ოქროს თუმნიანი და წყვილი ძვირფასი აბრეშუმის ბაღდადი აჩუქა და თავზე მოახვია.

საქმრომ დიდი თავით შაქარი და რგოლის ოქროს ბეჭედი უძ-ღვნა, რაბინმა და სახმებმა „ბესიმანტობ“ (სიმხიარულით) შემოს-მახეს, საქმროსაც თავდიდიშვილებმა ოქროს თუმნიანი და ოქროს რგოლის ბეჭედი უძღვნეს და დანიშნეს. შეიქნა შაქრის გაცვლა-გა-მოცვლა, ყველა ერთმანეთს შაქრის ნატეხ-ნატეხ უცვლიდენ, ხოლოთ საცოლო და საქმრო კი არავის არ დაუბრუნებდა შაქარს, მარტო მიიღებდენ, ნიშნად ტკბილი ცხოვრების სურვილისა.

როდესაც მილოცვები გათავდა, ვახშამი გაიმართა, ჩვეულები-სამებრ გაწყობილ სუფრაზე შემოუსხდენ ცალკე მამაკაცები და ცალკე ქალები, გახდა ღვინის სმა და ქეიფი. როდესაც კარგა შეზარხომ-

დენ, მოხუცი ოსია პაპიაშვილი გადმოხტა სუფრიდან, ჩოხა-ახალუხის კალთები ვერცხლის ქმარში ჩაიკეცა, დამკვრელებს სთხოვა. ბაღდადური დაეკრათ დაირაზე და გარმონზე, გაიმართა ბაღდადური, სტუმრებმაც ტაში მიაყოლეს, ოსიამ დაიწყო ცეკვა, პირველად თავისი სარძლო ჩამოითამაშა, რომელიც მოეწონათ, რადგან კარგად ცეკვავდა; სარძლომ რომ თავი დაუკრა და ხელზე აკოცა მადლობის ნიშნად, მერე კი ოსიამ მამა მისი აბრამგულა ჩამოითამაშა, თავი დაუკრა და გამოიწვია, თან სთხოვა:

– პრაშაიტ მოყვარე!..

აბრამგულა გამოეთამაშა ოსიას და ორივემ ერთად იცეკვეს, ოსია პაპიაშვილს კი მას შემდეგ მეტ სახელად დაარქვეს „პრაშაიტ მოყვარე“.

83. ერთი „რაბისა“ და ვირის ამბავი

ერთ შაბათ დღეს, როდესაც რაბი თორას ჭირნახულობდა, მივიდნ მასთან და უთხრეს:

– რაბი ბატონო, ვირი გადაგვივარდა ხრამში, ამოვიყვანოთ თუ არა, როგორც თქვენ გვიბრძანებთ, ისე მოვიქცევითო.

რაბი არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა:

– ხასვე შალომ! (შეუძღვებელია), დღეს ხასი შაბათია, სიმძიმის აწევა, ლო ალებემ (გაშორეთ ღმერთმა) არ გაბედოთ, არ დავალიანდეთ, ამამსუბუქებელი შაბათისა – დავალიანდება, შაბათი არი ხასიო, რა არი მისი ფასიო.

მოსულებმა ერთხმად მიაძახეს:

– რაბი ბატონო, თქვენი ვირია, თქვენი...

რაბი არც ახლა დაფიქრებულა, ისე მიაძახა მათ:

– ამ საათში ამოიყვანეთ, იცოდეთ შვილებო, რომ ხსნა სულისა პირუტყვისაც მადლია, მადლია ემეთ (ჭეშმარიტად).

84. ხახამი და ფული

მორწმუნე ისრაელი "შაბათ-უქმე დღეს ფულს ხელს არ მოკიდებს და არც მიეკარება.

ერთმა ხახამმა შაბათ დღეს დაინახა მიწაზე ფული, რა ქნას, ხელს ვერ მოკიდებს, ფული კი ხიბლავს, ვერცხლის მანეთიანია. მივიდა, ფეხით მიაჩოჩა მანეთიანი, ფეხითვე ჯახირით ზედ ქვა დაადო, მიიხედ-მოიხედა არავის შეუხედნია, მხიარულად გასწია შინ, დარწმუნებული, რომ მეორე დილით ადრიანა მივიდოდა ქვასთან და ფულს აიღებდა.

ელოაღამეს (შაბათ ღამეს) დარდით ვეღარ დაიძინა, ფული – ვერცხლის მანეთიანი ეჭვენებოდა.

კვირა დილით გათენება არ აცალა ღმერთს, მთელი ღამის უძილარი გაიქცა, მივიდა დანიშნულ ადგილზე, მაგრამ ფული ვერცხლის მანეთიანი აღარ დაუხვდა.

ეს მოუწყო ახალგაზრდობამ, რომელთაც ხახამი მუდამ უკრძალავდა, რომ არამცა და არამც კაი დღეში და „შაბათ-მოყედში“ ფულის შეხება და არც ხელის მოკიდება არ შეიძლებოდა.

ახალგაზრდობა შორი-ახლო მისჩერებოდა და იცინოდა.

85. ხახამ ბაბოსა და ანგელოზის ამბავი

ბაბომ უხშირა სალოცავში სიარულს, დღე და ღამე სულ მუდამ ლოცულობდა, მეზობლები შეაწუხა მისგან უდროვო დროს კარის დე-ბა-კეტვამ. ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს შეეშინებინათ.

ერთ საღამოს, როდესაც ბაბო სალოცავიდან გვიან ბრუნდებოდა შინ, სალოცავის კარებში თეთრ ზეწარში გახვეული რამოდენიმე ახალგაზრდა ერთად დაუხვდა და გალობით მიაძახა:

– ბაბოო, იმ ყოლამ გიბარებენოო

გამჩენს მოსწონს შენი ლოცვაოოო.

ცოცხალი უნდა დაგამადლიანოს

შენე იმან განყედენშიაოოო (სამოთხეში).

ბაბოს შიშისაგან ენა ჩაუვარდა, კანკალი დააწყებინა, დაიჩოქა „ანგელოზების“ წინ და ძლივს ამოილულულა, თვითონაც გალობით თხოვდა.

– ბატონო... ანგელოზებო...

ცოტა ხანს მადროვით...

ცოლსა და შვილს დავემშვიდობები,

მერე კი ნება გამჩენისა ასრულდეს...

„ანგელოზებმა“ ადროვეს, მალე დაბრუნებულიყო. წავიდა ბაბო შინ, შეიტანა ერთი ზარა-გორა, სიკვდილი ეზარებოდა, მაგრამ „ანგელოზები“ განყედენს შეპირდენ, დაემშვიდობა ცოლსა და შვილს, რომელთა ტირილი ცამდე წვდებოდა, სად გაგონილა ამისთანა თორის მცოდნე რომ ჯამაათს გამოაკლდეს, მოთქვამდა ბაბოს ცოლი. დაბრუნდა ბაბო სალოცავის კარებთან, მაგრამ იქ აღარავინ დაუხვდა. „ანგელოზები“ უკვე „გაფრენილიყვნენ“.

ამ შემთხვევის შემდეგ, ბაბომ უკლო უდროვო დროს სალოცავში სიარულს.

მეზობლებმაც დაისვენეს.

86. ქათმის ქურდის ამბავი

ერთ ღარიბ ქალს ყავდა ერთად ერთი ქათამი, რომელსაც მა-
ლიან ეფერებოდა და საიომტობოდ (სადღესასწაულოდ) ინახავდა.

იომტობის წინა დღით ღარიბმა ქალმა დააპირა ქათმის და-
კვლევინება. მივიდა გალისთან, მაგრამ შიგ ქათამი აღარ დაუხვდა.
ვიდაცას მოეპარნა მისი ქათამი. დაღონდა ღარიბი ქალი, იომტობი
ვერ დააყენა (კაიდლეში სავალდებულოა ხორცეულის ჭამა), ფული
მას არ გააჩნდა, რომ სხვა ქათამი ეყიდნა, ნაღვლიანი დაბრუნდა
შინ, მაგრამ რა გაეწყობოდა, ისევ დაფიქრდა და სთქვა: „დარდით
რას გავაწყობ, ვინც წაიყვანა ჩემი ქათამი, ღმერთმა შეარგოს“.

ქათმის ქურდმა დაკლა ქათამი, შეწვა და შეჭამა, ქათმის დამ-
კარგავი რამდენსაც იტყოდა – ღმერთმა შეარგოს ვინც შეჭამაო, ქა-
თმის ქურდს ქათმის კუწკუწები (ფრთები) ესხმებოდა.

ღარიბი ქალი მაინც გაიძახოდა – ვინც მოიპარა ღმერთმა შე-
არგოსო.

ქურდს კი ემატებოდა ახალ-ახალი ბუმბული, ესხმებოდა ტან-
ზე, ხალხი ხედავდა მის საცოდაობას, კაცი კარში ველარ გამოვიდა,
კუწკუწებით აევისო სხეული.

ბოლოს მივიდნენ ღარიბ ქალთან და უთხრეს:

– თუ ქალი ხარ, ერთიც დაწყევლე შენი ქათმის მომპარავი,
რომ გავიგოთ ვინ არის.

ქალმა ისევ გაიმეორა:

– ვინც წაიყვანა, ღმერთმა შეარგოს, მე რაღას მომეწევა,
იომტობი დამაბათლებინა, ვერ დავაყენე, როგორც ისრაელის წესია,
ბევრიც დავიწყევლო, ვერას გავხდები.

ამის თქმაზე ქურდს თვალებში და ყურებში ახალ-ახალი კუწ-
კუწები გამოუვიდა, მაშინ ყველა მიხვდა, რომ ის იყო ქათმის ქურ-
დი. მეზობლები მივიდნენ ღარიბ ქალთან და სთხოვეს დაეწყევლა
ქათმის ქურდი.

როგორც კი დაწყევლა, ვინც მომპარა ღმერთმა ნუ შეარგოსო,
ქურდს იქვე მოშორდა კუწკუწები.

მერე კი ყველამ გაიგო, ვინც იყო ქურდი.

87. ავი პატარძლის ამბავი

ერთი გოგო ნამეტანი ავი და ღვთის ცეცხლის რამე კაპასი
იყო, სულ მუდამ იჩხუბოდა, შინ და გარეთ აყალ-მაყალს ასტეხდა.

შინ ეტყოდნენ „შე უბედურო, ვინ გითხოვს შენისთანა ავსაო“.
გაუჭირდა მშობლებს მისი გათხოვება, პირობა გამოაღებინეს, რომ
ჩემი ქმრის სახლში არ ვიკაპასებო.

როგორც იქნი დიდი ვაი უშველებლით, ბევრი ფულისა და მზითვების დაყრით გაათხოვეს.

„ქითუბა“ (ქორწინება) რომ წაუკითხეს და ივახშმეს, დედო-ფალი როგორც წესია, ქმრის სახლში წაიყვანეს „ენ დოდი ქალას“ (საქორწინო სიმღერა) ძახილით ეზოში რომ გამოვიდნენ ნეფე-დე-დოფალი თავისი მაყრებით, პატარძალმა ბროწეულის ხეს წამოავლო ხელი და შესძახა:

– რაც ჩემი დედის ოჯახში სიკაპასე ჩამიდენია, ამ ბროწეუ-ლის ხეს შერჩესო.

წაიყვანეს დედოფალი ისი ბევრ ეცადა თავი შეეკავებინა, არ ეკაპასნა, მაგრამ რომ მოუნდებოდა ჩხუბი, ხელებს დაიკბენდა, რძლო-ბა-ქალობა არ ახსოვდა. მაინც დაიწყო კაპასობა, ოჯახში ბევრი უთმინეს, მაგრამ მოთმინება დაეკარგათ და უკანვე დაუბრუნეს მშო-ბლებს.

მისი სიკაპასე ბროწეულის ხემ არ დაიტოვა.

88. ცხრა ფურცლიანი ხაჭაპური

დოდუა „ყაყაჩინას“ იმიტომ ეძახდნენ, რომ მეტი ლაპარაკი იცოდა, სულ ხშირად ჩხუბი; თან ბოხი და მაღალი ხმით იჩხუბოდა.

მის წინ რომ ვინმეს გაეცლო, უსათოუდ ჩხუბს აუტეხდა, წყევლა-კრულვით და ქვების სროლით უპასუხებდა.

მეზობლებს მისგან თავი ჰქონდათ მობეზრებული. მაგრამ რას გააწყობდნენ, ვერაფერი მოუხერხეს, არც არავინ ეკარებოდა, არც არავინ ემოყვრებოდა. შვილები მზა იყვნენ „საქეთუბოთ“, არც ურიგო ქალ-ვაჟი ჰყავდა დოდუას, მაგრამ როგორც ჩამოვარდებოდა სიტყვა დოდუას შვილების თხოვა-გათხოვებაზე, ცივად უპასუხებდნენ:

– ითვარა შემ ბეხარა სატანა (წყეულიმც იყოს სატანი)

მისი ნაშიერი რას ივარგებს, დოდუა ყაყაჩინას დაემსგავსებო.

ამრიგად დოდუას მოსწრებული ქალ-ვაჟი უბედმაზალოთ რჩე-ბოდნენ. მოჩსუბარი დედის გამო (მით უფრო დედას შვილები ემორ-ჩილებოდნენ) ერთხელ დედას უფროსი შვილი შეეკითხა:

– მეხილა, (მაპატიე) დედა ბატონო, თუ შეიძლება გაანებე ჩხუბს თავი, ისე გაგვირბიან სამოყვროთ, როგორც ტერეფას (უწ-მინდურს).

– რა ექნა შვილო, თუ არ ვიჩხუბებ ავად ვარ, შენ ნუ მოუ-კვდები დედა შენ, ერთი ჩხუბი მოყვრის გამოგზავნილ ცხრა ფურ-ცლიან ხაჭაპურ მიირჩენია, უპასუხა შვილს დოდუა ყაყაჩინამ.

89. ქვრივი ქალის ამბავი

ერთ ქალს გარდაეცვალა ქმარი, ისრაელური წესისამებრ მი-ცვალეული შესუდრეს. ცოლი კივის, ტირის, იგლიჯება, ტანისა-

მოსს ზედ იხევეს, ძლივს ამაგრებენ, დასისსლიანებული სახე ამტ-
ცებს ცოლის უზომო მწუხარებას.

როდესაც მიცვალებულს დაუპირეს სახლიდან გასვენება, ცოლმა
დაჯინებით მოითხოვა, ეჩვენებინათ მისთვის უკანასკნელად ქმრის
სახე (ისრაელური წესით მიცვალებულს პირზე ახურია), მაგრამ
ერთერთმა უფროსმა, მოსწრებულმა ქალმა ყურში ჩასჭურჭულა:

– მიცვალებულ ქმარ რომ პირზე დახედო – მერე ვეღარ გათ-
ხოვდებო.

ქვრივი სწრაფად გაშორდა კუბოს და უკან დაიხია.

90. აბრამა ჩახვაშვილის ოხუნჯობა

აბრამა ჩახვაშვილს კითხეს:

– ბიძია აბრამა, რომელი საათია?..

აბრამამ იწყინა და შესძახა:

– ღმერთი ხომ არ გაწუხებს ურია!.. მე რა ვიცი საათი, გათენ-
დება – ავდგები, დაღამდება – დავწვები, მამშვიდება და ვჭამ, რა
ჩემი საქმეა რამაღა საათი მოგოგინიავე.

გადაუშალა აბრამამ ხელები.

91. ფეხსაცმელებისა და ქალის ამბავი

ცხოვრობდა ერთი ქალი, რომელსაც არ უყვარდა მიცვალებუ-
ლის დაპატიოსნება, არასოდეს „მისვაზე“ (გასვენებაზე) არ დადიოდა,
თავის მაგივრად ყოველთვის ერთ წყვილ ჩუსტებს, ან სხვა რაიმე
თავის ფეხსაცმელებს გაგზავნიდა.

რამოდენიმეჯერ ურჩიეს ქალებმა, რომ არ ვარგა მიცვალებუ-
ლის ამსუბუქება, არამედ ისრაელის წესის მიხედვით ნაცნობი და
უცნობი ყველა უნდა აპატიოსნებდეს მიცვალებულს და მისთვის
ყოველი თვითებული გადადგმული ნაბიჯი ცოცხალს დღეგრძელობას
მისცემს, თვით მიცვალებულს კი ნეხამას (განსვენებას). არავითარმა
დარიგებამ არ გასჭრა, მაინც ყოველ ისრაელის გარდაცვალებაზე
ვინმეს გაატანდა ერთ წყვილ თავის საკუთარ ფეხსაცმელს, ჩემს მა-
გივრად ეს დაესწროსო.

როდესაც ზემოხსენებული ისრაელის ქალი მიხვდა, რომ სიკვდი-
ლი მოუახლოვდა, დაიბარა თავისი ნაშიერი საყოლ-კეთილი და
სთხოვათ – ეს უკანასკნელი თხოვნა შემისრულეთ, ისრაელის დინზე
(წესზე) ღირსეულად დამასაფლავეთო.

გარდაიცვალა, მის გასვენებაზე გარდა თავისი ნაშიერ-ნაამაგა-
რისა არავინ მოსულა, მარტო წყვილ-წყვილი ფეხსაცმელებით აივსო
დარბაზი, მიცვალებულის გამტანი ძლივს იშოვნეს.

ნათქვამი: **იოხაზედ ბუზიაშვილისა**

92. ენაწლიქი ქალიშვილების ამბავი

ერთ დედას სამი ქალიშვილი ყავდა, სამივე ენა-წლიქი. შესახედათ სამივე ერთმანეთს სჯობნიდა ისეთი ლამაზები იყვნენ. ენა-წლიქობის გამო ქალიშვილებს არავინ თხოულობდა, რის გამოც მათი დედა უზომოთ სწუხდა.

ერთ დღეობის დღეს დედამ გაინდო მაჰანკალი და სთხოვა რომ ვინმე ხეირიანი სასიძო ეშოვნა, შინ მიეყვანა და მისი სამივე ქალიშვილი ენახებინა, რომელსაც მოიწონებდა სასიძო ის ეთხოვა ცოლათ.

მაჰანკალი დაპირდა, ამა და ამ დროს ერთად მოვალთ, მე თვითონ წამოვეყვები შენს სახლში სასიძოს და იქნება რამენაირათ ერთი იმათგანი მაინც ითხოვოსო.

დიდხანს ელოდა ქალიშვილების დედა სასიძოს და მაჰანკალს, მაგრამ არსად გამოჩნდა არც სასიძო და არც მაჰანკალი.

მოთმინება რომ დაეკარგა ლოღინით, ადგა და სხვაგან წავიდა. ქალიშვილებს კი დაუბარა: „თუ ვინმე კაცები მოვიდეს აქ, იცოდეთ არცერთმა ხმა არ ამოიღოთ“. ქალიშვილები დაპირდნენ ჩუმათ ვიქნებოთ.

წავიდა თუ არა დედა სახლიდან, ცოტა ხნის შემდეგ იმათ სახლს მიადგა სასიძო და მაჰანკალი ქალიშვილების სანახავად. ქალიშვილებმა ზრდილობიანად მიიღეს, შინ შემოიწვიეს, სკამი მიაწოდეს, ხმას კი არ იღებენ, თავი ძირს დაუშვიათ, მტრედებივით გამოიყურებოდნენ.

სასიძო ათვალიერებს, ხან ერთს შეხედავს, დააკვირდება ხან მეორეს, ხან კი მესამეს, მოსწონს სამივე, ერთმანეთსა სჯობნიან. არ იცის რომელზე გაჩერდეს, მაჰანკალს გუნებაში ეცინება, ფიქრობს მოხვდება ბადეს მეც მერგებაო, სასიძოს ეშმაკურად თვალს მალ-მალ ჩაუქნევს აირჩიეო.

უცებ საიდგანლაც დიდი თავგი გამოძვრა, რის დანახვაზე ერთმა დამ დაიძახა.

– ვუი ვუი, ვილთა ვილთა!

მეორე და გაუჯავრდა და უსაყვედურა:

– აკი დედამ დაიბალა ალ იტიტინოთო!

მესამემ ორივეს შეუყვირა და წამოიძახა:

– ალთა ლა მიტიტინებია და ალთა ლა ვიტიტინებო. სასიძომ

სამივეს ლაპარაკი მოისმინა, ნახა ენა წლიქები არიან, ადგა და უკანვე გაბრუნდა გულდაწყვეტილი, ასეთი ლამაზი ქალები ყველა ნაწლიქი რამ დაბადაო.

93. ხანია ხანანაურის და ვაშლის ამბავი

ხანია ხანანაური ახალგაზრდობაში მეტად თავმომწონე და ამაყი ქალი იყო. მისი მორიდებით ახლო-მახლო ვაგლახად ვერც კი გაივლიდენ, მაგრამ როდესაც მოხუცდა და კიდევაც დაბრმავდა, საცოდავი სანახავი გახდა.

მისი ნაკისი პატივს სცემდა, სუფთად ინახავდენ, მოვლას და კარგ სასმელ-საჭმელს არ დააკლებდენ, მაგრამ ხანია მაინც უკმაყოფილო იყო.

ერთ დღეობის დღეს, ღრმად მოხუცებულსა და ბრმა ხანიას თავის ნაშიერმა ვაშლი მიაწოდა. სანამ გაკბიჯა ვაშლი, ეამა, მოეწონა და იკითხა:

– სადაურია შვილო ეს ვაშლი?..

– ბებია, შენ ხომ მოგეწონა, მადლობა ღმერთსა და რაღად კითხულობ სადაური არიო, აი კიდევ მიირთვი.

ხანიას ბრმა თვალთაგან ცრემლები გადმოუვიდა და უპასუხა:

– შვილო და შვილის შვილებო, იობმა სთქვა: „მეძალეებმან კარების ჩემისამ დამყეფეს მეუ“, მეც ყველა ნაამაგარი მყავხართ, უხეშად ნუ მექცევით, თქვენც მოგელისე სიბერე, მაგრამ ვისაც ჩემი სიახალგაზრდავე არ უნახია, ნეტავი არც ბებერ მხედავდესო.

მისმა ნაშიერმა ერთმანეთს გადახედეს და შერცხვათ.

94. თავის ქალას ამბავი

ერთი ღარიბი კაცი შინ ბრუნდებოდა. გზაზე მას მოუხვდა ტყეზე გამოვლა; ტყეში მან ნახა ერთი თავის ქალა.

მიუახლოვდა, აიღო ხელში, დახედა, ნახა ზედ აწერია: „რაც მეწერა გადამხდა, რაც მაწერია გადამხდება“. გაუკვირდა ღარიბ კაცს, სთქვა: ამ უბედურს რაღა უნდა გადახდეს, მომკვდარა, მიწაშიდაც აღარ დაუტოვებიათ, ტყეში საძაღლ-ღოროთ აგდიაო; მაინც დაინტერესდა მისი ბედით, აიღო და სახში წაიღო.

სახში რომ მიიტანა, ცოლს არ გაუმხილა, ასწია და ხის ყუთში შეინახა.

გაიარა ხანმა, ღარიბი კაცი ხშირად ახდიდა ყუთსა და თავის ქალას დახედავდა, ვნახო რა ბედი ეწიაო.

ერთ დღეობის დღეს მისი ცოლი ალაგებდა ძირ-კუთხეს; ყუთს რომ მიაღდა ჩასაწყობად, ნახა შიგ თავის ქალა.

იფიქრა, ნამდვილად ჩემ ქმარს საყვარელი ყოლია, მოკდომია და მისი თავის ქალაც ყუთში შეუნახიაო; აიღო თავის ქალა და ცეცხლში დასწვა.

ქმარი რომ დაბრუნდა, ეჩხუბა: შენ იმიტომ იხედებოდი მალ-მალე ყუთში, რომ იქ შენი საყვარელის თავი გქონდა შენახული, აწი ნახე ცეცხლშია დამწვარიო.

ქმარი მიხვდა, რომ თავის ქალას ცეცხლში დაწვავ ეწერა და გადახტა.

95. დედალ-მამალის არაკი

მამალმა უთხრა დედალს:

– ოღონდ დამნებდი დედალო, რაც ამ ქვეყნად სიმდიდრეა, ოქრო და ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, ყველას შენ მოგიტან...

დედალი დანებდა მამალს.

გაიარა დრომ. მამალი შეპირებულს არ ასრულებს, დედალმა მოაგონა:

– რა ქენი მამალო შენი დაპირება?..

მამალმა ასწია ფრთები, დაიფერთხა და დაუფიცა:

– აი ამ ფრთებში შემომეკიდოს ცეცხლი და დავიწვა, თუ სადმე რაიმე მქონდეს, ან გამაჩნდეს და შენს იქით წავიღო; არაფერი მაქვს და დაპირებული საიდან მოგცე?..

დედალმა შეხედა მამალს, რომ არაფერი არ გააჩნდა, ადგა და წავიდა – გაშორდა.

96. ცხონებული თუ წაწყმედილი

ერთ მზიან დღეს მიცვალებულს მისვენებდნენ, რომელსაც ძალიან ბევრი ხალხი მიაცილებდა. როდესაც სავაჭროების წინ უნდა გაეეღო ხალხს, სავაჭროები ჩვეულებისამებრ მიიხურა; ვაჭრები და ხელოსნები გამოვიდნენ შეგირდებიანად და ქუდ-მოხდილი იდგნენ.

ერთი ხარაზი მიუბრუნდა თავის შეგირდს და უთხრა:

– შენ ბიჭო, წადი გაჰყევი ამ ხალხს და გამიგე, ის მიცვალებული ცხონებულია თუ წაწყმედილი.

შეგირდი იქვე ციბრუტივით დატრიალდა. ზღვა ხალხში აირია, ხან ერთს ეხეთქებოდა, ხან მეორეს, რომ ვინმესგან გაეგონა მიცვალებული ცხონებული იყო თუ წაწყმედილი, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

ბევრი ხეტიალის შემდეგ დარცხვენილი დაუბრუნდა თავის დაზგას, თავჩაღებული ხმას არ იღებდა, შეუდგა მუშაობას, ხარაზი ხედავს შეგირდმა პასუხი არ მიუტანა, მიაჩერდა, შეგირდმა უფრო ძირს დაღუნა თავი, ხარაზი შეეკითხა:

– რა ქენი ბიჭო, რატომ არაფერს მეუნები. რა გაიგე, ის მიცვალებული წაწყმედილი ყოფილა თუ ცხონებული?

შეგირდი სდუმდა, სირცხვილისაგან სიმწრის ოფლი ასკდებოდა. ვერაფერს ეუნებოდა, ხარაზმა შეუტია, შეეკითხა:

– თქვი, ბიჭო, რა გაიგე, რა ენა ჩაგვარდნია!..

შეგირდმა აკანკალებული ხმით მიუგო:

– ვერაფერი გავიგე ბატონო, რა ვქნა...

და შეშინებული თვალები პირდაპირ ხაზეინს მიაპყრო, ხარაზმა შეხედა რა შეგირდი სახუმაროდ არ შეშინებულა, მკვდრის ფერი ადევს, ერთიც მადიანად გადაიხარხარა და მიუგო:

– შე საპყარო შენა, რა დიდი ამბავი უნდოდა მაგის გაგებას, როდესაც ხალხში გეერიე, შენ ყურს მოკრავდი, თუ როგორ იხსენიებდენ იმ მიცვალებულს; თუ რომ მასზე კარგს ამბობდენ, ის უსათუოდ ცხონებულია და თუ მასზე ცუდს ამბობდენ – ის მაშინ აუცილებლად წაწყმედილია.

97. ენა-ტარტალა პატარძლის ამბავი

ერთ ოჯანში რძალი მიიყვანეს, რომელიც სულ მუდამ ენას ატარტალებდა, არ ჩუმდებოდა, მისგან ყურთა სმენა აღარ იყო, მისი ენა შინ და გარეთ ყველას აწუხებდა.

იმავე ოჯახში იყო პირვანდელი მიყვანილი უფროსი რძალი, რომელსაც ორი ვაჟი ყავდა და მესამეზეაც ფეხმძიმედ იყო. ის იყო სათნოიანი, ჩუმი და წყნარი.

ერთ მშვენიერ დღეს ახალმა პატარძალმა უფროსს ჩხუბი დაუწყო, უყვირა:

– ხმას რად არ იღებ, რავა დამუნჯებულხარ, იქნება არც კი მკადრულობ, რომ შენი მაზლის ცოლი ვარ?

უფროსმა რძალმა, მოთმინებიდან გამოსულმა, უპასუხა:

– ასან – მიშობიაო, ოსან – გამიზდიაო, ლომ-დავითი მუცელში მყავს – ჯერ ხმაც არ ამომიღიაო.

98 დედის გული

ერთ ვაჟს მეტის მეტად უყვარდა ერთი ქალი. ქალი კი არ მიყვებოდა ვაჟს ცოლად მანამდის, სანამ საჩუქრად არ მიუტანდა თავის საცოლეს – თავისივე საკუთარი დედის გულს.

ვაჟს დედაც მეტად უყვარდა, ვერ იმეტებდა სასიკვდილოდ, მაგრამ ქალის სიყვარულმა დაძლია, მიეპარა მძინარე დედას ფეხაკრეფით, მიადგა ალესილი დანით, გაუჭრა მკერდი და გული ამოიღო.

დედის გული ხელზე დაიდო და საცოლესთან უნდა წაედო.

უცაბედად გზაზე ფეხი ქვას წამოკრა და კილამ წაიქცა, დედის გულმა

მიამახა: „ნელა შვილო, არაფერი იწყინო, დედაშენი გენაცვალოს, ფრთხილად იარე“. ამის გამგონე შვილს თავბრუ დაესხა და იქვე უსულოდ დაეცა.

99. ავი კაცის ამბავი

ერთი კაცი ისე მოხუცდა, რომ არავინ არ ემადლიერებოდა, პირიქით, ყველას სძულდა შავი ჭირივით, ახლოს არავინ ეკარებოდა, რადგანაც ისეთი ბოროტი იყო, ყველას ემტერებოდა.

მოუვიდა ამ ავ კაცს სიკვდილის დრო; დაიბარა მეზობლები და ყველას მეხილა (პატიება) სთხოვა, უთხრა: „მეზობლებო, მე არასოდეს თქვენთვის კარქი არ მიქნია, ბოროტი ვიყავი, ამიტომ მე ღირსი არა ვარ მიწაში დამარხვისა, მაპატიეთ ჩემი შენაცოდარი, ალალი მითხარით და როდესაც მოვკვდე, ცხენის კუდზე გამომაბით და მანამ ათრიეთ ჩემი ცოდვილი ტანი, სანამ დაილეოდეს“-ო. იქვე სულიც განუტევა.

მეზობლებმა ალალი უთხრეს და მიცვალებული თანახმად მისი თხოვნისა, ცხენის კუდზე გამოაბეს და გაუშვეს სათრევად.

ეს ამბავი მთავრობის ყურამდე მივიდა. მთავრობამ გაიკითხა, ვინ ჩაიდინა ასეთი ცუდი საქმე, რომ მიცვალებული მიწას არ მიაბარეს და ცხენის კუდზე ათრევენ.

მეზობლებმა იმოწმეს, რომ თვით დაიბარა სიცოცხლეში ასე მოქცეულიყვნენ, მთავრობამ ყველა მისი მეზობელი დაიჭირა და ციხეში ჩასვა, თქვენ რა ნება გქონდათ, რომ ასე უღმერთოდ მოექეცით მეზობელსაო. დანწყვედულმა მეზობლებმა მწუნარებით უთხრეს ერთმანეთს:

– ეს წაწყმენდილი ცოცხალი იყო, ცუდს გვიკეთებდა, მოკვდა და მაინც კიდევ უარესი გვიყოფო.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

100. არენმა შენი არა ქნას – შენ არენისა ქენიო.

—

101. არ მინდა შენი ვიშიო – ოლონდ ნუ შემამხვენეშიო.

—

102. არ დაარიგო ბრიყვი – გაგიძულებს, დაარიგე ბრძენი – შეგიყვარებს.

—

103. აზარდე ბოვში სწორ გზაზე და სიბერემდი იმ გზას არ მოშორდება.

—

104. ავიფურთხე – ულაშ მეცა, დავიფურთხე – წვერ დამეცა.

—

105. ავადმყოფი რომ მორჩება – ექიმი შეძულდებაო.

—

106. ანს გახედე, ზანს გახედე, სიგძესა და განს გახედე.

—

107. აქეთ ვიკბინე, აქეთ მეტკინა – იქით ვიკბინე, იქით მეტკინა.

—

108. არ არის ადამიანი, რომ ერთი საათი არ უცინოდეს.

—

109. ან სარჩული უნდა ვარგოდეს, ან საპირეო.

—

110. აქიმის მოჭრილი თითი კაც არ ეტკინებაო.

—

111. ავი შვილი მამასაო, გზაზე უზამს ალაპსაო.

—

112. ახლა რაც თქვა – შენ, ბოლოს რაც თქვა – მეო.

—

113. ასდაერთი გავეციო, – მტერსაც მეხი დავეციო.

—

114. აკაკაჩია, ბაკაკაჩია, გისვია-გიჭამია – გზა გაგაჩნია.

—

115. ალაილა ლობიო, ბალაილა ლობიო.

—

116. ამ დღეს ამ ხვალისასო – თოვლი მოგვადგა კარსაო.

—

117. ამყოლს აყევი – გამყოლს გაყევი – განაპირას გახვალო.

—

118. არ მოიშლის ძველი ხევას – ბერი კვნესას.

—

119. ა მაისო მაისო, ძროხის ძუძუ გაიმსო.

—

120. ასმა იწიაო, ასდაერთი დასტიაო.

—

121. ალაფრანგა გაქს მირინოზისა – ფული არა გაქს პაპიროზისა.

—

122. ამისთანა აღხანასა – ამისთანა ჩალხანაო,

123. ბერწეულო და ბიაო—რა გული გამოგბმიაო.

—

124. ბრძანება არის ღმერთისა, უმოთაყოლამი (არაისრაველი)
რომ ხაზირის (ღორის) ძვალ გაკვნეტს აღდღომაში, – მოწვიმს.

—

125. ბრიყვ დედას – ჭიამ შვილი მოუკლაო.

—

126. ბეჩა კაკიაო, ჭკუა გაკლიაო,

მეც ქე მინდურებო, შენ რა გარგიაო.

—

127. ბრიყვი თუ არ შეცდაო, – ჭკვიან რა ეშველებაო.

—

128. ბრიყვის საგძალი მალე შეიჭმებაო.

—

129. ბატონის კაცი თუ გალახო – კარქათ გალახეო.

—

130. ბზიკის არც თაფლი მინდა და არც მისი ნაკბენიო.

—

131. ბრმას ცოლი მოუკვდა და ველარ გაიგო გვერდში რომ
აღარ მოუწვაო?

—

132. გაეცი ხელით, ველარ აიღე – იარე ფეხით.

—

133. გაჩხავლებ კატასავითა – გაგბერამ გუდასავითა.

—

134. გინდა კვდარი და გინდ შინ არ დაბრუნებული.

—

135. გლახა პატარძალ ღრუბლიანი სადამო, დილა ეგონაო.

—

136. გადარეული ქორწილში შევიდა – ჩემ სახლ ეს ჯობიაო.

—

137. გათხოვილმა ქალიშვილმა თავისახლ გადაიხედა – კვამლი
კიდე ამოდისო?

—

138. გამქცევი და დამწევი ორივე ღმერთ ეხვეწებოდაო.

—

139. გავიარე იყო, – გამოვიარე აღარ იყო.

—

140. დედა-მამა შვილისთვინო – შვილი თავის თავისთვინო.

—

141. დილის სხალიო, – გულის შხამიო.

—

142. დილის ვაშლიო, – გულის ვარდიო.

—

143. დიდსა დიდისა მძებნელსა, დააჯერებენ ცოტასაო.

—

144. დიდ ფაფას – დიდი სულის ბერვაც უნდაო.

—

145. დიდ კარს შესვლა ადვილია – გამოსვლა ძნელიო.

—

146. დაკარქული ძროხა – მეტ მოიწველისო.

—

147. დედამთილი მოკვდაო – რძალმა ფეხი მოიკეცაო.

—

148. დავწვრილშვილდი – დავიწიე, დავფსხვილშვილდი – ავიწიე.

—

149. დედაბერმა ჯერ არ ქნა და არ მოიფხანა – მერე მოიკიდა
ხელი და თლათ მოიგლიჯაო.

—

150. დარი მუშაობს და კაცი იქადნისო.

—

151. დავბერდი – გავკუდიანდიო.

152. ერთი შვილი – ღობეს ჩხირი, ორი შვილი – არა შვილი,
სამი შვილი – დასტურ შვილი.

153. ენა ჩვილი, მოსტეხს ძვალსაო.

154. ენა შეძერაო, – კაცი მოკვდაო.

155. ერთმა რეგვენმა ძვირფასი ქვა ზღვაში გადაისროლა, ათა-
სი ბრძენი დეესია მაგრამ ველარ ამოიღესო.

156. ერთის შემხედვარეო – წყალში ჩამხედვარეო.

157. ერთ ქვეყანაში ვირი არ იყო და ვირი რომ გაიელიდა
პირმოვარისას ემახოდენო.

158. ვალი – გადახდიასაო.

159. ვისაც გული არა სტკივა – მასა ცრემლი არა სდივა.

160. ვის მიჯნური არ ყოლია – რომ თან არ გადაყოლია.

161. ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილი არიო.

162. „ვიცის“ – დედა-ტირის, – „არ ვიცის“ დედა არ ტირის.

163. ვინც არ იცის ვერცხლიაო, ვინც იცის და ცეცხლიაო.

164. ვაი დედა გვერდებიო – უცოლშვილოთ ვბერდებიო.

165. ვაი დედა ფერდებიო – უქმარშვილოდ ვბერდებიო.

166. ვთქვი, დედა მამიკვდა – არა ვთქვი და მამაო.

167. ვინც მოითმენსო, ის მოიგებსო.

168. ვინაც მეტი ქნააო – იმას ეკითხააო.

169. ვისაც ჭირი ჭივრებია – აქიმობაც იმას კითხეო.

170. ვირს რომ თოფრა პირში ქონდეს, საყროყინოთ არ ცა-
ლიაო.

13. რ. თ ა ვ დ ი დ ი შ ვ ი ლ ი.

171. ვირი კიტრათ იყო, ჯორი საგძლათ უნდებოდაო.

—

172. ვისიც პური გეჭმებოდესო, მისი ხმალიც გექნეოდესო.

—

173. ვინც თქვას, ვიმეცადინე და მიზანს ვერ მივახწიეო, არ დაუჯერო, ვინც გითხრას არ ვიმეცადინე და ისე მივახწიე მიზან-საო არც ის დაუჯერო; ვინც გითხრას ვიმეცადინე და მიზანს მივახ-წიეო – იმას დაუჯერე.

—

174. თხა დაკლეს მე დამაკლეს და ძროხა დაკლეს, მე დამაკლესო.

—

175. თანდურიხე, ხე არიო – კოჭებ გააქ ბზიალიო.

—

176. თუ არ ქყავდეს მოახლეო – თავიც მოიმოახლეო.

—

177. თვალი თვალ რომ მოშორდება – გული გადასხვაფერდება.

—

178. თხის პატრონ – თხის კუდიც არაო.

—

179. თეთრი თხა სუქანი ეგონათ, დაკლეს და ჭლე გამოვიდაო.

—

180. თუ კი ქშივა ზაქარია – ცივი ჭადიც ზაქარია.

—

181. თითო კორკოტის ქოთანი – ყველა ოჯანში დუღსო.

—

182. თვალი თვალის მტერი არი – შუაში რომ ცხვირი არ იყოსო.

—

183. თითი მტკივა გულმა იცის – გული მტკივა, ღმერთმა იცის.

—

184. თეთრი კბილიო, შავი გულიო.

—

185. თუ ერთი ილა არ იყოს, ცოლი ქმართან არ დაწვებაო.

—

186. თვალი სვამს და თვალი ჭამსო.

—

187. თხას სიკვდილიო, – მგელ ქორწილიო.

—

188. თავი თუ ქტკივა – ფეხებთან რა საქმე გაქო.

189. იმერული ხილიო – კაკალი და თხილიო.

—

190. იცის მხარჯველმა და არა მჭამელმაო.

—

191. იერუშალიმ წამსვლელსაო – არც კი უთხრა და არც არაო.

—

192. იმისთანა დღეს დაგაყენებ – კარი კედელი გეგონოს და ვირი მჭედელიო.

—

193. ზღვა კოვზით დაილევაო.

—

194. ზოგსა თაჯი და გვირგვინი – ზოგს ვიწრო სამარეც არაო.

—

195. კაცსა თავსა ჭრიდენ და კვიწიწა არ მატკინოთო.

—

196. კატა მეფეს შეხედამსო.

—

197. კაცი რომ თვრება, პირველათ ბურბულია – იმღერის, შემდეგ ლომია – ლონიერია, ბოლოს ღორია – ამოითრევა.

—

198. კარს უკან გადარჩენილმა – ას წელიწად იცოცხლაო.

—

199. კაი მთქმელსა, კაი გამგონეც უნდაო.

—

200. კაცსა სახში მადანი ეთხრებოდა – ერეკახე დადიოდაო.

—

201. კუტამ დაკლა ვარიო – ქუთაისი არიო.

—

202. კურდღელმა თქვა: – მე რომ ბედი მქონებოდა, დედა ჩემ ბუბუ დაყვებოდაო.

—

203. კედელ ყურიო – მინდორ თვალიო.

—

204. კაცსა ფული დათვლას ასწავლის და საქონელი კი ანგარიშსაო.

—

205. კაი პატრონის ხელშიო – გამართული ვარ წელშიო.

206. კაცი რომ გაკოტრდება – ძველ თამასუქებ დაუწყებს ძებ-
ნასაო.

207. კარში გამოვდიოდე – ჩინჩა ჩამამდიოდეს, სახში შემოვ-
დიოდე – ერბო გადმამდიოდესო.

208. კაი ქენი ქვას დადევი – გაიარე წინ დაგხვდება.

209 კაცთან სანამდი ერთი ფუთი მარილი არ შეჭამო – არც
აქო და არც აგინოვო.

210. კბილის ნაკირტნ – კუჭ არ გააძღვსო.

211. ლომი თუ არ გინახია, მისი ნაწოლი ნახეო.

212. კაი კაცის ნაცოლარიო – კაი ღვინის ნაძირალიო.

213. მოშორებული შვილი – ამოსული სული არიო.

214. მამის მოტანილზე მამაც იცინის და შვილიც; შვილის მო-
ტანილზე მამაც ტირის და შვილიც.

215. მოგება და წაგება, ყველა აფხანიკი არიო.

216. მამდარმა გულმა ფალუნდაგი დანოყაო.

217. მამგებს, მამვლელმა აჯობაო.

218. მდიდარი კაცი რომ დაღარიბდება, ათ წელიწადს ვერ გა-
იგებს სიღარიბეს და ღარიბი რომ გამდიდრდება, ათ წელიწადს ვერ
გაიგებს სიმდიდრეს.

219. მამალმა თქვა მიყვილიაო, – გათენება ღმერთმა იცისო.

220. მისთანა ცას არ გავარდნია, რომ დედამიწას არ დაცე-
მოდესო.

221. მიმხტომს დამხთურმა აჯობაო.

222. მტერს თვალი მოთხარე, მოყვარე გაახარეო.

—

223. მე გავცვითეო – შენ გაჩუქეო.

—

224. ყოზელაშვილი ცხენ ყიდულობდა, – პაპიაშვილი სანთელ წვამდაო.

—

225. ოც ქოთნის მკეთებელ – ერთი მტეხელი აუვიდაო.

—

226. ოჯახში უფროსის თავი რომ გორამდეს, ისიც კარქი არიო.

—

227. ოკრიბული ლობიო, ოკრიბულმა წყალმა მოხარშოსო.

—

228. რაცა მქვიაო – პირსა მცხიაო.

—

229. რძალო არა ვთქვი, არა ვთქვი – კორკოტი გადმოვიდაო.

—

230. რა ღირსა შავი მელანი, თეთრი ქახალდის წერასაო.

—

231. რეგვენმა შვილი მოკლაო, დაჯდა და თითონავე იტირაო.

—

232. ყველა ქალსა ქალი ქვია? ზოგი ქალი – ქალუნაი.
ყველა კაცსა კაცი ქვია? ზოგი კაცი, – კაცუნაი.

—

233. ურიის მუცლის ტკივილი – სომეხ ქარათ გადიოდაო.

—

234. სახელი ჯობს ქონებასო, მამიჩემის ცხოვნებასო.

—

235. სახში მცემენ, კარში ვერ ვამხელ, კარში მცემენ, სახში ვერ ვამხელ.

—

236. სითავდაბლით – ციხე დავდგი – სითავმალით დავაქციეო.

—

237. სომეხმა თქვა: – მე რომ გაქცეული კურდღელი მენახოს, მისი ხორცი ჩემზე არამიო.

—

238. სიმტერით ვერაფელი გიქენი – სიმოყვრით ამოგაგდეო.

—

239. სხვისი ჭირიო – ნელი ძილიო.

—

240. ტირის დედამიანო – რა ქნას უდედამამო.

—

241. ტკბილი სიტყვით – თაზე ირემი მოიწველებო.

—

242. ქალს რომ ქმარი მოუკვდება თავიც მაშინ მოუკვდებაო.

—

243. ფრთხილი ნადირი, ოთნი – ფეხით ჩავარდებაო.

—

244. ქმარი რომ შემოგივიდეს – დიდი ლუკმა ჩაიდევ, – შვილი რომ შემოგივიდეს – პატარაო.

—

245. ქალი ქმარსა წუნობდაო – იყო მის ამართაო.

—

246. ქალმა ქმარს არ შეახედო, არც მადულარ ქოთანში და არც გაფუებულ პურსა.

—

247. ქნა „ხალა“ – გადაყვა – თანა.

—

248. ქალო ქმარი ქყავსო – გაღმა ქალი ყავსო.

—

249. ცამეტი წლის ქალიშვილი, ან ქმარქვეშ ან ქვასქვეშ.

—

250. ცხოვრება კუზიანია – ქვეყანა ბრუციანია.

—

251. შეესვამ და შექჱამ ბუჯარო – გული შემექნა უჯავრო.

—

252. შინაური – ნატვრამ მოკლა, გარეული – სურვილმაო.

—

253. შემნახავი ენა პირის – შეინახება გაჭირვებიდანაო.

—

254. შენდებოდეს შეასწარი, – იქცეოდეს გაასწარი.

—

255. შილმა შილისა ქინითა – სახლი აამსო ქიქითა.

—

256. შენი რა გიკვირს რეგვენო, მდევი მოუკლამს ღვინოსაო.

—

257. შიმშილ საწები არ უნდა, ძილს სართაულო.

—

258. შენც ბატონი მეც ბატონი, ამ ცხენს ვინლა შეგვიკმა-
ზამსო.

—

259. შენი არა ინარჯოდეს, ლხინს ნურა გირჩენია რაო.

—

260. ჭირი ვინც დამალაო – ჭირმა ის დამალაო.

—

261. ჭურსა არას კითხამდენ – ასიანი ვარ იძანოდაო.

—

262. ჭადი ვჭამე – ჭადმა მამცლა, არა ვჭამე – უჭმელობამაო.

—

263. უბით მწოლეულმა – უბის ანგარიში იცისო.

—

264. უპატრონო ლაპტასაო – ძაღლი ატლაპუნებდაო.

—

265. ძილი, – ძილის საფუარიო.

—

266. ძაღლს ურტყამდენო – რძალს ასმენდენო.

—

267. ძაღლი მყავდა მასხარაო – მე მცრხვენოდა მას არაო.

—

268. ჯარას დავატრიალებო – არას დავაგვიანებო.

—

269. ჯოჯოხეთში ყვიროდენ და არავის ესმოდაო.

—

270. შეძახილი ხეს გაახმოზსო.

—

271. წავა ნაქაზისაო – არა ჯორმანდისაო.

—

272. წაგვივიდა მარტი-მურტი – ვერ მოგვიკლა კატი-კნუტი.

—

273. წყალი ნაწყლურს არ დააგდებს და გზა ნაგზაურსაო.

—

274. წაკიდებული ცოლ-ქმარი – რეგვენ გაყრილი ეგონაო.

—

275. ჩემმა ნაქნარმა წელი მატკინა – სხვისმა გული.

—

276. ჩიტი გაბდღვნათ არა ღირდა – უკან დევნა მეტი ქონდა.

—

277. ჩიტი ჭამდა გოგრასაო – შენს მაქხელათ მოყრასაო.

278. ხახმის ნათქვამი დაიჯერე – მისი ნაქნარი არაო.

—

279. ხარი რომ წაიქცევა – დანას ყველა მოლესამსო.

—

280. ხარი რქით დაიბმება – კაცი ენითაო.

—

281. ხარმა უთხრა პატრონსა – მე მაშინ მოგაგონდები – ურემი დაქრჩეს ტყეშიაო.

—

282. ხეც თავის ნაყოფით დამშვენდებაო.

—

283. ღარიბი კაცის ძაღლი გებრალეზოდეს, – მდიდრისა რძალიო.

—

284. ღმერთის აშენებული ოჯახი ქალმა დააქცია, ქალის აშენებული ოჯახი ღმერთმაც ვერ დააქციაო.

—

285. წუნისა ბანი – ქვასანაყი კარი.

დააჯინე ტაფაზე, გული ქონდა – ყლაპაზე.

—

286. წადგა მშიერიო – ვერა შიშველიო.

—

287. ქათამმა რომ კვერცხი დადვას – მამალ რა ეტკინებაო.

—

288. წყეულიმც იყოს – ადამიანის დამნდობი.

—

289. ღმერთი თუ ქწყალობს, – ეშმაკი ვერას დაგაკლებსო.

—

290. ღმერთ ძულს: – ბებერი და გარყვნილი, დინდარე და ძუნწი, ღარიბი და დიდგული.

ტერმინების საძიებელი

აბრაამ აბინუს წესი 44.

აბელოზა 71.

აგადა 82.

აგყალა 81.

ავგაროზი 41 თილისმა; სამკუთხედ გა-
მოკერილი: ნახშირი, პილპილი და
ნიორი; აკვანზე ჩამოსაკიდებელი
ნივთები (სურ. 4).

ათარა 39 ცოდვების მონანიება.

ალაილა 191 ამაღამ.

ალაფრანგა 191 ევროპული ტანსაცმელი
მამაკაცისა.

ამართი 169 მე ვოქვი.

ანელეზული 18 არეული, შეზავებული.

ანი ადონაი ამართი 168 მე-ღმერთმა
ვოქვი.

არენი 190 საკმაზავი.

აფონი 16, 26 ნამცხვარი ტკბილი, გა-
მოზეილილი და გაუფუფელებელი.

აშემ ითხარახი 156 მისი (ღმერთის) სა-
ხელი იკურთხოს.

აჯაკელა 166 სატაცურის მსგავსი ბა-
ლახი.

ამსაყა 50.

ასლაზა 38 ხეირი.

ბაითი 169 სახლი.

ბალაილა 191 იმდამეს.

ბასარი 189 ხორცი.

ბერახა 74 კურთხევა.

ბენზახარი 13.

ბეხაბოდ 141, 150 მობრძანდით,
ინებეთ.

ბედ-მაზალი 21, 183 ბედი და ილბალი.

ბესიმანტობ 179 ბედნიერი ნიშანი.

ბღავანი 124 მოდგმა, შთამომავლობა.

გადაცემა 38, 94.

განატეხი 49, 91.

გატეხილი დღე 108 ორშაბათი, ოთხშა-
ბათი და პარასკევი.

გეთი 57 (სურ. 7).

გეზერა 25 სასჯელი.

განყედენი 181.

გომელი 93.

გულმთელი 41.

დადე 28

დარუში 71 ლეგენდა.

დაქელვა 104 მიცვალებულის მიერ და-
ზიანება.

დაქშუბა 124 დაგასახიჩრა, დაგაზარალა.

დანის წვერი 80.

დამადლიანდი 121 გახდი კეთილის ღირსი.

დაქაშვრა 23 გააღლება, დამარილება.

დაშაქვრა 91.

დინი 181 წესი.

ეხაიაზა 169 გლოვა.

ეშეთხელი 137.

ენ-დოდი-ქალა 33, 188 გალობა ქორ-
წილზე.

ემეთ 156, 180 ნამდვილად, ჭეშმარიტად.

ელოაი ნეშამა 178 დილის ლოცვა.

ელოადამე 181 შაბათ სადამო.

ეხალი 39, 161 სეფერ-თორის შესანახი
კარადა.

ერთგული 20.

ვიდუი 68.

ზიული 146, 158 საცოლე-საქმარო.

ზარა-გორა 181 ხმაური, მწუხარება.

ზეხუთი 40 მადლი.

თიხიათ ამეთიმი 40, 123 მკვდრების გა-
ცოცხლება.

თორული 32 ებრაული.

თაფლიანი 26 ნამცხვარი ტკბილი, თაფ-
ლით და კვერცხით.

თელი დღე 21 სამშაბათი, ხუთშაბათი,
ბედნიერი დღე.

თეფილინი 61.

თეზა 152.

თოხლე 169 სჰამე.
 „თორაზე დაჯომა“ 62 მიდრაშში (სას-
 წავლებელში) მიბარებ.
 იპრიანა 141 მშველელად გაჩნდა.
 იხუნტლა 97 დააზარალა.
 ი ყოლაში 47, 171 საიქიო.
 იხაფიფე 94 იხარე, იმხიარულე.
 ინანინი 169 ღვინო.
 იომტობი 182 კაიდლე, დღესასწაული.
 იერიასონ 177 აღსრულდეს.
 იეშობს 169 არის.
 კაიამი 53.
 კაბის ჭრა 23.
 კადიში 152 მიცვალებულის სულის ხსე-
 ნება.
 კედლის ყური 48 ახლობელი, შინაური.
 კუკული 124 კოკორი, თესლი.
 კუტა 195 მამაკაცის მეტსახელი.
 კოჭკაკლობიაი 10 თამაშობა კოჭითა და
 ნიგვზის კაკლით.
 კიდუში 15 ღვინის კურთხევა.
 კუფა 70.
 ლაპტა 199 ნამცხვარი (банка).
 ლეხეში 169 პური.
 ლეკები 16 ტკბილი ნამცხვარი.
 ლიმუდი 73.
 ლივიათანი 131 თევზთა მეფე.
 ლილითი 137 მოარშიყე.
 ლოცვის ეზო 98 სალოცავის ეზო.
 ლო-ალეხემ 180 შორს თქვენგან.
 მაზიკი 106 ავი ანგელოზი.
 მაღალი და მართალი 124 ღმერთი.
 მაცა 83.
 მასა თხელი 26 კვერცხით და შაქრით
 გამოხედილი ტკბილი ნამცხვარი,
 რომელიც ხანგრძლივად ინახება.
 მასა ფუანი 26 გაფუებული ტკბილი ნამ-
 ცხვარი.
 მალაზ ამავეთი 122 სულისამღებ.
 მაზალი 177 ილბალი.
 მაშიახი 24 მესია.
 მაშიახის მომძანება 20 მეორეთ მოსვლა.
 მაზალტობ 15 კარგი ბედი.
 მაფტირი 152 ლოცვა-მიცვალებულის
 ხსოვნის აღსანიშნავი.
 მეზუზა 29, 30.
 მემენე 115 დასტურის დამცემი ანგე-
 ლოზი.

მილა 13 ვაჟის ნათვლა.
 მიკვე 28, 45 (სურ. 2).
 მინიანი 43 ათი სრულწლოვანი მამაკაცი
 მიცვა 70 კეთილი საქმე.
 მისვა 184 მიცვა.
 მიდრაში 137 სასწავლებელი.
 მიკდაში 80 ტამარი.
 მოშეს თორა 156 მოსეს მიერ სინაის
 მთიდან ჩამოტანილი თორა.
 მოპატიყე 31.
 მონოხთომი 42 მოფურჩხული, ჰაერიდან
 გალახული.
 მოელი 43
 მოვნებული 47 დღენაკლული, უდროვოდ
 დაბადებული.
 მოწონებული 88.
 მსითავი 14 სითვის (ქარგვის) მცოდნე.
 მურასა 18 გაფუებული პური, გამოზე-
 ლილი და დოქის მსგავსად მოოჭვი-
 ლი, გამომცხვარი.
 მუხლში ჩადგომა 41 მშობიარობის დროს,
 ბავშვის თავის გამოჩენა (прорезы-
 вание головки).
 მუშკამბარი 176 სურნელოვანი.
 ნაგლახური 49.
 ნაკისი 186 ნაშიერი, მოდგმა.
 ნაშა 169 ხასა, უკანონო ცოლი.
 ნაქაზი 199 ძუნწი, თვალვიწრო.
 ნალალატი 94.
 ნამილევი 45 ნათლობისთვის დამზადე-
 ბული.
 ნაკრული 13 ნაკლული, უკმაყოფილო.
 ნაზაფრალი 103 შემინებული.
 ნედერი 13, 18 აღთქმა, შეკვეთილობა.
 ნეტილათი 85 ჭამის წინ ხელის დაბანა.
 ნედაბა 48 მოწყალება.
 ნესი 139 სასწაული, საკვირველობა.
 ნიდაობა 21 თვიურის მოსვლა, უწმინ-
 დურობა ისმარება სიტყვა ნიდა –
 – უწმინდური.
 ნემსის ამოყრა 53.
 ოსტატი 22.
 ორმოცის ფუტე 49.
 ოშაყანა 79.
 პატისადები 26 ძღვენზე საჩუქარი.
 პირის სანახავი 27 საჩუქარი კაბისჭრაზე
 საქმაროს ნათესავი ქალებისაგან.
 პრატი 13 გოგო, ქალიშვილი.
 რეფუა 98.

როშხოდეში 46 ახალი მთვარე.
 რძიანი 16 ნაზუქი, რძით მარილით და
 შაქრით გაფუებული.
 რიბი შიმეცნი ბარიოხაი 83 ისტორიული
 რაბინი.
 რიბონო შელ ყოლამ 40 ღმერთო პატ-
 რონო ქვეყნისაო.
 სათუოდან გამოსვლა 89 ბატონების და-
 წყებიდან მეორმოცე დღე.
 სასისხარი 41 თეთრი სუფთა ქსოვილი,
 ახლად წინდაცვეთილის შესახვევი.
 სანდაკი 41 ნათლია.
 სანატრელი 49.
 სახამეზო 81 არა საფესასო, მუდმივ სახ-
 მარი.
 სახლის ძღვენი 26.
 სადადეო 32.
 საბუძური და საოსტატო 26.
 საეჭვო 21 არასაიმედო შინაური.
 საუკმელო 16, 34.
 საუზმე ფაფით 46.
 სეფერ-თორა 13 ათი მცნება (სურ. 12).
 სეფრის კაზა 51.
 სეფრის ლიმნები 52 ლიმონის მსგავსი
 ვერცხლის სამკაული.
 საფუარის წაკეთება 36
 სედაკა 146, 178 მოწყალება.
 სელიხოთი 84.
 სეყუდა 44.
 სუქა 77 კარავი.
 სულის შესავალი 94 ახლობელი, სისხლ-
 ხორცი.
 სუფრის მოსაკითხი 25.
 სუფრის გადატანა 89.
 სულის ცოდო 21 ქალიშვილი.
 სისიტი 31 თეთრი ქსოვილი მამაკაცის
 მოსახვევი ლოცვის დროს (სურ. 11).
 სიმანტოზ 15 კეთილი ნიშანი.
 სიონის ტირილი 81.
 სისიტაკატანი 61
 ტანის მორეცხა 21 თვითურის მოსვლა.
 ტერეფა 183 არაალაღი, უწმინდური,
 მავნებელი.
 ტოვეთ 169 კარგად, ბლომად.
 ტერ-მოყვარე 15, 17.
 ტეზილა 27 მიკვე, (სურ. 2).
 უწმინდობა 10 თამაშობა.
 უწმინდურობა 41 ნიდაობა, თვითურის
 დრო.

უსხანი 149 უკაცური, უადამიანო ად-
 გილი.
 ურწმუნო 111.
 ფესახი 84.
 ფხეცის კვირე 84.
 ფარნასა 44 საზრდოება, რჩენა.
 ფურიმი 80.
 ფალუნდაგი 196 თავლით, ნიგვზით და
 მიხაკ დარიჩინით შეზავებული ფქვი-
 ლი.
 ქათმის შემოვლება 76.
 ქოლნიდრე 77 შეკვეთებისაგან განთავი-
 სუფლება.
 ქისე ელიაუ 42, 79.
 ქეთუბა 29, 183.
 ქამე 169 ცული.
 ქაშერი 38 გააღლებული, წმინდა, უმ-
 წიკვლო.
 ქიფური 76.
 ქორიანაი 10 საქანელა, საქორიანო.
 ყალია 18 ხახვითა და ბროწეულით შე-
 კმაზული ხორცი ან ფრინველი.
 ყალი 95 სალოცავი.
 ყომერი 83.
 შაბუყოთი 83.
 შოშინი 29.
 შილი 24, 198 მაზლის ცოლი.
 შოფარი 105 ცხვარის რქისგან გაკეთე-
 ბული საკრავი.
 შედი 105 მავნებელი ანგელოზი.
 შეხინა 146 შუქი, ნათელი.
 შოხეტი 63 (სურ. 9).
 ჩავიარე 177 უკმაყოფილოდ გაკვირვება,
 ნუკადრისობა.
 წყლისა 119.
 წარეუკანი 38 არაუქმედლე.
 ჭაბუკობა 63.
 ხარაშეთი 82.
 ხასი 44 წმინდა.
 ხაზირი 191 ღორი.
 ხალა 40, 198.
 ხახვე შალომ 180 ღმერთმა ნუ ინებოს.
 ხუფა-მურადი 24, 32 ქორწინება.
 ხათან-ქალა 31 ნეფე-დედოფალი.
 ხაზანი 152 მლოცველი.
 ხალისა 57 (სურ. 8).
 ხელის გახნა 63.
 ხანუქა 80.
 ხამეზის მობოჭვა 81.

შინაარსი

რედაქტორისაგან	3
წინასიტყვაობა	7
1. ადათ-ჩვეულებანი (ნიშნობა, ქორწილი, მშობიარობა და ბავშვის აღზრდა)	13
კაბის ჭრა	23
ქორწილი	30
მშობიარობა	38
ნათელა	41
დაბანგვა	42
მუცლის მოშლა	47
ჯალაბის დაყოფა, ჯალაბში უფროსის როლი	48
2. მიცვალებულის დატირება და დასაფლავება	68
3. ცრუმორწმუნეობა	74
ახალი წელი (როშაშანა – წლის თავი)	74
წყლის კურთხევა	75
ქათმის შემოვლება. ქიფური	76
სუქოთი. ოშაყანა. სიმხათთორა	79
ხანუქა. ხილის კურთხევა. ფურიმი. დანისწვერი	80
ფესახი. ხამეზის მობოჭვა. აგადა	82
ყომერი. შაბუყოთი	83
მარხვა. სიონის ტირილი. ორმოცი სელიხოთი	84
შაბათი	85
ბ ა ტ ო ნ ე ბ ი	88
დამაქვრა, განატეხი	91
ბატონებთანების გარდაცვალება. მოწონებული	92
ნალალატი-კუდიანობა. გადაცემა	94
კუდიანობა. ახალი ბინა	95
შინიდან გასვლა. ბინის გამოცვლა. თორის ნაწერი	97
ტანისამოსის და ფეხსაცმელის ჩაცმა-გახდა. ფრჩხილების მოჭრა	97
ცოდვილი. გომელი. მთვარის კურთხევა. რეფუა	98
ჭექა ქუხილი	99
4. ასოთსამღერელი, მარჩიელობა, დაცდილობა და სხვა	100
5. შელოცვები	116
დალოცვები	121
წყევლა	123
6. ფოლკლორი (ლეგენდები, ზღაპრები, ლექსები, ანეგდოტები და ანდაზები)	130
გაჭივრებული კაცის ამბავი	130
სოლომონ მეფის სიბრძნეზე	133
ეშეთხაელზე (კეთილშობილ ქალზე)	137
სამი ძმა	142
გერ-დედინაცვლის ამბავი	146
შარიანი კაცი	152
სამი ქალიშვილი	157
ღარიბი კაცის ამბავი	160
ლ ე ქ ს ე ბ ი და კ უ ჰ ლ ე ტ ე ბ ი	164
ა ნ დ ა ზ ე ბ ი	190

Труды Грузинского Краеведческого Общества

РОЗА ТАВДИДИШВИЛИ

ЭТНОГРАФИЧЕСКИЙ ОЧЕРК

старого быта Кутаисских евреев

Техиздат „Техника да Шрома“

Тбилиси

1941